ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ეროვნული პოლიტიკის და კულტურის ორგანო

შინაარსი

1. ეროვნული მთლიანობისათვის
2. მოწოდება . . . . . ქართ. საკავშ. შტაბი
3. თანამედროვე ომი და ჩვენ . . . ბ. ვარდანი
4. წვინდა ნინო (ლექსი) . . . . გრიგოლ რობაქიძე
5. თარი—არალე (რომანი) . . . . სტეფანე კასრაძე
6. სამშობლოს (ლექსი) . . . . . ბ. ყიფიანი
7. ყალბი თარიღი — ყალბი დასკვნა გრიგოლ დიასამიძე
8. ვაჟა-ფშაველა და ქართული კულტურა . . . . . ალ. მანველიშვილი
9. კურთხეული მიწა (ლექსი) . . . ბ. ბ—ძე
10. ვაჟა-ფშაველა . . . . . ი. მანწკავა
11. ეროვნული ერთობის საფუძვლები ვ.. ნოზაძე
12. მოგონებანი და განცდანი . . . დ. სალირაშვილი
13. ინგლისელების მზაკვრობა საქართველოში . . . . . პ. სარჯველაძე
14. სახელმწიფო . . . . . ლ. კერესელიძე
15. სამგლოვიარო სიტყვა . . . . . პროფ. მ. წერეთელი
16. საქართ. მეურნეობის სვე-ბედი . . ბ. ჟურული

აპრილი ბერლინი 1944

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული მთლიანობისათვის

დღევანდელი მსოფლიო ომი თავის განვითარების საბოლოო სტადიაში შევიდა. ორი დაპირდაპირებული ძალა გადამწყვეტ შეტაკებისათვის თავის უკანასკნელ ძალებსა სჭიმავს; ამ დროს ერთ ზედ-მეტ ჯარისკაცსაც უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა და ჩვენ ქართველებსაც, სადაც არ უნდა ვიყვნეთ: ჯარის კაცად, ქარხანაში მომუშავედ, კალმითა და სიტყვით მოღვაწედ, თუ რომელიმე დავალების შემსრულებლად რომელთა ბედიც მჭიდროდაა დაკავშირებული ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილთან, ისტორიის ჩარხის ტრიალმა გვარგუნა წილად აქტიური მონაწილენი გავხდეთ ჩვენი ბედის გამოჭედვაში. ამიტომ მომენტის კატეგორიულ მოთხოვნილებად ხდება ჩვენი რიგების უფრო მეტი შემჭიდროება, ერთ სალკლდეთ გადაქცევა, ერთი ნებისყოფით აღჭურვა, რათა ჩვენი ძალების არც ერთი პატარა ნაწილი ფუჭად არ იქნას გაფანტული და უშედეგოდ დაკარგული.

ამ უმაღლესი მიზნისათვის კარგია და მისაღები, რაც ხელს უწყობს ჩვენს ერთობას, ცუდი და მავნებელი, რაც არღვევს და შლის ჩვენს რიგებს. აქ დაუშვებელია რყევა, ორჭოფობა, და სხვისი ტყისაკენ ყურება.

ჩვენდა საბედნიეროდ, ქართველთა ძალები, რომელნიც გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან იბრძვიან ჩვენი ქვეყნის მოსისხლე მტრის წინააღმდეგ, უკვე ათი ათასობითაა, რაც ჩვენი პატარა ქვეყნის საკმარისს ნაწილს წარმოადგენს.

მხოლოდ ასეთ ძალას ესაჭიროება, ბუნებრივია, მეთაურობა, ხელმძღვანელობა, და დღეს ქართველობას ევლინება გერმანიის სათანადო უწყებათა მიერ დაარსებული ქართული საკავშირო შტაბი, რომლის დანიშნულებას შეადგენს ქართველების ყოველ მხრივი მოვლა და პატრონობა, მათში ქართველური ბრძოლის სულის გამობრძმედვა, მომზადება მათი წმინდა ქართული საქმის სამსახურისათვის, რათა ევროპაში ბედის ტრიალით მოყოლილმა ქართველობამ თავისი ისტორიული მისია პირნათლად შეასრულოს.

ეს დავალება ქართული შტაბისადმი დიდია, დიდია მისი მოვალეობა დღევანდელი ქართველებისადმი; წმინდაა მისი ამოცანა, და ჩვენ რწმენას გამოვსთქვათ, რომ იგი გაუწევს ანგარიშს ქართველი კაცის ბუნებას, ხასიათს, ტემპერამენტს, მრავალფეროვანებას და ქართველთა პოლიტიკურ სიმაღლეს, დიდის სიფრთხილით და სათანადო სიბრძნით გაუძღვება დაკისრებულ მძიმე საქმეს.

ჩვენ ვიმედოვნებთ აგრეთვე, რომ ყოველი ქართველი, დიდი და პატარა, ახალგაზრდა და მოხუცი, თავის მოვალეობად ჩასთვლის დაეხმაროს მათ, რომელნიც მუშაობის პროცესში ამ ახლად შექმნილ ქართულ ორგანოს თანდათანობით გააძლიერებენ, მეტს ძალებს შემოკრებენ მის გარშემო, მის ავტორიტეტს ასწევენ ქართველთა თვალში და ამით უდიდეს სამსახურს გაუწევენ როგორც აქაურ ქართველობას, ისე ქართულ წმინდა საქმეს, რომლის დასასრული საქართველოს განთავისუფლება და დამოუკიდებლობა უნდა იყოს.

მ ო წ ო დ ე ბ ა

ქართველო მხედრებო!.. ბედნიერად ვთვლით თავს მოგესალმოთ ქართული შტაბის სახელით და გისურვოთ გამარჯვება.

ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია განგიმარტოთ ქართული შტაბის დაარსების ისტორია, მისი მოქმედების მიზანი და ამოცანები. ამასთანავე ერთად გვინდა გაგაცნოთ შტაბის მიერ უკვე ჩატარებული მუშაობა.

როგორც მოგეხსენებათ, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გაბნეულად სცხოვრობდა და სცხოვრობს მცირერიცხოვანი ქართული ემიგრაცია. მისი უმრავლესობა შესდგება იმათაგან, რომლებიც უცხოეთში გადმოიხვეწნენ 1921 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დროს. ქართული ემიგრაციის რიცხვი 1921 წლიდან თანდათან იზრდებოდა, მას ემატებოდნენ საქართველოდან არალეგალურად გადმოსულნი, ბოლშევიკებისაგან დევნილი ქართველი პოლიტიკური მებრძოლნი.

უცხოეთში მყოფი ქართველობა მთელი თავისი ძალღონითა და ყველა საშუალებით იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სამწუხაროდ ეს ბრძოლა არ სწარმოებდა ერთი, საერთო გეგმით. ამაში ბრალი მიუძღოდა არამარტო უცხოეთში მცხოვრებ ქართველობას, არამედ იმ საერთო პოლიტიკურ პირობებს, თუ კერძო მდგომარეობას, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულ ქართველობას უხდებოდა ცხოვრება და მოქმედება. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ეს რამდენიმე ჯგუფად თუ წრედ დაყოფილი ქართველობა, რომელიც ხშირად ერთმანეთს ექიშპებოდა, მაინც ერთი საერთო სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი და ერთი საერთო მიზანი ჰქონდა დასახული — ეს იყო ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ და საქართველოს თავისუფლების, დამოუკიდებლობის აღდგენა. ამიტომ იყო, რომ ჩვენ ყველანი აღტაცებით შევხვდით 1941 წლის 22 ივნისს, როცა ძლევამოსილმა გერმანულმა ჯარებმა, გადალახეს საბჭოთა კავშირის საზღვრები და თავიანთ მოკავშირეებთან ერთად სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გააჩაღეს ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

მთელს ჩვენს იმედს ვამყარებდით და ვამყარებთ დღეს კომუნისტურ-ბოლშევიკურ რუსეთთან. ომში ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის გამარჯვებაზე. უცხოეთში მყოფი ყველა ქართველი, განურჩევლად ჯგუფისა თუ წრისა, მიემხრო გერმანიას და მისი ბრძოლა გამოაცხადა თავის ბრძოლად როგორც რუსეთისა, ისე გერმანიის სხვა მტრების წინააღმდეგ. მაგრამ ქართველების პოლიტიკური თუ სამხედრო თანამშრომლობა გერმანელებთან არ ხდებოდა ერთი, რომელიმე საერთო და გარკვეული პროგრამით, არამედ დაკავშირება ხდებოდა ინდივიდუალური ინიციატივით სხვადასხვა გერმანულ პოლიტიკურ თუ სამხედრო უწყებასთან. ამას ხელს უწყობდა ზემოთაღნიშნული დაქსაქსვა ქართველებისა ჯგუფებად, წრეებად...

ომის გამოცხადების პირველი დღეებიდანვე გერმანელთა მხარეზე მოხვდა ნებაყოფლობით გადმოსული თუ ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც საბჭოთა ჯარის რიგებში ძალით, საკუთარი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ იყო მოქცეული. მათი რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა და იზრდება დღესაც.. ამ ქართველთაგან ათასობით ახალგაზრდამ გამოაცხადა სურვილი ებრძოლა გერმანელ ჯართან ერთად სამშობლოს დამპყრობთაგან განთავისუფლებისათვის. მალე მოხდა შეხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედრა ძველი ემიგრაციისა გერმანულ სფეროში ამ ახლადმოხვედრილ ქართველებთან. დაიწყო მუშაობა ყველა ქართული ძალების თავმოყრისა და დარაზმვისათვის. გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ბევრი რამ ხელს უშლიდა ამ დიდ ეროვნულ საქმის და აუცილებელი ამოცანის დამაკმაყოფილებელ შესრულებას. ერთი მხრივ ხშირად ხდებოდა გაუგებრობა ზოგიერთი ჩვენი გერმანელი მეგობრისაგან ქართულ საკითხებში, მეორე მხრივ გვაბრკოლებდა ჩვენი დაქსაქსულობა, ერთი ეროვნული ორგანოსა და ორგანიზაციის უქონლობა.

თითქმის ორი წლის წინათ დაიწყო ცდა ასეთი ქართული ცენტრალური ორგანოს დაარსებისა. მოლაპარაკებებში გერმანიის სათანადო უწყებებიც იღებდნენ მონაწილეობას. იყო რამდენიმე წამოწყება, მათ შორის მნიშვნელოვანი და საიმედო გამოდგა ცნობილი ქართველი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის, პროფ. **მიხ. წერეთლის** ეროვნული კომიტეტი, რომელმაც ერთგვარი მუშაობა გასწია, სათანადო განმარტების მიცემით გერმანელთათვის ქართული საკითხების ირგვლივ.

სხვადასხვა, წმინდა ქართული თუ გარეშე მიზეზების გამო, რომელთაც აქ არ შევეხებით, ეს კომიტეტი ოთხი თვის წინათ დაიშალა. მდგომარეობა გვიკარნახებდა ჩვენი საქმიანობის ერთ ქართულ ცენტრში თავმოყრის აუცილებლობას. ამის საჭიროებას გერმანელებიც ხედავდნენ. ამიტომ გასული წლის 26 ოქტომბერს გერმანიის აღმოსავლეთის სამინისტროს, გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის, საპროპაგანდო განყოფილების, აღმოსავლეთის ჯარების გენერლისა და რაიხის უშიშროების მთავარი უწყების თანხმობით დაარსდა ქართული საკავშირო შტაბი, რომელშიაც წევრებად შედიან: ობერლეიტენანტი **გივი გაბლიანი** — ქართველ ლეგიონერთა წარმომადგენელი, ბ-ნი **მიხ. ალშიბაია,** ბ-ნი **მიხ. კედია** და ბ-ნი **გიორგი მაღალაშვილი.** მთავრობის ბრძანებით საკავშირო შტაბს ეძლევა უფლება როგორც ერთადერთს წარმომადგენლობას ქართველობისას და ზრუნავს, მუშაობს შემდეგ დარგებში: 1. ქართველი ლეგიონერებისა და მუშათა ათასეულების პოლიტიკური აღზრდა, 2. თანამშრომლობა გერმანელებთან გერმანიაში მომუშავე ქართველთა მოვლა-პატრონობაში, 3. ქართველ ტყვეთათვის სულიერი და მატერიალური მზრუნველობა, 4. პოლიტიკური მოვლა ქართული ემიგრაციისა.

მართალია, ქართულ შტაბს ომთან დაკავშირებული მიზეზებისა და სხვა ტექნიკური დაბრკოლებების გადალახვა დასჭირდა, მაგრამ მისმა მუშაობამ უკვე გამოიღო მნიშვნელოვანი შედეგები, რომელსაც მოკლედ ჩამოვთვლით: 1. ყველა ქართველი და მათთან ერთად სხვა კავკასიელი გამოყვანილი იქმნებიან ე. წ. „აღმოსავლეთის მუშების („ოსტარბაიტერის") პირობებიდან და იმუშავებენ ისე, როგორც უცხოელი მუშები; 2. ქართული პრესა, რომელიც შესდგება ორი პერიოდული გამოცემისაგან, გაერთიანდა შტაბის ხელმძღვანელობით; 3. ქართველი ჯარისკაცები სიმამაცისა და საბრძოლო დამსახურებისათვის მიიღებენ ყველა სახის გერმანულ ჯილდოს. ბრძანება უკვე გამოცემულია; 4. ქართველი ჯარისკაცები სავსებით გათანაბრებული არიან გერმანელ ჯარისკაცთან — ყველანი ატარებენ გერმანულ ფორმას, განმასხვავებელ ნიშნებს; 5. სწარმოებს მუშაობა ქართველი ტყვების სრული რეგისტრაციისათვის, რომლებიც გაფანტული არიან სხვადასხვა ბანაკებში მათი თანდათანობით განთავისუფლებისათვის.

ჩვენი მუშაობა ერთობ რთული, ძნელი და პასუხსაგებია. ჩვენ ვიცით, რომ ამ მძიმე ტვირთს ვერ ვატარებთ და ჩვენს საერთო დიად მიზანს ვერ მივაღწევთ, თუ ვერ მოვახერხებთ ჩვენი ძალების წარმატებით დაჭიმვას. ჩვენ, თქვენმა წარმომადგენლებმა, და თქვენ, ქართველნო მებრძოლნო, უნდა ვიქონიოთ მტკიცე და უშუალო სულიერი კავშირი, გამსჭვალული უნდა ვიყოთ ერთი გრძნობით, ერთი სულისკვეთებითა და უაღრესი ნდობით ერთმანეთისადმი. მხოლოდ ასეთი ურთიერთობა მოგვიტანს გამარჯვებას. ეს კავშირი უნდა განმტკიცდეს ჩვენი მეგობრების სასიხარულოდ, მტრების თავზარდასაცემად. გქონდეთ იმის ღრმა რწმენა, რომ ჩვენც ჩვენს სადარაჯოზე მუდამ შეეეცდებით, ვიდრე ძალღონე შეგვწევს, პირნათლად დავიცვათ ქართველი ერისა და კერძოდ, თქვენი ინტერესები. დღევანდელ ბუმბერაზ ბრძოლას, რომელსაც გერმანია და მისი მოკავშირეები აწარმოებენ რუსეთის წინააღმდეგ, აქვს თავისი ღრმა მიზეზი, რომლის გაგება და შეგნება თვითეული მებრძოლისათვის საჭიროა. დღეს სწყდება ევროპის, გერმანიისა და მასთან ერთად ჩვენი სამშობლოს ბედიც. თუ ამ ომში გაიმარჯვა ბოლშევიზმმა, მაშინ წარიხოცება ევროპის ათასწლოვანი კულტურა და სამუდამოდ დაირღვევა საფუძველი ევროპის ერთა ცხოვრებისა, შემოქმედებისა და ურთიერთობისა.

თუ გადავავლებთ თვალს ქართველი ერის ისტორიას და შევიცნობთ მის ხშირად აშკარა, ხშირად იდუმალ მისწრაფებებს, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ საქართველო მუდამ ილტვოდა დაკავშირებოდა ევროპის ერებს. ამის დამადასტურებელ საერთო ელემენტებს ვხედებით ჩვენი ერის შემოქმედების ყველა დარგში, ეროვნული ფსიქოლოგიის განვითარებაში, ეკონომიურ, სოციალურ და ოჯახურ ურთიერთობაში. ოდესღაც ევროპას გამოსახავდა საბერძნეთი, რომი, შემდეგ ბიზანტია, იტალია, გერმანია, საფრანგეთი. ყველა ამ სახელმწიფოებთან და ერებთან ქართველებს ჰქონდათ მჭიდრო ან შორეული ურთიერთობა.

მე-18 საუკუნიდან დაწყებული გერმანიის ძლიერი კულტურა და ცივილიზაცია ახდენდა გავლენას ჩვენს განვითარებაზე. მე-20 საუკუნის დასაწყისში პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანია უკვე აქტიურად ჩაერია საქართველოს პოლიტიკურ ბედიღბალში. 1918 წლის 26 მაისს, მხოლოდ გერმანელების დახმარებით აღვადგინეთ ჩვენ ასი წლის დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მეგობრობა და დახმარება, რომელიც 1918 წელს გერმანელებმა გაგვიწიეს, ქართველი ერისათვის მარად დაუვიწყარი იქნება. აწ იჭედება ახალი ევროპის მომავალი სისხლით, ცრემლითა და ოფლით... და ჩვენ მხოლოდ მსხვერპლით, უდიდესი მსხვერპლით შეგვიძლია მოვიპოვოთ ბედნიერი მომავალი. ქართველობისათვის ისტორიას უმსხვერპლოდ არაფერი მოუცია და ვერც დღეს მისცემს. ამ ბრძოლაში ჩვენ,ქართველები, როგორც მთელი ერი, ისე ცალკეული პიროვნებანი, დანაკარგს ვერ გავექცევით. ვერცერთი ქართველი ვერ მოიპოვებს შვებას თავისიანთა გარეშე, რადგან არ არსებობს ბედნიერება და შვება გარეშე საკუთარი ერისა.

ჩვენს მუშაობას და ბრძოლას ჩვენ ვუძღვნით სამშობლოს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას. ჩვენ ვიბრძვით ქართული ოჯახის, ზნე-ჩვეულებისა და ადათის აღდგენისათვის, სოციალური სამართლიანობისათვის, გლეხკაცობის განთავისუფლებისათვის საკოლმეურნეო მონობისაგან და მათთვის საკუთარი მიწის მინიჭებისათვის, თავისუფალი აზრისა და შემოქმედებისათვის, ქართული რასის დაცვისა და გაკეთილშობილებისთვის.

ნება გვიბძანეთ მოწოდებას დავურთოთ სიტყვები, რომლითაც ჩვენ მივმართეთ გერმანიის არმიის მთავარსარდლობას: „ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც დღეს გერმანიის ჯარში იმყოფებიან, გერმანელ ჯარისკაცთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარდამხარ ათასობით დგანან ევროპისა და გერმანიის მტრებთან ყველა ფრონტზე ბრძოლაში, საქართველოს მომავალს წარმოადგენენ. ისინი გაიცნობენ გერმანიას და გერმანელ ერს, მათი დიდი ნაწილი შეისწავლის გერმანულ ენას. ისინი იქნებიან საუკეთესო მეგობრები გერმანელი ერისა საქართველოში, რომელიც თავისი მდებარეობით არის კავკასიის ქვაკუთხედი. ქართულ საკავშირო შტაბს თავის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია იზრუნოს გერმანელებთან ერთად, იარაღქვეშ მყოფი ახალგაზრდა ქართული თაობის სწორი აღზრდისა და ხელმძღვანელობისათვის".

ჩვენ ურყევად გვწამს გერმანიისა და ჩვენი გამარჯვება. მთელი ჩვენი ძალღონით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიმუშავებთ და ვიბრძოლებთ გერმანიასთან ერთად.

გაუმარჯოს საქართველოს!..

გაუმარჯოს ჩვენი ხალხის დიდ მოკავშირეს — გერმანიას, მისი და ახალი ევროპის ბელადს, რომელსაც თქვენ შეჰფიცეთ, **ადოლფ ჰიტლერს!**

ქართული საკავშირო შტაბი

თანამედროვე ომი და ჩვენ

თანამედროვე ომი არ ეკუთვნის იმ ომთა რიგს, რომელსაც ჩვენ წარსულში ვიცხობთ. ევროპა არასოდეს არა ყოფილა ისეთ ფართო და ღრმა გარდატეხის წინ, რომლის მონაწილენი და მოწამენი დღეს ჩვენა ვართ. მას შემდეგ, რაც ევროპა ვით პოლიტიკური და კულტურული ერთეული ჩამოყალიბდა, ერთ კოხტინენტალურ ძოვლენად ჩამოინაქვთა, იგი არასოდეს სიკვდილის საფრთხის წინაშე არ დაძდგარა.

რომის იმპერიის ნანგრევებზე, ჰელინისტურ-რომაული ცივილიზაციისა და ქრისტიანული კულტურის საფუძველზე წარმოშობილი და გაზრდილი ევროპა — საუკუნეთა განმავლობაში შემოქმედებდა და ჰქმნიდა, ამკვიდრებდა, ამტკიცებდა იმ სულიერსა და ნივთიერ ღირებულებებს, რომლის აღფრთოვანებული მომხმარებელი მთელი კაცობრიობა გახდა. ამ საუკუნეთა გასწრივ ევროპას მხოლოდ ორჯერ დააცხრა შიშის ზარი, — ეს იყო მონღოლთა შემოსევა აღმოსავლეთიდან მეცამეტე საუკუნეში, და თურქთა თავდასხმა წინა აზიიდან მეთექვსმეტეში. მონღოლთა საშინელმა, მოკლე დარტყმამ ევროპისათვის იოლად ჩაიარა, გარნა თურქეთს ვენასთან დაუმარცხდა, ხოლო ბალკანეთში დამკვიდრდა. არც ერთი ეს დიდი ისტორიული მოვლენა ევროპის არსებობისათვის საშიში არა ყოფილა.

წარსულ მსოფლიო ომში ორ ბანაკად დაყოფილი მებრძოლნი ერთმანეთს გამარჯვებას ეცილებოდნენ. ამ ომში ჩარეული იყო აგრეთვე რუსეთიც.

რუსეთი ევროპას არ წარმოადგენდა, მაგრამ ევროპიელობას მაინც ჩემულობდა. ყოველ შემთხვევაში ძველი რუსეთის ხელმძღვანელნი ევროპის კულტურით ნაზიარები იყვნენ და მათ არასოდეს აზრადაც არ მოსვლიათ ევროპის დაპყრობა და გაქელვა. რუსეთის მესვეურთა მთელი ცდა იყო, ევროპის ცივილიზაციისა და კულტურის არეში შესულიყო და ჩამორჩენილობით თავი არ შეერცხვინა. ხოლო თვით რუსის ხალხი ევროპის კულტურისაგან შორს იმყოფებოდა და მისი არაფერი გაეგებოდა. როდესაც ამ რუსის ხალხმა აიწყვიტა და დასწყვიტა ევროპიულობის მატარებელი რუსული ზემო ფენები, — ჩვენს თვალწინ საშინელი სიშიშვლით წარმოიჭიმა რუსის ხალხი — ბოლშევიზმის სახით — უარმყოფელი ევროპისა.

ევროპა კომუნისტურ იდეებსა და მოძრაობას თავის წარსულში იცნობდა. ბოლშევიზმი — სულ სხვაა. ეს არის წმინდა რუსული მოვლენა, რუსული საზიზღარი გესლიანი სენი. იგი მოარული სენი არაა; თავისი ბუნებრივი განვითარებით მან ვერსად დაიდგა ფეხი და მოსკოვმა ძალით დაიწყო მისი გავრცელება, ჯერ ძველი რუსეთის ყოფილი იმპერიის ფარგლებში. იარაღით აღჭურვილი რუსეთი ძალადობით ამკვიდრებდა ამ საძაგელ სენს არა-რუსულ ხალხებში, — იარაღით, ვინაიდან ნებით მისი აღიარება არც ერთ სხვა ერს არ შეეძლო. მესამე ათეული წელია, რაც ეს სენი აღმოსავლეთში მძვინვარებს და მისი ნაყოფი მწარეა.

თანამედროვე ომი, რომელიც გერმანია-იტალია და მის მოკავშირეთა ბანაკსა და საფრანგეთ-ინგლის-ამერიკა და მათ მოკავშირეთა ბანაკს შორის დაიწყო, მიმართული იყო არა ევროპის დასაპყრობად, მისი ცივილიზაციისა და კულტურის დასამხობად, არამედ სწყდებოდა აქ საარსებო სივრცეთა და ახალ სამეურნეო წყობათა საკითხები.

რუსეთი შორიდან უთვალთვალებდა, უცდიდა წამს, თუ როდის უნდა დასცხრომოდა თავს გერმანიას, რომელიც აღმოსავლეთით ევროპის ჯებირს წარმოადგენს. ეს განუზომელი საფრთხე რგრძნო გერმანიის ხალხის მეთაურმა ადოლფ ჰიტლერმა. და აღმოასვლეთის თვალუწვდენელ ველებზე გაიმართა შეძგერება ევროპის დაცვისა და გადარჩენისათვის.

ინგლისი, რომელიც თვით იყო მონაწილე ევროპის კულტურის შექმნაში და ეკუთვნოდა ევროპას, საფრანგეთის დამარცხებისა და დანკერკის მარცხის შემდეგ, გახდა რუსეთის მოკავშირედ თავისი ეგოისტური მიზნის, მსოფლიოში ბატონობის შენარჩუნების გულისათვის, — და ამგვარად ღალატი ჩაიდინა ევროპის მიმართ.

ამერიკა ევროპის კულტურის ანარეკლით იზრდებოდა და მის სულს ამ კულტურის არსი არ ჩასწვდომია. ამერიკამ შეჰქმნა თავისი საკუთარი, დოლარის კულტურა, რომლითაც ყველა ღირებულება იზომება და ფასდება. მას ევროპის დაცვა არც მოეთხოვება.

ამგვარად: ბრძოლის ველზე ევროპის დაცვისათვის ვაჟკაცურად ომობს გერმანია და მისი მოკავშირენი.

გერმანიის დამარცხება ნიშნავს ევროპის გაბოლშევიკებას — იარაღის ძალით. ეს ნიშნავს ევროპის პოლიტიკურ დაღუპვასა და მის განძარცვას ათასწლოვანი კულტურისაგან. ევროპაში გაბატონდება რუსული ჩექმა და რუსული ჩეკა. დაიმსხვრევა ევროპის ბრწყინვალე კულტურა და მის ტახტზე აბრძანდება რუსული ბოლშევიზმი. ამ უზარმაზარ ნგრევას გადაურჩება თუ არა ევროპის მოღალატე ინგლისი — საინტერესო აღარაა.

ჩვენ, ქართველებს, ისტორიის ამ საშიშ მოსახვევ კუთხეში, საკუთარი საგუშაგო გვიჭირავს.

ქართული ეროვნული კულტურა იმავე მაჭიკითაა შედედებული, როგორც ევროპიული. და ეს ქართული კულტურა ევროპიულზე უფრო ადრეც დაიბადა.

ქართული კულტურის ფესვები ჩამსხდარია იმავე ჰელინისტურ და რომაულ კულტურაში, რომელზეც ევროპის კულტურა წარმოიშვა; იმავე გაჰელენისტებულ ქრისტიანობაში, რომელიც თავისად გაიხადა.

ევროპასა და საქართველოს ერთი დედის ძუძუ აქვთ ნაწოვი. საქართველო უფრო ადრე დავაჭაცდა, ვინემ ევროპა; მან თავისი ეროვნული სულის შემოქმედებით უფრო ადრე გაფურჩქნა „ევროპიული კულტურა" — ხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როთმოძღვრების, მხატვრობის, მწერლობის, გალობის და სხ. დარგში — ვინემ თვით ევროპამ. მაგრამ ყოველი ეს, ქართველი ერის უმაღლესი სულიერი ქმედობის მიღწევა, მონღოლთა შემოსევამ იავარქმნა და გააპარტახა. ამ მრისხანე უბედურებამ ქართველ ერს შემოქმედების ხერხემალი გარდაუტეხა, ხოლო თურქ-ოსმალთა მუდმივმა დარტყმამ ჟეჟა იგი შეუსვენებლივ.

ევროპა გადაურჩა მონღოლურ მძვინვარე შემოსევას და თურქებმაც განასკუთრებულად ვერა დააკლეს რა. ევროპა ვითარდებოდა ნებისამებრ. ქართველი ერი კი ევროპას მოსწყდა მუსულმანურ რკალში მომწყვდევით, რომლის გარღვევას იგი მარად სცდილობდა და ევროპაში მოკავშირეებს ეძებდა.

მაგრამ ხანა იყო ვაგლახი და ევროპა — საქართველოს შორის უზარმაზარი სივრცე თურქეთს ეჭირა. მერმე კიდევ, მოვიდა რუსეთი. მოვიდა რუსეთი მეგობრად და ჩასახლდა ბატონად საქართველოში. ქართველმა ხალხმა ამ ჭირითაც ისარგებლა და რუსეთის „გაევროპიელებული" ფენების მეშვეობით ევროპას დაუახლოვდა.

მერმე თვით ევროპა მოვიდა საქართველოში. გერმანიამ მეგობრული ხელი გაუწოდა აღორძინებულ საქართველოს და დაეხმარა მას დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაფუძნებაში 1918 წელს.

დამარცხდა მაშინ გერმანია. დამარცხდა საქართველოც.

შემობაჯბაჯდა რუსული მაჯლაჯუნა და ხიშტით დაერჭო ქართულ მიწაზე რუსული ბოლშევიზმი.

ზოგი არა გრძნობს კიდევ: რა გამანადგურებელი შედეგი მოიტანა ბოლშევიზმის ბატონობამ საქართველოში. ბევრი ბავშური გულუბრყვილო სიხარულით მოგითხრობთ, რომ ბოლშევიკებმა გაიყვანეს ესა და ეს გზა, ააშენეს ესა და ეს სახლი, დასდგეს ესა და ეს ქარხანა, და სხვადასხვა. მაგრამ ქართველს რომ წამდაწამ სულს აცლიდნენ, ქართულ კულტურას ძირებს უთხრიდნენ, — ამას მომთხრობი ვერა გრძნობს, — და ესაა მთავარი უბედურება!

ბელგიელებმა კონგოში ამოაშვრეს მომაკვდინებელი ჭაობები, გაიყვანეს შესანიშნავი გზები, გახსნეს ძვირფასი საავადმყოფონი, სკოლები, ააგეს სახლები და სხ. და სხ. მაგრამ ამით კონგოში არ შექმნილა კულტურა; ამით ნეგრებს არ დაბადებიათ რუსთაველი და ოპიზარი, ვაჟა ფშაველა და ფიროსმანაშვილი.

კულტურა—სულიერი ცხოვრებაა; მისი, უმწვერვალესი გამოხატვა, კულტურას არ შეუძლია გაფურჩქვნა თუ მას ჩეკისტის რევოლვერი მიბჯენილი აქვს; კულტურა თავისუფალი შემოქმედებაა და მას არ შეუძლია გაშლა, თუ მას პარტიული ბოლშევიკური დადგენილებანი ბორკავენ.

და აი, დღეს ამ რუსის ჩეკისტს სურს დაიპყროს ევროპა, შემუსროს მისი კულტურა. ხოლო გერმანია იბრძვის და იცავს ევროპას მოწოლილი რუსული ბოლშევიზმისაგან. რუსული ბოლშევიზმი ევროპის კულტურის უარყოფაა და ევროპა დღეს ასაკვდილო საფრთხეს წინაშეა.

ევროპის ხელმძღვანელია ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში გერმანია; მას მიჰყვებიან მოკავშირენი და მრავალი ათასი მოხალისე. ქართული შეიარაღებული ძალაც ამ ბრძოლაში მასთან არის.

საიდან მოვიდა ეს ქართული შეიარაღებული ძალა? ათასობით ქართველები გადმოვიდნენ გერმანიის მხარეზე ან ტყვედ ჩავარდნენ. მათ რომ რუსული ბოლშევიზმისათვის თავისგანწირვა სურვებოდათ, — ბრძოლის ველზე თავს შეაკლავდნენ ან ტყვეთა ბანაკს არ დასტოვებდნენ. მაგრამ მათ დასტოვეს ტყვეთა ბანაკი და იარაღს მოჰკიდეს ხელი: ბოლშევიზმის წინააღმდეგ, მაშასადამე, მის მოსაპობად და საქართველოს განსათავისუფლებლად.

ევროპის, გერმანიის და ქართველობის მისწრაფებანი ერთმანეთს შეხვდნენ და სისხლის გაღებით დაძმობილდნენ. გერმანელებსა და ქართველებს შორის შეიძლება ზოგი გაუგებრობა იყოს; მაგრამ მათ მთავარი და დამაკავშირებელი უეჭველად აქვთ: რუსული ბოლშევიზმის დამხობა, რომლის შედეგი იქნება ევროპის განთავისუფლება განადგურების საშიშროებისაგან და საქართველოს განთავისუფლება თავისი დამოუკიდებლობისა და საკუთარი კულტურის ასაყვავებლად.

ბრძოლა და გამარჯვება — ესაა ევროპის ხსნა; ესაა საქართველოს დახსნა და ხსნა.

გერმანიის დამარცხება ევროპის დამარცხებაა და აღსასრულიც. საქართველოც ამ უბედურ შემთხვევაში დარჩება ბოლშევიკური რუსეთის ბატონობაში, სადაც მას მოელის ქართული სულისაგან დაცლა და გადაგვარება.

გერმანიის გამარჯვება ევროპის გამარჯვებაა, საქართველოს გამარჯვებაცაა; დამარცხებაა რუსეთისა და მისი ბოლშევიზმის; გამარჯვებაა ევროპის კულტურისა და მოსპობა რუსული უკულტურობისა.

გერმანიის გამარჯვება საქართველოს განთავისუფლებაა, ქართული კულტურის აღდგენაა, ევროპასთან მჭიდრო გადაბმულობა და ფართო შარა, რომლითაც ქართული სულის დამოუკიდებელი შემოქმედებითი განვითარება კვლავ უნდა წარიმართოს. თვითეული ქართველის გულს უნდა ჰქონდეს ეს დაჭდეული.

ბ. ვარდანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ რობაქიძე

წ მ ი ნ დ ა ნ ი ნ ო

(საგალობელი*)

ქალწულო ნინო, ეშვები ჩრდილებით —
დალურსულ ფოთლებში მზის თვალი დაღვარული.
ჩვენ: დანელებულნი და გულახდილები
შენ წინ ვეფინებით უშრეტი სიყვარულით.

მცხეთას რომ მოგესმა ნელი ხმა ზევიდან
— გული გვთიშობელის ჩვენთვის ხომ უსვია, —
ჯვარი გამოსჭერი ვაზის ნასხლეტიდან
და ცხელი ჭრილობა თმებით შეუხვიე.
ღვთიური ტკივილი და არა წამება
იყო აქ — გვითხრობდენ ამას ჩვენ მამები.
არა გვსურს, დედაო, სხვა ჯვარი ბერწების,
არ გვინდა სხვა მიწა, არც სხვა ნასახლეტი —
ვიცით: შენი ჯვარი ლხინია ლერწების
— ტოტებს აიყრიან მეტი ახელებით,
როცა გადასხლავენ სასტიკი სასხლავით.

ქალწულო ნინო, ათასჯერ გვენახე —
შენ გეალერსება დედული ვენახი.
ღვთიურ ანთებული ჩვენს მიწას ევნები.
— სხვა როგორ ვიგულვოთ აქ შენი ნაცვალი?
ზვარში რომ გაივლი, ჩაყურსულ მტევნების
მზის თვალით ივსება ყოველი მარცვალი.
შორიდან გიყურებს, ავს რომ აგაშოროს,
ხმალ-ამოღებული მზეკაჟი ლაშარი —
ის არის ივერიის მცველი და მზვერავი
და ჯვარსა ვაზისას წაართმევს ვერავინ.

ნათელო ნინო, ვით მიწის ხნულები,
შენ წინ გადახსნილან აწ ჩვენი გულები.
მო, გადაგვიარე — ბედს გადავურჩებით
და ტერფებს დაგიკოცნით მაგარი ტუჩებით.

დაო და დედაო,
ხვთიშობლის დობილო,
ვართ შენზე დანდობილი
და შენი შენდობით —
არ გადავშენდებით.

შენიშვნა: პირველი ვარიანტი ამ საგალობელისა დაიბეჭდა 1923 წელს; აქ მოყვანილი ტექსტი, საბოლოო ვარიანტი, იბეჭდება პირველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

† სტეფანე კასრაძე

თ ა რ ი - ა რ ა ლ ე

რომანი მეორე ნაწილი

ამ რომანის პირველი ნაწილი დაიბეჭდა წიგნად პარიზში ომის წინ. თვით აეტორი, სტეფანე კასრაძე, შარშან ტრაღიკულად დაიღუპა აღმოსავლეთში. რომანის ეს მეორე ნაწილი იბეჭდება დარჩენილი ხელნაწერის მიხედვით.

ზაფხული იდგა. ოთხი თვე, ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ, ელავდა. ელვა დგებოდა ცაზე დიდხანს და მაშინ ნათდებოდნენ ცაზე აღძრული შავი ღრუბლები, რომელნიც მიილტვოდნ; ნათდებოდა აგრეთვე სოლომონ ფერეულის ბაღი და თუმცა ელვაზე, მოხუცი ფერეული ვერ ასწრებდა ბაღისათვის ერთობ თვალი მოევლო (ეს მას არც ჰსურდა) მაგრამ მუდამ, თავისი სურვილის წინააღმდეგ, გონებაში აღიდგენდა რიგს ყვავილებისა და ხეების ელვაზე, ბაღის სიღრმეში იწყებდა კრვილს ჭოტი.

იგი ჰკიოდა ისე, თითქოს დაიჭირეს და მისი ხმით, შეიძლებოდა წარმოდგენა, მისივე უმწეოდ ფრთების ფართხუნისა. რა ელვა ჰქრებოდა, დგებოდა წყვდიადი და დუმილი.

გარემოს დუმილს მოხუცი ფერეული მუდამ უაზროდ სთვლიდა და რომ დუმილისათვის შინაარსი მიეცა, ჯერ მან გონებაში სთქვა:

„ირირია!“ და გონებაშივე, სიტყვას მოჰყვა წარმოდგენები.

ირირია, ისეთივე ღმერთი იყო ძველად, როგორც არალე, მაგრამ გაცილებით პატარა; უთუოდ იგი სცხოვრობდა გამოქვაბულში, ხოლო ამჟამად, ის იყო რომ დასდევდა ჭოტს დასაჭერად და ჭოტი ჰკიოდა.

ყოველივე ეს, შესაძლებელია მართლა ასე ყოფილიყო, მხოლოდ ღმერთის სახელი იყო სასაცილო: ირირია!

ეს კი, ნამდვილია, რაც ბოლშევიკები შემოვიდნენ, ადამიანს სიმღერა არ გაუგონია: არალუიი —

მოხუცმა, გახსენებაზე სიმღერა წამოიწყო გონებაში, მაგრამ ხელათვე შესწყვიტა. იგი წამოდგა და ელვის ნათელზე, გაემართა თავის სამუშაო მაგიდისაკენ. მან სრულებით ვერ შენიშნა, რომ ელვა მოახლოვდა და ჰაერი ოდნავ აგრილდა; სადღაც უთუოდ სწვიმდა და წვიმაც ახლოვდებოდა.

კვირაზე მეტია, იდგა გვალვა და მწველი მზე, თითქო მარტო სანაპირო ქალაქს დასწოლოდა და ჰაერი ამოეხრუკა.

სიცხით მოთენთილი სოლომონ ფერეული, ასეთ დღეებში, კოტესთან ერთად ყანას ამუშავებდა; მოხუც სოლომონს ძალიან გაუჭირდა. კოტემ მამა ხის ძირას დასვა და რათა სული გადაეყოლებია, სთხოვა წარმოედგინა გრილი ამინდი. მამა გასწყრა და კოტეს უთხრა:

— შენ იცინი და ჰკრეჭ თეთრ კბილებს! —

შემდეგ სოლომონმა მართლა სცადა წარმოედგინა სიგრილე, მაგრამ ამაოდ; არ ჰყოფნიდა ჰაერი და ეშინოდა ოდნავი შერხევისა, რადგან ოფლი სწვავდა კისერს, იღლიას. სიცხე ღამითაც გრძელდებოდა.

უეცრად მოხუცმა ფერეულმა შენიშნა, რომ ასე კარგად მას დიდი ხანია არ უფიქრია. იგი სამუშაო მაგიდას მიადგა, თუთუნს ძებნა დაუწყო და რადგან ვერ იპოვა, იქვე ელექტრონი აანთო. ოთახი იისფრად განათდა.

მოხუცმა გაშლილი ხელის გული სინათლეზე მიიტანა და მარჩიელივით, ხელის გულზე ხაზებს დააკვირდა. შემდეგ ოდნავ გაიღიმა.

იგი, ამ დროს ჰფიქრობდა ასე:

„კარგად ვფიქრობ იმიტომ, რომ ძარღვებში ისევ-ისე მოძრაობს სისხლი — ხელი კიდევ გაშლილი ჰქონდა, მაგიდაზე რომ თვალი შეაფეთა თავის მეუღლის სურათს. სოლომონმა სურათს თვალი აარიდა.

სქელ წიგნების ქვეშ, წნეევისათვის შემოედოთ კარგად დახვეული თუთუნის ფოთლები. ეს იყო სუხუმის ცნობილი თამბაქო, რომელსაც ახალი ხელისუფლება ხელფასის მაგივრად ურიგებდა სამოქალაქო დაწესებულებათა მოხელეთ.

სოლომონმა თუთუნი დასჭრა, ხელის გულზე დასრისა და ჩიბუხი გამართა.

სინათლე ჩააქრო. ისევ ღია ფანჯარასთან დაჯდა.

სადაცაა უნდა გაწვიმებულიყო.

წვიმის მოლოდინში სწუხდა გარემო. რამდენჯერმე სულ — ახლოს იგრგვინა და როგორც იქნა წამოვიდა წვიმა. წვიმა იყო სულ-დათქმული, ჟუჟუნა და ხმაურობდა ფოთლებში. წვიმაზე, გახურებულ მიწას ჯერ ბუღი ასდინდა (სოლომონს ბაღიდან ასეთი სუნი ეცა), შემდეგ ელვაზე სჩანდა: ბალახი და ყოველი მცენარე ისე ირხეოდა თითქოს სულიერი იყო და მაღლა ილტოდა.

სოლომონი წამოდგა. რაღაც სიხარული მოიტანა წვიმამ. უთუოდ მართალი იყვნენ მისი ბავშვები, რომელნიც ყველაფერზე ახერხებდნენ სიცილს. სოლომონი ვერ ახერხებდა; მას შეეძლო მხოლოდ დუმილი.

თუმცა რა სიცილი იყო ახალგაზრდა ფერეულების სიცილი: მოვლენებზე და ადამიანებზე ორიოდე შენიშნვა, უბრალო გახუმრება და მაშინ, როდესაც ახალგაზრდობის ძალით უნდა ატეხილიყო ხარხარი სოლომონისანი, კოტე, ლევანი, მანანა — სდუმდებოდნენ.

ოჯახი იყო მგლოვიარედ.

რამდენიმე თვე-ღა გასულიყო მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ფერეულის მეუღლე მატა და სახლში ჯერ კიდევ ტრიალებდა იმისი სითბო. ახალგაზრდებს ჰსურდათ ეფიქრათ, რომ დედა მეორე ოთახშია.

ამის მოგონების მაგივრად, სოლომონს ერჩია, სულ არაფერზე ეფიქრა — რადგან, ჩემო ხელმწიფევ, ყველაფერი არაფერია! ამჟამად გრილა, ხოლო ერთი მყისის წინ ცხელოდა და ეხლა, ადამიანმა რომ ისურვოს გავლილი სიცხით სარგებლობა, ვერ შესძლებს.

ვინ მოსთვლის ამ ქვეყნად რამდენჯერ გამძღარა კაცი, მაგრამ განვლილი გაძღომის აღდგენაც არ შეიძლება და ქვეყანა სიმშილობს.

ეს გახლავთ დიდი შეუსაბამობა, ეს გახლავთ დიდი უარობა ჩემო ხელმწიფევ! —

ქვეყანა მართლა სიმშილობდა.

მთავრობა თავის მოხელეებს ურიგებდა (კოტაოდენ სურსათს: ბრინჯს, ლობიოს, ტარანს. ამას ერქვა „ულუფა“. ურიგებდა ფულსაც („ბონებს“), მაგრამ ბონებით ყიდვა რამესი ძნელი იყო (არაფერი იშოვებოდა!) და რადგან ფულის ნიშანი მილიარდებით ითვლებოდა; ამიტომ ფული დაჰქონდათ კალათით.

სოლომონმა სამსახურს თავი დაანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახურობდა მარტო ლევანი და მას მოჰქონდა თუთუნი და ტარანი, მოჰქონდა რამდენიმე თაბახი ბონი — უფრო იშვიათად პურის ფქვილი.

ლევანი თუთუნის საქმეში დახელოვნდა. ის ლაბავდა ფოთლებს, ჰკეცდა და ისე სჭრიდა სამართებლით, როგორც მანქანა. თუთუნის მოსაწევ ქაღალდად ხმარობდნენ ძველ ჟურნალებსა და წიგნებს.

ყოველივე ამაზე ახალგაზრდები იცინოდნენ, სოლომონი არა.

მას არ ჰსურდა ეცნო ახალი არაფერი. არც შემოკლებული უცხო სიტყვები, სახელწოდებანი ახალ დაწესებულებათა: სოც-დაზღვევა, რემედასი და სხვა, არც ხალხი ჰსურდა ეცნო ახალი, რომელნიც სანაპირო ქალაქში, ისე ვით ყოველგან, ცდილობდნენ ყველაფერში დაუდევარნი ყოფილიყვნენ (გარდა კონტრ-რევოლუციის დევნისა) ჩაცმაში, ხალხთან ურთიერთობაში. უთუოდ ამითი, უნდა დაცულიყო მუშური ელფერი. ეს გამოდიოდა უხეში. შემდეგ ახალგაზრდები იცინოდნენ „შაბათებზე“.

ყოველ შაბათს, მთავრობას გამოჰყავდა ყოფილ მდიდრები: ვაჭრები, მოხელეები, მაღალი გვარეულობის შთამომავალნი და მათ უნდა დაეგავათ ქუჩები.

ისინი ჰგვივდნენ.

მოხუცი ფერეული შაბათებს გადარჩა, რადგან ჯერ ერთი, მგლოვიარედ იყო, ხოლო შემდეგ ცნობილი შეიქნა, რომ იგი შეუდგა ყანის დამუშავებას.

შაბათებზე გაჰყავდათ ყასაბი ზაქარიაც. მანანას სიტყვით ზაქარია, მანამდე მსუქანი კაცი, გამხდარიყო და მუშაობის დროს ცდილობდა მტვერი არ შეესუნთქა; ამიტომ იგი თავს მაღლა იშვერდა, რათა ბულისათვის ცხვირი აერიდებია. „აი, ამ გვარადო“, მანანა ამბობდა და იწყებდა ფრუტუნს.

სასაცილო ის იყო, რომ მანანას მიერ წარმოდგენილი ზაქარია, სრულებით არ იყო სასაცილო.

ქალბატონ მატას გარდაცვალების შემდეგ, სოლომონის ოჯახში სცხოვრობდა ბიცოლა ნინო; იგი თითქოს ყურს არ უგდებდა მანანას ხუმრობას, მხოლოდ შემდეგ იცოდა შენიშვნა:

— ვაი, რა სულელი ხარ მანანა! —

ბიცოლა ნინო ამ გვარად ამყლავნებდა სიყვარულს და ამას გრძნობდნენ.

ბატონი სოლომონი შეეჩვია, ბევრი რამ არ სცოდნოდა, ან სცოდნოდა ნაწილობრივ. მაგალითად მან ვერ გაიგო, რა სამსახური ჰქონდა ლევანს ისეთი, რომელიც ნებას რთავდა წარა-მარა ტფილისში ევლო, ან ტფილისში რას აკეთებდა. სადღაც, ქალაქის საათმა იწყო რეკა. წვიმაში ზარის ხმა ისმოდა შორიდან.

ერთჯერ, ეს იყო ძველად, ბატონმა სოლომონმა ასეთი საუბარი ჩამოუგდო ახალ ჯვარდაწერილ მატას. (მატამ ვერ გაიგო მაშინ ახალგაზრდა სოლომონის წარმოდგენათა თამაში და ამ ვერ გაგებაზე სოლომონს გაეცინა. მატამ ვერც ეს სიცილი გაიგო და შესწუხდა; სოლომონმა ხუმრობა შესწყვიტა და აი, ეხლა აგრძელებდა იმ შეწყვეტილ წარმოდგენასა თუ ხუმრობას, მაგრამ აგრძელებდა რაღაც მოდუნებული, წინააღმდეგ თავის სურვილისა).

— დიახ ჩემო ხელმწიფე — აბობდა სოლომონი — ეს ზარის ხმა, ფერად უნდა იყოს დასაწყისში წითელი, ხოლო შემდეგ, როდესაც ილევა, იისფერი და ის უნდა ჰგავდეს მთვარეულ ბავშვებს, რომელნიც დადიან თვალებ-დახუჭული — სოლომონი ცუდ გუნებაზე დადგა.

მან აღმოაჩინა, რომ თავის — თავს ებუტბუტებოდა; გარდა ამისა, ამ ძველი ამბის მოგონება ერთობ უადგილო იყო; ასეთი უკმაყოფილება იმას ნიშნავდა, რომ სოლომონს მოაგონდა და ჰ'ურდა თავის-თავისათვის დაემალა, რომ ამას წინად, ხელის გულზე დაიხედა; ერთი სიტყვით, სოლომონი უნდა დაწოლილიყო და მან სინათლე აანთო. „რა დროს ხელის გულია? რა დროს ტრფიალზე ფიქრია! უნდა გცხვენოდეს“. —

დერეფანში ვიღაც შემოვიდა. ნაბიჯებზე, სოლომონმა კოტე იცნო და არ იცოდა მოხუცმა, იამებოდა თუ არა, მასთან რომ ეხლა კოტე შემოსულიყო. კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.

2.

კოტე, ანუ კონსტანტინე სოლომონის ძე ფერეული, ქართული ჯარის ყოფილი ლეიტენანტი, ამჟამად თავისუფალი მოქალაქე, ჰფიქრობდა მარტივად:

— მთავარია გამძლეობა! კაცმა უნდა აიტანო! —

მან წითელ ჯარში სამსახურზე უარი განაცხადა. უთუოდ ამ გვარადვე მოიქცნენ მისი ყოფილი ჯარის ამხანაგები, რომელნიც სხვა-დასხვა ქალაქებსა და სოფლებში მიმოფანტულნი, როგორც ერთმანეთს ხმები მიაწოდეს, დადიოდნენ თავისუფალ მოქალაქეებად.

კოტემ რამდენჯერმე ნახა შაბათები. აქ გამოჰყავდათ უმთავრესად ხანში შესული მამები, რომელთათვისაც ხნოვანების მიხედვით პატივი უნდა ეცათ. მეშაბათენი, მუშაობის დროს ხუმრობდნენ, რადგან მათი მუშაობა იყო ერთგვარი დასჯა წარსული კეთილდღეობის გამო და ეს დასჯა, ვიღაცას უნდა სიამოვნებოდა. იყვნენ ისეთებიც, რომელნიც მდუმარენი, უხერხულად მუშაობდნენ, უთუოდ გამოუცდელობის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ მათ რცხვენოდათ, რადგან გამვლელნი შეჰყურებდნენ; შესაძლებელია არც სცხვენოდათ, მხოლოდ ახსოვდათ, რომ ეს შედეგია უცხო ძალისა და ნების.

კოტე გულში ბობოქრობდა:

— ნეტავი მათი ყანა, ამ ხალხის თვალწინ, ამ ქუჩაზე ყოფილიყო! რა იყო ამაში სათაკილო? —

ყოველ დილას, განთიადზე, სოლომონი და კოტე სამუშაოდ მიდიოდნენ. არც სოლომონმა, არც კოტემ არაფერი იცოდა მუშაობის.

მუშაობა აღმოჩნდა ძნელი, მუშაობა გაჭირდა; რომ სიჯიუტე არა, ყანას თავს მიანებებდნენ. როგორც იქნა შეეჩვიენ.

მთელი დღე მუშაობის შემდეგ, რა მზე დასავლეთით გადაიხრებოდა, მამა და შვილი ბრუნდებოდნენ სახლში. მამა ძალიან იღლებოდა და სახლში დაბრუნებული, მუდამ მდუმარე, ეძლეოდა სიმშვიდეს. კოტეც იღლებოდა, მხოლოდ დასვენების მაგიერ, იგი გარბოდა გარეთ. სასიამოვნო იყო ხალხთან შეხვედრა, ახალ ამბების გაგება.

სიცხეების გამო და კიდევ იმიტომ, რომ მოქალაქეებს საზრუნავი არაფერი ჰქონდათ, ხალხი შუაღამემდი დასეირნობდა ხეივანში, რომელიც მთავარ ქუჩას მიჰყვებოდა და დასეირნობდა აგრეთვე პატარა ბაღში, მდინარის პირად რომ იყო. საზრუნავი იმიტომ არ ჰქონდათ მოქალაქეებს, რომ გამორკვეული იყო: არ იშოვება საზრდო, არც ჩასაცმელ-დასახურავი.

ხალხი იყო გამხდარი, მაგრამ არა დაღვრემილი. არავის სჯეროდა ახალი წეს-წყობის ხანგრძლივობა და ხშირად, პოლიტიკური საუბარი იმაზე ტრიალებდა, გასძლებდა კიდევ ხელისუფლება სამს თვეს თუ არა. ასეთ საუბარში ვრცელდებოდა ჭორები, ხშირად განსაცვიფრებელი თავისი შეუსაბამობით და გაისმოდა სიტყვები: ულტიმატუმი, ანტანტა, აჯანყება, დესანტი; ჭორები სჯეროდათ; ჭორები ჰსურდათ დაეჯერებიათ, რადგან ხელისუფლება იყო გაუპარსავი, საკინძ-მოგლეჯილი, მდაბიო და ყოველივეს, რასაც იგი აკეთებდა მოქალაქენი უცქეროდნენ უნდობლად.

სოლომონ ფერეულმა, სიცხის გამო შეწუხებულმა, ერთჯერ უსაყვედურა კოტეს: — შენ ჰკრეჭ თეთრ კბილებსო! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალი იყო. კოტე ხშირად იღიმოდა და მზეზე გაშავებულს, ზანგივით უელვარებდა კბილები.

იყო რაღაც მიმზიდველი კადნიერება მასში, რომ მთავრობა იყო გაუპარსავი და ყველას მიმართავდა ასე: ამხანაგო!

ძველი სიდარბაისლე არ განარჩევდა მდაბიოს და იგი იქცეოდა ძველებურად: — დილა მშვიდობის, ბატონო!—

ამაზე მთავრობა უპასუხებდა:

— ამხანაგო, ბატონები არ არსებობენ! ბატონები დასცურავენ ზღვაზე! —

3.

ასეთი გაუგებრობით ცხოვრება აივსო და ახალგაზრდა კოტე იცინოდა. დღესაც, მიმწუხრზე რომ სახლიდან გამოვიდა და ერთ მანდილოსანს გამოელაპარაკა, კოტეს უკრთოდა კბილები.

— არ მეგონაო — ამბობდა კოტე—თუ მეგრელის ქალსაც უნდოდა ჭამა; ისიც, ასეთ კარგ ქალს . .. —

ქალი კოტეს ღიმილს შეჰყურებდა და თვითონაც გაიღიმა.

ცხელოდა. მოქალაქეთ ოფლი სდიოდათ. ქალს შიშველ ფეხზე ეცვა რაღაც ხისა, რაიც მიაგავდა სანდლებს და რასაც მაშინ ყველა ატარებდა.

ქალს თევზი ეყიდა. მომცრო კიფლები ცოცხლები იყვნენ და ქაღალდში გახვეულნი ფრთხიალებდნენ.

— გინდა გაჭამო, ფერეულის ბიჭო? მშიერი იქნები! წამწყმედს შენი ცოდვა — სთქვა ქალმა. მან ეს სთქვა ნელი ხმით და იგი იმზირებოდა ისეთი თვალებით, რომელთაც ბინდი დაჰკროდათ და კარგად ვერ ხედავენ.

გრძელი, შავგვრემანი პირისახე შვენოდა ქალს; ტუჩები ჰქონდა სავსე და უხვივე, მოსჩანდა ღარიბ სამოსში მკერდი. ეს ის ქალი იყო, რომელმაც გასულ ბზობას, რამდენჯერმე ჩაუქრო კოტეს სანთელი.

— შენი ქმარი მომკლავს — ისევ გაიღიმა კოტემ.

— სადაა ქმარი. სიმინდის საშოვრადაა წასული —

კოტეს მაშინ ძალიან გაეხარდა. ყოველივე ეს იყო მოულოდნელი.

ქალი წავიდა. როდესაც ცოტათი დაბნელდა, კოტეც წავიდა. ქუჩაში შეხვედრისას ქალი (მას ერქვა მაია) იყო წრფელი, ვით ცხოველი თავისი-თავის წინაშე. სახლში კოტეს იგი დახვდა ცოტათი ჯიუტი. სახლში ბნელოდა; მხოლოდ დრო-გამოშვებით ფანჯარას ადგებოდა ელვა და ელვაზე მაია თითქოს სრულიად ჰკარგავდა თვალებს. იგი ახერხებდა ბუტბუტს:

— დედაია, დედაია, არ გცხვენია, ფერეულის ბიჭო . . . მაიას ქმარი, მერაბი, მეტად მკაცრი კაცი იყო, მეეტლე, ცალთვალა. ის სოფლებში წასულიყო სიმინდის საშოვრად.

მაიას სახლიდან წამოსული კოტე, ისევ ქალაქის ხეივანში გამოვიდა. დახუთული ჰაერი იდგა; დღის სიცხე კიდევ არ შენელებულიყო და თუმცა ელავდა, მას ვერ მოეტანა შვება და შეწუხებული მოქალაქენი გარედ ეფინენ.

კოტე მიდიოდა მსუბუქად. მართალია ის იყო დამშვიდებული და არავითარი საყვედური მასში არ იბადებოდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ის იყო უმადური მეტის-მეტი სიცხისა. და როდესაც დაუძახეს:

— კოტე, კოტე! — იგი გამოერკვა; თურმე თავის-თავთან ყოფილიყო გართული. ჯანმთელი კოტე სიცხეს ნაკლებად გრძნობდა, ხოლო უკმაყოფილების საგანი ის იყო: რომ არ არის კარგი ადამიანის ნდობის გაძარცვა, რომ ადამიანის გაჭირებით კაცმა არ უნდა ისარგებლოს; მას თვალ წინ უდგა ცალ-თვალა მეეტლე, ვაჟკაცი მერაბი, რომელსაც ნდობისა და გაჭირვების გამო ცოლი მარტო დაუტოვებია.

4

კოტეს ეძახდნენ ახალგაზრდები. ესენი იყვნენ უნივერსიტეტის მოსწავლენი, ყოფილი მხედრები და მათ შორის ვანო უთნელიძე. ისინი ხმა მაღლა ლაპარაკობდნენ. ქალაქის ხეივანში, ცაცხვებისა და ჭადრების ირგვლივ მოთოული იყო საჯდომები, იდგა პატარა შენობა, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების სავაჭრო ხულა და მოქალაქეებს, მიუხედავად იმისა, რომ ხეივნის უკან ჰყვაოდა ქალაქის მშვენიერი ბაღი, უყვარდათ ხულასთან თავის მოყრა და კამათი. მოსეირნენი დგებოდნენ და საუბარს ისმენდნენ, ხშირად საუბარშიაც ერეოდნენ. ეს იყო მიღებული კოტე ახალგაზრდებთან მივიდა. საუბარი არ შეწყვეტილა, ისე აცნობეს ახალი ამბავი: მათ საუბარს ისმენდა „წყალქვეშა ნავი“.

(ცნობილია წყალქვეშა ნავი; ეს იყო ქერა წვერებიანი, ბებერი კაცი, წელში ძალიან მოხრილი და ამის გამო გრძელ ხელებიანი; იგი კომუნისტების შემოსვლის შემდეგ გაჩნდა სანაპირო ქალაქში; ატარებდა რევოლვერს და ყოველ მოლაპარაკე ჯგუფს აყურადებდა, ხოლო როდესაც მას შენიშნავდნენ, უხმოდ მორდებოდა იქაურობას. უთუოდ ეს იყო ჩეკის მოენე და მას დაერქვა „წყალქვეშა“)

წყალქვეშა საუბარს ისმენდა. ერთ ახალგაზრდას ვერ მოეთმინა და დაეძახნა:

— ბიძია, ჩვენ ვაგინებთ ხელისუფლებას! მოდი ჩვენთან და გვითხარი: შენ რა აზრის ხარ! — ყველას, ვისაც ეს გაეგონა, სიცილი დაეწყოთ. წყალქვეშა იქაურობას გასცლოდა.

იცინოდნენ ახალგაზრდები. მათ სიცილში იყო მხიარულება ჯანმთელ, ახალგაზრდა სხეულის და რაღაც აგზნება იმის გამო, რომ არსებობს წყალქვეშა, რომ არსებობს მრავალი წყალვეშა და მათი მთავრობა, რომელთაც უნდა ებრძოლონ.

ეს იყო გამორკვეული.

ორიოდე თვეა ეს გამოირკვა და ამის გამოსარკვევად დასხდნენ საქართველოს პოლიტიკური პარტიები და გამართეს ბჭობა; ბჭობის საგანი იყო თუ როგორ მოვიქცეთ!? უმნიშვნელო ჯგუფმა სთქვა: დავმორჩილდეთ!

მეორე უმნიშვნელო ჯგუფმა სთქვა: წავწვეთ, დროს ვუცადოთ!

შემდეგ გადასწყვიტეს: დამორჩილება არ შეიძლება; ცდა არ შეიძლება! საჭიროა ბრძოლა და მზადება!

პარტიებმა ლეგალი არსებობა შესწყვიტეს და გაჩაღდა ფარული მუშაობა.

ახალგაზრდები იცინოდნენ. აგრილდა. ელვა ჰკვეთდა შავ ღრუბლებს. ხეივნის პირდაპირ, სავაჭროების ფილაქანზე გაიარა ოთხმა შეიარაღებულმა კაცმა. ესენი იყვნენ საგანგებო კომისიის თანამშრომელნი და მიდიოდნენ ჩქარი ნაბიჯით.

ახალგაზრდებმა დაიწყეს ხუმრობა:

— ეჰე, დაიძრა იონა თავაძის ბრიგადა —

— დაჭერებია!

კოტემ, რომელიც ამდენ ხანს ჩუმად იყო, წამოიძახა:

— უთნელიძის ბიჭო, სახლში! —

კოტე მაიაზე ფიქრობდა და როგორც მაია იძახდა: ფერეულის ბიჭო! იმ გვარადვე დაიძახა კოტემ.

ვანო წამოდგა:

— დიახ კოტე! — სთქვა მან. სრულიად არ უნდოდა ვანოს, ჯერ სახლში წასვლა. სადაც იყო გაწვიმდებოდა და ვანოს ჰსურდა, წვიმის დროს, ხეებ ქვეშ დარჩენილიყო და

ცოტათი დასველებულიყო. ეს უქადდა გაურკვევ სიამოვნებას. და ძის ბავშურ სულს წიხასწარ უხაროდა, რომ იყო უქუდოდ და წვიმა დაალტობდა.

ყოველივე ეს იყო ძვირფასი. მაგრამ კოტე ფერეული იყო კიდევ უფრო ძვირფასი და საზოგადოდ, ყველა ფერეულები იყვნენ რაღაც განსაკუთრებით ძვირფასები. გარდა ამისა, კოტე ფერეული თუ ვანო უთნელიძის მეგობრობას ისურვებდა, ვახოს უყოყმანოდ უნდა შეესრულებია ყოველივე რასაც მეგობრობა მოითხოვდა, რადგან კოტე იყო ძნე ძეომარი (და დიდი), 26 წლის კაცი, ხოლო ვანო უთნელიძე, (მართალია) მეომარი იყო, მაგრამ (რა დასამალავია — იყო) ბავშ!

ჭაბუკ უთნელიძის ასეთი აზრები რომ კოტეს სცოდნოდა, უთუოდ ბევრს იცინებდა.

კოტე და ვანო ხეივნით მიდიოდნენ. კოტე ხუმრობდა, ყბედობდა, არა რაიმე გარკვეულზე, არამედ ყველაფერზე, როგორც იციან ახალგაზრდებმა და რაიც მათში იწვევს ღიმილს, ხშირად სიცილსაც. (ხნიერთათვის, რომელთაც დაჰვიწყებიათ მშვენიერება უაზრო ლაპარაკისა, ასეთი უბედობა გაუგებარი რჩება)

— აი, თქვენ ხართ მხატვარი — ამბობდა კოტე და ვანო ღიმოდა — და რადგან შესაძლებელია მალე გაწვიმდეს, ამიტომ თქვენ დროზე უნდა იყოთ სახლში, მით უმეტეს, რომ ხვალ დილას, მე ადრე უნდა ავდგე და ყანაში სამუშაოდ წავიდე . . . —

ხეივნის დასასრულ, ბნელოში ვიღაც იდგა და პაპიროსს ეწეოდა. იგი აღმოჩნდა იონა თავაძე.

— წამოდით ჩემთან ყმაწვილებო! — სთქვა მან და გაუკითხავად იმისა, მიჰყვებიან თუ არა ყმაწვილები, გაემართა სამიკიტნო დუქნებისაკენ. მას უხალისოდ გაჰყვნენ.

იონა თავაძე ბავშობის მეგობარი იყო კოტე და ლევანისა. რამდენჯერ უთევზაოიათ ერთად! კოტესა და ლევანს ის ჰხიბლავდა ბავშობაში, რომ იონა იყო მათზე უფროსი და თევზაობაში დიდათ დახელოვნებული. იონას, თავის მხრივ ჰხიბლავდა შეძლებულ ფერეულების მეგობრობა.

მაგრამ ამჟამად, სანაპირო ქალაქში იონა თავაძე თავმჯდომარეობდა საგანგებო კომისიას (ჩეკას) და მასთან ურთიერთობა ჩათვლილი იყო საათაკილოდ. ქალაქში ხმები დადიოდა, თითქოს თავაძის მშობლებს, რომელნიც ულარიბესნი იყვნენ მოქალაქეთა შორის, შვილი სახლიდან დაეთხოვოსთ. იონა სცხოვრობდა ჩამორთმეულ ბინაზე.

— სად მიგყევართ შენ, ეი ბიძია, ხომ არ გვატუსაღებ! —

სამიკიტნოები დაკეტილი იყო. ცარიელ ქუჩაში შეიარაღებული მილიციელი იდგა.

— ჰო, გატუსაღებთ ერთი საათით! —

იონა თავაძის კილო იყო მეტად მეგობრული, რაშიაც იგულისხმებოდა ბავშური ურთიერთობის გაგრძელება. ეს იყო მოულოდნელი.

იონა თავაძემ ყმაწვილები ერთ სამიკიტნოს ეზოში შეიყვანა. ეზოში იდგა დაბალი, ვაზის ფოთლებით დაბურული ტალავერი. შიგ დასხდნენ.

გაჩნდა ნავთის სანათური; გაჩნდა სამიკიტნოს მსახური, შუახნის კაცი, რომელსაც ეძახდნენ: ტყვია! —

ტყვია ამბობდა, რომ მას არაფერი აქვს. არის მარტო კაი შემწვარი ნორჩი კიფლები, ცოტაოდენი ჭადი იშოვება, კიტრი და ღვინო —

ნავთის სანათური ჰბოლავდა; მისი შუქი თრთოდა და შუქზე იქაურობა ბარბაცებდა. ეს ჩვეულებრივი მოვლენა ვანოსთვის უჩვეულო იყო და სიხარულით ავსილი, ვანო ათვალიერებდა იქაურობას.

ვანოს აზრით, ტყვია უნდა ყოფილიყო ბუნებით მხიარული და ოხუნჯი კაცი, მაგრამ ამჟამად რატომღაც უკმაყოფილო და უთუოდ ამიტომ უსიტყვო.

ტალავერი ერთი ალაბით იდგა მიწაზე და ამის გამო, როდესაც ტყვია შემოდიოდა, ჯერ შუქზე გამოჩნდებოდა ტყვიას თავი, ნაკლებ თმიანი, შემდეგ თავი იკარგებოდა და მოდიოდნენ ძხოლოდ ორი ხელები, რომელთაც მოჭქონდათ თეთრი საინები. მშვენიერი სანახაობა იყო, დაუჯერებელი და სასაცილო, მაგრამ ფერეულსა და თავაძეს არ ეცალათ. — კარგად იცი შენ — ამბობდა თავაძე — რომ საქართველოში შემოვიდა არა უცხო სახელმწიფო, არამედ იდეა.

თავაძე იდაყვით მაგიდას დაჰყრდნობოდა და შუქზე ასე სჩანდა, თითქოს ძოუთმენლად ჰბორგავდა იმაზედ, რომ მას არ ეთანხმებოდნენ, რომ პირიქით, ის ვინც უნდა დასთანხმებოდა, თავისუფლად იჯდა და საჭმლის ძოლოდინში, ორიოდეს ამბობდა დროგამოშვებით და არც ზრუნავდა გამოთქმების შერჩევას. კოტემ სთქვა:

— არა ბიძია, საქართველოში შემოვიდა რუსეთი! ანუ უკეთ, საქართველო დაიპყრო რუსეთმა — ვანოსთვის უცნაური იყო, თუ რა აკამათებდა კოტეს. იონა თავაძე უთუოდ აზრს არ გამოიცვლიდა, მხოლოდ შეიძლებოდა იმისი გაბრაზება და უფრო გაბოროტება; მაგრამ რაც უმთავრესია, მოკამათეებს გამოეპარათ ბუნების სანახაობანი და წვიმა ისე დაწყო, რომ მათ ეს არ შეჰხებია.

წვიმის დაწყებაში ვანო თითქოს მონაწილეობდა და როგორც აღფრთოვანების დროს იცოდა, იგი იჯდა სულგანაბული და არაფერი ეპარებოდა.

ბაბილო იზნიქებოდა წვიმაში და ირგვლივ იდგა წვიმის ხმაური. სუფრა აივსო საჭმელ-სასმელით. ღვინო ჰქონდათ თეთრი, სურნელოვანი და ისროდა ზხეფს.

კოტე და იონა სჭამდნენ, კამათობდნენ და ორივეში იჩენდნენ სიცხარეს.

— ხელოვნებაში საჭიროა თვალი, საჭიროა დანახვა! — ასე ჰფიქრობდა ვანო უთნელიძე, რომელსაც მესამე ჭიქამ ოდნავ თავბრუ შეჰყარა. იგი ნელ-ნელა ითრობოდა, ამავე დროს ერთობოდა საგნების ჭვრეტით და საგნები ღებულობდნენ ბუნდოვან ელფერს, თან მის სმენას დრო გამოშვებით წვდებოდა მოკამათეთა ხმა; თავაძემ სთქვა:

— თქვენ ეღობებით იდეას; ჩვენ ვიბრძვით მსოფლიო მასშტაბით და გახსოვდეთ, რომ ისტორიის წინაშე თქვენ იქნებით პასუხისმგებელი! ხომ ხედავთ რა ხდება ევროპაში, აიღეთ რუმინეთი, გერმანეთი, იტალია . . . რევოლუციები — კოტემ გაიცინა:

— ჰა-ჰა-ჰა! —

შემდეგ კოტემ გამოიჩინა სიფიცხე და ბევრი ილაპარაკა:

— შენთვის დამილოცნია ისტორია იონა თავაძე და თუ შენ, მართლა ისტორიაზე ფიქრობ როდესაც ამ ქვეყნად ცოდვილობ და გინდა ეს ვიღაცას დაამადლო, მაშინ შენ ყოფილხარ სასაცილო! ჰო, ჩემო კარგო მეგობარო!

მაინც, რა არის ისტორია!

ხომ გახსოვს იგავი „მკვდარი ლომისა და ცოცხალი კატის“, რა უფრო ძვირფასია! ისტორია არის მკვდარი ლომი; მკვდარი ლომია მაკედონელი, ჩინგის-ყაენი, ლანგთემური და ნეტავი ვის მოუვა გონებაში გაასამართლოს ის კაცი, რომელიც ამათ გზაზედ ეღობებოდა და რომც გაასამართლო, მერე მაკედონელს, ან მის მოწინააღმდეგეს რაი!? —

ერთი წუთი იყო, კიდეც გაბრაზდა ფერეული, აიღო მუშტი და მაგიდაზე უნდა დაერტყა; არ ჰქნა, მხოლოდ კბილს-კბილზე აჭერდა როდესაც ლაპარაკობდა:

— ან როგორ უნდა გავიგო მე, ვინ არის მართალი! მე თუ შენ! შენი მე არ მჯერა, მესამესი მე არ მჯერა! ამიტომ მე ვქმნი ჩემს ისტორიას ისე, როგორც ვამჯობინებ და როგორც შენ მიბრძანე ამას წინად და მე გამეცინა, ეხლა მე გეუბნები: ასე ვიქცევი სამართლიანობისა და გონიერების ძალით! მე ვერ დავიხევ, ან მე, ან შენ! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

იონამ იკითხა:

— მაშ ომი! —

— დიახ! — და კოტეს დასტურზე იონა თავაძემ გააგრძელა:

— კარგი, ჯერ არაფერს ვიტყვი. მაგრამ ვაი თქვენი ბრალი, კოტე ფერეულო, თუ იარაღზე ხელი წაგიცდათ. ჰოჰოჰო რა დღეს დაგაყენებთ! —

იონამ რამდენჯერმე გაიმეორა: „რა დღეს დაგაყენებთ! და ამ დროს იგი იჩენდა მოუთმენლობას და სიამოვნების სურვილს.

ასეთი კამათით, მეგობრული განწყობილება თითქოს არ დარღვეულა. ღვინო დალიეს. მოკამათენი ცოტათი დასცხრენ და წვიმასაც მიაქციეს ყურადღება; ამ დროს ისინი, იმგვარადვე მხიარულობდნენ, როგორც ვანო. იონამ წვიმას ხელი მიუშვირა. წამოდგნენ.

ვანომ ჭიქა ხელთ აიღო:

— თქვენის ნებართვით — სთქვა ვანომ — მე უნდა დავლიო კარგ მოვლენათა სადღეგრძელო. პირველად, ვადღეგრძელებ ამ მშვენიერ წვიმას, მერე ვადღეგრძელებ იმ გარემოებას, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიები გაერთიანდნენ და ერთი-მეორეს აღარ ებრძვიან . . .

ვანო, რომელიც იშვიათად სვამდა, დამთვრალიყო, თუმცა მას იმის ნახევარიც არ დაელია, რაც კოტესა და იონას.

შეზარხოშებულებმა დასტოვეს ტალავერი. საზოგადოდ, ნაღვინევმა კაცებმა იციან ერთმანეთისათვის, პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობების გამოცხადება, მაგრამ იმ საღამოს, ურთ-ერთისათვის, არავის არაფერი უთქვამს.

5

ნაღვინევი კოტე, სახლში მივიდა სოველი და რა შენიშნა მამას სინათლე ენთო, კარებზე დაუკაკუნა.

მამამ ნება დართო.

კოტემ, მამის ოთახში შეიტანა სისველე და რაღაც ისეთი სიცილისდაგვარი განწყობილება, რაიც იყო სიმხნევისა და არ ჰგულისხმობდა ძილსა თუ დასვენებას.

ჯერ კოტე შესწუხდა:

— ო მამა, შენ თურმე დაწოლას აპირებ, უკაცრავად — შემდეგ ხელათვე გაიცინა: იჰიჰიჰი! — და უნდოდა სოველი ხალათი და შარვალი ხელით ჩამოეფერთხა; მამის ოთახს მოერიდა. ამის მაგიერად ისევ გაიცინა:

— ო მამა, როგორ გამოგილანძღე იონა თავაძე! სულ ტყავი გავაძვრე! — მამა შეკრთა, საყვედური სთქვა:

— შვილო რატომ არ ერიდები იმ კაცს! უნდა მოერიდო, სწორედ უმადური ვარ.

კოტეს არა მხედრული, უბრალო ხალათი ეცვა და სოლომონს ეს ეჩოთირებოდა. კოტემ რამდენჯერმე სთქვა, რომ ის ეხლა დასაძინებლად მიდის, მაგრამ რამდენიც სთქვა, ყოველთვის დარჩა, რათა რაიმე ეთქვა ან ეკითხა:

— ლევანი არ ჩამოსულა!? — შემდეგ: — დარდი ნუ გაქვს მამა, რაკი ღმერთმა ჩვენთვის იზრუნა და წვიმა გვაახლა, ხვალ არ ვიზარმაცებ და ადრე ავდგები — ბოლოს კოტე დაჯდა და მამას, მისთვის უნდა გაეკეთებია თუთუნი, რადგან მამამ შენიშნა, რომ კოტე ნასვამი იყო.

მამას მოაგონდა, რომ სისხლი მართალია მას უთამაშებს, მაგრამ საჭიროა იყოს ასეთი, როგორც კოტე. ასეთი არ არის და უცნაურია, ამაზედ მამას გული არ დასწყვეტია. კოტე დასცქეროდა დედის სურათს, მამას რომ სამუშაო მაგიდაზე ედვა და გულში ჰფიქრობდა:

— ჩემო ძვირფასო დედილო!

ოჯახში, ყველაზე უფრო კოტე იყო „დარწმუნებული“ დედის გარდაცვალებაში და ამაზე კოტე ჰფიქრობდა მუდამ მღელვარებით აღსავსე, რაშიაც სრულებით არ ერია ნაღველი, არამედ რაღაც ისეთი, რაიც სიხარულსა თუ აღფრთოვანებას ჰგავდა; აღფრთოვანებას იმის გამო, რომ დედა იყო კეთილი და სავსე სიყვარულით, რომ კოტე მას, ეხლაც ცხადად ჰხედავდა იმდენად კარგად იცხოვრა დედამ და როდესაც დედას ჰხედავდა, კოტე იღიმოდა.

ამ დროს მამა კოტეს შესცქეროდა. ძალიან ჰსურდა მამას და კინაღამ სურვილს აჰყვა, კოტესთვის თმაში ხელი ჩაევლო და ისე დაეწეწა, ვით დაუწეწავენ ბავშვებს. მამას ეს არ უქნია, მხოლოდ გულში ამბობდა:

— ოჰ-ჰო-ჰო, ჩემი ბიჭი! —

კოტეს სუფთად ჰქონდა კისერი ამოპარსული და ისე, ვით ლევანს, თმა ჰქონდა შავი, ყურყუმა. მამამ შეხვეული თუთუნი გადასცა კოტეს და სთქვა:

— წადი, დაწექი!

ამ დროს ლევან ფერეული ტფილისიდან მომავალ მატარებელში იჯდა. რონოდაში ტევა არ იყო და მიუხედავად იმისა, რომ მოჰქროდა ქარი და წვიმის შხეფებსაც ისროდა, რონოდაში იდგა დახშული, მხურვალე ჰაერი.

ლევანი მოთავსებული იყო მაღლა თაროზე, რომელიც გათვალისწინებულია ნივთებისათვის და რომელზედაც ეხლა ხალხი წვებოდა და იძინებდა. მაგრამ ლევანის თაროზე იმდენი ნივთი შემოეწყოთ, რომ ლევანი შეეევიწროებიათ და აქ დაძინება გაჭირდებოდა.

ლევანს ეს არ ადარდებდა; პირიქით, მას მიზეზი ჰქონდა ამისი მადლიერი ყოფილიყო.

რონოდაში ბნელოდა. მგზავრები საუბრობდნენ, ეწეოდნენ თუთუნს და ყველაფერზე ეტყობოდათ, რომ ეს მგზავრობა იყო ძნელი და ამ სიძნელეს იტანდნენ.

ბორბლების გაბმულ ხმაურში, ხანდახან უცნაური სიცხადით მოისმოდა რონოდის მეორე განყოფილებიდან ჩონგურის ჰანგები და მკვეთრი, სუფთა ხმა, რომელიც ჩონგურს დაჰმღეროდა: „უბედურო მარტის თვეო . . .“

ამას მღეროდა ბრმა მეჩონგურე. იგი მცხეთაში შემოჯდა. მართალია რონოდაში ადგილი არ იყო, მაგრამ მგზავრმა გლეხებმა ფანჯრიდან შემოიტანეს იგი. მაშინ მეჩონგურე იღიმოდა, რადგან ხალხის სიყვარულს გრძნობდა და წამწამებზე, რაიც ჩამქრალ თვალებს დაჰკროდნენ, მოსდგომოდა ცრემლისდაგვარი რამ. სახე ჰქონდა ნაყვავილევი.

— გაიზარდენით ბიჭებო, გაიხარენით ბიჭებო! — გაჰკიოდა უსინათლო და საითაც უნდა ხელი გაეშვირა, ხელსავე მიაშველებდნენ დიდნი თუ პატარანი, ქალი თუ კაცი. ჩონგური როს დაუკრა, ხალხი სმენად იქცა. მეჩონგურე დაჰმღეროდა:

— წაეთრიე, უბედურო მარტის თვეო.

ქვეყანამ იცოდა, რომ მარტის თვე, რომელსაც უსინათლო სიმღერით ედავებოდა, იყო რუსეთი. იცოდნენ აგრეთვე, რომ ასე იმღერებდა მეჩონგურე ქ. გორამდე, ხოლო გორიდან ისევ უკანვე, ტფილისში დაბრუნდებოდა.

მეორეჯერ მგზავრობდა ლევან ფერეული ტფილისში მას შემდეგ, რაც საქართველოში ბოლშევიკები შემოვიდნენ და როგორც პირველად, ისევე ეხლა, ტფილისიდან იგი ბრუნდებოდა ნაღვლით სავსე.

ტფილისი იყო დაღვრემილი, დაღარიბებული, ავსილი უცხო ხალხით და მათ შორის ლევანი მიმოდიოდა გაბოროტებული და ამაყი. ფიქრიც არ შეიძლებოდა მხიარულ შეხვედრებზე ნაცნობებთან.

სახლის ძველი პატრონი, ძია ვალოდია გოევი. ჯერ ლევანი რომ პირველად ტფილისისში ჩავიდა, მაშინაც ავად იყო.

ძიას ლევანის ნახვა იამა. უეჭველია ლევანს იგი ვაჟკაცობაში ეჯიბრებოდა, თორემ თვალთ რომ ცრემლები მოადგა, არ დამალავდა. მოხუცს ხელ-ფეხი დაჰსივებოდა და თავი უთრთოდა. მან სთქვა, რომ ვიღაც ვიგინდარებს, ლევანის ოთახის ჩამორთმევა უნდოდათ, მაგრამ ძია ვალოდია განრისხებულიყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ იცით — ეყვირა მას — აქა სცხოვრობს ქართველი სტუდენტი და ძე მის ბინას თქვენ ვერ დაგანებებთ...

ამბის მოყოლის დროს ძია ჯავრდებოდა და საზოგადოდ მას ეჩინეოდა ჭირვეულობა. ლევანმა რომ ძია ვალოდია ავად ნახა, სცადა დახუგეშება; ძართალია ლევანი სანუგეშოს ვერაფერს ჰხედავდა, მაგრამ მიღებულია ადამიანის გამხნევება. ძია ვალოდიამ ხელი ჩააჭნია და გაჯავრებით სთქვა:

— რას აქბობ რასა...

იგი გამოიყურებოდა უსიცოცხლო თვალებით, ხოლო ცალი თვალი გასჩერებოდა.

ლევანის მეორე მისვლაზე, ძია ვალოდია იწვა. გასივებულ თითებში მას ეჭირა ალვის ხის ტოტი და ბუზებს იგერიებდა. მაგიდაზე ედგა რაღაც სალაკავი საეჭვო ფერისა, სიმინდის ფქვილითა და სახარინით შემზადებული და ძია გულდაკოდილი ამბობდა:

— იქით გახედვა მეზარება, არა თუ ჭამა...

თავის ქალიშვილზე, როდესაც ლევანმა იკითხა, ძიამ არა უპასუხა რა. მოხუცი ნაწყენი იყო, რადგან თამარი ბოლშევიკებთან მემანქანედ მსახურობდა.

ისევე ელვარე და შავგვრემანი იყო თამარი, მხოლოდ სოველსა და მშფოთვარე, გაუმაძღარ ტუჩებს ემჩნეოდათ დაოკება.

ქალბატონმა გოევმა, შიშით (რათა ძია ვალოდიას არ გაეგონა) უთხრა ლევანს, რომ თამარს ვიღაც რუსი მხედარი ასდევნებია.

თამარი გამხდარიყო.

დედა გოევიც გამხდარიყო. იგი მუდამ შემკრთალი შემოდიოდა ძიას ოთახში. სიცხის გამო ქალბატონი გოევი უმწეოდ ჰქელავდა.

ლევანი ვერ სძლებდა გოევის სახლში. იგი გამოდიოდა მამა-დავითის შეფერდებაზე, სადაც სცხოვრობდა გოგია კოკოსაძე და სადაც თავს იყრიდნენ ტფილისში დარჩენილი სტუდენტები, ციხიდან გამოშვებული ტუსაღები და სადაც ხშირად შემოდიოდა აგრეთვე მეწაღე ნიკალა, რომელიც ოხვრით ამბობდა, რომ მას გული არ უდგას, სული ეხუთება!

ეს იყო ხნიერი. მას ხშირად მოჰქონდა ღვინო და მშფოთვარე ამბობდა:

— ახალგაზრდებო, თქვენი სიყმის ჭირიმე, მასვით თქვენთან ერთად ღვინო.

ტფილისში იდგა სევდა. სევდა იპყრობდა ადამიანს.

ნიკო თელიას სახლში დაბანაკებულიყო რუსის ჯარი. (ეზოში, ახალგაზრდა ჯარისკაცები პერანგის ამარა, ხარხარით გაურბოდნენ ერთ მაღალს, გამხდარ ცხენს, რომელიც კბილებ-დახრჩენილი დასდევდა მათ, რადგან ნედლი ბალახი მისთვის პირთან მიჰქონდათ, მაგრამ ჭმევისწილ, ნესტოებში სულს უბერავდნენ).

ანიკო ბადრიძის ბიძის სახლშიც ჯარის ნაწილები იდგა.

დამშეული მოქალაქენი, ბეჩავად ჩაცმულნი, დალასლასებდნენ ქუჩებში. რადგან გაზეთები არ გამოდიოდა, ხელისუფლება მოედნებზე აკრავდა, დიდრონ ასოებით დაწერილ ქვეყნის ამბებს. ეს იყო სხვ-დასხვა სააგენტოს ცნობები, უმთავრესად შესახებ იმისა, თუ რომელ ქვეყანაში დაიწყო რევოლუცია.

ამ ცნობებისა ხალხს არა სჯეროდა და მას დაერქვა: ცრუ-კავროსტა. რამდენიმე ეკლესია დაეკეტათ. ჰკეტდნენ კიდევ დაკეტილ გუმბათებზე აემართათ წითელი დროშები.

7

— ხომ არ შეიშალე! ხანა, რომელშიაც ვცხოვრობთ არის მშვენიერი, არის იშვიათი..! — ასე წამოიძახა ლევან ფერეულმა გოგია კოკოსაძის ოთახში.

ცხელოდა, თუმცა მზე დიდი ხანია ჩასულიყო და მიმწუხრი ეშვებოდა. კოკოსაძის ოთახში თავი მოეყარათ ახალგაზრდებს. ისინი იჯდნენ, იწვნენ, აბოლებდნენ თამბაქოს, მხოლოდ აღსანიშნავი იყო არა ის, რომ ყოველივე ამაში ოთახის პატრონს არა ეკითხებოდა რა, არამედ ის, რომ მათ ჰშიოდათ. ამის გამო იყო ერთმა სთქვა:

— რა მურდალ დროს გავჩენილვართ, პური არ იშოვება და კაცი იძულებული ხარ. ლუკმა პურისათვის ნადირივით დაძრწოდე... ეს დამამცირებელია! — სამაგიეროდ ჩვენ ვსუნთქავთ დიდი ჰაერით! იცით თქვენ რაზე საუბრობდნენ ძველად ოჯახებში?! ჩაცმულობაზე და დროის ტარებაზე. ეს უფრო დამამცირებელია...

საუბარი ხშირად იცვლიდა საგანს და თუმცა ახალგაზრდები უმხიარულონი იყვნენ, დრო-გამოშვებით მაინც იბადებოდა ხუმრობა და სიცილი.

— ეხ, ათი მილიონი რომ ვიყოთ!..

— ბარემ გენატრა. მთელ დედამიწაზე რომ ქართველები ვიყოთო! აბა წარმოიდგინე, ივარგებდა!?

გაიცინეს. გოგია კოკოსაძემ დაიწყო პარსვა, თან გამოსთქვამდა უცნაურ აზრებს და იყო რაღაც შეუსაბამობა მის აზრებსა, ხმასა და გარეგნობაში. საზოგადოდ იგი იყურებოდა აღმა-დაღმა და სიარული ჰქონდა ისეთი, თითქოს დაღლილია, თავი სძალავს და სადაცაა წაიქცევაო. ასეთ კაცს ეძახიან დო-ყლაპიას, მაგრამ გოგიას, თვალები ჰქონდა შავი და პაწია, რომელნიც ჰქმნიდნენ საოცარ შთაბეჭდილებას სულიერი ძალისა და გონიერების. იგი იყო ჰატარა, ჯუჯა ტანის კაცი, ხმა ჰქონდა მსხვილი და ლაპარაკობდა თითქოს გულუბრყვილოდ. მითი იწვევდა თავისადმი სიყვარულს.

ლევან ფერეულსაც უყვარდა გოგია კოკოსაძე და მას უსმენდა ღიმილით.

— არ არსებობენ საგნები თავისათვად, არამედ არსებობენ ადამიანთა განწყობილებანი, რომელნიც ყველაფერს შინაარს აძლევენ. ამიტომაა, ადამიანი ხედავს იმას, რაც მას ჰსურს და ხედავს ისე, როგორც ჰსურს. როდესაც ეს არ შეიძლება, მაშინ ადამიანი იწყებს ბრძოლას. აი, მაგალითად მე, არ მსურს ჩემი თავი დავინახო პირუტყვად (მადლობა ღმერთს, კარგად ხედავთ გაუპარსავი რას ვგევარ!) ამიტომ ვიპარსები... ლევანმა გაიცინა:

— იმიტომ აგრეთვე, რომ უნდა მოვიდეს ქსენია — ახალგაზრდებმაც გაიცინეს. გოგია არ მალავდა, რომ ქსენია ადამიანთა შორის უმშვენიერესია, ხოლო მუშაკი — იშვიათი. „მუშაკი“ ჰგულისხმობდა არალეგალ მომუშავეს, მებრძოლს.

ალაპარაკდნენ და სანამ გოგია სიტყვას დაიბრუნებდა, აღიძრა საკითხი: რა მიზეზია რომ, „ივანეს“ მაინც-დამაინც თამარი იტაცებს და არა ქეთევანი.

— ეს მე ვიცი — გამოაცხადა ერთმა — ადამიანები, ისევით პირუტყვები, უთუოდ სხეულიდან გამოვავლენთ სხივებისდაგვარ ტალღებს, რაიც უთუოდ იმ გვარ მოვლენას იწვევს, როგორიცაა ელექტრობა! უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ ეს მოვლენა ძველთაგანვე შეუმჩნევიათ, შედეგი ამისი გახლავთ ყოველგვარი ყელსაბამები, ამულეტები. ასე რომ, ჩვენი ველური წინაპრები არცა სცდებოდნენ და არც სტყუოდნენ; და თუ ოდესმე მეცნიერებამ დაინახა ადამიანის მიერ გამოვლენილი სხივები, მაშინ აღმოჩნდება კიდეც თუ რა ვართ ადამიანები, მგლები თუ მართლა კაცები.

— გოგიამ სთქვა:

— მგლები ბატონო, მგლები! განა ვერ ვხედავთ! დროა ეს მივიღოთ! ამდენ ხანს ცხოვრებას ვქმნიდით ისე, როგორც ჩვენი წარმოდგენით შეეფერებოდა ისეთ ადამიანს, როგორიც ჩვენ გვსურდა ვყოფილიყავით და თავის-თავს ვარწმუნებდით: სწორედ ისეთი ვართ, როგორიც გვსურსო. ეს ტყუილი აღმოჩნდა. ნამდვილი ადამიანი ის არის, რომელსაც ქრისტე ებრძოდა. ეს აშკარაა! ამიტომ ცხოვრება უნდა მოეწყოს ადამიანის ნამდვილი ბუნების მიხედვით, იმ ბუნებისა, რომელიც მართალია საძაგელია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამამცირებელია და ამიტომ დღეს-დღეობით უარყოფილი, მაგრამ რა გაეწყობა — არის უცვლელი და ურყევი! ეს გახლავთ მტაცებლობა, შური, მტრობა, ჩაგვრა, მრისხანება, მცონარება. ადამიანი არის ნაწილი ბუნებისა და მას არავითარი მოვალეობა, არავითარი მოწოდება არა აქვს ეძიოს და ამყაროს რაღაც კანონ-ზომიერება ადამიანებში, გინდა სამყაროში; ეს მას არც შეუძლია, რადგან ადამიანის დასაწყისი და დასასრული არის არარაობა!

გოგია ლაპარაკობდა რაღაც გაბოროტებული, თითქოს თავისი თავის წინააღმდეგ და ლევანმა მას ჰკითხა:

— მაშ, გოგია, დავიშალოთ! ჩაუსაფრდეთ ერთი-მეორეს თავისი ნიჭისა და უნარის მიხედვით! ასეთი კაცობრიობა არსებობდა უწინ; მან ბევრი იხეტიალა, ბოლოს ხეტიალი მოსწყინდა და მოვიდა დღემდე.

— ერთი ეს შემატყობინეთ, როდის ახერხებთ ფიქრს ასეთ საგნებზე?! — იკითხა ერთმა. ეს იყო ბუნებისმეტყველი, რომელმაც ამას წინად ინატრა, ნეტავ ათი მილიონი ვიყოთო. ის იყო წყნარი ადამიანი, თუმცა ფიქრობდნენ რომ უნდა ყოფილიყო ჩუმი ეშმაკი და როცა ასე იკითხა, კილოში არ ისმოდა უხუმრად ამბობდა თუ მოსაუბრეებს დასცინოდა და გოგიამ მიუგო:

— ღამით, როდესაც დავწვები, მაშინ ვფიქრობ ასეთ საგნებზე . . .

ღამდებოდა. მხურვალე ჰაერი უმოძრაოდ იდგა. სჭირდა სუნთქვა, სჭირდა მოძრაობა. რამდენჯერმე კისერში მოდენილი ოფლი, ცხვირსახოცით ამოიწმინდა ლევანმა; ეს იყო ძარღვების ამშლელი.

აგონდებოდა ამ დროს ზღვა და საზოგადოდ, სახარბიელო არაფერი იყო ამჟამად ტფილისში. უეცრად ლევან ფერეულმა გოგია კოკოსაძეს რევოლვერი მოსთხოვა:

— მომეცი რევოლვერი!

ახალგაზრდებმა ყურები სცქვიტეს. არავის არაფერი უთქვამს. გოგიამ ჰოლანდური ღუმელი გამოალო და ქალალდში შეხვეული რევოლვერი გამოიტანა. ლევანმა გამომეტყველებით ჰკითხა: დატენილია?

გოგიამ თავი დაუქნია. ლევანი წავიდა. ბუნების მეტყველმა სთქვა:

— ხალხი არ დახოცოს, რათ უნდა ნეტავი!?

თუ რათ უნდოდა ლევანს რევოლვერი, არავინ იცოდა.

8

— გოგია კოკოსაძეს, ჩვენს ძვირფას გოგია კოკოსაძეს უეჭველია ქსენია უყვარს. ქსენიამ კი სთქვა: როგორ გინდათ თქვენ გოგია მიყვარდეს, ჯერ მარტო მისი სიარული რათ ჰღირს!?

ამიტომ ქსენია, გოგიას მხოლოდ პატივს სცემდა, დიდ პატივს სცემდა. ეს არ იყო საკმარისი და გოგიას დასჩემდა უცნაურობანი; მაგალითად ცხარე საუბრის დროს ფიქრებით განმარტოვდებოდა, ან დაჟინებით იწყებდა რაიმე ისეთის მტკიცებას, რის წინააღმდეგ თვითონ იბრძოდა; შემდეგ, საუბრის დასასრულ გამოაცხადებდა: — რა ვიცი მე. შესაძლებელია კიდეც ვცდები!

— თავისუფალ ადამიანს არაფერი არ უნდა უყვარდეს; ეს იქნებოდა მეტად კარგი! თორემ ბიძის სახლში, ნიკო თელიასას რომ რუსის ჯარები დაბანაკებულიყო, ამისი დანახვა იყო შეურაცყოფელი! მაგრამ რა გამოვიდა, ის მასხარა ცხენი ისე კბილებ დახრჩენილი დასდევდა ჯარისკაცებს და ჭაბუკი რუსებიც, ისეთი გულითადი ხმებით იცინოდნენ, რომ ლევანს გაეღიმა, მაშასადამე მონაწილეობა მიიღო!

„გიყვარს ლევან ტფილისი!?“

„ოჰ, ძალიან!“

„რატომ გიყვარს ლევან ტფილისი!?“

„არ ვიცი!“ — ასე ესაუბრებოდა თავის გულსა და გონებას ლევან ფერეული, როდესაც მამა-დავითის მთიდან ალექსანდრეს ბაღისაკენ დაეშვა და რადგან ახალგაზრდა კაცი გამვლელთ სჭვრეტდა, ხოლო გამვლელთა შორის ანიკო არ სჩანდა, ამიტომ ისე ისმოდნენ ეს სიტყვები: გიყვარს, გიყვარს!, თითქოს ყვავები სჩხაოდნენ: — ყვა, ყვა, ყვა! —

ლევან ფერეულმა ბაღი გადასჭრა და პუშკინის სამკითხველოს მახლობლად, ქუჩაში ლოდინი დაიწყო. ბნელოდა. ლევანი იყო მშვიდად, მხოლოდ ხან-დახან როდესაც გული ძლიერ უწყებდა ცემას, იგი გონებაში იმეორებდა იმ თავის დასაცავ სიტყვას, რომელიც ხელისუფლების წინაშე უნდა წარმოეთქვა, თუ ჩავარდებოდა. ლევანი ამბობდა:

— მე გავძარცვე, რადგან მშიოდა! მართალია ამითი კანონი დავარღვიე, მაგრამ კანონი პირველად დაარღვიეთ თქვენ! — ნეტავ ამაზე რას უპასუხებდნენ?

დაატუსაღებდნენ უეჭველია, მაგრამ ეს არ იქნებოდა ურიგო, რადგან კაცი, რომელსაც მთავრობა არ ხდევნიდა, იყო საეჭვო.

რამდენიმე წუთის წინად, შხუილით შემოიჭრა ბაღში ფრინველთა გუნდი და ხეებში დაბუდდა. ლევანი ხის ძირას, ჩრდილში იდგა. ბნელოდა, როგორც იცის გაავდრების წინ. დროგამოშვებით, დასავლეთით ელავდა.

რამდენჯერ ასე მდგარა ლევანი, როდესაც ქუჩაში შემოხვევით მუსიკა მოუსმენია. ანიკო თამაშობდა აგრეთვე მშვენივრად. ლევანს მეხსიერებაში ჩაჩრენოდა რომელიღაც ზაფხულის წვიმიანი ღამე, თუ ღამეები, როდესაც ქუჩაში, ღია ფანჯრის წინ, ხის ძირას უმოძრაოდ დარჩენილა და მუსიკა განაგებდა როგორც მის გრძნობებს, აგრეთვე გარემოს.

უთუოდ ანიკო ეხლა სადღაც არსებობდა; ლევანს ჰსურდა და არ ძალუძდა დაენახა იგი ეს იყო რაღაც გაუგებრობა, შეუსაბამობა.

უეცრად ლევანი ვიღაც მომავალ კაცს გადაეღობა და ყოველივე მოხდა სწრაფად და უბრალოდ.

— გაჩერდი! ფული, ვალუტა!!

უცნობმა დააპირა თუ შეასრულა კიდეც ხელები უმწეოდ გაეშალა, მაგრამ დაინახა ლევანის რევოლვერი. უცნობი სიმწრით გმინავდა; მან მარცხენა ხელით გულის-ჯიბიდან ამოიღო საფულე, გახსნა.

ლევანს სჭიროდა რამდენიმე ოსმალური ლირა ან ორი დოლარი!.

უცნობი შეფრთხიალდა, რაღაც იგრძნო, რაღაც მიხვდა და იგი ალაპარაკდა ვით კეთილი ნაცნობი:

— ბატონო, მეტი ინებეთ, მე მაქვს!

მას დაავიწყდა შიში და ლევანმა გაბოროტებით, კბილების ხრჭენით სთქვა:

— ხმა!

ამის შემდეგ უცნობი ზურგშექცეული უნდა მდგარიყო ადგილას და ლევანი წავიდა.

9

გოგია კოკოსაძისას იგივე ხალხი დახვდა ლევან ფერეულს, მხოლოდ მის გამოჩენაზე დამხვდურთ საუბარი შესწყვიტეს და ლევანი მიხვდა, რომ მას, სახეზე ემჩნეოდა მღელვარება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ გადასინჯა საბუთები, რის გამო, ის უნდა ყოფილიყო უდარდელად.

„„ბოლოს და ბოლოს მე მსურს გავაკეთილშობილო ავაზაკობა! როგორ! ნუთუ მართლა დედამიწის ტრიალმა იცის გარჩევა ბოროტისა და სიკეთის! ნუთუ დედამიწა, რომელსაც მე ვთვლი უსულოდ და უტვინოდ (და თუ რამ შინაარსი გაჩენია, იგი მომიცია მე, ადამიანს) ნუთუ დედამიწა ჩემი უფროსი და მასწავლებელია!? არა, ეს აღზრდისა და წინაპრების ბრალია, რომელთაც სისხლით გადმომცეს ასი-ათასი ცრუმორწმუნოება, თორემ არავითარი უპირატესობა არა აქვს სიკეთეს ბოროტის წინაშე! ეს არის მხოლოდ, ადამიანი გამოცდილებით მივიდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არის შეცდომა, თითქოს ურთიერთობისათვის ასე სჯობდეს და ძოხდა აბრეშუმის ჭიის ამბავი. ეხლა პარკის გარღვევა ძნელია და აი ძე, პარკში მოქცეული, რომელიც ძომხრე ვარ პარკის გარღვევისა, ვღელავ და ვოხრავ, თითქოს ქვეყანა ინტრეოდეს".

მიუხედავად ასეთი ფიქრებისა, ლევან ფერეულს არაფერი უჭამია. მან ორი დოლარი, ყოფილ მიკიტანს გადასცა, რომელიც ამჟამად ფარულად ვაჭრობდა და მოვიდა სასმელ-საჭმელი: ღვინო ხელადებით, მახობელა პური, მოხარშული ლობიო, ყველი და ძროვანილი.

მოშივებული ახალგაზრდები საჭმელს დააცხრენ. დიდხანს უხმოდ სჭამდნენ და სვამდნენ. ისმოდა მათი ქშენა, თითქოს იბრძოდნენ, მხოლოდ შემდეგ, როდესაც მოსულიერდნენ, ერთმა სთქვა:

— ბიჭო, ბიჭო, გიშველა ღმერთმა!

მეორე იკითხა:

— კაცო, საიდან ეგა!?

მესამემ შენიშნა:

— შენ არაფერს სჭამ, კაცო!

საჭმელი-ბევრი არაფერი დარჩენილიყო, ცოტაოდენი პური, მწვანილი და ღვინო იდგა კიდევ ხელადაში, რაიც გათვალისწინებული იყო ნიკალასათვის, რომელიც უეჭველი მოდიოდა, რადგან დაბლა კიბეზე უკვე ისმოდა მისი ნაბიჯები. დაღვრემილი ლევანი, ახალგაზრდებს სახეს არიდებდა და გამოდიოდა ისე, თითქოს იგი თვალებს მგელივით აბრიალებდა, ხოლო ეს იმისი იყო, რომ მასში მრისხანება ებრძოდა მამა-პაპეულ ლმობიერებას.

მან რაღაც გადალახა ისეთი, რაც უეჭველია არ ექნებოდათ გადალახული მის წინაპართ და არა თუ გადალახული, დადგენილ მიჯნის პატივისცემაც კი, არ ექნებოდათ მათ შებღალული!

ეს იყო სულმოკლეობა! ვერ გასძლო და ჩაიდინა, თუნდაც ცნობისმოყვარეობით! ხოლო ვაჟკაცი ადამიანები, ყოველგვარ ცდუნებას უძლებენ და არ სჩადიან!

ეს აღძრავდა გულის ტკივილს.

დედა იტყოდა: ყველაზე აღვილი არის ავკაცობა! კაცური კაცი, პატივს უნდა სცემდეს სიძნელეს.

შენ კი შვილო მეტის-მეტად შფოთავ; დასცხრი ლევანის — ჭირიმე, ცოტა დასცხრი!

10

ახალგაზრდებს რომ ეგონათ ნიკალა მოდისო, ქსენია აღმოჩნდა; მთელ მამაკაცივით დადიოდა ქსენია; დიდი, გაჩეჩილი თავი ჰქონდა, პაპიროსს ეწეოდა და როგორც გარეგნობით, ისე საქციელით იგი ჰგავდა ახალგაზრდა კაცს. შემოსვლისას მან დაიძახა:

— ყმაწვილებო, ამ საღამოს მიდიხართ!

ეს ეხებოდა ლევანსა და გოგიას. ქსენიამ სუფრას თვალი მიაქცია: ყოჩაღ!-ო ერთი სთქვა და შეუდგა ჭამას, თან დაუცხრომლად ამბობდა: მისი ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ სტამბა, რომელიც ლევანს სანაპირო ქალაქში უნდა წაეღო, უკვე მატარებელში იყო. ასოთ-ამწყობად მიდიოდა გოგია კოკოსაძე; მხოლოდ გზაზე ლევანსა და გოგიას, უფროსი ამხანაგები სიფრთხილისათვის ურჩევდნენ ერთმანეთთან ურთი-ერთობა არ ჰქონოდათ.

— აბა მოემზადეთ!

მზად იყვნენ. კოკოსაძის ოთახში ისევე დარჩნენ სტუმრები, როგორც იყვნენ მანამდე. მათი საუბრის საგანი იყო ახალი ამბავი: ინგლისის დესანტი შავი ზღვის სანაპიროებზე და დამშეულთა მღელვარებანი რუსეთში.

სადგური ხალხით სავსე იყო. ხალხში მიმოდიოდნენ ჩეკის მსახურნი, რომელნიც ყველასა და ყველაფერს იჭვით ათვალიერებდნენ, თან ისე აშკარად და უბოდიშოდ, თითქოს ხალხი ყოფილიყო ღირსება გაძარცული და პატივ-აყრილი. ხალხი გუგუნებდა. ქსენიამ ლევანი ერთ მუშა-კაცს გადასცა.

მუშა-კაცმა ლევანი ფანჯრიდან შეიყვანა რონოდაში, ადგილი და ნივთი უჩვენა და წავიდა. წასვლისას ლევანს მან უთხრა:

— აბა, ბედნიერად, ჩემო ბიძია! — უბრალოდ ხელი გაუწოდა, მაგრამ მის ხელის ჩამორთმევაში, ღიმილსა თუ ლაპარაკში გამოსჭიოდა ის გარემოება, რომ ლევანთან მას აკავშირებდა ნდობა, იმედი და სიყვარული.

მატარებელი დაიძრა.

მცხეთაში გლეხებმა ფანჯრიდან შემოიყვანეს ბრმა მეჩონგურე. იგი ხმა-მაღლა გაჰკიოდა:

— ღმერთმა გაგიმარჯოთ, ქარველებო! გაიზარდენით! გაიხარენით!

დაიწყო წვიმა. გორში მეჩონგურე დაეშვა.

როდესაც მატარებელი სამტრედიაში მივიდა, ღამე გატეხილიყო და ნისლში იშვებოდა დღე. არ სწვიმდა. რონოდაში ხალხი ნაკლები იყო. ორთქლმავალი, სადღაც ქშენით მიმოდიოდა და ვიღაცამ სთქვა: წყალს იღებსო.

ყველაფერზე ემჩნეოდა, რომ მატარებელი აქ შეიგვიანებდა. იქვე, მეორე ხაზზე იდგა ბათუმიდან ტფილისში მიმავალი მატარებელი.

ლევანი თავის ბუნაგიდან დაეშვა. მას, შემდეგ აგონდებოდა, რომ უცემდა გული და ძალიან ჩქარობდა დაეთვალიერებია ბათუმის მატარებელი, რომელიც უთუოდ მალე წავიდოდა — ისე მხნედ ორთქლავდა მანქანა და ისეთი დაიმედებული მოლოდინით მომდგარიყვნენ ფანჯრებზე ბათუმის მგზავრები.

ერთ ფანჯარასთან, მრავალია შორის იდგა პავლე ბადრიძე. ლევანი გაეშურა. ლევანი რაღაცას თავდავიწყებით ლაპარაკობდა. უთუოდ პავლე ბადრიძე ლევანს მიესალმა, რადგან გაიღიმა და ხელიც აიშვირა. რონოდის სიღრმეში გამოჩნდნენ ქალების სახეები, ქალბატონი ბარბალე და ანიკო.

მაშინ ლევანი ფანჯარას მოეჭიდა და მიუხედავად მგზავრების წყრომისა და აყაყანებისა, ფანჯრის რაფაზე მოექცა. ლევანი ამბობდა:

— რამდენად მოხარული ვარ თქვენი ნახვით! როგორ ბრძანდებით, როგორ გიკითხოთ! — ამბობდა არა იმიტომ, რომ პასუხი მიეღო.

მგზავრები ჰყვიროდნენ:

— ჰეი, მოქალაქე, ჩადი დაბლა, ჩვენ აქ ძლივს ვეტევით — უთუოდ მატარებელი დაიძრა. პავლე ბადრიძე შემკრთალი სთხოვდა ლევანს რაღაცას. ქალები, ბარბალე და ანიკო, სჩანდნენ გამხდრები და დასუსტებულნი და ისინიც ლევანის გამო შფოთავდნენ, იმიტომ რომ მატარებელი მიდიოდა და ლევანი ეკიდა ფანჯარაზე. ერთი გაიფიქრა ლევანმა: ნეტავ სტამბა არ ეჭონდესო, მაგრამ ამის ნაცვლად ანიკოს შეჰხედა:

— ნახვამდის — სთქვა, შემდეგ დაუმატა — ბედნიერად. მატარებელს მოსწყდა, ხრამში ჩაიმუხლა და ოდეს აიხედა, მატარებელი იყო შორს.

11

ქალაქ-ბაღთა სანაპირო ქალაქი.

ყოველ სახლს გააჩნია მოვლილი ეზო, ბოსტანი.

უთხელიძეთა ბაღი ნაწვიმარზე ახალშობილს ჰგავდა; ბალახი, ვარდ ყვავილთა ბუჩქები თუ ჭაბუკი კვიპაროსები ამართულიყვნენ ნოყიერებით აღსავსენი და მათ შორის, დილა-ადრიან ამდგარი ვანო უთხელიძე მიმოდიოდა ვით ადამიანი, რომელსაც ეკუთვნის ყოველივე ეს და აგრეთვე ბევრი რამ სხვა.

ვანო იყო პერანგის ამარა და ტიტველ ფეხთ ეცვა ფლოსტები, რომელნიც აღუებულ მიწაში იფლეთოდნენ და ვანოს კიდეც სცივოდა ფეხებსა და გაღეღილ გულმკერდზე და კიდეც მოხარული იყო სიცივისა. მხოლოდ ვანო ცდილობდა არ შეემჩნია სიცივე, არც სიხარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხელის მან იქეიფა კოტე და იონა თავაძესთან; ორივე დიდი კაცი იყო, ხოლო დიდ კაცებთან, ვანო პირველად იყო წუხელის თანასწორად მიღებული. ახალგაზრდა უთნელიძე ცდილობდა არც ამისი სიხარული შეემჩნია. ასეთ თავდაჭერას მისთვის, მისივე თვალში უნდა შეექმნა მოწიფული კაცის წონა და ღირსება.

ვანოსთან ერთად ამდგარიყო მისი ძაღლი, შავი — პატარა გელეშა, რომელიც ბოსტნის ღობეს მომდგარი, მთელი სხეულით იკლაკნებოდა, თრთოდა და გაბმით წკმუტუნებდა, რათა დრო-გამოშვებით აღმოხდენოდა ვედრებით სავსე ყეფა. ეს ყეფა იყო უადგილო. ამას გაიგონებდა დედა და რომც არაფერი ეთქვა, გამოხედვით იგულისხმებოდა:

— შვილო, არ გაცივდე...

ვანო გაჯავრებული გაექანა ძაღლის დასატუქსად, მაგრამ მოაგონდა რომ ერთჯერ გელეშას მანანა მიეფარა:

— რა მშვენიერია, არ იკბინება? — იკითხა მანანამ და რა ვანომ უპასუხა — არ იკბინებაო! — მანანამ გელეშას ყურში ხელი ჩაავლო და დუნჩზე აკოცა, თუმცა ხელათვე ტუჩები ცხვირსახოცით მოიწმინდა, თან დაბნეულად იცინოდა.

არ შეიძლებოდა გელეშას დასჯა და, რათა ძაღლს ყეფა შეეწყვიტა, ვანო შემოტრიალდა და ნელი სირბილით ბაღის სიღრმისაკენ წავიდა.

მაღალ კვიპაროსების შუა-გულში იდგა ძველი ტალავები, შეოსილი ხშირი სუროთი. აქ მოდიოდა რამდენიმე კლაკნილი ბილიკი და ტალავერის ირგვლივ ჰხარობდნენ ყვავილები და ვარდები. ეს კუთხე, თითქოს შემთხვევით წარმოშობილიყო და ჰგავდა ველურს. აქ იყო მანანამ რომ წამოიძახა:

აჰ! — და შესდგა.

ვანო მაშინ, აღელვების გამო თუმცა ვერაფერს ჰხედავდა, მაგრამ უდავოდ, მანანას გაჰგანიერებოდა თვალები, რომელნიც უბრწყინავდნენ. ასეთი ბრწყინვალე თვალებით მანანამ შეჰხედა ვანოს, შემდეგ ყვავილებს დაჰხედა და რაღაც ქალური სინაზით ყვავილებისაკენ დაიხარა, არა პირდაპირ, არამედ გვერდით ჩაუჩოქდა ყვავილებს შორი-ახლო მიუალერსა და არც ერთი არ მოუწყვეტია. მანანას ახლდნენ ტოლები. მათ თაიგულები დაჰკრიფეს; ისინი მანანას დასცინოდნენ, მაგრამ მორიდებულად, რადგან დაბრუნებულიყვნენ სასაფლაოდან, სადაც მანანას დედის საფლავზე ბევრი ეტირა. ოდნავ დასწითლებოდა მანანას თვალები; იგი ვანოს დედას ბავშური სითამაშით და მშობლიური ნდობით მკლავთ ეკვროდა.

ამ დროს ვანოს დედა იყო დინჯი და უეჭველად ბელნიერი.

ვანო მადლობელი იყო მანანასი.

არც ვანოს, არც დედას მანანასთვის ყვავილები არ მიუწოდებიათ.

ვანოს ერთი უცნაური შემთხვევა ახსოვდა: ვანო და მანანა, მდინარის პირად ხეივანში ისხდნენ. გამოჩნდნენ დოდიკო და კოტიკო, რომელთაც მოჰყვებოდა მათი დედა. ბავშვებმა იყვირეს.

— დეიდა მანანა! — და სირბილით გამოიქცნენ. დოდიკოს ხელთ ეჭირა ვარდის თაიგული, რომელიც მანანას აჩუქა. რა ბავშვები და მათი დედა წავიდნენ, მანანამ თაიგული იყნოსა და სრულიად მოულოდნელად შესწყვიტა სიცილი, თაიგული ხელიდან გაუვარდა და დაიწყო ტირილი.

ვანო ძლიერ შესწუხდა. დაიბნა. მან აიღო თაიგული, რომელიც იყო ჩვეულებრივი ვარდების კონა და გამოსცემდა საამურ სუნს.

— რა არის მანანა, რა! — ჰკითხულობდა ვანო.

მანანა ტირილით უპასუხებდა, რომ: ეს არის სისულელე და მალე გაივლის. შემდეგ უპასუხებდა, რაღაც მოაგონდა, რისი გადმოცემა მას არ შეუძლია, მხოლოდ ვანოს სთხოვდა დამშვიდებულიყო.

მანანა ამბობდა მართალს.

დედის გარდაცვალების მეორე დღესვე, მკურნალს, ძია ალექსის გამოეგზავნა „დეზინფიკატორი", რომელმაც დედის ოთახში რაღაც თეთრი სითხე მოასხურა და ფანჯრები და კარები დაახშო, დაჰთეგა. ოთახი ერთი კვირის შემდეგ გააღეს. წამალს იქაურობა დაეთეთრებია, თითქოს გაეხრწნა და ყველაფერი იწვევდა ტირილს.

კიდეც სტიროდნენ. ამ დროს, პაწია მაგიდის ყუთიდან შემთხვევით გადმოვარდა პაწია შუშა, რომელიც გატყდა; შიგ მდგარიყო ვარდის სუნნელი; სუნნელი მანანას ეჩვენა არა საამური, არამედ მძაფრი და კიდევ უარესი ვიდრე მძაფრი, რომელიც ერთბაშად იწვევდა ბოელ სურათს გარდაცვლილ დედის ცხედრისა.

ეს სურათი ეხლაც აღდგა მანანას წარმოდგენაში.

ვანომ ეს არ იცოდა. არც შემდეგ გაუგია, მხოლოდ აღლო, აიღო, რომ მანანა ერიდებოდა ვარდებსა და ყვავილებს.

ვანო ტალავერში შევიდა. უეცრად მას რაღაც მოაგონდა და წარბები შეიკრა. (ქალაქის საათი რეკავდა ამ დროს დილის შვიდსა თუ რვას.) წუხელის ახალგაზრდა უთნელიძემ იგრძნო შიში. კამათობდნენ კოტე და იონა. მთელი პატივისცემა, სიყვარულიც კოტეს მხარეზე იყო, რადგან კოტე ჰღელავდა; ის ჰკვეთდა სიტყვებს და დროგამოშვებით თითქოს იონას ათამაშებდა.

იონა ღელავდა. ის ჩქარობდა შეეგნოთ მისი ჭეშმარიტება, მაგრამ ამ სიჩქარეში უპირატესობას ჰპოულობდა არა კეთილი სურვილი, არამედ მოუთმენლობა სწრაფი სულისა და მოუთმენლობასთან ერთად მუქარა. იოსამ სთქვა:

— ვაი თქვენი ბრალი, ხელი თუ იარაღზე წაგიცდათ!..

ეს ისე სთქვა, თითქოს ნატრობდა, ხელი წასცდენოდათ. შემდეგ, მოკამათენი ერთმანეთს თვალებში ჩასცქეროდნენ, მრისხანებით აღსავსენი: ამისი დანახვა იყო მძიმე: მათ სძულდათ ერთი-მეორე, მათ შეეძლოთ ერთი-მეორე მოეკლათ. მაშინ ვანომ დალია ღვინო, რადგან იგრნო შიში თუ სიცივე. შიში არა იმიტომ, რომ მას მოელოდა ვნება, არამედ იწყებდა ჩენას რაღაც სიავე რაიც თურმე ადამიანთა ურთიერთობაში ყოფილა შესაძლებელი.

იქნებ მართალი იყო ის კაციც, რომელიც წვერ-ულვაშ გაპარსული, უკვე ხნიერი, კათოლიკურ სასულიერო პირსა ჰგავდა და ვანოსთან და ვანოს მამასთან ერთად, ორთვალაზე იჯდა. ის კაცი ისე ლაპარაკობდა თითქოს ჰქადაგებდა, მაგრამ ხშირად იცინოდა და როგორც ვანოს ეჩვენა, იცინოდა უადგილოდ.

ორთვალაში ებათ ორი ცხენი. ცხენთ ებათ ეჟვნები და იმ წვერ-ულვაშ მოპარსულ კაცის სიცილი ჰგავდა ეჟვნების ჟღარუნს: მრავალ-ხმოვანი, არა საამური.

ის კაცი ამბობდა:

— თქვენ იცით მგლის ორმოები, რომელთაც ზევიდან ქვეროებით ჰფარავენ. აი, თურმე ცხოვრება აღსავსე ყოფილა ასეთი ორმოებით. ბოლშევიკებმა ორმოები გამოაჩინეს და ჩვენ, თავზარდაცემულნი შევყურებთ მათ და ნაბიჯი ვერ გადაგვიდგამს. ასეთივე ფარული ორმოები აღმოჩნდა ჩვენს სულიერ ცხოვრებაშიაც, რომლის საფუძველი გვეგონა მყარი და ჰარმონიული. აჰა, ამიტომ იყო ამდენ ხანს. ცხოვრება მიდიოდა დინჯად და ხალხი თვის ურთიერთობას, რაღაც დღესასწაულებრივი სიდარბაისლით აღასრულებდა! უყურეთ აწი რა მოხდეს!

წვერ-გაპარსული კაცი თითს ზევით იშვერდა და ისეთი კმაყოფილებით იცინოდა, რომ უეჭველია, თვითვე მოსწონდა თავისი ნათქმი.

შესაძლებელია ის ყოფილიყო მართალი, მაგრამ ვანოს მისი ნათქვამი არ მოეწონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო მუშაობდა „აგიტ-პროპ“-ში — აგიტაცია-პროპაგასდა მას აძლევდნენ შეკვეთებს პოლიტიკურ თემებზე და ის ხატავდა პლაკატებს. ხოლო როდესაც ძისცეს თემა: სჭამს ის, ვინც მუშაობს!, ვანოს მოაგონდა წვერ-ულვაშ მოპარსული კაცი. გამოდიოდა, რომ ადამიანს შეეძლო, ადამიანივე სიმშილით მოეკლა და როგორც უთნელიძეს ეჩვენა, აგიტ-პროპი მისგან მოითხოვდა გაეტარებია სწორედ ასეთი სიკვდილის მუქარა.

ვანომ ეს არ ჰქნა. პლაკატი დასწერა დაახლოებით ისეთი, როგორიცაა ხარმაცი მოსწავლის უსადილეოდ დატოვება. ეს გამოვიდა სასაცილო და რაღაც ბავშური. აგიტ-პროპის გამგემ, ხელოვნების მოყვარულმა და მფარველმა, ჯერ სათვალეებით უყურა პლაკატს, შემდეგ სათვალეები მოიხსნა:

— ჰა შე კონტრ-რევოლუციონერო! — სთქვა მან და გაიცინა. პლაკატი მოწონებულ იქნა. გამგემ შემდეგ უთხრა ვანოს:

— ამხანაგო უთნელიძე, თქვენ გინდათ ეს ხუმრობად გადააქციოთ, მაგრამ ეს არაა ხუმრობა! ესაა სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა!

ასეთ სიტყვებს სიმძაფრე დაჰკარგოდათ და ისინი, ვერავის შიშს ვერ ჰგვრიდნენ. გამგე ამბობდა აგრეთვე:

— ნიჭიერი ხართ ამხანაგო უთნელიძე! ჩვენ, თქვენ უნდა მიგავლინოთ მოსკოვის სამხედრო აკადემიაში.

დღეს, რამდენიმე დღეა უკვე, ვანოს უნდა დაეწერა პლაკატი: „კომსომოლი აფეთქებს ღმერთს“.

ვანო ყოყმანობდა. შეიტყობდა დედა, მამა. სანაპირო ქალაქი პატარაა; ყოველი მორწმუნე ადამიანი შეიტყობდა და დასწყევლიდა ვანოს.

ჯერ პირველადვე მამას, დედისათვის საყვედური ეთქვა: თურმე ვანო კომუნისტებს ჰშველისო! — დედას როგორლაც დაემშვიდებია. ვანოსათვის კი, არაფერი უკადრებია მამას.

ის ვითარება, რომ მორწმუნენი ვანოს აუმხედრდებოდნენ, ცოტათი სახალისოც იყო და ვანოს აღიზიანებდა და სამოქმედოდ იწვევდა:

— ბოლოს-დაბოლოს ვანოს რომ არ დაეწერა, სხვა შეასრულებდა. — მაგრამ საქმე იმაშია, რომ უთნელიძის განკარგულებაში იყო მხოლოდ მასალა: ეკლესია, რომელსაც ანგრევენ და ხალხი, რომელიც ეკლესიას ანგრევს; ეს მასალა ვანო უთნელიძემ ვერ მოაწესრიგა, ვერ დაიმორჩილა, ვერ მისცა შინაარსი.

ხშირია შემთხვევა, ახალგაზრდები, როდესაც რაიმე სასწავლებელს ამთავრებენ, ერთი-მეორის მიბაძვით, განა გავლენით ირჩევენ ერთსა და იმავე ასპარეზს. ასე მოხდა სანაპირო ქალაქშიაც შარშან, როდესაც ვანომ გიმნაზია დაასრულა. მასთან ერთად, ხუთიოდე ახალგაზრდა აღმოჩნდა მხატვრობით გატაცებული.

ხუთივენი ვანოს უპირატესობას ანიჭებდნენ, ხუთივენი ვანოსათნ მუშაობდნენ და რადგან პლაკატი დღეს უნდა დაწერილიყო, ვანომ გადასწყვიტა მათთვის მიენდო მისი შესრულება.

ასეთ ფიქრებში გართულ ვანოს, მუხლთ დაეძგერა გელეში. ძაღლი საყვედურითა და სიყვარულით ჰყეფდა და ცდილობდა რაც შეიძლება მაღლა ამხტარიყო, რომ დაეკოცნა პატრონი.

— ნეტავ ვინ შემოუშვა! — გაიფიქრა ვანომ.

კვიპაროსებში გამოჩდა მომავალი მამა. იგი აუჩქარებლად მოდიოდა. სულ ახლოს იყო ტალავერთან მურზა უთნელიძე, როდესაც დაამთქნარა და ძველი ჩვეულების მიხედვით პირჯვარი გადაიწერა:

— დიდება შენ, ღმერთო!

12

სოლომონ ფერეულის ყანა მდებარეობდა ქალაქს გარეედ, მდინარის პირად.

მზე იწყებდა ამოსვლას, როდესაც მამა და შვილი მუშაობას შეუდგნენ. კოტე მუშაობდა მდუმარედ. მამაც იძულებეული იყო მდუმარედ ყოფილიყო. თოხით მუშაობდნენ. სიმინდს მარგლავდნენ. ეს იყო ადვილი და საამური სამუშაო; საამური ძითი აგრეთვე, რომ ყანაში ნორჩი სიმინდის სუნი ტრიალებდა. სოლომონმა ამაზე ერთჯერ სთქვა:

— დიდებულია სწორედ, ბატონო! — ხოლო სუნნელება სიმინდისა არ უხსენებია, რადგან ჯერ ერთი არ იყო დარწმუნებული, სიმინდი მართლა სუნნელოვანი თუ იყო, გარდა ამისა, სუნნელოვნების განცხადება იქნებოდა რაღაც დიდკაცური, არა შესაფერისი ადგილისა და გარემოების. მუშაობაში მამა ხშირად დგებოდა და თვალს ავლებდა გარემოს: ნაწვიმარზე ძალ-ღონით ავსილ ყანას მუქი ფერი დაჰკროდა, თითქმის გაშავებულიყო.

ყანიდან მოსჩანდა მდინარე. იგი იყო ადიდებული; მუქი და მღვრიე სწრაფად ილტოდა, მოჰქონდა გაშავებული ხეები და ღმუოდა.

შორს, მდინარე სადაც უხვევდა, წამით გამოკრთა მომცრო ნავი და მიიმალა. შემდეგ მოისმა სტვენა და სტვენას მოჰყვა ძახილი:

— ეჰე-ჰეი — ნავიდან იძახდნენ. ძახილს კოტე გამოეხმაურა; მუშაობას თავი ანება და ნაპირისაკენ გაემართა.

მამა განაგრძობდა მუშაობას. მას არ გამოუჩენია ცნობის მოყვარეობა. მოხუცი შეეჩვია — ბევრი რამ არ დაენახა, ბევრი რამ არ სცოდნოდა, რადგან გრძნობდა, რომ აქ იყო რაღაც საიდუმლოება, რომელსაც შვილები, მამა იმედოვნებდა, არ დაუმალავდნენ საჭირო რომ ყოფილიყო.

კოტე დაბრუნდა უცნობი გლეხის თანხლებით. გლეხი იყო ხნიერი და რადგან ნავში იჯდა, უთუოდ მიტომ ფეხთ არაფერი ეცვა. იგი ათვალიერებდა ყანას. ყანა მას მოსწონებოდა და ეს მოწონება უსიტყვოდ გამოამჟღავნა; როდესაც სოლომონს მდაბლად მიესალმა:

— დილა მშვიდობისა, ჩემო ბატონო!

სოლომონმა უპასუხა:

— ღმერთმა გაადღერგძელოს, ჩემო ბატონო!

გლეხები ხშირად მოდიოდნენ ყანაში. ესენი იყვნენ კოტეს ნაცნობები და ყოველ მოსვლაზე, კოტე მათთან საიდუმლო ბჭობას მართავდა, მამა ამჩნეცდა, რომ ამ ბჭობას განაგებდა თვით კოტე.

ერთჯერ, ბოლშევიკები ახალი შემოსული იყვნენ საქართველოში, კოტეს შეხვდა ხნიერი ქართველი მუშა. ეს კაცი იყო წარმომადგენელი მუშათა პარტიის და სანაპირო ქალაქში ცნობილი იყო თავისი გონიერებით.

კოტეს იგი მოესალმა ძველი ნაცნობივით და მიუხედავად იმისა, რომ დარი იდგა კარგი და ასეთ დროს იწყებენ შორიდან და ახსენებენ დარსაც, ნაცვლად ამისა, მან პირდაპირ მოსჭრა:

— კოტე ფერეულო! მე თქვენთან საქმე მაქვს. ჩვენს ქვეყანას დღეს უჭირს! არ არის ბევრი ლაპარაკი საჭირო. ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას და შენც გამოგიარეთ. თუ რომ შემცდარი ვართ, გამოგვიცხადე!

კოტემ უპასუხა:

— არ შემცდარხართ!

ამის შემდეგ მოდიოდნენ გლეხები. რამდენჯერმე ახალგაზრდა გლეხებმა მამა და შვილს მუშაობაშიაც უშველეს და მაშინ, სოლომონმა თავისი თავი წარმოიდგინა დაბერებულ კაცად, ისეთად, როგორიც იგი ნამდვილად იყო სხვათა თვალში და მას იამა, რომ უფროსი ბიჭი მოესწრო და ყველაფერზე ზრუნავს.

გლეხი მალე წავიდა. წასვლის წინ გლეხმა კიდევ ჰკითხა კოტეს:

— მაშ თომას კარავში არა!

— ჰო, მაგრამ ფრთხილად თუ კაცი ხარ!

— კი შენი ჭირიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავი სწრაფი სრბოლით აჰყვა მდინარეს; ნავს გადაჰქონდა ცოტაოდენი საომარი იარაღი: თოფები და ვაზნები.

ამის შემდეგ, მართალია კოტე განაგრძობდა დუმილს, მაგრამ ემჩნეოდა რაღაც მხიარულება. მან წამოიძახა:

— აბა, ბატონო სოლომონ!

ეს იყო ოჯახური გახუმრება, დადგენილი ჯერ კიდევ კოტეს ბავშობის დროიდან და წარმოადგენდა სურვილს მამის გაჯავრებისა.

ამ გახუმრებაზე მამას მუდამ ეღიმებოდა და ეხლაც გაეღიმა. ცოტათი იყო დასანანი, რომ მამას არ შერჩა უპირატესობა ხუმრობისა თუ ლაპარაკის დაწყების და როცა ის ლაპარაკს იწყებდა, მას ხშირად არ ეხმაურებოდნენ, მაგრამ „ჩემო ხელმწიფევ დრო თავისას შვრება!"

ამჟამად კოტეს წამოძახილი: აბა, ბატონო სოლომონ! — იმას ნიშნავდა, რომ ყანას დღეს მორჩებოდნენ, დაძლეული იყო ამდენი სიძნელე და ამის შემდეგ, შეეძლოთ დამშვიდებით ეცადათ სანამ სიმინდი დამწიფდებოდა.

კოტე იცინოდა და გაშავებულ სახეზე სდიოდა ოფლი.

— ო შე ქაჯო, შეხედეთ ნეტავ რას გავს . . . — ბუტბუტებდა ამ დროს მამა. მამა იღიმოდა თავმომწონედ, რადგან იცოდა კოტეს მუშაობაში ვერ გაუმკლავდებოდა მიუხედავად იმისა, რომ ეს კოტე იყო ის ბავში, რომელიც ერთჯერ მამამ მოატყვილა.

ეს იყო ძველად. ბუხრის წინ, სადაც ცეცხლი ენთო, კოტე თამაშობდა.

მამამ სთხოვა:

— მომაწოდე შვილო ნაკვერცხალი!

ბავშმა მაშა ვერ ნახა. მამამ გაახალისა:

— არ გცხვენია, ხელით მოიტა! — კოტე გაბრიყვდა; და მხოლოდ იმითი დაიწვა ბავშური სათუთი ხელი, რომ თითები ნაკვერცხალთან ახლო მიიტანა. მაშინ პატარა კოტემ მამას შეჰხედა დიდი საყვედურითა და უნდობლობით და თუმცა თვალთ ცრემლები არ გაიმეტა. დედის ოთახისაკენ გაბაჯბაჯდა და რა დაინახა დედა, მხოლოდ მაშინ იწყო ტირილი. მამა ბავშს დაედეენა:

— ბატონო კოტე, ბატონო კოტე!

თავს დასტრიალებდა მტირალ ბავშს მამა, რომელსაც მართლა ვული ეტკინა. ბავში იყო დედის კალთაში და რადგან მამა არ ეშვებოდა და უეჭველია (ბავშს ასე ეგონა) დასცინოდა, ბავშმა უეცრად მამას გაჯავრებით დაუყვირა:

— ბატონო სოლომონ!

ამისი დავიწყება ბატონმა სოლომონმა არ ისურვა. ის ხარხარებდა ვით გიჟი და ბავშს ჰკოცნიდა. შემდეგ ნაცნობებს მოუთხრობდა და მაშინაც გიჟივით იცინოდა.

ბატონი სოლომონი და ბატონი კოტე, მუშაობით მდინარის პირად გავიდნენ. მდინარეს მოჰქონდა ქაფი და მრავალი, კალიას დაგვარი მწერი, რომელთაც დაღლილობის გამო ფრენის უნარი წართმეოდათ და უმწეოდ ჰფარფატებდნენ და ცვიოდნენ მდინარეში. მათ ჰყლაპავდნენ ღლავები, რომელთა დაღებული, შავი და ლორწიანი ლაყუჩი აქა-იქ ჩნდებოდა მდინარის ზედაპირზე.

მდინარე იყო ბინძური და კოტე ფიქრობდა:

— შეუძლებელია დღეს ბანაობა, დაისვრები!

იგი ყოველ დღე ბანაობდა და მამა უცქეროდა ნაპირიდან.

მამა ჰფიქრობდა:

— აი, დგას ადამიანი ჰაერში დედამიწაზე დაბჯენილი და მიმოდის და ცხოვრობს; ღლავს ეს არ შეუძლია და საზოგადოდ განსაცვიფრებელია, რომ ადამიანს შეუქმნია მრავალი ისეთი მანქანა, რომელიც ძალ-ღონითაც აღემატება ადამიანს და გამძლეობითაც! — ასე გაიფიქრა სოლომონმა მაშინ, როდესაც მეორე ნაპირზე გამოჩნდა ტფილისის მატარებელი.

მატარებელი მოჰქროდა ნორჩ თხემლნარში, ანდა მოახლოვებული ჰკიოდა და კვამლი მანქანისა ეფინებოდა მიდამოს.

თუმცა ყოველივე ეს ჩვეულებრივი სანახაობა იყო, სოლომონს მოეჩვენა, თითქოს ყოფილიყო აღსავსე მშვენიერებით, რომელსაც პირველად ჰხედებოდა.

ეს იყო განსაცვიფრებელი, რომ ყოველივეს პირველად ხედავდა! ასე ჯერ არასოდეს არ ეფიქრა და რადგან იგი, არავის წინაშე არ იყო ვალდებული თავის ფიქრებში ყოფილიყო მწყობრი, ამიტომ მან გააგრძელა ფიქრი იმ მშვენიერებათა შესახებ, რომელთა შორის იგი ტრიალებდა, რომელთა აზრს, დღეს თავისებურად წვდებოდა და მარტავდა, თუმცა სიტყვით გადმოცემულნი ხდებოდნენ სასაცილონი, როგორც მაგალითად: დედამიწაზე დაბჯენილი ადამიანი, რომელიც დგას ჰაერში!

კოტე გამოეხმაურა მამას:

— უთუოდ ლევანი გვეახლა მამა!

სოლომონ ფერეული იყო განცვიფრებული და მოხიბლული.

13

ბადრიძეების ნახვით აღელვებული ლევანი დაბრუნდა სადგურში. სადგურს ეხვია დილის ნისლი. ყველაფერი მოწყენილი, ღარიბი. ხალხი, რომელიც უმთავრესად შემოსილი იყო ძველი და დახეული მხედრული სამოსით, ჰგავდა ლტოლვილს.

მზე ამოვიდა და მატარებელი დაიძრა.

რონოდაში ხალხი ნაკლები იყო. ლევანი იჯდა და სთვლემდა; ნამდვილად კი, სმენად ქცეული, მილულული თვალებით გასცქეროდა შემოსასვლელ კარებს, საიდანაც შესაძლებელი იყო შემოსულიყვნენ ჩეკის მოხელენი, რომელნიც ხშირად სჩხრეკდნენ მგზავრებს. ლევანმა არ იცოდა როგორ მოიქცეოდა ჩხრეკა რომ მომხდარიყო, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მგზავრებს წინასწარ ვინმე გააფრთხილებდა და გადასწყვეტდა მაშინ.

ჩხრეკა არ მომხდარა და დილის ათზე, ტფილისის მატარებელი მოვიდა სანაპირო ქალაქის სადგურში.

სადგური იყო უხმაურო. ლევანმა რონოდაში შეიცადა სანამ მგზავრები მატარებლიდან დაეშვებოდნენ; საეჭვო არაფერი სჩანდა; სამიოდე ჩეკის მოხელემ, რომელნიც უთუოდ ამავე მატარებლით მოვიდნენ, ჩქარი ნაბიჯით ჩაიარა ბაქანი; არაჩვეულებრივი ამაში არაფერი იყო, რადგან ისინი ყოველ მატარებელს დაჰყვებოდნენ და ყოველ სდგურზე ჰქონდათ თავისი განყოფილება. ჩაიარა, თავისი აღმა-დაღმა სიარულით გოგია კოკოსაძემაც და ლევანი დაეშვა დაბლა. ლევანს ხელთ ეჭირა კალათი, რომელსაც იგი ცდილობდა და კიდეც ატარებდა მსუბუქად. კალათში ორად შეხვეული ეწყო ასოები, დაახლოებით ოცდახუთი კილოგრამი, ხოლო ზევიდან ყურთ-ბალიში.

მგზავრებთან ერთად ლევანმა გაიარა ხიდი. ხალხი შეჰყურებდა ადიდებულ მდინარეს. ხიდი არ ჰქონდა გაელილი ლევანს, რომ შენიშნა სადგურიდან მომავალი ორი ჩეკისტი. არც ეს იყო არაჩვეულებრივი, მაგრამ ლევანმა ოდნავ აუჩქარა. შესახვევს რა მიეფარა. ლევანი წავიდა სწრაფად და რა მოიხედა, თითქოს შემთხვევით, აღმოჩნდა, რომ ის არ იყო იმდენად დაწინაურებული ჩეკისტებისაგან, როგორც უნდა ყოფილიყო. მაშასადამე მოსდევდნენ! შესაძლებელია არც მოსდევდნენ, არამედ ეს ყოფილიყო უბრალო შემთხვევა, მაგრამ ახალგაზრდა კაცს მართებდა სიფრთხილე.

ამის შემდეგ ის მიდიოდა ისე, როგორც ადამიანი, რომელიც სახლში მიიჩქარის. პაპიროსიც მოსწია გზაზე და როდესაც ასანთს გაჰკრა, ოდნავ შესდგა, რათა მისი მოქმედება ყოფილიყო აუღელვებელი და არა საეჭვო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქში გავიდნენ. ქუჩები იყო ცარიელი. ჩეკისტები ისევ მოდიოდნენ; ისინი მოაბიჯებდნენ მდუმარედ და უთუოდ იცოდნენ, რა უნდა ექნათ.

ლევანმა მათი განზრახვა არ იცოდა. დარწმუნებული რომ ყოფილიყო მას მოსდევენ, ლევანი რომელიმე ოჯახში შევიდოდა, თუნდაც უცნობი ყოფილიყო იგი და ასეების დამალვას მოასწრებდა, მაგრამ ტყუილ-უბრალოდ მღელვარების გამოჩენა არ ვარგოდა.

ამრიგად ლევანი მიუახლოვდა ქალაქის ხეივანს, სადაც ყოფილ სავაჭროებში თავსდებოდა სხვა-დასხვა დაწესებულებანი და მათ შორის აგიტ-პროპი. აგიტ-პროპის მოგონებაზე ლევანი სიხარულით კინაღამ შეხტა. მას დაებადა აზრი და ამის შემდეგ, მანაც იცოდა რა უნდა ექნა.

ლევანი აგიტ-პროპის განყოფილებაში შევიდა. ფართე დარბაზში, სამი ახალგაზრდა კაცი ფუსფუსებდა; მათ განაგებდა ვანო უთნელიძე. ახალგაზრდებს იატაკზე გაეფინათ ვეებერთელა ქაღალდი, სადაც ნახშირით დაეწერათ სურათის გეგმა. მათ ყალმები ეჭირათ და სურათს ფერადებით ასრულებდნენ.

ლევანმა თვალი მოჰკრა სურათზე ეკლესიის გუმბათს, რომელსაც ჯვარი ჰქონდა მოტეხილი; აღნიშნა აგრეთვე ლევანმა რამდენიმე სათლი, სხვ-დასხვა ფერის საღებავით სავსე. ყმაწვილებმა რა ლევანი დაინახეს, მუშაობას თავი ანებეს და მხიარული გაკვირვებით წამოიშალნენ, მაგრამ ლევანმა ანიშნა ჩუმად ყოფილიყვნენ; მან სასწრაფოდ გახსნა კალათი, ორი, ქაღალდში შეხვეული რაღაც ამოიღო და ერთი, ერთს სათლში ჩასძირა, მეორე მეორეში. ჩეკისტები მოვიდნენ. როდესაც ისინი კარებში გამოჩნდნენ, საქმე გათავებული იყო და ლევანი მხატვრებს ხელს ართმევდა და სიცილით ამბობდა:

— გამარჯვებათ თქვენი ბიჭებო, გამარჯვებათ!

ჩეკისტებმა ჯერ იქაურობას მოავლეს თვალი, შემდეგ ერთმა მიმართა ლევანს:

— წამოდი ჩვენთან ამხანაგო!

ლევანი გაკვირდა:

— მე- ე? კეთილი, მაგრამ თქვენ უთუოდ ცდებით; მე მქვია ლევან ფერეული, თქვენ ვის ეძებთ?!

საუბარი სწარმოებდა რუსულად. ლევანს უპასუხეს მკაცრად:

— არ არის საჭირო დროს დაკარგვა ამხანაგო, წამოდით!

წავიდნენ. თან წაიღეს კალათი. მხატვრები ჩუმად იცინოდნენ. ვანომ იხუმრა:

— ბიჭებო, ნამდვილად ყუმბარებია! არ აგვაფეთქოს მაგ ოხერმა ლევან ფერეულმა.

14

საგანგებო კომისია თავსდებოდა ძველსა და ვეებერთელა, ორსართულიან ხის შენობაში. შენობა იყო ჩამორთმეული; უმხიარულო, დაღვრემილი შენობა.

ჩეკისტებმა ლევანი ჯერ პაწია საგუშაგოში დასტოვეს, შემდეგ ეზოში გაიყვანეს და საკანში მოათავსეს.

— დაისვენეთ ამხანაგო ფერეულო! — სთქვა ჩეკისტმა, რა ლევანმა საკანში ფეხი შესდგა.

ლევანი აენთო, დაიყვირა: ბრიყვო! კარები გადარაზეს და ლევანს ესმოდა, როგორ გაშორდა იქაურობას ჩეკის მოხელე და როგორ მიმოდიოდა ამის შემდეგ გუშაგი. მეტის-მეტად ვიწრო საკანი, სადაც ლევანი მოექცა, უთუოდ ერთი კაცისათვის იყო გათვალისწინებული. შიგ ბნელოდა, მხოლოდ მაღლიდან, სადაც სარკმელზე აეჭედებიათ ფიცრები, ჭუჭრუტანიდან ოდნავ აღწევდა ცოტაოდენი სინათლე. დასაჯდომი არ იყო და ლევანი იატაკზე დაჯდა.

ყველაფერი ეს იყო უჩვეულო.

ახალგაზრდა ფერეულმა მუხლებზე ხელები შემოიჭდო. მალე თვალები სიბნელეს შეეჩვიენ, ლევანი მხარ-თეძოზე წამოწვა და ახალგაზრდა კაცს დაუბრუნდა ჩვეულებრივი განწყობილება; მალე იგი სრულიად გამხიარულდა, იცინოდა, ფეხზე წამოდგა და ისევ დაჯდა: მას ბევრი რამ აგონდებოდა და ერთსა და იმავე დროს, სხვა-დასხვა ნაირად აღელვებდა:

— თუ ერთობ ღმერთი არ გასწყრა, ასოები გადარჩენილია და იმ ასოებს ღმერთმა გაუმარჯოს! მაგრამ კაცი რომ ავკაცობას ჩაიდენ და ბაღში მოქალაქეს გასძარცვავ, ტყუილია, არ შეგრჩება და სხვაგან გამოგიწევს! — ლევანი ამაზე იცინოდა.

ლევანი ცდილობდა წარმოედგინა, თუ ვინ როგორ შეხვდებოდა მისი დაჭერის ამბავს: ასეთი წარმოდგენა იყო სასიხარულო და ტკბილი;

მამა — ჯერ უთუოდ ხელებს გაშლიდა და განრისხების წინ, გაუგებრობაში მყოფი ასე დაიწყებდა:

— მაგრამ ჩემო ხელმწიფევ, რისთვის . . .

ნათლად სჩანდნენ მანანასი და ბიცოლა ნინოს სახეებიც; შესაძლებელია ანიკოსაც გაეგო და ყმაწვილ კაცს წარმოუდგა მშვენიერებითა და მწუხარებით აღსავსე ჭაბუკი ქალი, მხოლოდ ლევანმა ვერ მიაგნო: კოტე რას იზამდა:

ასეთ ფიქრებში გართულ ლევანს მოესმა კედელზე კაკუნი და ჩურჩული:

— ვინა ხარ კაცო, მარტო ხარ!?

უეჭველია ლევანს გამოელაპარაკენ და მან უპასუხა:

— ლევან ფერეული. ვარ მარტო.

ხმა კარგად ისმოდა, რადგან მეორე მხრივ, საერთო საკნის ტუსაღებს კედელი გამოეხვრიტათ.

— რა საქმეზე დაგიჭირეს!

ლევანმა უპასუხა: კაცი გავძარცვე! — და დაიწყო სიცილი. საერთო საკანში ეს ჩასთვალეს ხუმრობად და გაიცინეს.

ეს საერთო საკანი უმთავრესად, შესდგებოდა 26 მაისის ტუსაღებისაგან.

26 მაისი, დღე საქართველოს დამოუკიდებლობისა, მთავრობამ იდღესასწაულა, მხოლოდ მიტინგი ხელთ — ჩაიგდო ისეთმა ხალხმა, რომელმაც მთავრობას შეუტია:

— მოღალატენი! დამპყრობნი! გამცემნი!!

მაშინ მთავრობამ მოინდომა მიტინგის დაშლა; ხალხი არ დაიშალა. ჩაერია ჯარი, გაიმართა ცემა-ტყეპა, მიტინგი დაშალეს და მრავალი დაატუსაღეს.

— ყოჩაღად იყავ ფერეულო!

გაამხნევა საერთო საკანმა ლევანი. მალე საკანმა სიმღერა წამოიწყო: „ბერი კაცი ვარ ნუ მომკლავ . . .“

სიმღერამ ლევანი უფრო ააღელვა. შესაძლებელია ამ სიმღერით, ტუსაღები ლევანისადმი პატივისცემას გამოჰხატავდნენ, რადგან განსაკუთრებულ საკანში კაცი უბრალოდ არ მიჰყავთ, ხოლო როდესაც მიჰყავთ უბრალო ტუსაღები მას პატივსა სცემენ. კრინით დაწყებული სიმღერა მალე გაძლიერდა და მაღლიდან მოისმა იატაკზე განრისხებული ფეხის ცემა. ვიღაც გაჯავრებული, ხმამაღალი ლაპარაკით, უთუოდ ლანძღვით დაბლა ჩამოვიდა (იგი ჩამორბოდა ხის კიბეზე) და საერთო საკნის კარები გაიღო:

— ვინ მღეროდა!

სიმღერა შესწყდა. გაჯავრებულ ხმას, ვიღაცამ დამშვიდებით მიუგო, რომ არავინ არ მღეროდა და მღეროდა ყველა.

მეორე ხმამ იმავე კილოთი გააგრძელა:

— და თუ სიმღერას აგვიკრძალავთ, უთხარით მოქალაქე თავაძეს, რომ ჩვენც აუკრძალავთ მას სიმღერას, როდესაც ის გვეყოლება დატუსაღებული!

ლევანს სიცილი წასკდა; მხოლოდ საერთო საკანმა დაიმსახურა რისხვა; ჩეკის მოხელემ დაიწყო გინება და ტუსაღებს დაემუქრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი! დღეს და ხვალ თქვენ არ გექნებათ „გადაცემა“, აბა ვნახოთ როგორ იმღერებთ! — ეს სასჯელი საგრძნობი იყო, მაგრამ საერთო საკანმა, სადაც უმრავლესობა, როგორც ხმებზე ეტყობოდათ ახალგაზრდები იყვნენ — ასტეხა ხარხარი.

15

ნაშუადღევის სამზე, ვანო უთნელიძემ და მისმა სამმა თანაშემწემ, დახრულებული პლაკატი ქუჩაში გამოსაფენად გამოიტანეს.

პლაკატი წარწერით: ახალგაზრდათა კომ-კავშირი აფეთქებს ღმერთს! შესრულებული იყო ფერადებით, სადაც სჭარბობდა შავი.

ხეივანში მყოფი ხალხი, გულგრილად შეჰყურებდა შორიდან, ახალგაზრდა მხატვრების ფუსფუსს. არავის არ ჰგვრიდა სიამოვნებას ასეთ რამების ხილვა, მაგრამ ხალხის თავდაჭერაში მჟღავნდებოდა წინასწარი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა დაენახა გინდ მოესმინა, თავი არ გამოეჩინა, რადგან ყოველივე რაც ხდებოდა იყო წარმავალი.

მხოლოდ ერთმა ხნე-კაცმა საყვედური სთქვა:

— რა მართლა! თუ კი ეს აუცილებელია, განა რუსეთმა უნდა მასწავლოს ავი!? ხნე-კაცი არავის არ მიმართავდა, მან გული იჯერა.

ვანო უთნელიძის ჯგუფს „წყალქვეშამ“ ჩაუარა; წელში ძლიერ მოხრილი, იგი უთუოდ მიდიოდა სათევზაოდ; ბამბუკის ტარებზე გაწყობილი ანკესები, იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი. სურათს მან ცალი თვალით აჰხედა, ფეხი შეითრია, რათა ჩიბუხი აებოლებია და წავიდა.

სურათი გააკრეს. რამდენიმე ხანში, ორ ამხანაგის თანხლებით, ვანო შინისაკენ მიდიოდა. ახალგაზრდებს, მცველად დახვეული სამხატვრო ქაღალდები მიჰქონდათ, ხოლო ქაღალდში ედოთ ის რაღაც მძიმე, ლევანმა რომ დასტოვა.

ვანო უთნელიძის მშობლები სადილობდნენ.

ვანოს სკამზე იჯდა გელეში. მურზა უთნელიძეს ეს არ მოსწონდა და საზოგადოდ მას ჰსურდა, ვანო გამოსულიყო დარბაისელი და დარდიმანდი კაცი და არა ისეთი, როგორიც ის უთუოდ გამოვიდოდა თუ ასე ივლიდა.

ერთი რომ, მუშაობის დროს ვანომ იცოდა დაუსრულებელი სტვენა და ხშირად, როდესაც მარტო იყო, თავისთავს უღიმოდა; როგორც სჩანს ბავშს, ე. ი. ვანოს გულადობა არ აკლდა: იომა და დაიჭრა, მაგრამ ამ ბოლშევიკებთან დამეგობრება და მათთან სამასხური ვერაფერი საბარბიელო იყო; მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ მურზას არავისთვის არ შეეძლო ამ თავისი იჭვების გაზიარება.

მამასა და შვილს შორის დამკვიდრებულიყო მორიდება და პატივისცემა, სოლო დედას ვანო ისე უყვარდა, რომ ვერ წარმოედგინა იგი სხვა-გვარად ვიდრე იყო. ამის გამო, მურზა ნელი ამოხვრით ჰფიქრობდა:

„ასეა ბატონო, გვგონია შვილს ზრდი, საკუთარ ბავშს... და გამოდის სხვა კაცი“.

გელეში აყეფდა და სკამიდან ისკუპა. ვანო მოდიოდა ამხანაგების თანხლებით.

— უიმე, რაღა ვაჭამოთ ბავშვებს! — წამოიძახა დედამ. მამამ სთქვა:

— რაც ღმერთმა მოგვცა.

დაუწყეს ლოდინი. ახალგაზრდები იგვიანებდნენ; ბოლოს მშობლებმა დაინახეს, რომ ისინი ისევ უკან მიდიოდნენ და დედა მათ დაედევნა.

დედას ვერ წარმოედგინა: კაცი სახლში მიხვიდე და უსადილოდ ბრუნდებოდე! თავის მხრივ, ვერც ვანოს წარმოედგინა, თუ როგორ შეიძლებოდა სადილზე ფიქრი ასეთ დროს, როდესაც საკეთებელი იყო ამდენი საქმე.

— მე არ მინდა სადილი — სთქვა ვანომ — თუ ყმაწვილებს სურთ, ისინი ისადილებენ.

ვანო წავიდა. ამხანაგებიც წავიდნენ. დედას ეს ისე ეწყინა, რომ მხოლოდ შემდეგ მოაგონდა, თუ როგორ დაავიწყდა, ვანოს ამხანაგებისათვის მაინც ეთხოვა სადილად დარჩენა.

16

ვანო მიდიოდა ლევან ფერეულის სახლში.

ნაწვიმარზე, მეტად ცხელოდა და ახალგაზრდა კაცი ცდილობდა ჩრდილში ევლო, თუმცა ის იმდენად აგზნებული იყო, რომ მხოლოდ დრო-გამოშვებით ჰგრძნობდა შუადღის მხურვალებას, ჩრდილსა, თუ სუნნელებას აყვავებულ ხეებისა, რომელნიც ეზოებში გაშლილნი, ფილაქანასაც ეფინებოდნენ;

ყმაწვილ კაცის წარმოდგენით ყველაფერი უნდა მომხდარიყო მარტივად: ის მივიდოდა სოლომონისას და იკითხავდა მანანას. ვანო და მანანა მესამე დღეა ერთი-მეორეს ემდურიროდნენ და მანანა, უეჭველია შედიდურად თუ არა, გაკვირვებით მაინც შეეგებებოდა ვანოს; მაშინ ვანო იტყოდა: „ჩემო ბატონო, საქმეა ასე და ასე . . .“ მანანას თავზარი დაეცემოდა და უთუოდ წამოიძახებდა: ვანოს სწადდა სწორედ ასე წამოეძახა მანანას: ვანო გენაცვალე!

დამდურების დღეს, იგი ეუბნებოდა მანანას:

— მანანა, ჩემო მანანა! შენ ისე იცინი თითქოს ვხედავდე აყვავებულ ატმის ხეს, რომელიც გაზაფხულზე აყვავებულა და ყვავილებს არხევს ქარი!

მანანა, როგორც სახეზე ემჩნეოდა, გულში ფიქრობდა: გადარეული!, მხოლოდ ჰფიქრობდა მფარველობითა და მზრუნველობით, აგრეთვე იცინოდა:

— ღმერთო, საიდან მოსძებნით მუდამ ისეთ ხეებს, რომელნიც უსათუოდ აყვავებულია!

ისინი ხშირად აზრს გამოხატავდნენ არა სრულიად, არამედ დაახლოებით.

მაგალითად მანანამ სთქვა:

— რა უწეს-რიგოდ მღერი?!

ვანომ უპასუხა:

— მე ასე მიყვარს წარმოიდგინე.

ასეთი დაახლოებითი ლაპარაკი, ვანომ მანანას შენიშნა და მოეწონა.

— აი, აქ შევიდეთ, საკმაოდ ჰყვავა!

ბაღში, სადაც ისინი შევიდნენ, მუქ-მწვანე მაგნოლიის ფოლებში ჰყვათოდნენ ვეება თეთრი ყვავილები, რომელნიც გამოსცემდნენ მძაფრ სუნნელებას.

— ასე მგონია — ამბობდა ვანო — ეს არის არა მარტო სუნნელება, არამედ სუნნელება, რომელიც ჰყვირის; აგრეთვე ჩემი აზრით, ფოთლები ისეთი მაგარი ფერისაა, რომ ადამიანს პირდაპირ ეხებიან! ხოლო ყვავილები, ისეა გაშლილი ვით სულგრძელობანი.

ასეთ ლაყბობაში იყო რაღაც ძალდაუტანებელი მშვენიერება, რაღაც აღტაცება და ყოველივე, მანანას მიზეზით. მანანა ამას გრძნობდა.

როდესაც ქალაქის საათმა სამის ნახევარი დარეკა, ისინი მდინარის პირად სეირნობდნენ, მანანა ასხლში უნდა წასულიყო და ვანოს მან ხელი გაუწოდა.

— დარჩი! — სთხოვა ვანომ.

მანანამ გააჯავრა: დარჩი მანანა!

კარგად ემსოდა ვანოს, რომ მას არ დასცინოდნენ და არა ამ მიზეზით აღელდა იგი და მგზნებარემ, იწყო სამდურავების ლაპარაკი:

— უნდა წახვიდე! სადილი დაგიგვიანდება და ასეთი მსხვერპლი მე არ დამიმსახურებია! რა თქმა გიცდიან! ეს ქალაქის საათიც სტყუის, აი, თუ არ გჯერა, ნახე . . .!?

ვანომ ხალათის გულ-ჯიბიდან მაჯის პატარა საათი ამოიღო. მანანას ჯერ თავ-დაუჭერელი სიცილი წასკდა, შემდეგ ოდნავ შეკრთომა დაეტყო, ხოლო როდესაც მან, ვანოსთან ერთად საათს დაჰხედა და აღმოჩნდა სამის ნა-

ხევარი და ამით გაჯავრებულმა ვანომ საათი მოიქნია და მდინარეში გადისროლა, მანანამ ხმა გაკმიდა.

— რატომ ეს — ერთი წამოიძახა.

პირველად მანანას ძლიერ ეწყინა, მაგრამ იმავ წუთში, იგი მოიცვა ისეთმა სიხარულმა და სიტკბოებამ, რომლის მზგავსი ჯერ არ განეცადა და რომელიც, ალლო აიძულებდა, არ უნდა გამოემჟღავნებია.

ვანო იდგა დაბნეული; სახეზე გაწითლებულიყო. ლოყაზე აჩნდა ხალი.

მანანა, ეს მდიდრული ქალწული უხმოდ შემობრუნდა და წავიდა. ეს გი არ ჰსურდა მანანას; მანანას ჰსურდა რაღაც სხვა: ჰუსრდა მიჰფერებოდა ვანოს, ლოყაზე ხალს ალერსით შეჰხებოდა და ყველაფერი რაც ჰსურდა, იყო გაურკვეველი ვით სიზმარი.

— ნეტავ, ძალიან დავაშავე? — ტანჯვით ფიქრობდა ვანო.

გულმა გამალებით იწყო ძგერა, რა ვანო მიუხლოვდა სოლომონ ფერეულის სახლს. იგი შორიდანვე თვალებით დაეძებდა მანანას, მაგრამ ეზოს კარები ისე შეაღო რომ არავინ დაუნახავს.

მოისმა ბიცოლა ნინოს ხმა მაღალი ლაპარაკი; ალბად ბავშვებს სტუქსავდა და ვანომ დაინახა ონისიმე ფერეულის მეუღლე ედუ. ედუმაც დაინახა ვანო და გაჰკვირდა. ვანოსა და მანანას მეგობრობა, ქალაქში, ახლობელთა შორის ცნობილი იყო და ამ მეგობრობას შეჰყურებდნენ მფარველობით, როგორც ბავშვების ურთ-ერთით გატაცებას. ამ მფარველობას ვანოც გრძნობდა; გარდა ამისა იგი კარგად იცნობდა ონისიმეს მეუღლეს, მაგრამ იმდენად მოულოდნელი იყო იმისი შეხვედრა (ვანო დარწმუნებული იყო მანანას შეხვდებოდა!) რომ ვანო, რა მანდილოსანს მიესალმა, დაბნეული შესდგა და ხმას არ იღებდა. შემდეგ ერთბაშად დაიწყო მობოდიშება, მაგრამ ისეთი თავგამოდებით, რომ აღემატებოდა თავაზიანობას:

— უკაცრავათ ვარ, ბოდიშს ვითხოვ, გთხოვთ მაპატიოთ . . .!

იმავ წუთში, ეზოს სიღრმეში გამოჩნდნენ ბავშვები ლალო და თინა. ისინი, თითქმის შიშველნი გაურბოდნენ ბიცოლა ნინოს, რომელიც მოჰყვიროდა:

— დამიჭირეთ ვინმემ ეს მოჯალაბენი, არ გაუშვათ! არ გაუშვათ!

ბიცოლა ნინოს ხელთ ეჭირა პირსახოცი და ბავშვები, თავზარდაცემულნი ჰკიოდნენ ბედნიერებით აღსავსენი მითი, რომ ბიცოლას გაექცნენ და დედა დაინახეს. გამოჩნდა მანანაც. ვანოს დახახვით გაკვირვებული, იგი შესდგა და მხოლოდ შემდეგ სახე გაუბრწყინდა და დაიწყო ღიმილი. ვანომ ეს დაინახა და იგი მოიცვა სიხარულმა.

ბიცოლა ნინომაც დაინახა სტუმარი და სახლში მიიწვია:

— მობრძანდი შვილო სახლში.

ბავშვები დედას მოეხვიენ. ისინი სასაცილოდ მთთხვრილიყვნენ და თინა ელუღლუღებოდა დედას: დედა, უთხარი დიდედას, პირსახოცი თავზე არ წამიჯიკავოს . .

ვანო გამხნევდა; არც გრძნობდა თუ გამხნევდა, მხოლოდ თავისუფლად, ვით მამაკაცი ქალებში, მიდიოდა მათთან ერთად და შესაფერისად აღელვებული, მოუთხრობდა ლევანის დატუსაღების ამბავს. არაფერი უთქვამს სტამბისა.

ქალები შფოთავდნენ. ნინომ დაიწყო მათი წყევა, ვინაც ქვეყანა არია. ასეთი შფოთვით, ქალებმა მოამზადეს ლევანის გადასაცემად სადილი, რომელიც წაიღეს მანანამ და ვანომ.

— მანანა, მანანა! ჩემო ძვირფასო მანანა!

ვანოს ისეთი ხმა ჰქონდა, ვით მთვრალს. რამდენჯერმე მანანამ, დაბლიდან, ცალი თვალით აჰხედა ვანოს; ასეთი ცქერით, ოდეს იგი იღიმოდა აგრეთვე, მანანა ვანოს ანიჭებდა უპირატესობას.

— მემდური? — ისევ მთვრალი ხმით იკითხა ვანომ. მანანამ მას თვალი გაუსწორა და გაიღიმა. იმდენი თავ-ბრუ დამხვევი სიტკბოება ჰპოვა ყმაწვილმა კაცმა ამ ღიმილში, რომ სწორედ ჰღირდა ამისათვის ტანჯვა, ამ სამი დღის დამდურების განმავლობაში.

ჩეკაში სადილი მიიღეს.

(გაგრძელება იქნება)

სამშობლოს

გ. ყიფიანი

მხოლოდ შენა ხარ ამა ქვეყნის უპირველესი
და შენს წინაშე მეტანიით ვლიან მლოცველნი,
შენზე დასწერა პოეზიამ პირველი ლექსი
მშვენების რითმით და მუსიკით განაოცარი,
მძიმე ფიქრებით დასნეულდა მოკვდა მგოსანი!
გადარჩა მხოლოდ წარმოშვება ულამაზესი.!

არ იცი კვნესა, არც სიცილი, არც ცივი ცრემლი,
არც უხეში ხარ, არც მოქნილი და ლმობიერი,
დაბადებიდან სიკვდილამდე ყველა მოგელის
შენი მონაა თვით, ეშმაკის სული ცბიერი
ასე ყველანი სიყვარულის სევდით ვხუცდებით,
მხოლოდ შენა ხარ ეთად-ერთი მუდამ უცვლელი!

დილა ამოდის იის. ფერი, მზე ოქროს აფენს,
ჰორიზონტიდან ეშვებიან მწვანე მინდვრები,
ხან ცა ლრუბლებით ემსგავსება გაშლილ ჟირაფებს,
ათასი ფერი ცისარტყელად შემოიკრების,
მიდის წლეები სიყვარულის ეშხის ფურცლები,
მხოლოდ შენა ხარ ერთად ერთი მუდამ უცვლელი!

შენვე წარმოშვი სატანჯველად სიცოცხლის სული,
და სიყვარულით მოევლინე როგორც ზღვის ტალღა,
სცემს დედა მიწა ცეცხლის ძარღვით შემოგარსული
და ყუმბარები ეცემიან საწუთროს საზღვარს,
შენგნივ შობილნი ნეშთვის ვკვდებით გამოუცდელნი,
მხოლოდ შენა ხარ ერთად ერთი მუდამ უცვლელი!

და შენ მშვენებას გარდაუალს სამარადისოს
ვუმღერ და ვეტრფი როგორც მონა მისი დიდების!
თუ შენი ხილვა ბედმა ჩემმა ისევ მაღირსოს,
მოგიძღვნი გრძნობებს აფერილი ლურჯი იებით!
დასრულდა ნატვრა; მოვლენები მეტად სწრაფია,
გახიზნულ წლეებს წაეწერა „ეპიტაფია“

ვიყავ დევნილი მქონდა ზრახვა ივერიელის,
მწამდა სამშობლო ყოველ ღმერთზე უფრო ძლიერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყალბი თარიღი — ყალბი დასკვნა!

(მგოსან აკაკის ცხოვრებიდან.)

ყველას ეხსომება აკაკის ლექსი, რომელსაც წინად „ხანჯალი“ ერქვა, ბოლოს კი მწერლის საიუბილეო გამოცემის 1 ტომში (1940 წ.) აღნიშნულია ახალი სათაურით „ხანჯალს“ და ქვეშ უზის 1905 წლის თარიღი. ეს სწორე არ არის!.. ჩვენ-მიერ ამ საგანზე ბაასის ჩამოგდება — უბრალო შესწორების შეტანა არ არის. ბოლოს და ბოლოს შესანიშნავი ლექსისათვის შეიძლება არც ისე მნიშვნელოვანი იყოს ცოდნა, თუ როდის არის დაწერილი იგი. მაგრამ ამ სიყალბესთან დაკავშირებულია ყალბი წარმოდგენა მწერლის პიროვნებასა და მის იდეოლოგიაზე. მაგალითად იმავე 1940 წელს თბილისის უნივერსიტეტის-მიერ გამოცემულ აკაკი წერეთლის საიუბილეო კრებულში ჩვენ ვხვდებით შემდეგ აზრებს. შიხეილ ზანდუკელს თავის წერილ „აკაკი წერეთლის ლირიკა“-ში ჯერ მოჰყავს ციტატი პირველად ჩემს გამოცემა „თემში“ დაბეჭდილ ლექსიდან „ს-დ-ს“ (ე. ი. სოციალ-დემოკრატიას) და მერე ამბობს (გვ. 22).

„უსამართლოდ დაჩაგრული და დალაგმული პოეტი საერთო სახალხო მზადების პერიოდში თვითონაც ლესავს მახვილს. მასაც სურს მტრის დამარცხებაში მიიღოს ღირსეული მონაწილეობა. ამბოხებული პოეტი ასე მიმართავს თავის ხანჯალს („კალამს“)“.

იგივე კრიტიკოსი იმავე თავის წერილში (გვ. 40) უწოდებს აკაკის ოსტატობას — უსულო საგანთა (ჩანგი, ბედი, ხანჯალი და სხვ.) განპიროვნებას „ერთ მთლიან ემოციონალურ განწყობილების“ შესაქმნელად და უწოდებს „ხანჯალს“ **პოპულარულ-რევოლუციურ** ლექსს! მისი დახასიათებით „მთელი ლექსი პოეტსა და ხანჯალს შორის ინტიმურ ურთიერთობასა და მიმართვაშია გაშლილი“.

აგრეთვე ცნობილი მკვლევარი პაველ ინგოროყვა თავის საყურადღებო შესავალ წერილში (გვ. მე-16, აკაკის ლექსთა 1 ტომი, გამოცემა 1940 წ.) „ხანჯალს“ **ათავსებს** იმ „ლექსებში, რომელიც პოეტმა ცხრაასხუთი წლის მოძრაობას უძღვნა“.

გარდა ამ შემცდარ ნაბეჭდისა, აკაკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე ბაასის დროს ამაკე აზრს უფრო მკვეთრად გაიგონებთ „კლასთა ბრძოლის“ მოძღვრების აღმსარებელ ხალხისაგან. ჩვენ უნდა გადაჭრით, კათეგორიულად განვაცხადოთ, რომ ყოველივე ეს დიდ შეცდომაზეა დამყარებული. ლექსი „ხანჯალი“ თუ „ხანჯალს“ დაწერილია გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე „ათას ცხრაას ხუთი წელი“. საბედნიეროდ, მე შემრჩა უტყუარი საბუთი, რომ ეს ლექსი ჩვენ უკვე 1889 წელს ვიცოდით. ეს გახლავთ პატარა ფურცელი ამა წლის კალენდარ-უბის წიგნიდან. ეს წიგნაკი რუსულად იყო გამოცემული. თუ არა ვცდებით მას სახელად „ტოვარიშჩ“ ერქვა. ყოველ წელიწადს მას ვყიდულობდით, რადგან ქართული შესატყვისი გამოცემა იმ დროს არ არსებობდა. ამ შემთხვევით გადარჩენილ ფურცელზე ჩემის უგვანო ხელით (სამწუხაროდ ისიც ნაჩქარევად, მაშინ 19 წლისა ვიყავი) მეორე გვერდზე დაწერილია ილია ჭავჭავაძის ელეგია „მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა, მშობელ მიწასა ზედ მოჰფენოდა“, პირველზე კი ბოლო „ხანჯლისა“. ამგვარად „ცხრაასხუთი წელი“ უკვე სწორე არ არის. „ხანჯალი“ დაწერილია ამაზე ადრე. მაგრამ არც ეს 1889 წელია მართალი... მე კარგად მახსოვს, რომ ეს ლექსი მე და ჩემმა განსვენებულმა ძმამ სანდრომ (ექიმმა) პირველად გავიგეთ მწიგნობარ სოსიკო მერკვილაძისაგან, რომელმაც გვაჩვენა ამონახევი ქართული გაზეთის ფელეტონიდან. მახსოვს აგრეთვე ძალიან კარგად, რომ ს. მერკვილაძემ ჩვენ გვითხრა, რომ ეს ლექსი საცენზურო პირობების გამო ვერ გამოქვეყნდებაო. არ შემიძლია დავადასტურო ცენზორმა დაიჭირა ეს ლექსი, თუ თვით რედაქტორმა სიფრთხილის გამო გადასდო ამ ლექსის გამოქვეყნება პრესაში, არც ის შემიძლია კათეგორიულად ვსთქვა, რომელი გაზეთი იყო. უფრო იმ აზრისა ვარ, რომ ეს იყო დაუვიწყარი მწერლის ვანო მაჩაბლის „დროება“. გაცილებით ნაკლებ **დასაჯერებელია, რომ ეს ყოფილიყო** ილიას „ივერია“, რომელიც ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა „დროების“ უმართებულო აღკრძალვის შემდეგ (1885 წ.)

ამასვე ამტკიცებს ის გარემოება, რომ არც აკაკი, არც სოსიკო მერკვილაძე არ იყვნენ ისე დაახლოებული „ივერიასთან“ როგორც „დროებასთან“. ეს ლექსი ჩვენ იმავ წამსვე შევიტანეთ თავ-თავიანთ უბის წიგნში და ყოველ წლივ გადაგვქონდა ერთი წიგნიდან მეორეში. — ეს ლექსი სოსიკო მერკვილაძეს და მის ძმას ნოშრევანს (თერძს), თვითონაც მოლექსეს, თან დაჰქონდათ როგორც ქართულ მამულიშვილობის და ნაციონალიზმის მქადაგებლებს და ავრცელებდნენ ჩვენს ხალხში. ურიცხვი მსმენელები ჰყავდათ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ „ხანჯალი“ აკაკის არ დაუწერია 1881 წ. მარტის 1-ის ადრე, როცა მან მაშინ ალექსანდრე 2-ის მოკვლის გამო შეთხზა სამაგალითო ლექსი „გაზაფხული“ („დღეს მერცხალი შემოფრინდა, ჭიკჭიკითა გადმომძახა; გაზაფხული! გაზაფხული! გულს იმედი ჩამესახა!“). შესაძლებელია, აკაკიმ ეს ლექსი დასწერა ცხონებულ დიდი ქართველი დიმიტრი ყიფიანის საზიზღარ პოლიტიკურ მკვლელობის შემდეგ (1887 წ.). მეორე **დიმიტრი** თავდადებული ხომ ასე ძლიერ უყვარდა მას. ეს დასკვნა შეეფერება „ხანჯლის“ შინაარსს, რომელიც შურისძიებას მოითხოვს.

ამგვარად, ჩვენი საყვარელი მგოსანი, დიდი ქართველი, დიადი გულის მქონე, სამოქალაქო ომის წამქეზებელი, კრიმინალურ მოძღვრების კლასთა ბრძოლის აღმსარებელი კი არ იყო, არამედ მთლიანი ერის იდეალის და უფლების დამცველი, ის იყო აგრეთვე ამავე დროს მედგარი მოსარჩლე გლეხობის და მუშების ინტერესებისა, შეთანხმების და სოლიდარობის ნიადაგზე. რამდენიც არ უნდა ხელოვნურად ჰხატონ და აფერადონ ჩვენი საამაყო ძველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერლები ტენდენციის მოტრფიალე ხალხმა, ჭეშმარიტება მაინც თავის გზას გაიკვლევს. ტყუილად კი არ უთხრა აკაკიმ თავის ზემო ნახსენებ ლექსში: „სოციალ-დემოკრატიას“.

„ზოგი არ მომწონს რამ შენში,
მაგრამ საერთოდ კარგი ხარ...
ერთ დროს მეც გამომადგები,
თუმც ჯერ კი სხვისი ბარგი ხარ...

აი სწორედ **ამ ზოგი რამის არ მოწონება** ახასიათებდა მამულიშვილ-მგოსნის უმწიკვლო პიროვნებას.

ერთი მოსაზრება კიდევ თარიღის შესახებ. საფიქრებელია „1905 წელი“ მიეთვისა „ხანჯალს“ იმიტომ, რომ სწორედ ამ წელს, როცა ოდნავ შვება მიეცა პრესას, ეს ლექსი პირველად გამოქვეყნდა.

ქვევით მოგვყავს თვით ლექსი, რომელმაც ჩვენ სადღეისოდ კალამი აგვაღებინა, ხოლო უნდა ვსთქვათ, რომ ვბეჭდავთ პირვანდელ ბარიანტს. აკაკის საიუბილეო ტომში მოყვანილ (გვ. 719 — 720) ლექსში მრავალი ცვლილებანი და შეუსაბამოებანია. დასაჯერებელი არ არის, რომ ამის თაოსნობა თვით მგოსანს ეკუთვნოდეს.

მეხუთე ტაეპში „მტრებმა“ კი არ უნდა იყოს, არამედ **მტერმა**: ყველგან ლექსში მხოლოობითი რიცხვით არის ხსენებული სიტყვა **მტერი**. ეს სწორეა, რადგანაც მგოსანს სახეში ჰყავს მოძალადე ერი, გაბატონებული მის ხალხზე. ამასთანავე უნდა შესწორდეს „შეასვეს“ მაგიერ **შეასვა**. ეს მრავლობითი რიცხვით აღნიშნული ამ ვარიანტში სიტყვა **მტრები** — მოგვიტევონ გამოცემის რედაქტორებმა ა. აბაშელმა და პ. ინგოროყვამ — ამტკიცებს მხოლოდ, რომ შესწორება ტენდენციის გავლენის ბრალია. შემსწორებელნი გულისხმობდნენ უთოოდ არა ნაციონალურ მტერს, არამედ მტრულად განწყობილ „კლასებს“, რაც შეუძლებელია ავტორს მოსვლოდეს აზრად, მაგრამ განვაგრძოთ შესწორებანი. **მეექვსე ტაეპში** „მიმიძღვენ“-ის მაგიერ უნდა იყოს **„მიუძღვენ“**, ჩაერჭ-ვეს მაგიერ — **ჩაერჭე**; მეშვიდე ტაეპში: „ჩემთვის“ მაგიერ — **ქარქაშში**, მერვე ტაეპში. „ქარქაშით“-ს მაგიერ — **ქარქაშში**, „მანდ“-ს მაგიერ — **შენ**. ახლა კი დავსტკბეთ ასე განბანილ და გაწმენდილი ნაწარმოებით.

1 დეკემბერი 1943 წ. ბერლინი

გრიგოლ დიასამიძე.

ხ ა ნ ჯ ა ლ ი.

შენი ჭირიმე, ხანჯალო,
რკინაო ხვარასნისაო,
შენ ერთად-ერთო იმედო
მტრისაგან გამოხსნისაო!

გლესავ და გლესავ, მახვილო,
ამოგიფერავ გულსაო!
შენ უნდა ეძმო და ეყმო,
უმართლოდ დაჩაგრულსაო!

ნესტარიცა ხარ, ბასრიც ხარ,
ორივე გვერდით მჭრელიო;
გპატრონობს გული ფოლადი
და გიპყრობს რკინის ხელიო.

მისი გამჩენის ჭირიმე,
ვინც რომ შენ გამოგჭედაო!
ჭირიმე, შენი ჭირიმე,
მტერს აუტირე, დედაო!

ბევრი ნაღველი შეასვა
მტერმა ამ ჩემსა გულსაო,
შენ მიმკურნალე, მახვილო,
უმართლოდ დაჩაგრულსაო!

მიმოციქული მტრის გულთან,
მიუძღვენ ჩემი სალამი:
ის ვითომ ნაწერელია,
ჩაერჭე, როგორც კალამი!

მისი წითელი მელნითა
შემაღებინე ჭაღარა,
იმისი კვნესა იქნება
ჩემი დაფი და ნაღარა!

გლესავ და გლესავ, მახვილო,
ფოლადო, ჩემო რკინაო!
დროა, ამოდი! — ქარქაშში
აღარ გაქვს აწ შენ ბინაო.

აკაკი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა-ფშაველა და ქართული კულტურა

ეროვნული კულტურის თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას რუსთველის გვერდით მეორე ადგილი უჭირავს.

ვაჟა-ფშაველას ეს სიდიადე მისი თანამედროვეების მიერ სწორად ვერ იქმნა დაფასებული, ამას მხოლოდ ილია ჭავჭავაძე გრძნობდა. ცოტა გვიან გრიგოლ რობაქიძემ სწორად გაიგო მისი სიდიდე, მაგრამ ვაჟას ასეთი გაგება ფართო მასებისათვის ერთხანს უცხოდ დარჩა.

ევროპის მატერიალისტურმა ცივილიზაციამ, რომელიც ჩვეს ქვეყანასაც ესტუმრა, ისე დააბნია თანამედროვე ადამიანი წარსულის მიმართ, რომ დღევანდელი საზომის გარეშე ყველაფერი პრიმიტიულად გამოაცხადა.

თუმცა ვაჟა თვითონ გრძნობდა თავის ძალას და კიდეც აფრთხილებდა ქართველ საზოგადოებას:

„ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ
მთიდან ყვირილი ხარისაო“.

მაგრამ ბარი თითქოს არ ენდო და აკაკის პირით შეუთვალა:

„ენას გიწუნებ, ფშაველო
მგოსანო მაღალ მთისაო“.

ვაჟა გრძნობდა, რომ იმ სიუხვეს და მრავალფეროვანებას ქართული სულისა, რომელიც მთის ხეობებითგან უნდა ამოეწყო, ბარის ენის საწყაული ვერ ჩაიტევდა, ამიტომ თავისი მდიდარი ლექსთა მდინარე მთის დიალექტის მარგალიტებად აღინა; ხოლო აკაკის შემოუთვალა:

„ბულბულისათვის გალობა
დაუწუნია რომელსაო“?

მაგრამ აკაკი არსებითადაც არ იყო მართალი, რათგან ვაჟა თავისი პოეზიით გვიმტკიცებს, რომ ქართული ენის ცოდნით ის თვით ილიას და აკაკის არ ჩამოუვარდებოდა.

1915 წელს გერ. ქიქოძე სწერდა: „ვაჟა-ფშაველა ჩამორჩენილი ადამიანი იყო. ვერც სემინარიის კურსმა, ვერც უნივერსიტეტის ლექციებმა თანამედროვე სული ვერ ჩაუდგეს. მისი გრძნობიანობა პრიმიტიული დარჩა, მისი ფანტაზია — ველური, მისი მორალი საშუალო საუკუნეებრივი“. და სხ. (ვაჟას ახალ გამოცემაში ეს აზრი ახლაც არის გამეორებული). ამგვარი შეხედულება ჩვენს საზოგადოებაში საკმარისად იყო გავრცელებული, მაგრამ მან დიდ ხანს არ გასტანა. როდესაც საქართველომ პოლიტიკური თავისუფლება მოიპოვა, შექმნა ქართული უნივერსიტეტი და ქართული აზრი და გონება ქართულ სინამდვილეს დაუბრუნდა, ვაჟაზედ ასეთი მცდარი შეხედულებაც მალე გაჭრა. ჩვენში დაიწყო მეცნიერული ლიტერატურული კრიტიკის აღორძინება და ბუნებრივია, რომ პირველ რიგში ვაჟასთანა დიდი შემომქმედნი მოითხოვდენ ღირსეულ დაფასებას. ასეთი დაფასება მოგვცა ვ. კოტეტიშვილმა თავის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ და კ. კაპანელმა თავისი „ქართული სული ესტეტიურ სახეებში“. უკანასკნელმა ის აზიდა დიდ მსოფლიო შემომქმედთა სიმაღლემდე და მისი გმირები: მინდია, ალუდა ქეთელაური და სხვანი ჰამლეტის, ფაუსტის და სხვათა გვერდით დააყენა.

ამ ორ ნაშრომში ბევრი რამ სწორი და საყურადღებოა ნათქვამი ვაჟაზედ ქართული კულტურის თვალსაზრისით. ვაჟას „ჩამორჩენილობაზე“ ხომ ცხადია ლაპარაკიც აღარ შეიძლება. ვ. კოტეტიშვილი სწერდა ვაჟაზედ, რომ „იგი დიდი კულტურის რომანტიკოსი იყო . . . ჩამორჩენილი კი არა, მეტად წინ წასული იყო, იმ დიდი პოეტური ინტუიციის წყალობით, რომელიც ვაჟაში ენთო“. კოტეტიშვილის აზრით, მაშ **ვაჟას პრობლემა მდგომარეობს მის გენიალურ ნიჭში, დიდ პოეტურ ინტუიციაში.** რომ ამ ძალუმი იარაღით შედის ის არსთა სამყაროში და გარეშე ყოველივე მანქანების, ლაბორატორიების, ცივილიზაციების და ქიმიურ-ფიზიკური ექსპერიმენტების, ბუნების კოსმიურ ჯარმონიაში ამოიკითხავს წესსა და გახგებას ადამიანთა. ვაჟა სამყაროს ეთ. მთლიან ორგანიზაციაში ჰქმნის თავის მორალურ-ფილოსოფიურ სისტემას და ეს კონცეპცია გადააქვს ადამიანთა საზოგადოებაში, როგორც მთლიან სამყაროს ნაწილში.

კ. კაპანელი კიდევ შორს მიდის, ის სწერს:

„ქართველი ხალხის მითოლოგია მთელი კოსმოლოგიაა, მდიდარი თავისი თქმულებებით და პოეზიით, სავსე სიბრძნით; საქართველოს მთას აქვს საკუთარი მეტეოროლოგიურ-ასტროსოფიული და რელიგიურ-ფილოსოფიური სოფლ-გაგება. ისეთი საინტერესო, ისეთი დიადი თავისი შინაარსით და ფორმით, რომ ფიქრს იწვევს — **თითქოს ქართველ ტომებს ოდესღაც, პრეისტორიულად უცხოვრიათ თავისებური ისტორიული სოციალურ კულტურული და მორალურ ფილოსოფიური ცხოვრებით**“ (ხ. ჩ. [illegible]).

მისი აზრითაც „ქართული სული საუკუნეთა განმავლობაში შეევწროებული იყო საქართველოს ცენტრებში და თანდათანობით იხიზნებოდა საქართველოს გარეშე მთაში“,

ვაჟამ კი თავის შემოქმედების ქურაში გადაადუღა ხალხში ფართედ შენახული ეროვნული სიბრძნის მარგალიტები და დამთავრებულ კულტურულ ძეგლებად ჩამოაყალიბა.

კ. კაპანელი მიუახლოვდა ისტორიულ ასპექტს ვაჟას პრობლემის ახსნისა და „თითქოს“—ის კარებთან შეჩერდა.

ამგვარად მთავარი პრობლემა საბოლოოდ მაინც უპასუხრდ რჩება. სათავე ვაჟას შემოქმედებისა აუხსნელი. გენეზისი მისი სარწმუნოებისა გამოურკვეველი.

წინამდებარე მოხსენებაში ვიძლევით აჩქარებულ ახსნას ვაჟას პრობლემის. აქ წამოვაყენებთ მხოლოდ პრინციპს და ვრცელ გამოკვლევას კი ვუთმობთ მათ, ვისაც სპეციალური კალამი უჭირავთ ხელში.

საქართველოს მთის თემები და საზოგადოთ კავკასიონის პროვინციები რატომღაც ყველას ჩამორჩენილად მიაჩნია. მათი ყოფა-ცხოვრება — ნაშთად პრიმიტიულობის. მათი სოციალური და იურიდიული დაწესებულებანი, ადათები, ზნე-ჩვეულებანი და სხ. ადამიანის პირველ ყოფილ დაწესებულებად. ვაჟა მთაში სცხოვრობდა, იქითგან იკვებებოდა მისი შემოქმედება და იბადება საკითხი: დაბალ დონეზედ მდგომ კულტურულ და სოციალურ სინამდვილეს შეეძლო თუ არა ვაჟა-ფშაველას მოცემა? კულტურის და ცივილიზაციის ისტორიები გვასწავლიან, რომ მაღალი გენიები მხოლოდ კულტურის წიაღში წარმოიშვებიან ხოლმე. რომ პირველყოფილი პრიმიტიულობისათვის უცხოა მაღალი აზროვნება, ისევე როგორც ინდივიდიუალური გენიები. გენიები არსად არ იბადებიან სინამდვილის იზოლიაციაში, არამედ ისინი ყოველთვის გარკვეული სოციალურ და კულტურულ არეს გამოხატავენ ხოლმე. ხშირად მთელ ეპოქასაც. განა რუსთაველი შვილი არ არის ჩვენი ოქროს ხანის! დანტე იტალიის აღორძინებამ წარმოშვა. გოეტე და ნიცშე ევროპის ორი საუკუნის დუღილმა შექმნა. ყოველ ცალკე აღებულ ცივილიზაციას ახასიათებს ანალოგიური პერიოდები. ხანა დაბადების, გაფურჩქვნისა და დეკადანსის. ის გაიარა უძველეს, მცირე აზიის არქაულმა ცივილიზაციამ, ანტიური საბერძნეთისა და რომისამ, ამას გაივლის თანამედროვე ევროპის ცივილიზაციაც. შპენგლერი ფიქრობს, რომ ყოველი დროის დიდი ქმნილება: მეცნიერების, ხელოვნების, რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური და სხ. მსგავს ეპოქებში იბადებიან. რადგან ყველა დიდ ქმნილებათა შინა-

განი სტრუქტურა ურთიერთს მიაგავს. ისინი იბადებიან, ვითარდებიან და კვდებიან, ყველა კულტურულ ეპოქებში ერთ და იმავე დროს. თუ ეს ასეა, სრულიად გაუგებარი იქნებოდა ჩვენთვის ვაჟას მოვლენა, თუ მის წარმომშვებ სინამდვილეს ჩაძორჩეხილს და პრიმიტიულს დავარქმევდი... რასაკვირველია, სულ სხვა საკითხია თვით კულტურის ხარისხი და ხასიათი.

როდესაც ანალიზს ვუკეთებთ კავკასიის მთის ცხოვრებას, კულტურისა და ცივილიზაციის თვალსაზრისით, ჩვენს წინაშე მეტად საინტერესო ქვეყანა იშლება. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან ჩვენში დარჩენილი სულიერი კულტურის აუარებელი ნაშთები, იქამდე მაღალი ღირებულებისანი არიან, რომ თანამედროვე უვროპის კულტურამ მხოლოდ თეორიულად მიაღწია მათზედ ოცნებას. ხოლო ნამდვილ პრიმიტიულ ხალხებს ასეთ სინამდვილეზე წარმოდგენაც არ შეუძლიათ.

შპენგლერი კულტურას ასეთ განმარტებას აძლევს:

„კულტურა არის ენა, რომლის საშუალებითაც სულს შეუძლია სთქვას, რასაც ის გრძნობს“.

ამ განმარტებით თუ ვიხელმძღვანელებთ, დავინახავთ, რომ დღევანდელ დიდ კულტურულ ხალხებშიაც კი არ არის სულის იმდენი გამონათქვამი, რასაც ჩვენ მთაში ვხვდებით. ის მაღალი მორალური პრინციპები, რასაც დღეს ევროპაში ასობით მეცნიერნი და ფილოსოფოსნი აყალიბებენ სხვა და სხვა სისტემებში, ჩვენმა მთამ მარტივ ადათებსა და ტრადიციებში გამოხატა. უკვე ეს ფაქტი საკმარისია, რომ მას უკულტურობის ეპითეტი მოვაცილოთ. თუმცა ამ საკითხზე ბევრის თქმა შეიძლება მაგრამ უადგილობის გამო მცირეს დავასახელებთ. ერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ . . .

„კაცობრიობის ცხოველური მდგომარეობითგან ცივილიზაციაში გადასვლა ცხადდება უცვლელად სქესობრივი მორალის განსაცვიფრებელი გაუმჯობესებით. ხასიათები ამ გაუმჯობესების, როგორც მამაკაცების, ისე დედაკაცებისათვის თავშეკავების განვითარებაში გამოიხატება, კერძოდ ქალებისათვის კი სქესობრივი სიცივის გაძლიერებაში“ [1]).

ავტორის აზრით ეს ეპოქა ახასიათებდა ებრაელთა ცხოვრებას აბრამის დროს. სარა და რებეკა ცნობილნი არიან როგორც სქესობრივი სიცივის მაგალითები. (მხოლოდ ეგვიპტის მზემ და ფარაონების სიმხურვალემ იხსნეს სარა ამ საშინელებისაგან!) იგივე ახასიათებდა ბერძენთა ხალხს ჰომიროსის გმირების ხანაში და რომს პირველ პერიოდში.

ეს სოციალური ფაქტორი ყოველთვის აღიბეჭდებოდა ხოლმე ხალხთა ადათ ჩვეულებებში და გადადიოდა ხშირად თვით კანონმდებლობაში, სადაც ის შექმნილია. მაგ. რომის სამართალი სამოქალაქო სფეროში იცნობს ქორწინების სამ სახეს. აქეთგან პირველი სახის ქორწინება, რომელსაც ეწოდებოდა **„უზუს“** იყო ერთდროული. ეს იყო ნამდვილი ანარეკლი რომაელთა პირვანდელი ყოფა-ცხოვრების. ის არის ინკარნაცია სექსუალური სიცივის. ხოლო ხალხის კულტურულ წინსვლასთან ერთად ჩნდება ქორწინების მეორე და მესამე ფორმა, რომლის არსი ეწინააღმდეგება პირველობას. ყველა ამას რომ ვადარებთ კავკასიელთა და ქართველ-მთიულთა ყოფა-ცხოვრებას და ადათებს, დიდ განსხვავებას ვნახულობთ. მაგ. რომში თვით კულტურული აღორძინების ხანაშიც არ სჩანს ისეთი ინსტიტუტები, რასაც კავკასიაში აქვს ადგილი. ფერერო ამტკიცებს, რომ თანამედროვე ცივილიზაციის მიერ მონაპოვარი ინდივიდუალისტური კონცეპცია ქორწინებასა და ოჯახზედ უცხო იყო რომაელის გაგებისათვის. არასოდეს არ შეეძლო რომაელს ეფიქრა, რომ ქალს ჰქონდა უფლება თავის საქმროს არჩევის 2) იმ დროს, როდესაც კავკასიის ხალხებში ძალიან ხშირი მოვლენა იყო ქალის მიერ საქმროს პირადი სურვილით არჩევა. ეს განსაკუთრებით ცნობილია ჩერქეზეთში. ცოლისა და ქმრის შორის ურთიერთობაც აქ უფრო განვითარებულ ფორმებს გვაძლევს. ქალის პატივისცემა, ოჯახის სიყვარული, ეს ხომ ჩვენი მთის ცხოვრების ქვაკუთხედი იყო. იქ უშვილობა მგ. სამარცხვინო რამედ ითვლება. ქმარს უფლება აქვს, ადათით, ამის გამო ცოლი მიატოვოს და სხვა შეირთოს. ცხადია, ეს პროცესი ძალიან მარტივად მიმდინარეობს, და უკმაყოფილებასაც ადგილი არა აქვს, რადგან ის ადათით დადასტურებულია. არც ისეთი ქალია მაინც და მაინც პატივცემული, ვისაც შვილებში ვაჟი არა ჰყავს. ეს ჩვეულება მთის თითქმის ყველა თემებში ერთნაირად არის გავრცელებული.

გარდა ამისა ჩვენ შეუადარეთ ძველი რომისა და საბერძნეთის იურიდიული დაწესებულებანი მთიულებისას და აქაც მსგავსება ვნახეთ ისეთ ელემენტებთან, რაც აღნიშნულ ქვეყნებს ახასიათებდათ მხოლოდ აღორძინების ხანებში. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა შედარება ათინის დემოკრატიასთან, ჩერქეზეთის, ჩეჩნეთის, ოსეთის და თუშ-ფშავ-ხევსურეთის სოციალური და მოქალაქობრივი ცხოვრებისა.

ყველა ამ შედარებათა მაგალითებით არ გვინდა დავამძიმოთ წინამდებარე მოხსენება. ხოლო ჩვენთვის გამოირკვა, რომ ისინი ღალადებენ მთის ცხოვრების ღრმა კულტურულ საფუძველს. რომ ეს ხალხი უკულტურო კი არ არის, არამედ მას გააჩნია თავისებური მაღალი სულიერი კულტურა, რომელიც გამოხატულა მის სოციალურ და სამოქალაქო დაწესებულებებში: ქორწინების, ლხინის, ღრეობის, დამარხვის, დატირების, დალოცვის, გაფიცვის, სტუმართ მასპინძლობის, სისხლის აღების და სხ. მრავალნაირ ადათ-ჩვეულებებში.

მაგრამ მთის ამგვარი ცივილიზაცია მაინც შორს არის თანამედროვე ევროპის ცივილიზაციისაგან და იბადება საკითხი: აქვს თუ არა ამ ცივილიზაციას რაიმე საერთო უკვე ცნობილ საკაცობრიო ცივილიზაციებთან, თუ ისე უშუალოდ, გამომწყვდეული კავკასიონში, ბუნებასთან უშუალო შეხვედრით და ხანგრძლივი, არსებობისათვის ბრძოლის დროს შეიქმნა ის?!

ერთი მეტად დიდი და შესამჩნევი თვისება კავკასიის ცივილიზაციისა გვაგულისხმებიებს მის კავშირს სამყაროს სხვა ნაწილებთან.

კავკასიელთა ცივილიზაცია უაღრესად სოციალური და ჰუმანიური ხასიათისაა. მისი ამგვარი ხასიათი კი გულისხმობს რომ ის უნდა იყოს შედეგი მრავალ ხალხებთან დაუსრულებელი შეხლა-შემოხლის. ასეთ ფიქრებს კი მივყავართ მცირე აზიის არქაულ ცივილიზაციასთან. ჩვენს დროში უკვე ბევრი რამ არის გამორკვეული ამ ცივილიზაციის შესახებ.

ის ვითარდებოდა ეგვიპტესთან პარალელურად და სულიერი კულტურის საკმაოდ დაწინაურებული ფორმები შექმნა. პირველი კულტურა ეკუთვნისთ **სუმერებს**. ეს ის ხალხია, რომელთაც მიხ. წერეთელი უნათესავებს ქართველებს. ინგლისელი მკვლევარი კლ. ვუალე თავის გამოკვლევაში სუმერების შესახებ აღნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც მესოპოტამიაში სუმერთა კულტურა ჰყვავოდა, მათ ჩრდილოეთით და სამხრეთით ზაგროსის მთებში კავკასიური მოდგმის ხალხი ცხოვრობდაო. ფრანგი ისტორიკოსი დელაპორტიც ადასტურებს, რომ ქ. წ. მე-13-ე საუკუნეში მუსკები მთიან ადგილებში სცხოვრობდენო და სხ. რანაირიც არ უნდა იყოს ეს კვლევა-ძიება, ერთი რამ მაინც დადასტურებული ფაქტია, რომ ქართველი ტომები ოდესღაც სცხოვრობდენ სწორედ იქ, სადაც შეიქმნა პირველი ცივილიზაცია. მაშასადამე, უკვე იმ დროიდგან ქართველები არიან იმ ცივილიზაციის უდაო მატარებელნი. ქრ. წინ 40-30 საუკუნეებში მთელი მცირე აზია და იქ

1) R. H. Towner. La philosophie de la civilisation. t. I. p. 12

2) Ferrero. Les femmes des Cesars ch. I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფი ხალხები ამ ცივილიზაციით სცხოვრობენ. 3000 წლებში ის უკვე გადადის ეგეის კუნძულებზედ. 2000 წლებში მცირე აზიაში ჩნდებიან ხეთები და კიდევ შორს წაიღებენ ამ ცივილიზაციას. ამ დროს ეხსნება მას კარები და მიიმართება ბოსფორისა და კავკასიისაკენ. მაშ ფაქტი ხდება ის გარემოება, რომ 2000 წლებში კავკასიაც თავისი ადგილობრივი მცხოვრებლებით უკვე ნაზიარებელი იყო აღნიშნულ ცივილიზაციას.

გვგონია, რომ კავკასიაში შერჩენილი კულტურული საუხეჯე ნაყოფია ამ პირველი ცივილიზაციის, და რომელიც შემდეგმა ცივილიზაციებმა ველარ შეარყიეს, როგორც ქვემოდ ვნახავთ, ორი მიზეზის გამო. 1) რომ კავკასიის მთები მიუვალი იყო და 2) პირველი როგორც მისი ეროვნული შემოქმედების ნაყოფი, მისი დათრგუნვა სხვა ხალხთა და სხვა ნიადაგზედ შექმნილ ცივილიზაციებისათვის ძნელი იყო.

კავკასიის ცივილიზაციის საფუძვლად არქაული ცივილიზაციის აღიარებას ადასტურებენ ყველა ფაქტები.

თუ ჩვენ დეტალურად განვიხილავთ კავკასიელთა წარმართული რელიგიის ნაშთებს, ვნახავთ რომ ისინი იშვიათის იგივეობით ხასიათდებიან სწორედ სუმერთა და მის მიმდგომ ხალხთა რელიგიებთან. როდესაც სემიტებმა მოახდინეს სუმერთა ასიმილიაცია, ბაბილონის კულტურა მთლიანად სუმერთა კულტურაზე აღმოცენდა. ბაბილონელებმა გადაიღეს მათი რელიგიის შინაარსიც. მათი პანთეონის მეორე ტრიადაში ვხედავთ სწორედ მნათობებს: სინ — მთვარე-ღმერთი, შამაშ — მზე-ღმერთი, იშთარ — ცდომელი ვენერა. საერთოდ მნათობთა რელიგია. დამახასიათებელია მთელი აღმოსავლეთისათვის. სუმერთა და ბაბილონელთა შემდეგ ის ვრცელდება ირანში. აქ მითია, მზის ღვთაებას წარმოადგენს. სხვათა შორის იგივე მნათობთა გაღმერთებას ვხედავთ ეგვიპტესა და შორეულ აღმოსავლეთშიც. იაპონიის შინტოს რელიგიაში გაღმერთებულია მზე და წარმოდგენილია ქალღმერთად. მას ემორჩილება კაცღმერთი მთვარე. ძველი ჩინეთის სარწმუნოებაშიც მზე პიროვნულ ღმერთს წარმოადგენს. ინდოეთში მითრა შეიქმნა სამართლის მთავრად. მისი ეს ფუნქცია დაცული იყო როგორც ბაბილონში ისე ირანში: ეგვიპტეში მთვარის და ცის ღმერთებზედ ბატონობს მზის ღმერთი. ოზირისი, რომელიც შეერთებულია მზის ღმერთთან, ითვლება მოწყალედ და მოსამართლედ. რუსთაველიც სამართლის ღმერთად მუშთარს ასახელებს (იუპიტერი).

ზემოდ აღნიშნული ინგლისელი მეცნიერი დაასკვნის, რომ ყველა ანტიურ მოძღვრებებს, თვით დაბადებასაც საფუძველი სუმერებში აქვს 1) იუდაიზმმა ბევრი რამ მიიღო სუმერებითგანო.

ხოლო ყველა ამას თუ შევადარებთ ქართული წარმართობის პანთეონს, დავრწმუნდებით, რომ ქართული წარმართული რელიგიისა და ცივილიზაციის სათავე სწორედ ამ პირველ ცივილიზაციაში იმყოფება. ქართველთა უძველესი რელიგია იყო იგივე, რაც სუმერების და მისი სული აღწევს რუსთაველსა და ვაჟა-ფშაველამდე.

კავკასური და სუმერთა ცივილიზაციების ნათესაობას უფრო ნათელჰყოფს მათი კანონმდებლობისა და ადათობრივი სამართლის დოგმების შედარება.

ისე, როგორც ქართული, სუმერთა ცივილიზაცია მაღალი ჰუმანიურობით ხასიათდება. მათი კანონმდებლობა და ადათ-ჩვეულებები ამ მხრივ გაცილებით მაღლა იდგა ეგვიპტისაზედ. როცა სუმერთა ნანგრევებზედ ბაბილონის იმპერია აღმოცენდა, მათ გადმოიღეს ყველაფერი სუმერთაგან, მაგრამ დაამახინჯეს. გამოაცალეს მაღალი სული და შეიტანეს დაბალი მისწრაფებანი. **ქამურაბის** ცნობილი კანონების საფუძვლად სუმერთა კანონმდებლობა დაედო. თვით მოსეს კანონებიც ნაწილობრივ სუმერთა კოდექსებზედ იყო დამყარებული. მაგრამ ამ ევოლიუციის დროს თავი იჩინა რასიულმა ხასიათმა. სუმერთა კანონმდებლობა სემიტების ხელში ეცემა ძირს. ეს სპეციალური საკითხია და არ შემიძლია ფართოდ შევჩერდე. საკმარისია თუნდაც ასეთი მაგალითის აღნიშვნა: **ქამურაბის** კანონებით მონას, რომელიც ბატონის უფლებებს დაარღვევდა, ყურსა სჭრიდენ. მაშინ როდესაც სუმერთა კანონით მას გაყიდდენ 1) და სხ. აქ უკვე აშკარაა ორი რასის, სუმერთა და სემიტების განსხვავება. სუმერებს ახასიათებთ ჰუმანიური მისწრაფებანი, ადამიანის პატივისცემა, სიყვარულის გრძნობის დაფასება და სხ. ხოლო სემიტების ხასიათი არის დაუნდობელი, ადამიანის ცხოველური დამფასებელი.

ქართული ადათ ჩვეულებების და კანონმდებლობის შედარებასაც სუმერთა კანონმდებლობის სულთან მივყავართ.

ვახტანგ მე-VI კანონმდებლობის შედარება ევროპის და რუსეთის ფეოდალიზმის დროის კანონმდებლობასთან ანალოგიურ სურათს გვაძლევს.

მაშინ როდესაც ევროპასა და რუსეთში ყმის ღირებულება ნივთის ღირებულებამდე იყო დაყვანილი, ჩვენში პიროვნებას თავისი ადამიანური ღირებულება მინიჭებული ჰქონდა. აქ გლეხი მხოლოდ ქონებრივად არის დამოკიდებული ბატონთან, მას აქვს დამოუკიდებელი ადამიანური უფლებები, რაც ევროპაში არ არსებობდა.

ამგვარად ჩვენ გვგონია, რომ კავკასიონმა შეინარჩუნა პირველი არქაული ცივილიზაცია, რომელიც უდაოდ იყო მისი ეროვნული მონაპოვარი.

მან ის განასახიერა თავის რელიგიასა, ადათ-ჩვეულებასა და სამოქალაქო წყობაში. რამდენადაც ისტორიაში უკან დავიხევთ, იმდენად მკაფიოდ ამოვიკითხავთ ამ სულს. მას განიცდის რუსთაველის დიადი ქმნილება და მე-12-ე საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური წყობილება.

ქართველი ერის დღევანდელი მდიდარი სულიერი კულტურა სწორედ იქით მიდის. ხოლო ვაჟა მისი ნამდვილი მოძღვარია, რათგან მთაში ეს სული შეურყვნელად იყო დაცული. ჩვენი კულტურის ამ შორეულ და ღრმა საფუძველს ამტკიცებს ნიკო ფიროსმანიშვილის მოვლენაც. მართლაც სრულიად გაუნათებელი ადამიანი, მაგრამ როგორც მხატვარი „პრიმიტიული“ გენია. ეს არავის გაუკვირდება, რადგან აღნიშნულმა ცივილიზაციამ ქ-წინ 3000 წლებში კანონმდებლობასა და ხელოვნების სხვა დარგებთან, მოგვცა ისეთი გენიალური პოემა, როგორც არის **„გილგამეში“** . . .

ვსთქვათ ცოტა რამ ანტიურ და თანამედროვე ცივილიზაციათა გავლენაზე კავკასიაში.

პლატონი ერთ თავის დიალოგში (ეპინომის 987-ე) ამბობს, რომ ის რაც ჩვენ მივიღეთ ბარბაროსებისაგან, კარგად და მშვენიერად გარდაქმნილითო. სინამდვილეშიც ბერძენთა კულტურა მცირე აზიის კულტურაზე აღმოცენდა, მაგრამ განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. როდესაც 1500 წლებში ქ. წინ ბერძნები შედიან დასავლეთის მხარეს, მათ იქ დახვდებათ კრეტის და ხეთების კულტურა. რომელნიც კავშირში იყვენ: ფინიკიასთან, ეგვიპტესთან, ლიდიასა და ფრიგიასთან. აზია გადასცემს რა ცივილიზაციის ცეცხლს ელადას თვით პოლიტიკურ ანარქიაში შთაინთქმება. ასურთა იმპერიის დანგრევისა და აქემენიდების გამარჯვების შემდეგ იწყება ელადის კულტურის უკუღმა გავრცელება. სწორედ ამ ხანებში უნდა მომხდარიყო ელადის მცირე გავლენა დასავლეთ კავკასიის ხალხებზეც. ამ დროს ბერძენი მწერლებიც ხშირად იხსენიებენ ჩერქეზთა ტომებს. უფრო ძლიერი გავლენა კი უნდა მოეხდინათ საქართველოს დასავლეთ ნაწილზე. ეს იყო ცნო-

1) იხ. აგრეთვე მ. წერეთლის შენიშვნები „გილგამეშიანის“ თარგმანში.

1) Cl. Wollag. Les Sumeriens. 1930. Paris.

ბილი ელინიზმის ხანა და ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოსა და როგორც მუა ისე აღმოსავლეთ კავკასიას, თავისი მიუდგომელი ბუნების წყალობით, ელიხიზმის ტალღები უფრო ხაკლებად უწვდებოდენ.

ელადის დეკადანსის შემდეგ რომს აღმოსავლეთისათვის ახალი არაფერი მიუცია და სულ მალე აღმოსავლეთის რომის ანუ ბიზანტიის იმპერიაში ისევ აღმოსავლური სული შეიჭრება. რომში პოლიტიკურ დაცემას დაასწრო სულიერძა დეკადანსმა. აქ ადამიანი უკვე უკმაყოფილოა ძველი სულიერი კულტურით და ის ძიილტვის ირანული კულტურისაკენ, რომელიც სასანიდების ხელმძღვანელობით, ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ ფეხზე წამოდგება და დაიწყებს გავლენის მოხდენას დასავლეთზე. რომის დეკადანს და მის შექმნილ ადამიანის სულიერ სიცალიერეს შეებრძოლება მითრას კულტი. მაგრამ ამ დროს მას უჩნდება ახალი მეტოქე, ჯერ ბუნდოვანი მოძღვრება, შობილი პალესტინაში. და როდესაც რომის საზოგადოება იდეოლოგიურად გამოიფიტა, რელიგიურ და მორალურ გრძნობათაგან გაკოტრდა, შეიქმნა ნიადაგი ახალი რელიგიისთვის. ქრისტიანობა, რომელიც მოდიოდა ნუგეშის სიტყვით, მაღალი ჰუმანიური მორალით, ადამიანთა შორის ძმობა-ერთობის, ხოლო ღვთის წინაშე თანასწორობის დოგმებით, და შეეფერებოდა დაცემის გზაზე შემდგარ რომის ფსიქოლოგიას, ადვილად გადაიქცა ბატონად ახალი საზოგადოების სულიერ-სამკვიდროთა.

ქრისტიანული ცივილიზაციის მებაირახტრედ ბიზანტია გადაიქცა. ბიზანტიური ცივილიზაცია არ იყო ელინური, არც წმინდა აღმოსავლური, ის იყო ორივეს ნარევი [1]). ქრისტიანიზმიც სწორედ ამ ორი ცივილიზაციის სინთეზში წარმოიშვა, ამიტომ ბიზანტიის ცივილიზაციას შეიძლება ეწოდოს ქრისტიანული ცივილიზაცია. ეს სული გამომჟღავნდა მის სამართალში, ადმინისტრაციაში, სამოქალაქო და სოციალურ წყობაში, აღზრდის სისტემასა და ადათ-ჩვეულებებში.

ბიზანტიის კულტურის ნიადაგზე შეიქმნა ძლიერი ხელოვნება, რომელიც აგრეთვე შესდგებოდა სხვა და სხვა ელემენტებისაგან: ბერძნული, რომაული, არამეველთა, ირანული და სხ.

ვინაიდგან საქართველომ მიიღო ქრისტიანობა, ცხადია, აღნიშნული სინთეტიური ცივილიზაციის გავლენა უნდა განეცადა მასაც. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ქრისტიანული ცივილიზაციის ის ელემენტები, რომელნიც მორალს შეეხებიან, ქართველებისათვის არ იყვენ უცხონი. ის ქრისტიანობამ აღმოსავლეთიდან მიიღო, ხოლო ქართველები მას ადრე იყვნენ ნაზიარები. წმიდა დასავლურმა ელემენტმა საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა. საქართველოსთვის უცხო იყო ქრისტიანიზმის ის გაგება, რაც დასავლეთ ევროპაში განვითარდა. ქართველ ხალხში ქრისტიანობამ საიქიოს იდეალის გვერდით შემოინახა საიქაო ცხოვრების იდეალი და ჩვენში ყველა დიდი მეუდაბნოენი იმავე დროს მხედრები და ქვეყნის საზოგადო მოღვაწენიც იყვენ. ევროპა ბრმად დაიმორჩილა ქრისტიანობამ და საუკუნეების განმავლობაში გაბრუებული ატარა. ჩვენში, პირიქით, ის ეროვნული კულტურის ბერკეტად გადაიქცა და ჩვენი ისტორიის განსაკუთრებული პირობების წყალობით დიდი პოლიტიკური როლიც აღასრულა. აი რატომ იცავდა ქართველი ერი ქრისტეს სარწმუნოებას. ჩვენს ისტორიას არ ახსოვს მწვალებლობა. არც ასკეტიზმმა მიიღო გავრცელებული სახე. ქართველი ბერ-მონაზონების მთელი ასკეტობა სამწერლო და აღმშენებლობით მუშაობაში გამოიხატებოდა. ასეთი იყო საერთო ხასიათი ქრისტიანობისა ჩვენში. ჯერძოდ მთაში, როგორც ქართველებში, ისე ჩვენს მონათესავე მთიულებში, თუმცა ის გავრცელდა, მაგრამ მან მხოლოდ გარეგნული სახე მიიღო და ხშირად მხოლოდ სახელებით შესცვალა წარმართულ ღმერთთა სახელები. შინაარსით აქ რელიგია იგივე დარჩა, ხოლო მთიული უფრო წარმართად ვიდრე ქრისტიანედ. ამგვარად ამ ახალი ცივილიზაციის ტალღამაც დიდი ცვლილება ვერ შეიტანა მთის ხალხში.

ვაჟას მთამ ასევე უარი შეუთვალა ევროპის ახალ ცივილიზაციას და ძისგან თავი მორს დაიჭირა.

საჭირო იყო მაღალი თანამედროვე ტეხნიკა, რომლის წყალობით ადამიანი გადაფრინდებოდა იალბუზის მწვერვალებს. საჭირო იყო დღევანდელი გართულებული და გახვითარებული მიმოსვლის საშუალებანი, რომ ადამიანი ამ სიძველეთა მუზეუმშიც შეჭრილიყო და დაერღვია იქ მყოფთა სულიერი ძყუდროება...

მცირე აზიის არქაულმა ცივილიზაციამ ვერ შექმნა აზროვნების და ხელოვნების ის მაღალი ფორმები, რაც შემდეგ საბერძნეთში გაიფურჩქნება.

ამ ცივილიზაციამ ვერ მოგვცა ისეთი ტეხნიკა, რამაც თანამედროვე კაცობრიობა მთლიანად გარდაქმნა, შექმნა მატერიის კულტი და ადამიანთა მაღალი სულიერი საძყარო ნივთს დაუმორჩილა.

მაგრამ პირველმა შექმნა სხვა რამ. რაც ვერც ბერძენთა და ვერც ევროპულმა ცივილიზაციებმა ვერ განავითარეს, აქ ის ფილოსოფიას და ლიტერატურას ვერ გასცილდა.

თავისებური გაგება ადამიანის დანიშნულების: ადამიანთა ურთიერთობა, ოჯახი, სიყვარული, ტრადიციები; სოციალური, სამოქალაქო და ოჯახური მორალი. ყველა ეს სათავეები ადამიანთა სულიერი და ზნეობრივი კულტურის აღმოსავლეთის ცივილიზაციამ მარტო თხზულებებში კი არ აღნუსხა, არამედ ადამიანთა სულში ჩასდო და მათი ცხოვრების დაურღვეველ კანონად აქცია.

სულიერი და ზნეობრივი კულტურის ეს მწვერვალები კავკასიის მთამ შეინახა შეულახავად თავის მიუვალ ხევებსა და უღრან ტყეებში. მთიულის სულიც მისი ქვეყნის ბუნებასავით მიუვალი აღმოჩნდა. და როდესაც ახალ ცივილიზაციათა ტალღები საუკუნეთა განმავლობაში ეხეთქებოდენ ხოლმე მის კალთებს, კავკასიონის მყინვარი გული მათ არ იღებდა და უკანვე ერეკებოდა.

ასეთ სინამდვილეში სცხოვრობდა ვაჟა-ფშაველა და მისი შემოქმედების სათავედაც ის გადაიქცა. ვაჟამ მთელი თავისი ტიტანიური შესაძლებლობით გადმოგვცა ამ ცივილიზაციის სული. იმ იდეებს, რომლითაც ათასეულ წელთა განმავლობაში სცხოვრობდენ ჩვენი წინაპრები და რომელთა ნაშთიც მთაში შემოინახა, ვაჟამ ხორცი შეასხა და უკვდავი სული ჩაუდგა.

ვაჟა უარჰყოფს თანამედროვე ტეხნიკურ ცივილიზაციას. აქ ის ყველაფერში ხელოვნურს და ნაცოდვილარს ხედავს. ცოდვილს და გარყვნილს. ამ გზით ბუნებასთან მისვლა ვაჟას რაღაც ცოდვად მიაჩნია. ასეთი გაგების გამო იყო, რომ მას ველური უწოდეს. მაგრამ აი ვაჟა რას უპასუხებს:

„ზოგებს არ მოსწონთ, მართალი არის,
ჩემი სტვირისა ველური ჟღერა.
იმათ იყბედონ, სხვებს ხომ მაინცა
ჩემი ანდერძი გულს დაეწერა...
— ყველა ის მიყვარს, სადაც სიბრიყვემ
სწავლის სახელით არ მიაღწია,
და ბუნებრივი წმინდა ქმნილება
ცოდვილის ხელით არ მიარღვია.

როცა ვაჟა უარჰყოფს მას, ამისათვის აქვს თავისი ფილოსოფიური შეხედულება. ვაჟას გაგებით ამ ქვეყნად ყურადღების ცენტრში ადამიანი სდგას. რაც ადამიანის ამაღლებას ემსახურება ის არის მისთვის პროგრესი, ხოლო რაც მის „ბუნებრივ წმიდა ქმნილებას“ „ცოდვილის ხელით“ შეეხება, ის ვაჟას სიბრიყვედ მიაჩნია. ვაჟა ხედავს, რომ თანამედროვე ცივილიზაციამ პირველი მიზანი, ადამიანი, მოსპო. ის დაუმორჩილა მის მიერვე მოგონილ მანქანას და მის მონად აქცია. არქაული ცივილიზაციით

1) St. Runciman. La sivilisation byz. Paris. 1934.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი მბრძანებელია ყველაფრის, ახლა კი მან ეს პრივილეგია დაჰკარგა. ადამიანის ხანგრძლივი ბრძოლა არსებობისათვის მიმართულია ბუნების გამოყენების და მის ძალთა დამორჩილებისაკენ. ახალმა ცივილიზაციამ ამ მხრივ ყველაზედ დიდი ნაბიჯი გადადგა. ის დაეუფლა ზღვას, ხმელეთს, და ჰაერს. დღევანდელი ადამიანი ქარავნის მაგიერ თვითმფრინავით დაფრინავს და საერთოდ პროგრესი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიდის წინ. მან შეამოკლა დრო და სივრცე. ამან ადამიანის ფსიქიკაშიც გარდატეხა მოახდინა და ის მის და უნებურად ივიწყებს თავის თავს. ამ ცივილიზაციამ თავის და შეუშჩნევლად მთელ ბუნებასთან ერთად ადამიანიც დაიმორჩილა. და ვაჟა სწორედ ამ უდიდეს ცოდვას, ებრძვის. ადამიანს კი, რომელიც გახდა მსხვერპლი ამ „სიბრიყვეთა", რომელმაც დაჰკარგა ის სულიერი სიმდიდრე, რაც წინად ჰქონდა, საბრალო თვალით დასცერის და ნაღვლიანად ეკითხება:

რა უყავ კაცო, რა უყავ
ის შენი დიდი ქონება:
სული წრფელი და მდიდარი,
ნათელ მოსილი გონება?

ვაჟას შემოქმედებაში იბრძვის ამ ორი ცივილიზაციის ორგვარი დასაბამი სულიერი და მატერიალური. ბრძოლა ხშირად უკიდურეს წერტილამდე ვითარდება. ახალი ცივილიზაცია დაუნდობლად ებრძვის პირველს. ხშირად მისი ძალის პირველობაც ცხადდება, მაგრამ მთის სულის წინაშე ბოლოს ის მაინც მარცხდება; მარცხდება, მაგრამ გამარჯვებულს ხშირად ის სიცოცხლის ფასად უჯდება.

ვაჟა თავის შემოქმედებაში იშვიათის დრამატიზმით გადმოგვცემს ბრძოლას ამ ორი დასაბამის შორის. ხშირად ახალი იდეები რევოლიუციონური გამბედაობით ებრძვიან ძველ ტრადიციებს და აქ ვაჟაც იძულებულია ქედი მოიხაროს, მაგრამ დათმობით ის მაინც არ უთმობს. ის არჩევს თავისი საყვარელი გმირები სამშობლოდან განდევნოს, თავი მოაკვლევინოს, ოღონდ თემის წმიდათა წმიდა ნუ შეირყვნება, ოღონდ სჯული უცვლელი დარჩეს.

ამის მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენს **გოგოთურ და აფშინა.** გმირი გოგოთურ სწუხს დიდად, რომ ომის აღარფერი ისმის. ის მოწყენილია უმოქმედოთ. ცოლი კი შეუჩნდა და აქეზებს, რომ ნივთიერ ცხოვრებაზე იფიქროს:

მე იმას ვამბობ ბეჩავო,
სახლისადა ხარ ურგები
რა სარჩოდ გამოგადგება,
თათრების დაჭრილ ზურგები?
ლაშქრობით რა მოგიტანავ
ტანზე წყლულების მეტია?
მარტო სახელი რას გიზამს
თუ სარჩოც არა ჰხვეტია.

დაღონდა მეტად გოგოთურ და პირობა მისცა ცოლს სურვილის ასრულების. და როდესაც საყაჩაღოდ გასული, შემთხვევით, ცნობილ ყაჩაღს აფშინას გადაეყრება, მას ავიწყდება მისი გასვლის მიზანი და სწორედ მის წინააღმდეგ, აფშინას მოუსპობს ყაჩაღობის სურვილს. არამც თუ თვით ვერ შეუერთდა მატერიალურ ქვეყანას, სხვაც ააცდინა მას. აქ ვაჟამ განგებ შეახვედრა მას აფშინა, რათა მისი გამარჯვება გამოეცხადებინა. ვაჟამ გოგოთურის ეს გამარჯვება იქამდე აღამაღლა, რომ განთქმულ ყაჩაღს აფშინას აგრძნობინა მისი შეცდომა. და ეს გრძნობა ისე იყო ძლიერი, რომ აფშინა ამის შემდეგ სახლში ჩაიკეტება და სირცხვილით კარშიც ვეღარ გამოდიოდა. თემში კი ლეგენდა დადის, თითქოს სოფელ **ბლოში** ღამღამობით მოისმოდეს სევდა აფშინასი:

ამბობენ ქვითინი მოდის
ღამ ღამ ბლოს თავით კაცისა:
„ვაჰ, მკვდარო ვაჟკაცობაო,
ცოცხლად დამარხვავ თავისა!"

ძველი ტრადიციისა და ახალი მორალის შორის ბრძოლა განსაკუთრებით ძახვილ სახეს იღებს **ალუდა ქეთელაურში.** აქ ვაჟამ უკიდურეს ძლევადობამდე განავითარა ახალი მორალის პოზიცია. მაგალითისათვისაც შეტად ჰუმანიური მოვლენა აირჩია, ისეთი, როდესაც პოეტს შეეძლო სწორედ ახალი მორალი გაემართლებინა, მაგრამ ამის მატარებელმა გმირმა ცოცხალი თავი არ დაუთმო, ხოლო თემის წინაშე ის მაინც დაამარცხა.

ქეთელაური ჰკლავს მტერს **მუცალს.** ჰღალატობს ტრადიციას და მას მარჯვენა მკლავს არა სჭრის:

იტყოდა „ცოდვა არიო;
ვაჟკაცო ჩემგან მოკლულო
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო,
მკლავზედაც გებას მარჯვენა
შენზედ ალალი არიო.
შენ ხელ შენ გულზედ დამიწდეს,
ნუმც ხარობას ქავის კარიო,
კარგი გყოლია გამდელი
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო".

მაგრამ თემმა არ მიიღო ალუდას ასეთი საქციელი, და

ზურგი აქციეს ალუდას
პირითა ჯავრიანითა
ალუდას აუგს იტყოდენ
სიტყვითა ზხამიანითა.

ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო, ამბობს ქართული სიბრძნე. თემიც დაუნდობლად მოექცა ალუდას. უკანასკნელი პროტესტს უცხადებს. არქაული სულის უკანასკნელი და უდიდესი გმირე მაინც **მინდიაა.** მინდია უკვე ფილოსოფიურ ახსნას აძლევს მსოფლიოს. ამ მხრივ მინდიას ტრაღედია, იგივე ვაჟას ტრაღედიაა. მინდია 12 წელს ტყვედ იყო დევებში. მოსწყინდა. თავის მოკვლის მიზნით გველის ხორცი სჭამა, მაგრამ უცბად ის მისნად იქცა, ბრძნად. მას ყველაფერი ესმის ცოცხალი და არა ცოცხალი სამყაროის, ის ხედავს რომ

რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ უსულო
ყველასა თურმე ენა აქვს
არა ყოფილა ურჯულო.

მაგრამ მინდიას ეს სიბრძნე შეშურდება ახალ ქვეყანას. ის ცოლს ირთავს, ის ჩაითრია მატერიალურმა ცხოვრებამ და მასთან ერთად მან დაჰკარგა თავისი მადლი, ბუნების მიერ მიმადლებული ნიჭი. ის ჰკარგავს იმ ძალას, რითაც მთელ სამყაროსთან უშუალო კავშირში იყო.

მინდია სიმბოლიურად ძველი ქვეყანაა, მისი მისნობა ეს ძველი ცივილიზაციის სულია — ვაჟას რელიგია. ახალი ცივილიზაცია მას ამარცხებს და მასში ნივთი სულსა ჰკლავს. მაგრამ ვაჟამ არც ახლა დაათმობინა მინდიას და ის განდევნილი ბუნების მიერ თავს იკლავს. ჰქრება მისი ინდივიდუალობა და მას თან მიყვება ვაჟას ნაღველიც.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი კონცეპციით მკაფიოდ ირკვევა ვაჟას შემოქმედების ხასიათი. მისი პოეზიის პრიმიტიული სახე, ხოლო მასში მაღალი კულტურის გადმოცემა. ვაჟას მაღალი მორალურ ფილოსოფიური სისტემა, რომელიც ბევრისათვის დღესაც რაღაც ამოუცნობ სფინქსად აღიმართება. რომ ვაჟა უკულტურო კი არა, მას გაცილებით ღრმადა აქვს შეცნობილი ყველა კულტურათა სული და ის გარკვეულ სიცხადით აღიარებს ცივილიზაციათა ერთი ქვეყნის უპირატესობას მეორესთან.

ვაჟას დაფასება ეროვნული კულტურის თვალსაზრისით ერთი კალმის მოსმით არ შეიძლება. აქ ნაჩვენები მთავარი ხაზები მხოლოდ აღმავალი წერტილებია მისი დაფასებისათვის. ვაჟამ ქართულ ეროვნულ აზროვნებასა და მსოფლმხედველობას დიდი დაღი დააჩნია. აქაც **ის** ეროვნულ ტრადიციას მიყვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალთაგან აქ სანიმუშოდ ერთ ფაქტორს შეეხებით, რომელიც ვაჟამ ქართული სულის კანვაზე ეროვნული კულტურის ძაფით ამოქარგა. ეს არის ვაჟას პატრიოტიზმი. უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ პატრიოტიზმს დაახასიათებს ბრძოლის კულტი ისე, როგორც არსად.

ქართველი ერის მრავალ ათასწლოვანი ისტორია, არის განუწყვეტელი ბრძოლების ისტორია. ბრძოლა ქართველი ერისთვის სრულიად ნორმალურ მოვლენად იქცა. და საუკუნეთა განმავლობაში მის მიმართ ქართველში თავისებური ფსიქიკა შეიქმნა.

ალბად არც ერთი თაობა არ მოსწრებია საქართველოში მუდმივ მშვიდობას. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართველ ხალხის წარმოდგენაში ბრძოლას მიეღო ისეთივე აუცილებელი პირობითი ადგილი, როგორც სმა-ჭამა. ის იყო მისი ხსნის და ღეგრძელობის ერთად ერთი ფაქტორიც. მაშასადამე ხალხის ადათ-ჩვეულებებში, ტრადიციებში და თვით კანონმდებლობაშიც ბრძოლის კულტის ფაქტი უნდა გამომჟღავნებულიყო. მებრძოლის და გმირის სახელი ჩვენში ყველაზე მაღლა იდგა. მას ყველა შესტრფოდა. გმირულად მოკლულის გვამს ქალწულნი დაიტირებდენ ხოლმე. მის თავგადასავალს მოხუცნი, როგორც ზღაპარს ისე გადასცემდენ მოზარდ თაობებს. დედები აკვანში ჩამღეროდენ ყრმას და მას გმირულ სულს აღუზრდიდენ.

ეს ფაქტორი ჩვენი ეროვნული კულტურის წიაღში საპატიო ალაგს იკავებს და ვაჟას შემოქმედებასაც ქვაკუთხედად დაედო. ვაჟას აზრით გმირი უნდა იყოს ისეთი, რომ

„წყლული სცნას დედის კოცნადა,
თავის ლოგინად — სამარი,
საკაცე თავის ლურჯადა
ქვა-ლოდი — ნაბად-საფარი . . .
სულეთს შავიდეს ხმლიანი
ლაღი ლაღისა ცხენითა . . .
ქება უყივლონ გმირებმა
გადასულებმა ჩვენითა.
ერეკლემ ხელი მაჰხვიოს
დაისვას თავის გვერდითა,
გამოეგებოს თამარი,
მცინარი თავის ფეხითა . . .

ეს მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში ისე ღრმად იყო ფეხმოკიდებული რომ ის ოჯახსა და აღზრდის საქმეშიც დიდ როლს აღასრულებდა. ვაჟას მოხუცი ამბობს („მოხუცის ნაამბობი“)

ჩემს დროსა ქალი ვაჟკაცსა
შეიყვარებდა მაშინა,
როცა ჰხედავდა მებრძოლსა
შეუპოვრადა მტრის წინა.

როცა კითხულობთ ვაჟას პატრიოტულ და საგმირო პოეზიას, რაღაც ზებუნებრივი გრძნობები გიპყრობთ. გავიწყდებათ დუხჭირი და შერყვნილი თანამედროვე სინამდვილე და ჩვენს წინ ხედავთ მის განყენებულ იდეებს ხორც შესხმულად მოვლენილთ.

ვაჟას შინაგანი ცხოვრება, არის ხილვა მრავალ ათასეულ წელთა მანძილზე, მის წინაპართა მიერ განვლილი ცხოვრებისა. სადაც ის ხედავს მუდმივ შფოთს, შეურიგებლობას, ბრძოლას მამულისათვის. ამგვარი სინამდვილე მასში რაღაც განსაკუთრებულ სულიერ გარინდებას იწვევს. ვაჟა არ იცინის. არც სტირის. მისი სული რაღაც ამოუცნობი კონტრასტებით არის დაღარული. მისი სიხარულის ციხე-კოშკის გვერდით სევდისა და მწუხარების ნაკადულები მოსჩქეფენ. მის დარდი-მანდობასა და ღრეობას ნაღველი და მელანქოლია ამკობენ. ყველა ეს კი განსახიერებაა ჩვენი ეროვნული ფსიქოლოგიის. ის ქართველი ერის სიხარულსა და საუკუნეებრივ ტანჯვას ერთ წუთსა და ერთ წერტილში განიცდის და ძარღვთა ტიტანიური დაჭიმულობით შეჰღმუვის მაღლა ღმერთსა და ძირს.დედა-მიწას იმ უსამართლობას, რის მსხვერპლიც გამხდარა მისი სამშობლო. მისი ყვირილი იქამდე ძლიერი და მრისხანეა, რომ მისწინაშე ძრწიან ბუნების ძალნი. მის სულიერ განწყობილებას ეხმაურება მთელი მიწიერი და ზეციური სამყარო.

სიზმრად და ცხადად მას ევლინებიან განგების ძალნი და გამარჯვებას უწინასწარ მეტყველებენ. ბუნების მრისხანე სტიქიონი მის ბრძანებას ემორჩილება. როცა პოეტი ბრძოლის გრიგალში ებმის, იწყება გრგვინვა და ქუხილი. როცა ის იჭრება მტრის გახურებული ტყვიით, ლაჟვარდოვანი ცა ღრუბლებით იბურება და მის დაჭრილ სხეულს ბნელი ნისლების საბანი გადაეხურება.

ერის და ქვეყნის ტანჯვა ვაჟამ ბუნებასაც განაცდევინა. ადამიანი მან შეიყვანა ბუნების უნივერსალობაში და მისი არსებობა საერთო კოსმიურ ჰარმონიას შეუთანხმა.

ამიტომ ადამიანის სიხარული და მწუხარება გამოძახილს ჰპოებს ბუნებაშიც. და როდესაც საზოგადოება ვეღარ ჰპატრონობს ქვეყნის დიდებას, ის ბუნებას შეეხიზნება:

„ოცნება ტანჯულ ქვეყნისა
ქვითინებს მთისა წვერზედა“.

მთა ღა დარჩენია, რომელიც მის გამოუთქმელ დუმილში ატარებს ღრმა ფიქრებს და ეს ფიქრები არიან სამშობლოს ფიქრები

„ნისლი ფიქრია მთებისაო“ . . .

მთის პატარა ქუჩი გაკვირვებული დასცქერის ირგვლივ არე მარეს. ამ დროს ყველა „რაღაცას ფიქრობენ, უსაზღვროა მათი ფიქრი, გამოუცნობელი იმათი გულის წადილი და რაც ამას ვუცქერი „მეც ვსტირი მაშინო“.

ვაჟასთვის სამშობლოს იდეალი არის უკვდავი, მარადიული. რომელიც საუკუნეთა მანძილზე გაივლის მრავალ თაობათა რგოლებს, მრავალს მსხვერპლად შეიწირავს და ასე განაგრძობს არსებობას. ამიტომ უკვდავების მიზნით გაღებული მსხვერპლიც უკვდავია. ეს შესაწირავი ვაჟასათვის ისეთივე წმიდაა, როგორც მსხვერპლი ღმერთთა წინაშე შეწირული:

მწამს მარად მი ძებია
მუდმივ სიცოცხლე სულისა,
კარგისა ქვეყნის მოყვარის
ქვეყნის ბედისგან წყლულისა;
მრწამს ფერფლნი კარგის გულისა,
ქარმ რომ გაჰფანტოს ველადა
თითოში მაინც ენთება
ტიალ სურვილი ცხელადა . . .

ვაჟასათვის სამშობლოსთვის თავდადება უკვდავებაა. აქ ის გვევლინება ქართული სულის და კულტურის უდიდეს მოგვად. რადგან ქართველებს რომ თავდადების მსგავსი გაგება არა ჰქონებოდათ, ვინ იცის აქამდე სად იქნებოდა გაბნეული ჩვენი ფერფლი! ამ მხრივაც ვაჟა გაგრძელებაა დიდი რუსთაველის ტრადიციის. რუსთაველიც გვეტყოდა, რომ სამშობლოსთვის შეწირულთა სულები ზეცად რბიანო.

ვაჟა გრძნობს, რომ ჩვენი ერის არსებობას მის თავდადებას და ძლიერ პატრიოტიზმს უნდა ვუმადლოდეთ. ამიტომ მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, ბრძოლა დაუზოგელი მისთვის კანონია:

მტრისათვის მტრობა უზომო
წესია ჩვენის მიწისაო.

მაგრამ ვაჟას პატრიოტიზმი არ ჰგავს არც ძველი ბერძნების და არც თანამედროვე ევროპელების პატრიოტიზმს. ბერძენთა პატრიოტიზმი სხვის სიძულვილზე იყო აღმოცენებული. პრაქტიკულად ვერც ევროპა გასცილდა ამას. ვაჟა კი აქაც ძველი აზიის სულის მემკვიდრეა, ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული ჰუმანიური კულტურის შვილი. მისი პატრიოტიზმი მხოლოდ თავის თავის სიყვარულსა და თავდაცვის აუცილებლობაზეა აღმოცენებული. ის ასევე პატივს სცემს სხვათა პატრიოტულ გრძნობას, ოღონდ მას ხელი არ შეუშალონ:

სამშობლოს არვის წაართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება
თორემ ისეთ დღეს დავაყრით
მკვდარსაც კი გაეცინება . . .

ვაჟა სამშობლოში არავის ეცილება, ხოლო ვინც მას შეედავება, ის დაუნდობელია, ამისთვის მთლად გაწყდება და სამშობლოს სხვას არ დაუთმობს. ასე უნდა იყოს აღზრდილი მთელი ერი. ცოლი უნდა ამაყობდეს ქმრის თავგანწირულებით, დედას უნდა ახარებდეს სამშობლოსათვის შვილის დაღუპვა. აი, რას ამბობს შვიდი ვაჟის პატრონი, დედა **სანათა:** („ბახტრიონი“)

შვიდი გავზარდე ვაჟკაცი
თითო ლომისა დარია.
შვიდნივ გამიწყდა ერთ დღესა,
მამაც იმათთან მკვდარია.
ხოშარის გორზედ დავმარხენ
თავზე დასტირის ქარია.
ორ კვირას საფლავებ ვსთხარე
იმათ თავშესაფარია . . .

და ამის შემდეგ საწყალი დედა მაინც მტრის დამარცხებას შეჰხარის და დასძენს, ოღონდ ეს მოხდეს:

ჭრელს ჩავიცომდი კაბასაო.

სამშობლოსათვის თავდადების გრძნობები ვაჟამ უმაღლეს მწერვალებამდე განავითარა. ამ მხრივ შეუდარებელნი არიან ბახტრიონის ლელა, კვირია, ზეზვა, ლუხუმი. ვაჟასთვის

სამშობლოსათვის მამაცი
არის მადლი და დიდება.

ვაჟამ ეროვნული იდეალი არა მარტო აღამაღლა, სხვა ყველაფერი, ყოველივე ძვირფასი მას დაუმორჩილა. სიყვარულიც, რჯულიც, ადათიც. ტრადიციაც. ვაჟა აქაც შეუდარებელი მებაირახტრეა ჩვენი ტრადიციული პატრიოტიზმისა. ამ მხრივ დრამატიზმით არის აღსავსე პოემა სტუმართ-მასპინძელი. [1])

ქისტი **ჯოყოლა** გადაეყრება ხევსურ ზვიადაურს, მოსისხლე მტერს მისი თემისა და საკუთარი ძმის მკვლელს. ქისტი ვერ იცნობს ზვიადაურს. მიიპატიჟებს სტუმრად და ძმად გაეფიცება.

თემი შეიტყობს მოსისხლე მტრის სტუმრობას და მიეჭრება ჯოყოლას. უკანასკნელი კი უპასუხებს:

დღეს სტუმარია ეგ ჩემი
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა
მითაც მე ვერ ვუღალატებ,
ვფიცავ ღმერთს ქმნილი იმისა.

ქისტები მაინც მიუხტენ, წაართვეს ჯოყოლას სტუმარი და მოჰკლეს. ზვიადაური დამარხეს და მისი საფლავი დასტოვეს ეულად. ვაჟა ასე გადმოგვცემს მის გლოვას:

სიკვდილსა გლოვა უხდება
მკვდარს ძმას-ტირილი დისაო.
ტყეს ხარი ირმის ნაფრენი
ზოგ დროს ყმუილი მგლისაო.
ვაჟკაცსა ომში სიკვდილი,
ხელში ნატეხი ხმლისაო,
ომს-ლხინი გამარჯვებულთა
და დამარცხება მტრისაო.
ზვიადაურსა გლოვობდა
შფოთვა და ბორგვა წყლისაო,
ნიავად ჩამონადენი
ოხვრა მაღალის მთისაო.
ცრემლი ნისლების ჯარისა
ნაბრძანებია ღვთისაო.

ბუნების ამ საზარელ გლოვას შეუერთდება მხოლოდ ჯოყოლას ცოლის, აღაზას გულსაკლავი მოთქმა. როდესაც ტყეს ბნელი მოიცავს, ის გაეპარება სახლითგან ქმარს, მივა ზვიადაურის საფლავთან და უწესოდ მოკლულ სტუმარს ღრმად დაიტირებს. შემდეგ სახეზე სამს წვეს შეაჭრის, შეახვევს ჩიქილის ყურში და სახსოვრად წამოიღებს. . . მაგრამ საზარელი ამბავი ხდება ამ დროს. აღაზამ რომ ქისტების მოსისხლე მტერი დაიტირა, განრისხდენ ქისტის მკვდრები და უცბად მას საფლავებიდან საშინელი ხმა შემოესმა:

„რას შვრები უნამუსოვო“
„მაღალი ღმერთი გრისხავდეს“
გამწარებულნი ჩიოდენ, —
სამარით შემოჰკიოდენ.

როდესაც აღაზა სახლისაკენ გაეშურება, გზაშიც მთელი ბუნება იღვიძებს და მას სასტიკ პროტესტს უცხადებს:

„უნამუსოვო“ მისძახდენ
ტან დაწკეპილი დეკანი
ბალახნი, ქვანი ქვიშანი
იმ არე მარეს მდებარნი.

თვით აღაზას ძმა, ზვიადაურის ხელით მკვდარი, მიჰკივის დას:

ვაჰ, დაო, დაო რა მიყავ?
რისხვა რად დამეც მედგარი?
მეორე საფლავში ჩამდევ
ერთს სამარეში მდებარე.

აღაზა კი ვერ ურიგდება გმირის სიკვდილს, თუმცა

ხმა ისევ ესმის მკვდრებისა
მანს ბანს აძლევენ სხვანიცა
სამდურავს ეუბნებიან
აღაზას გიშრის თმანიცა.

ასე მედგრად იცავენ ვაჟას გმირები სტუმართ მასპინძლობის წესს და ვაჟა მათ არა ნაკლებ თანაუგრძნობს, მაგრამ თემის ინტერესი უფრო მაღალია და ეს წესიც მას მსხვერპლად უნდა შეწიროს. წესის დამცველნი მას ბოლომდე იცავენ და თვითონაც მსხვერპლად ეწირებიან. და როდესაც ჯოყოლა განმარტებულ ბრძოლაში განგებ თავს შეაკლავს მტრებს, სტუმრისა და ქმრის დამტირებელი აღაზა მდინარეში შთაინთქმება და დაიღუპება. ხოლო იქ, სადაც ჯოყოლა მოჰკლეს ღამ-ღამე თურმე ხალხს ასეთი სურათი ელანდება:

კლდის თავს წადგება ჯოყოლა
სასაფლაოსკენ იძახებს:
„ზვიადაურო, ძმობილო
რად არ მაჩვენებ შენს სახეს?“
სასაფლაოდან წამოვა
აჩრდილი ფარხმალიანი,
გულზე უწყვია დაკრეფით
მკლავები სამკლავიანი.
მივა და მიესალმება
თავის ძმობილსა მდუმარედ.
იქვე აღაზაც ამოდის
სახე მოწყენით მწუხარეთ.
ენთება ცეცხლი მათ გვერდით,
მკრთალადა ბჟუტავს მთაზედა,
იმათ ჰმასპინძლობს აღაზა,
ჯიხვის მწვადს უწვავს ალზედა.
ვაჟკაცობისას ამბობენ,
ერთ ურთის დანდობისასა
სტუმარ მასპინძლის წესზედა
ცნობას და და-ძმობისასა.
როცა მათ ხიდავს ერთადა
კაცი ვერ ძღება ცქერითა . . .

1) იგივე იდეალია გამოხატული მეორე პოემაში „სისხლის აღება“, სადაც სტუმართ-მოყვარეობის ტრადიცია ხდება მსხვერპლი სისხლის აღებისა, რადგან უკანასკნელი ეხებოდა სათემო ინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ალუდა ქეთელაურში, სტუმართ მასპინძლობას და ძმად ნაფიცობას წესი სასტიკად იქნა დაცული. აქაც საბოლოოდ წესის დამცველთ საერთო ინტერესის წინაშე ქედი მოახრევინა და აღაზასაც შემდეგი ათქმევინა:

„მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს
უცხოსთვის ცრემლი ვღვარია“.

აქ მინდა წერტილი დავსვა, რადგან ვაჟას პატრიოტული შემოქმედების ზღვა ამოუწყობელია და მის დამახასიათებლად ეს ორიოდე მაგალითიც საკმარისია.

აქედან ირკვევა, რომ ვაჟა ეროვნული იდეის ქვეყანაში ცალკე ბილიკებით არ შედის. მისი შემოქმედების ეს დიდი შარა გამოდის მისი რწმენის კოსმოსისაგან, მისი ბუნებითი რელიგიის სამყაროდან, მისი უნივერსალობის კონცეპციდან და საამაყოა, რომ ეს გაგება მოგვცა ქართველის ერის შვილმა, იმ ერის რომლის არსებობის გზა იყო ყველაზედ გრძელი და სუსხიანი. იმას რასაც მრავალი ფილოსოფოსები და სოციოლოგები უმსხვერპლია, რაზეც ახლაც მრავალი თავები ხმება, ვაჟამ თავისი ღრმა ინტუიციით ქართველი ერის სისხლიან მკერდზედ ამოიკითხა და ნაღვლიანის სიმღერით გადმოგვცა. ამდენად ვაჟა სრულყოფილ ქართული სულისა და ქართული კულტურის. რუსთაველის შემდეგ ქართული სული შვიდი საუკუნე ბორგავდა, ცხრაკლიტურში გამომწყვდეულიდა ბოლოს

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი არწივნი ვერ შეხებიან,

სადაც მიუვალი ბუნება მტარვალთა შემუსვრისაგან იფარავდა მას, მხოლოდ აქ იფეთქა და ვაჟა-ფშაველას სახით ქართულმა ცხოვრებამ შეორედ იხილა მისი დიდი წინასწარმეტყველი და ეროვნული კულტურის ქურუმი.

ვაჟა-ფშაველა ქართველი ერის დიდება და სიამაყეა, მისი შემოქმედება ქართული სულის კოცონია.

ვაჟას მითი დღესაც სცოცხლობს და ის თავის გმირებს: ლელას, კვირიას, ლუხუმს მიუძღვის ფშავის მთებიდან ბახტრიონისაკენ. ვაჟას შეურიგებელი ლანდი დღესაც დაძრწის საქართველოს მთა-ველებში და ის იარსებებს საუკუნედ, რადგან მისი ამაყი სულის სამკვიდრებელი ყოველი ქართველის გულია.

ალ. მანველიშვილი

კურთხეული მიწა

გ. ბ—ძე

ვით შეედარება რიონს და ყვირილას.
მტკვარს ანდა ალაზანს სხვა ქვეყნის მდინარე?!
მოჰქრიან ხევებში ჯვნესით და ყვირილით, —
ხან დინჯად მავალნი, ხან შფოთით მძვინვარე.

ნაპირებს არტყიათ ტყეები ულრანი.
ქათიბი ამშვენებს გადაშლილ მდელოსა,
დაბერავს ნიავი, შრიალებს მუხნარი: —
ხავსიან ლეგენდებს ძველ საქართველოსას.

კარგია მინდვრები, კარგია ტყეები,
კარგია ჰაერი სუფთა და ხალასი.
ამოშრეტს სინედლეს მხურვალე დღეები, —
თუ სიო არ მოვა ცივ ნაქერალასი.

ნეტავი ძვირფასო შენ კიდევ მენახე,
ნეტავი თუ გხურავს ნისლების საბანი.
გლეხები გასხლავენ გამარგლილ ვენახებს
და შემდეგ მორწყავენ ლურჯ შაბიამანით.

სექტემბრის დამლევში დამწიფდა კრახუნა.
ჩქერებში შექუჩდა წვერა და ხრამული.
ბოსტანში გადახმა ქინძი და ტარხუნა.
და დასკდენ ლეღვები იშტით დანამული.

პურპურის მანდილი ცას გადაფენია...
კაშკაშებს ცვრიანი ველი და კორდები.
უნდა კაცს შესწევდეს რემბრანტის გენია,
რომ შესძლოს დახატოს ეს ნატურ-მორტები.

საღამოს ბინდები მიდამოს ედება...
უკუნით ივსება ხევი და ტევრები,
და მთვარეს მისდევენ ღრუბლის ნაფლეთები: —
ვით ქალს მოტაცებულს ფეხმალი მდევრები.

ლოცვებს ბუტბუტებენ ტყეები ულრანი...
სიო ხვაშიადობს ნამიან მდელოზე,
და განთიადამდე შრიალებს მუხნარი: —
ხავსიან ლეგენდებს ძველ საქართველოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ა ჟ ა ფ შ ა ვ ე ლ ა

1

ხშირად დიდი პიროვნება თავისი თაობის მიერ ვერ არის გაგებული და დაფასებული. ამ შემთხვევაში თაობა და დიდი პიროვნება სხვა და სხვა გზით მიდიან, სხვა და სხვა მიმართულებით, სხვა და სხვა სოფლგაგებითა და სულის მძლეობით. ისინი ერთმანეთს კომპრომისს არ უკეთებენ.

ვაჟა ფშაველას ასეთი ბედი არ ხვდა წილად, მაგრამ ხშირად მას აბუჩად იგდებდნენ, ენას უწუნებდნენ, მის შემოქმედებას ამცირებდნენ.

აკაკიმ უსაყვედურა ვაჟას: „ენას გიწუნებ ფშაველო"-ო, ხოლო იპოლიტე ვართაგავამ საკმაო ცოდნა ვერ გამოიჩინა მისი შემოქმედების დაფასების დროს. (სიმღერა მთის შვილის ვაჟა ფშაველასი „განათლება" 1913 წ. № 10 და 1914 წ. იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის N N-ში) ვაჟა ამ გვარ დაფასებას გარეგნულად დინჯად და თითქო აუღელვებლად შეხვდა, მაგრამ ნამდვილად ძარღვები ეშლებოდა და ბრაზი ახჩობდა. იპ. ვართაგავამ ვაჟა ძოთძინებიდან გამოიყვანა და 1914 წელსავე გაზეთ „სახალხო ფურცელ"ში" უპასუხა. „ბ. ვართაგავას ძალიან გულით უნდა გაიგოს ამ პოემებში რა ეკუთვნის ხალხს და რა მე, როგორც ავტორს. სურვილი საფუძვლიანია და ღირსი დაკმაყოფილებისა. ამ სურვილს კრიტიკოსისას მე დავაკმაყოფილებ, თუმცა ეს მეტ შრომად მიმაჩჩია და თანაც მწყინს. ბ. ვართაგავამ, თუ მას კარგი კრიტიკული ალღო აქვს, უნდა ჩემ დაუხმარებლად გაიგოს რაა ამ ნაწარმოებში ხალხური და რა ინდივიდუალური. უნდა ყველამ კარგად იცოდეს, — ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება". „ავტორი „ფაუსტს", გიოტეს გარდა ასობითა ჰყვანდა, მაგრამ გიოტეს მეტმა ნამდვილი „ფაუსტის" დაწერა ვერავინ შესძლო, რადგან საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალთა ვერ შესძლო გადადუღება ხალხისაგან მოცებულის მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა. ესევე დაეპარათ შექსპირის ჰამლეტს" „მეფე ლირს" რომეო და ჯულიეტას" და სხვა. ესევე ითქმის დიდებულ შოთაზე და მის „ვეფხის ტყაოსანზე". მე, თქვენი უმორჩილესი მონა, რა სახსენებელი ვარ ამ გოლიათებთან, მაგრამ ერთი გარემოება მაძლევს უფლებას ჩემი თავი იმათთან ერთად ვახსენო — ეს გახლავთ მსგავსება ქმნისა, შემოქმედებისა. დიაღ კატა თუმცა ვეფხვი არაა, მაგრამ სხვა ცხოველებზე მეტად ვეფხს უფრო ისა ჰგავს". ვაჟა შემდეგ ჩამოთვლის „სტუმართ მასპინძლობის „გველის მჭამელის", „ალუდა ქეთელაურის" და სხვა პოემების ხალხურ გადმოცემის ძირს და როგორ დაამუშავა მან იგი. მისი პოემების დიდი ნაწილი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი ყოფილა, მიუხედავად იმის რომ თავში აწერია ძველი ამბავი, ზღაპარი, ეს მიტომ რომ ცენზურას ადვილად გაეშვა... ვაჟა ამბობს: „ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს იმდენადვე, რამდენადაც ხალხური ქმნილების მითვისება, როგორც ამის უფლება არ აქვს არავის, ისე თავის ფანტაზიის ნაცოდვილარის ხალხისთვის მისაკუთრება, ხალხურ ამბად გასაღება. ამ ნაკლს გავასწორებ მაშინ როცა დაიწკება ჩემი ნაწერების ცალკე წიგნებად გამოცემა, — მაშინ აღვნიშნავ რომელია მართლა ძველი ამბავი და რომელი მთლად ჩემგან დაძველებული, ძველ ამბად მონათლული".

არ შემიძლია კიდევ ერთი მოზრდილი ამონაწერი არ მოვიყვანო ამ ისტორიული წერილიდან, იმის ნათელ საყოფად, თუ რამდენად დაცილებული იყო ვაჟა და ჩვენი ძაშიხდელი საზოგადოების დიდი ნაწილი ეოთძანეთს. ვაჟას უსაყვედურებდნენ, რომ აოც ერთი მისი ნაწარმოები ხელსახებად არ გამოხატავს იმ ძტკივან საკითხებს, რომელსაც ჩვენი ქართული ცხოვრება აყენებს, არც ერთში განჭვრეტილი არაა საქართველოს მომავალი ბედი თუ წარსული უბედურება. ბ. ვართაგავამ ეს ბრალდება გარკვეულად დაუყენა პოეტს. ვაჟა ამბობს: „ამ გვარი კითხვის პასუხი არ შეიძლება ერთმა ლექსმა, ან მოთხრობამ გამოხატოს, არამედ მთელმა პოეტის ცხოვრებამ, მისმა მოღვაწეობამ, მთელმა იმის ნაწერებმა. როგორ გგონიათ! არ მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩემის ქვეყნისა ბრწყინვალედ? ნუთუ ეს არა სჩანს ჩემი ნაწერებიდან? რომ ეს არა მწამდეს, თქვენ გგონიათ მე კალამს ავიღებდი ხელში?! ურწმუნოთა ბრბოა ამაოა, შეუძლებელიც, მგონია: იმ ხიდის, რომლის გადებაც მუშამ შეუძლებლად იცნო, თავის დღეში გასადებლად არ შეუდგება. ნუთუ ჩემი ნაწერები ამ მომავალს ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე, ჩვენს ბედზე არას ამბობენ? ვერაფერი პოეტი ვყოფილვარ, თუ ეს მომავალი არა სჩანს იქ, არა სჩანს ის, რაც „დროთა სვლამ" უნდა განახორციელოს. დიაღ, იმ დროთა სვლამ, რომელიც თქვენ უმნიშვნელო, ფუქსავატი სიტყვები გგონიათ. თუ მე ნიჭი მაქვს ჭეშმარიტი შემოქმედებისა, უეჭველად წარსულის თუ აწმყოს აღწერით უნდა რამეს ვამბობდე მომავალზე, თუ არა და ჩემი ნიჭიერება ცარიელი მცნება, უშინაარსო სიტყვებია. ერთმა უსწავლელმა ფშაველმა მითხრა, რომელსაც „ბახტრიონი" წაეკითხა. მოსწონებოდა ძალიან და ყელგადაგდებით, თითქო შეკაზმულს ცხენსა მთხოვდა საჩუქრად, მეხვეწებოდა, მეკითხებოდა: ვაჟავ, თუ ღმერთი გწამ, ნუ დამიმალავ, სწორედა სთქვი, საქართველოს თავისუფლებას არა გულისხმობ „ბახტრიონში", რომ ამბობ „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომაო?"

— იქნება ვგულისხმობდე. — ვუპასუხე. „სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამიო", დიიჯინა ფშაველმა და ხუთმეტი ათასი მჭერმეტყველი პროფესორი რომ მოგეყვანათ, იმას რწმენას, აზრს ვერ გამოუცვლიდნენ. თუ ჩემს მკითხველებს ამისთანა რამეს აგრძნობინებს, ჩემი ნაწერები, საკმარისია. მაშასადამე საკმარისად წარმოდგენილი მქონია საქართველოს მომავალი სვებედი. ხოლო თავისუფლება ისეთი მცნებაა, იმას ბევრი კომენტარიები არა სჭირდება". ამ წერილში საკმაო გარკვეულობით სჩანს ვაჟას პიროვნება, მისი კულტურული დონე და იგი საუკეთესო პასუხია ვართაგავასთან ერთად იმათთვისაც, ვინც ვაჟას ჩამორჩენილად სთვლიდა, ვინც კულტურული უკულტურობით, ნილილიზმი, თანამედროვე ცივილიზაციის გარეგნული მტვერითა და ხავსით დაბრმავებული იყო. ჩვენთვის საყურადღებოა ამ პასუხში მისი მოკრძალებული კილო და საბუთების მოხერხებულად შერჩევა. შთაბეჭდილება ისეთი გრჩებათ ამ პასუხიდან თითქო მასწავლებელი უვიც მოწაფეს ტუქსავს უხეირო და შეურაცყოფელი შენიშვნისათვის.

რომ ვაჟა ჩამორჩენილი ეგონათ, ორი მთავარი მიზეზი თამაშობდა ამაში გადამწყვეტ როლს. ეს იყო მისი პიროვნული ცხოვრება და ჩვენი მაშინდელი საზოგადოების ერთი ნაწილის დაცილება ქართულ კულტურულ ნიადაგიდან. ვაჟას რომ ყოველ დღე წვეი გაეპარსა, ევროპიული კოსტიუმი ჩაეცვა და თან ერთი ფუთი ციტატები იღლიაში ამოედო, ჩამორჩენას ვერავინ დასწამებდა. მაგრამ ვაჟა ჩოხა-ახალუხით და ხანჯლით დადიოდა, თავზე ნაბდის ქუდი ეხურა, ფრჩხილები დაუსწორებელი ჰქონდა და ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები დაკორძებული. იგი უმეტეს ნაწილად ფშავში ცხოვრობდა ისე სადად და უბრალოდ, როგორც მისი მეზობლები. ეს იყო ტონის დარღვევა, როგორც სამართლიანად შესიშნავს ვ. კოტეტიშვილი. ძაგრამ ეგ ტონი ვაჟამ შეგნებულად დაარღვია და ამის გამგები მაშინ ბევრი არ იყო. ერთი საკითხი თავიდანვე უნდა იქნას გარკვეული. ესაა ვაჟას ლექსის ტეხნიკა. მან ხალხური შაირის ფორმა გამოიყენა თავის პოეზიაში და ხშირად მისი რითმა ია-თი ან ა-თი ბოლოვდება. გარეგნულად თითქო ეს გარემოება ერთფეროვანს ხდის მის ლირიკას, ასუსტებს მისი პოემების სიძლიერეს. მაგრამ პოეზიაში რითმის ოსტატობა არაა გადამწყვეტი, — არამედ რიტმი, მუსიკალობა, სახეების შექმნა, შინაგანი სიძლიერე. და სწორედ ეს თვისებები ახასიათებს ვაჟას პოეზიას. იგი ისეთ ჯმუხ და ჯადოქრულ სიტყვებს ხმარობს, მას ისეთი მკვეთრი და ძარღვიანი თქმები აქვს, რომ ბევრი დიდი სახელის პატრონ მწერალს გაუჭირდება მასთან ახლო დადგომა.

2

ვაჟას არ შეეძლო არც ბარში შემუშავებული ქართული ლექსის ფორმა მიეღო და არც სრულიად ახალი საკუთარი შეექმნა. ეს შეუსაბამო იქნებოდა იმ თემატიკისთვის, იმ სოციალ-კულტურულ და საზოგადოებრივ ხიადაგისთვის, რომელსაც ის ხატავს. ფშავ ხევსურეთის მეტყველება მეტად თავისებური კილოკავია ქართულ ენაში. ამ კილოკავს თავისი საკუთარი გრამატიკული წესები აქვს, სწორედ ამიტომ შეუძლებელია, მინდია, თორღვაი, ჯოყოლა, ლუხუმი, ზეზვაი, ალუდა, მუცალი, ილიას ან აკაკის ენით ლაპარაკობდნენ. ვაჟა მთაში ბრუნავს, მთის ცხოვრებას ხატავს და ამ შემთხვევაში, მას არ შეეძლო მისი მეტყველებისთვის გვერდი აეხვია. აბა ნახეთ მისი პროზა, სადაც იგი ბუნებას, ფრინველებს, ცხოველებს ალაპარაკებს, მათ ყოფა ცხოვრებას ხატავს, როგორ დაწმენდილია მისი ქართული, მაგრამ ამაზე ქვევით. საინტერესოა ვიცოდეთ თუ როგორ პირობებში სწერდა ვაჟა. რა ნაირი იყო მისი შემოქმედებითი ქმედობა. მისი ქალის გადმოცემით, ვაჟას უყვარდა ჩონგურის დაკვრა. როცა მარტო იყო, ან ყველას ეძინა სახლში, აიღებდა ჩონგურს, იცქირებოდა ცისკენ, ააკვნესებდა და თან სიტყვებსაც დაატანდა. შემდეგ გაჩერდებოდა, ჩასწერდა და კვლავ განაგრძობდა. ამიტომაცაა რომ ვაჟას თითქმის მთელი ლირიკა ერთი გაბმული სიმღერაა, ერთმანეთს შორის ძნელად გასარჩევი და დასაცილებელი. საგულისხმოა, რომ 191 სალირიკო ლექსიდან 83, ე. ი. დაახლოებით ნახევარს — სიმღერა ეწოდება.

„მხრები მესხმება, ვიზრდები,
ცად ვიწევ ასაფრენადა.
გაჩნდება სითლაც ნათელი,
გულ ჩამიდგება სვეტადა;
ზღვავდება მწყობრი სიტყვები
ქაღალდზე დასაბერტყადა
მითთრთიან გულის სიმები,
სიამოვნების ღმერთადა.

და ეს სიმღერა ის კი არაა, ადამიანი რომ მღერის სიამოვნებისათვის ან გასართობად, არამედ იგი შინაგანი წვის ნაყოფია, მორღვეული სულის ახმაურებაა, გულის ჭრილების აკვნესებაა. იგი ერთფეროვანი კი არაა, არამედ ერთი ჰანგია, ერთი კილო, ერთი დიდი ლამაზი და მომხიბლავი სიმღერის.

3

ვაჟა ფშაველას საკუთარ ფილოსოფია აქვს და საკუთარი სოფლგაგება, თავისი მორალური და ზნეობრივი კათეგორიებით. იგი არავისა ჰგავს ჩვენს მწერლობაში. იგი მარტოდ სდგას მუხასავით დაგრაგნილი და წელ-მაგარი. მას არც წინა მორბედი ჰყოლია და არც მიმდევრები. ვაჟა მთის ყოფა-ცხოვრებიდან მოდის, მაგრამ აქვე უნდა ძევნიშნოთ, მან მთის ყოფა მთლიანად არ მიიღო. ეს უკანასკნელი მისთვის არის საყრდნობი, გამოსავალი წერტილი, სამოქმედო არე. მთაში დგომით მან ბრძოლა გამოუცხადა მე-19 საუკუნის ე. წ. ევროპიულ ცივილიზაციას რუსის პოლიციელს რომ გვერდით შემოჰყვა ჩვენში. შეიძლება ვინმემ იდავოს ყოველივე ამის სისწორეზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არ აქვს მნიშვნელობა. არსებითი ისაა რომ ვაჟას სიდიდე აქედან იწყება. მან უდიდესი ხელოვნებით ნათელი გახადა ის ფაქტი, რომ მივარდნილ ფშავ ხევსურეთში, რომელსაც ბარის ქართველობა და რუსი პოლიციელი ველურს ეძახდა, ეს „ველური“ ქართველობა ცხოვრობს სრულიად თავისებური ცხოვრებით და ამ ცხოვრებაში თავისათავად, შინაგანად იბადება ყველა ის დიდი საკაცობრიო იდეები, რომელიც საზოგადოებრივ და ეროვნულ ცხოვრებას დასაბამიდან მოსდევს, რომელიც სწვავდა და აღელვებდა, ადამიანთა ყველა მოდგმის, აზროვნების და შემოქმედების უდიდეს წარმომადგენელთ.

ვაჟა კარგად ხედავდა, რომ მისი თაობის ერთი ნაწილი აფასებდა მას. ეს ნაწილი გრძნობდა, რომ ვაჟაში რაღაც დიდია, თუმცა არ ესმოდათ რაში იყო ეს სიდიდე. ხოლო ნაწილი არარად აგდებდა. ჩვენი საზოგადოების ამ ნაწილს მან მოსწრებულად უპასუხა:

„ზოგებს არ მოსწონთ, მართალი არის,
ჩემის სტვირისა ველური ჟღერა,
იმათ იყბედონ სხვებს ხომ მაინცა
ჩემი ანდერძი გულს დაეწერა.
ყველა ის მიყვარს, სადაც სიბრიყვემ
სწავლის სახელით არ მიაღწია,
და ბუნებრივი წმინდა ქმნილება -
ცოდვილის ხელით არ მიარღვია“.

4

მე-19 საუკუნის ჩვენი განვითარება მთელი თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეებით „განათლებულ სიბრიყვედ“ დასახა პოეტმა და უარყო. საკითხი იბადება, რატომ გაემიჯნა ვაჟა ამ ცივილიზაციას, რატომ უარყო მან ეს კულტურა? იმიტომ რომ ეს კულტურა და ცივილიზაცია მოვიდა არა პიროვნებისა და ადამიანის საკეთილდღეოდ, არა ქართული საზოგადოებრიობისა და ეროვნული ცხოვრების ამაღლებისათვის, არამედ მის დასამონავებლად, გასარყვნელად, გადასაგვარებლად.

ვაჟა ვერ დაეტია მის დროინდელ ბარის ქართულ საზოგადოებრიობაში, ვერ დაეტია იმიტომ, რომ იგი მთიდან იყო მოსული. მთა საქართველოს სულიერი და ნივთიერი კულტურის მუზეუმია. როცა საუკუნეების მანძილზე საქართველოს მტრები იბყრობდენ, საეკლესიო და სახელმწიფო ქონება მთაში გაქონდათ, იქ ინახავდნენ, ფშავ ხევსურეთში, სვანეთში, რაჭა ლეჩხუმში. ვაჟა კარგად ხედავდა, რუსი პოლიციელი როგორ ჩაუდგა კრიჭაში ჩვენს განვითარებას და გასაქანს არ აძლევდა, ხოლო ამის გვერდით ამ სანაქებო, ევროპიულმა ცივილიზაციამ, დააჩიავა ქართველი ადამიანი, მდაბალი ინტერესები შეუქმნა. ქართველი საზოგადოებრიობა გაწოლილი იყო რუსი პოლიციელის ჯოხის ქვეშ, ხოლო ევროპიულ ცივილიზაციამა და სავაჭრო კაპიტალმა მოძრაობა და ბორგვა დაიწყო, რაღაცეებს ცოდვილობდა. ვაჟა ამან არ დააკმაყოფილა. მის სულში ქართული კულტურის დიდი პოტენცია ხმაურობდა, მან იგრძნო რომ ბარი დასცილდა თავის თავს, თავის პირველ წყაროს, თავის არსსა და აზრს—მთას. ამიტომ იყო მან მთელი თავისი შემოქმედება მთიდან გადმომდგარ ხარის ყვირილს შეადარა, რომელსაც დაეკარგა ძმა თუ დაჰ, მისი სისხლი და ხორცი. შეუდარებელია ეს სიმვოლიკა. აქ მოცემულია მისი შემოქმედების მთელი გასაღები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟას გაგებისათვის საჭიროა ამ ორი ქართული მსოფლიოს ნათლად და გარკვევით წარმოდგენა. ბარისა და მთის. როცა თქვენ ამ მეორე ქართულ მსოფლიოში შედიხართ — მთაში — გრძნობთ, რომ ვაჟა ატანილია მთელი იმ საშინელი და მწვავე კითხვებით, რომელიც ბარში აკაკის ცრემლებად ადნობდა, ხოლო ილიას ბრაზით ახჩობდა. კიდევ მეტი, იგი გაცილებით შორს წავიდა და დააყენა ისეთი პრობლემები, რომელზედაც საუკუნეთა განმავლობაში, აუარებელი ფილოსოფოსები, მეცნიერები, მოაზროვნენი, ხელოვანები და რევოლიუციონერები მუშაობდნენ. ეს საკითხებია ადამიანი, ადამიანი და საზოგადოება, მათი ყოფის ამოცანები და მიზნები, ბუნება, ბუნება, როგორც საწყისი ყოვლობის, საიდანაც მოდიან და სადაც ესვენებიან, მთელი ცივილიზაციები, ყოველი მოდგმა, რომელიც სიცოცხლის ნიშანს ატარებს. ეროვნ-საზოგადოებრივი ცხოვრება საუკუნეთა მანძილზე განიცდის ვეებერთელა ცვლილებებს. ეს ცვლილებები მზადდება და ხდება ხშირად ევოლიუციით ზოგჯერ რევოლიუციით და კატაკლიზმებით. მაგრამ მთავარი და ძირითადი კითხვები სხვა და სხვა ფორმით დაახლოებით ერთი და იგივეა, ერის, საზოგადოების და პიროვნების წინაშე რომ ისმის. როგორაა შესაძლებელი, ერის, საზოგადოების და ადამიანის ინტერესების და სიცოცხლის აზრის დათანხმება თუ შეთანხმება, რაც შეიძლება მეტი სრულ ქმნით, მეტი თავისუფლებით, მეტი სამართლიანობით, მეტი ზნეობრივი და მორალური სისაღით.

ხშირად ამ ნიადაგზე ერის ინტერესები ეპირისპირება საზოგადოებას, საზოგადოება პიროვნებას და პირიქით. ხშირად სამთავე ერთმანეთისაგან არამც თუ მნიშვნელოვან კომპრომისს, არამედ დიდ მსხვერპლსაც ითხოვენ. ამ სამში ყველაზე ძლიერი ერია, შემდეგ საზოგადოება, ხოლო ყველაზე უფრო სუსტი ადამიანი, პიროვნება.

განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქაში ერს, საზოგადოებას მთელი რიგი გადაულახავი და დაურღვეველი კანონები აქვს შემუშავებული, ზნეობით, ტრადიციით. მისი გადამლახავი პიროვნება ისჯება სასტიკად. მთელი ეს მოჯადოებული წრე კაცობრიობის ცხოვრებაში ჰქმნის იმ განუწყვეტელ ბრძოლებს, რომელშიაც ცხოვრება მიმდინარეობს. ხშირად ერთი ადამიანი მეორეს სიცოცხლეს უსპობს და ამ ნიადაგზე მამოძრავებელი მიზეზები სრულიად სხვა და სხვაა, ნივთიერი, ფსიქოლოგიური, უფლებრივი. კაცობრიობის აზროვნების, ფილოსოფიის, სამართლიანობის და მორალის უდიდესი წარმომადგენლები მუდამ იბრძოდნენ ამის წინააღმდეგ. ემანუელ კანტმა იმპერატიული მორალი დასახა „იმოქმედე ისე რომ შენი თავისუფლება მოათავსო სხვის თავისუფლებაში". ჰამლეტმა არ მიიღო უზნეო და გარყვნილი ქვეყანა, ბაირონმა ბრძოლა გამოუცხადა ყველაფერს, რაც მოძალადე და მჩაგრავია ამ ქვეყნად. ნ. ბარათაშვილი უმნიშვნელო რეზერვით გაემიჯნა ამ სოფლის ამაოებას, ხან ცის იქით ეძიებდა სადგურს და ხან უდაბნოში სამარეს, სადაც ზარით ღრიალით ქარი მიწას მიაყრის. ხევსურეთის პატარა სოფელ შატილის მოქალაქე, ალუდა ქეთელაური შეებრძოლა თემის ტრადიციას, როგორც ზემოდ დასახელებული დიდი მორალის რევოლუციონერები.

5

საუკუნეთა განმავლობაში ფშავ ხევსურეთი, გადაურჩა როგორც საგარეო მტრების თარეშს, დარბევას, ისე ქართველი ფეოდალების სულთამხუთაობას. ისინი მუდამ ბარის საქართველოს ეხმარებოდნენ, ხოლო ბარის დახმარება მათ იშვიათად თუ დასჭირებიათ. თავისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო. ისინი თითონ უმკლავდებოდნენ თავიანთ კავკასიონის ზოგიერთ ტომებს, რომლებიც მათზე გაბედავდნენ თავდასხმას. ფშავ ხევსურეთმა დიდ რევოლუციამდე და საქართველოს ხელმეორედ დაპყრობამდე მოიტანა, მარტივი მართველობის დემოკრატიული ფორმა თავისი ხევის ბერთა ინსტიტუტით, ხოლო რელიგიის სფეროში შეინახა ბუნების კულტი თავისი კოპალა — იახსარებით, მუხის ანგელოზებით, ლაშარის ჯვრით, მძლე უქმეებით და ადგილის დედებითა.

ფშავ ხევსურეთში მოქალაქე მაშინ იყო ღირსი საზოგადოების წევრობისა, ვინც მის ტრადიციას, ზნეს, ჩვეულებებს წმინდათ ინახავდა. აქ ძველთაგან დაკანონებული იყო წესი, როცა ხევსური მტერს მოკლავდა მისთვის მარჯვენა მკლავი უნდა მოეჭრა და მოეტანა თემში, როგორც ნივთიერი საბუთი თავისი მამაცობის და გმირობის დასამტკიცებლად. აი ეს წმიდათა წმიდა წესი დაარღვია ალუდა ქეთელაურმა, როცა მან ქისტი მუცალი მოკლა და გამარჯვებულმა მკლავი არ მოსჭრა.

„წესი არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მოსჭარ დანითა,
ვაი ეგეთსა სამართალს.
მონათლულს ცოდვა ბრალითა".

ამბობს ალუდა. მაგრამ ამ დროს, მეორე გმირს როცა მუცალის მოჭრილი მარჯვენა მკლავი მოაქვს, ბერდია, თემის სინიდისი და მართმსაჯულების წარმომადგენელი აცხადებს:

„ხალხო მინდა ის გავიგო
პასუხი თქვენი გულისა,
დაჯარდით ხევსურთ შვილებო,
ყველანი დიდი — მცირენი,
სამართალი ვქნათ ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირენი.
ნუ დაინანებთ ექმენით,
ცოლშვილის ამამტირენი,
მოკვეთილ იყოს სხვა ქვეყნის
ცა ღრუბლის შენამზირები
წადით უმტვრიეთ შავბელსა,
სახლისა, ციხის კარები.
ცეცხლი მიეცით საძოვარს,
ცასა სწვდებოდეს ალები.
სათემოდ გამოირეკეთ,
ცხვარი, ძროხა და ხარები.
შატილს ცოლშვილი უტირეთ
გუდანს — შინშნი და ქალები".

საშინელი და შეუბრალებელია თემი, როცა მის ტრადიციას, მის ზნე ჩვეულებას არღვევს მისი წევრი. თემი მას სჯის, როგორც მოღალატეს, როგორც შემარცხვენელს, როგორც სამღვთო წესის დამრღვევს. საქართველოს ბარის-საზრისით ალუდას ჩადენილი დანაშაული შეიძლება უმნიშვნელო ან სრულიად არავითარი დანაშაული არაა, მაგრამ ეხლა ფშავ ხევსურეთის საზრისით მიუდექით მას? იგი უდიდეს დანაშაულად აღმოჩნდება.

ამ პოემაში დაპირისპირებულია ორი დიდი პრობლემა. ერთი თემის სასიცოცხლო ინტერესები, მისი დაუწერელი კანონები და მხედრული მორალი, მეორე ადამიანის სულში დაბადებული ახალი, მაღალი ზნეობრივი ნორმები. ალუდას აზრით მტრის მოკვლა უწმინდესი მოვალეობაა და გმირობაც, მაგრამ რა ვაჟკაცობაა მოკლულს მარჯვენა მკლავი მოაჭრა. ეს ლაჩრობაა და არა გმირობა, ეს ცოდვაცაა და ბრალიც. მისი გაბედული მოქმედება მიმართულია იქითკენ, რომ თემმა გადასინჯოს და შეასწოროს თავისი დაუწერელი კანონი და მხედრული მორალი. მაგრამ თემს ამის გაგონება არ უნდა. იგი ალუდა ქეთელაურს აძევებს თავის ცოლშვილით სამშობლოდან და სარჩო საბადებელს, მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას ართმევს თემის სასარგებლოდ. ალუდა ემორჩილება თემის მკაცრ განაჩენს, ხოლო თემის მიმართ იოტის ოდენა კომპრომისს არ აკეთებს. ალუდა ტოვებს თავის საყვარელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემს, თავის სამშობლოს, სადაც დაიბადა, სადაც აღიზარდა, რომელიც ყველა ღმერთებზე უფრო უყვარს, ძაგრამ თავის სიმართლეში ღალატია დაჯერებული და არაფერსა სთქობს. მას რომ ბოლოში მოეხადა, ქედი მოეხარა, თავი დანაშაულად ელიარებინა, შესაძლებელია თემს ეპატიებია დანაშაული, მაგრამ როგორ, როცა დარწმუნებულია თავის სიმართლეში! ეს უკომარიმისო ძიებაა სრულქმნილი ზნეობისა და ჭეშმარიტების, ხევსურეთში იგი ხორცს ისხამს, პიროვნების და საზოგადოების შეტაკების ფაქტად ხდება. გაძევებული ქეთელაური სტოვებს თემს. საშინელი ამინდია, თოვლი ქარი და თქეში. დედა ეუბნება ალუდას:

— „შვილო, იარე ნელაო,
შენთან ვერ გავძლებთ ვერც მენა,
ვერც შენი ცოლი ლელაო,
ბალღები აგვიბოჟირდა,
ხელფეხ დაგვიზრა ძნელაო.
ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ
ვაჰმე როგორა ბნელაო.

და შემდეგ:

თავის მიწის წყლის გაწირვა
ძნელი ყოფილა მეტადა;
მამაკვდავს დავფერებივარ,
გონი გამხდია რეტადა.
მუხლებ არ მამდევს, გულშია
ბნელი ჩამიდგა სვეტადა.
ვაჰ, მამა-პაპის საფლავნო,
კლდენი დამდგარნო სვეტადა“.

ალუდა უჯავრდება დედასა და ცოლს ამ სიტყვების გაგონებაზე.

„„დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა,
მოდით, მამყევით, ვიდინოთ,
ღმერთმა ეს გვარგუნა ბედადა,
ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ,
— ნუ გადიქცევით ცეტადა!“

თემს ნუ სწყევთ, ეს არის ნამდვილი სოკრატისებული ფილოსოფია. უსამართლობის ჩადენა არც ერთ შემთხვევაში არაა მისაღები, თუ გინდ იგი მიმართული იყოს მათ წინააღმდეგ ვინც შენ უსამართლოდ მოგეგცა.. როდესაც 399 წ. (ქრ. წინ.) სოკრატე გაასამართლეს, ხუთას ერთის სასამართლომ სამოცი ხმის უმეტესობით სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მისი მეგობარი კრიტონი მზადაა სოკრატე ციხიდან გააპაროს. სოკრატე არ თანხმდება, იგი თავის აზრს ასაბუთებს ასე: „თუ ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია შენი დაღუპვა და განადგურება, შენც უნდა გაგვანადგურო ჩვენ, კანონები და სამშობლო, რამდენადაც ეს შენს ხელთაა და ამის შემდეგ შენ იტყვი სამართლიანად მოვიქეცი?... განა შენი სიბრძნე იმდენად მდარეა, რომ ვერც კი შეამჩნიე, რომ დედაზე, მამაზე და ყველა სხვა წინაპარზე უფრო ძვირფასია სამშობლო; რომ ის უფრო ტკბილია და უფრო სახიერი, უფრო მეტ პატივშია ალმერთებთან და ადამიანებთან, რომელნიც გონიერნი არიან; საჭიროა უფრო მეტი პატივი სცე სამშობლოს, ვიდრე მამას, დაუთმო და მოეფერო მას, თუ ის გაჯავრდება; ან უკეთესი უნდა ასწავლო მას, ან და გააკეთო, რასაც ის მოითხოვს, და მოთმინებით აიტანო ის ტკივილები, რომელასაც ის შეგამთხვევს, — ცემა იქნება ის თუ ბორკილები, ომში დაკოდვა თუ სიკვდილი, ყველაფერი ეს უნდა აიტანო... არც უნდა დასთმო, არც უკან უნდა დაიხიო, არც შენი სადარაჯო დასტოვო. ძალდატანება მამისა და დედის მიმართაც დასაძრახისია, მით უმეტეს სამშობლოს მიმართ“. სოკრატის აზრით რესპუბლიკა და კანონები მართალი არიან, როცა ისინი მას სჯიან, რადგან ისინი თავს იცავენ, ხოლო როცა თავის სულში იხედება, თავის ნააზრევს ყოველმხრივ სინჯავს, რწმუნდება, რომ თითონაც მართალია, ძაგრამ წიხალძდეგია თავისი სიბძნე ძალადობით მოახვიოს თავს სამშობლოს და კანონებს, როძელმაც იგი აღზარდა. ალუდა სოკრატესავით ღებულობს თემის განაჩენს. იგი უფლებას არ აძლევს ცოლსა და დედას საყვედური სთქვახ ან დასწყევლოხ თემი და ძისი კანონები ამ ძმიმე განაჩენისათვის. მათ შორის სულიერი, ფსიქოლოგიური და მორალური ნათესაობა არის.

ალუდა ქეთელაური ისეთი დიდი მნიშვნელობის ტიპია ქართული კულტურისათვის, როგორც ფაუსტი გერმანელებისათვის, ჰამლეტი ინგლისელებისათვის, ანტიგონე ბერძნებისათვის. ალუდა, ფაუსტი, ჰამლეტი, ანტიგონე თავიანთ ეროვნულ საზღვრებს სცილდებიან და საკაცობრიო სიმაღლეზე დგანან.

6

ვაჟა ფშაველა, პოემა „სტუმართ მასპინძლობა“-ში ხელ ახლა უბრუნდება იმ საკითხს, რაც „ალუდა ქეთელაურშია“ დაყენებული, აქ თემისა და პიროვნების დაპირისპირებაა. ეს პოემა უაღრესად საყურადღებოა, რადგან პირველ პოემაში დასმული პრობლემა აქ ერთგვარად გადაწყვეტილია. ხევსური ზვიადური, რომელსაც ქისტი მუცალი შემოაკვდა, შემთხვევით მოხვდება სტუმრად მის ძმა ჯოყოლასთან. ჯოყოლა ვერა სცხობს და უმასპინძლდება. მაგრამ ამავე დროს ქისტების თემმა გაიგო, რომ ზვიადურია სწორედ ის კაცი, ვინც ჯოყოლასთან სტუმრადაა. მთელი ქისტების სოფელი მიდის ჯოყოლას ბინაზე და ითხოვენ ხევსურის თავს მან ეხლა გაიგო, რომ ზვიადაური, მისი ძმის მკვლელია, მაგრამ თემს არ აძლევს უფლებას ეხლა სისხლი აიღონ, რადგან „დღეს სტუმარია ეგ ჩემი თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“. სოფელი უკან არ იხევს, იმუქრება და ძალით უნდათ სახლის კარები შეამტვრიონ. ამ დროს ჯოყოლა იძრობს ხანჯალს და კლავს ერთ მომხდურთაგანს. ამის შემდეგ სოფლელები კარებს შეამტვრევენ, ჯოყოლას ხელ ფეხს შეუკრავენ, ზვიადურს კი მის მიერ მოკლულ ქისტის საფლავზე დაკლავენ. ჯოყოლას ცოლი აღაზა ჩუმად დაიტირებს საბრალო ხევსურს. ჯოყოლა თემმა გარიცხა როგორც ადათისა და ჩვეულების დამრღვევი. გადის ხანი და ხევსურები დაეცემიან ქისტებს, ზვიადაურის სისხლის ასაღებად. ჯოყოლა მიდის ხევსურების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ მიდის არა თემთან ერთად, არამედ დამოუკიდებლად, მარტოდ. იგი ვაჟკაცურად იბრძვის და ამ ბრძოლაში მას კლავენ. თემი სამარხ მიწას არ იძლევა. მისმა ცოლმა აღაზამ სადღაც შორს წაიღო და დამარხა. თითონ კი მდინარეში თავი დაიხრჩო. მომხდარმა ამბებმა თემი დააფიქრა. თემი თითქო გრძნობს თავის დანაშაულს და ერთგვარ სინიდისის ქენჯნასაც განიცდის. მთელი სოფელი ყოველ ღამე მოჩვენებას ხედავს: საფლავიდან ამოდის ჯოყოლა და თავის ძმას ზვიადურს უძახის, მათ გვერდით საბრალო აღაზას ლანდიც ამოდის და...

„იმათ მასპინძლობს აღაზა,
ჯიხვის მწვადს უწვავს ალზედა
ვაჟკაცობისას ამბობენ,
ერთ ურთის დანდობისასა,
სტუმართ მასპინძლის წესზედა
ცნობის და დაჰ ძმობისასა.
როცა მათ ხედავთ ერთადა,
კაცი ვერ ძღება ცქერითა.“

აქ ვაჟამ გვაჩვენა, რომ პიროვნების თავგანწირვა სამართლიანობასა და მაღალი ზნეობრივი იდეალებისათვის ყოველთვის უქმად არ ჩაივლის, რამოდენიმე ხნის შემდეგ უთუოდ თავის გზას გაიკაფავს და ნაყოფს გამოიღებს. ალუდა პირველი მსხვერპლი იყო ამ გზაზე, ხოლო ჯოყოლა, რომელმაც მას მიბაძა; ამან უკვე ნაყოფი გამოიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეძის ტრადიცია თუ არ შეირყა, ძისი გადასინჯვისთვის ერთგვარი ნიადაგი მზადდება. აქვე უნდა ავღნიშნო ერთი ძეტად საგულისხძო ფაქტი, ვაჟას აჯანყებული გმირები უაღრესად დიდი ზნეობიერი და სულიერი სიმტკიცის მატარებელი ადამიანები არიან, მათ მოქმედებაში რაღაც სარწმუნოებრივი წინასწარ დაგეგმილი ჯიუტობაა ჩაქსოვილი, უმაღლესი მიზნისთვის ბრძოლაში. ვაჟას სწამს, რომ პიროვნებას, მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია საზოგადოებრივ ცხოვრების გარდაქმნასა და აძაღლებაში, მაგრამ ამისათვის საჭიროა თვით პიროვნება იყოს მთლიანი, გაუტეხელი, უკანდაუხევი. სულით, ნებისყოფით, აზრის სიღრმით, მორალური სიმაღლით და ვაჟკაცობით. მაშინ შესაძლებელია დაუძლეველის დაძლევა, გადაულახავის გადალახვა, აუტანელის აუტანა. ფიზიკურად სიკვდილი არ ნიშნავს მორალურ სიკვდილს, არამედ ზოგჯერ გამარჯვებას. პოემა აგებულია იმაზე თუ როგორ ესმის მთიელს, ამ შემთხვევაში ქისტებს, სტუმართ-მასპინძლობა. თუ კი თქვენ მთიელმა ოჯახში მიგიღოთ, შემდეგ არავის აქვს უფლება შეურაცყოფა მოგაყენოს, თუ გინდ თქვენ ღირსიც იყოთ ამ შეურაცყოფის... როგორც მთის სხვა ტომებში, ფშავ ხევსურეთშიც განმტკიცებულია ეს ტრადიცია. თუ როგორ აფასებს ხევსური პურმარილს, როგორი მოწიწებით ეპყრობა იგი სტუმარს. ეს სჩანს ხალხური თქმულებიდანაც: „პურადი კაცი მამაცზე სამი გაფრენით მეტია". პურ მარილი, სტუმრის პატივისცემა, ვაჟკაცობაზე წინაა დაყენებული, ხოლო ვაჟკაცობა მათი ზნეობრივ მორალური ცხოვრების პირველი დამახასიათებელი ნიშანია. ჯოყოლას არ უნდა მიეღო ზვიადაური ოჯახში, მაგრამ მან არ იცოდა, რომ იგი მისი ძმის მკვლელი იყო.. და რადგან მიიღო, შემდეგ მთელ თემს აღუდგა წინ მის დასაცავად.

7

მესამე პოემა, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ვაჟა ფშაველას მთელ პოეზიაში არის „გველის მჭამელი". ამ პოემაში აღძრულია სამი დიდი საკითხი: თავისუფლებისთვის თავ განწირვაზე, კაცობა და მიწიერი ყოფის გადაულახავი მიზეზები.

მინდია, ქაჯებს ჰყავთ ტყვედ 12 წლის განმავლობაში. იგი საშინლად იტანჯება, მას აგონდება ჩამოთოვლილი მთები, ჩაბნელებული ხევები, უსწორ-მასწორო გზები, მგლოვიარე დედ-მამა და ძმები, მიწური ქოხი, მისთვის რომ სამოთხის სწორია. ბევრი ეცადა, მაგრამ ამაოდ, ტყვეობიდან თავის დახსნა ვერ მოახერხა. ბოლოს გადასწყვიტა: „თავსა მოვიკლავ, ასეთ სიცოცხლეს სჯობია". ამ მიზნით მიმართა ერთ საშვალებას: ქაჯები გველის ხორცს ხარშავდნენ ქვაბში, მოიპარა ერთი ნაჭერი და ზიზღით ქურდულად შეჭამა. მოხდა სასწაული. იმის მაგივრად რომ მოწამლულიყო „ახლად სული ჩაედგა", გადახალისდა მისი ტანის ყოველი უჯრედი. იგი მიწვდა ბუნების მთელ საიდუმლოებას და ქაჯების სიბრძნეს. მინდიამ იგრძნო, რომ ყოველი არსება, რომელსაც ადამიანი უსულოს ეძახის: ბალახი, ხე, ყვავილი, ქვა, მთა, მდინარე, სულიერი არსებანი ყოფილან. ეიდესი მგრძნობელობა ჰქონიათ. მათაც შესძლებიათ ტანჯვა, სიყვარული, თავგანწირვა, მეტი სილამაზით, მეტი რაინდობით, მეტი კეთილშობილებით და მეტი სულიერი სიფაქიზით, ვიდრე ადამიანებს. მათში არაა ანგარება, ღალატი, ჯაშუშობა და სინიდისით ვაჭრობა. მათი არსებობის საფუძველი მაღალი მორალი და სათნოება ყოფილა. „თურმე ბნედა სჭირთ ყვავილთა, ოღონდ ეწამლონ სნეულთა". და ეს ყვავილები, ეს მცენარეები სთხოვენ მინდიას — მოგვწყვიტეო, რომ სნეული განკურნოს, დავრდომილი ფეხზე დააყენოს, დაჭრილს ჭრილობა გაუმთელოს. მინდია გულთმისანია, ბრძენი, გადაულახავის გადამლახავი, **მიუწვდომელის მიმწვდომი.** გრიგოლ რობაქიძის თქმით „იგი თავის თავად გაზრდილია". როგორ მოხდა ამ დიდი პიროვნების თავის თავად გაზრდა. ძიხდია უაღრესად ძთლიანი პიროვნებაა, უკომაროძისო, ძალადობის ყიოაძე ქედძოუხრელი, თავგანწიროული. იგი ვეო ძოსტეხა 12 წლის ტყვეობაძ, ხოლო როცა გაითავისუფლების ყოველი იძედი დაკარგა თავის მოკვლა არჩია ძოხობას, ყოველივე აძისათვის ბუნებამ დააჯილდოვა, მას აჩუქა არა ძარტო სიცოცხლე, აოაეედ სიბრძნე და გულთმისსობა. საზოგადოებაძ ერთბაშად არ მიიღო ძიხდია. ეჭვი დაატანა ძის ყოვლის შემძლებლობას. ერთნი აძბობდნენ: „მიხდია სკრუობს სწორედა". მეორენი: „მაგ ფიქრს რომ მივყვეთ შეხს ძტერსა როგორლა გვეცხოვრებისა". მაგრამ საზოგადოება ადრე დარწმუნდა, რომ მინდია მატყუარა არაა. რადგან: „თუ დაჭრილს ცოცხალს მიუსწრო, ნუ აქვს სიკვდილის დარია, შუაზე გაჭრილს გახკურნავს მის უებარი წამალი". როცა გაზაფხულდება, ბუნება შეიმოსება და გაცოცხლდება, მინდია გადის მთა ველში, ყველა მცენარეს, ბალახს, მღილს, სალამს აძლევს. ბუნებაც მინდიას გამოჩენაზე „ვაშას" უძახის „მდიდრად მორთულის ალმითა, ყვავილნი ყელ გადაგდებით, დახატულები კალმითა, მინდიას გაუმარჯოსა ერთხმად ასტეხენ ჟივილსა, ხეები ფოთლებს არხევენ ბუნება იწყებს ბიბინსა". მინდია ზე კაცია, ღრმა ერთთან — ან ღმერთთან დატოლებული, რომელიც სულიერად და ხორციელად გადადის კოსმოსში, როგორც არსისა და აზრის სიჯანსაღე, როგორც სიცოცხლის დამოუკიდებელი თაური თუ საწყისი. მაგრამ მინდია ბოლომდე ვერ გაუვა ამ გზას. ვაჟა ფშაველამ შუაზე გადატეხა ზე კაცი. მას არ მისცა არც ალუდა-ქეთელაურის და არც ჯოყოლას ხასიათის სიმტკიცე. მინდია ცოლს ირთავს, ოჯახს ეკიდება. იგი, ახლა იძულებულიცაა და ვალდებულიც ოჯახზე იზრუნოს. ხოლო ოჯახზე ზრუნვამ იგი დააცილა ზეკაცობის გზას. მინდია იძულებული შეიქნა ჭანდარი მოეჭრა, ოჯახში შეშა იყო საჭირო. ხმელი ფიჩხი ოჯახს არ ეყო გასათბობად ზამთრის სუსხში. მთელი ოჯახი განსაცდელშია, არა და ხე ემუდარება მინდიას „ნუ მომჭრიო". რამდენიმეჯერ წავიდა მოსაჭრელად, მაგრამ როცა ხის მუდარა შემოესმა, უკან გამობრუნდა, ბოლოს ქვის გული ჩაიდგა და მოსჭრა. ამის შემდეგ მინდია დაცარიელდა ცოდნიდან. ბუნებამ წაართვა ის სიბრძნე, რაც მისცა. იგი სტირის, ცრემლებად დნება, ვერ უძლებს ამ სასჯელს და თავს იკლავს. ეს ისეთი დიდი თვითმკვლელობა იყო, რომ ვაჟამ თვით ბუნება დააფიქრა ამაზე. „მთვარემაც გადმოაშუქა საჯიხვეების სერითა და დააშტერდა თავის მკვლელს მოზარე ქალის ფერათა".

რატომ გადატეხა ვაჟამ შუაზე ეს დიდი პიროვნება? შესაძლებელია იმიტომ, რომ აქ პრობლემა სრულიად სხვა სიღრმითაა დასმული, ვიდრე მთელ მის დანარჩენ პოემებში. აქ ზეკაცობა დაპირისპირებულია მიწიერ ყოფის გადაულახავ მიზეზებთან. ამ დაპირისპირებაში წინაა დაყენებული მიწიერი ყოფა. ეს ზეკაცი რომ შუაზე არ გადაეტეხა ვაჟას, მაშინ მინდიას ოჯახისთვის ხელი არ უნდა მოეკიდნა ანდა როცა არჩევანი დაუდგა ოჯახის კერძო საჭიროებაზე ზრუნვა თუ ბუნების ერთგულება — ცოლს უნდა გაყოლოდა და განდეგილად წასულიყო. განდეგილობა გაქცევაა ნამდვილი ცხოვრებიდან. მინდია ღალატობს ბუნებას. მაგრამ საკითხავია მინდიას ჩადენილი საქციელი შეიძლება თუ არა ღალატად მივიჩნიოთ.. აქ ინტერესთა წინააღმდგობასთანა გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში ბუნებან უნდა დაეთმო ადამიანისათვის, თუ იგი ადამიანის არსებობას და ცხოვრებას არ ეწინააღმდეგება. მაგრამ ბუნებამ არ დაუთმო ისე, როგორც თემმა არ დაუთმო ალუდა ქეთელაურს და ჯოყოლას, თუმცა მოზარე ქალის ფერად კი დააშტერდა მის ცხედარს. ეს გასაკვირიც არაა. მინდია, მისი შვილი იყო, მისი სისხლი და ხორცი. მისი მესაიდუმლე. მინდია შეცდა, მაგრამ შეცდა კი?. მას არ შეეძლო ასე არ მოქცეულიყო, თუ იგი ნამდვილი ცხოვრებიდან არ გაიქცეოდა. ხოლო ნამდვილი ცხოვრებიდან გაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცევა მიხდიას არ შეეძლო იმ მორალური და ფილოსოფიური შეხედულებებით, რომელსაც მან ტანჯვით მიაღწია, რომელიც მან თავის თავად იწამა. ვაჟა ფშაველამ აქ მთელი სისავსით დაგვიხატა ის მოჯადოებული წრე, რომელშიაც ადამიანია მოქცეული. ალუდა ქეთელაური, ჯოყოლა თემს და საზოგადოებას უპირისპირდება, როგორც მაღალი მორალის რევოლიუციონერები, ხოლო მინდია, რომელიც გამეცნიერდა, ზეკაცობის მწვერვალზე ავიდა, იძულებული გახდა თავის მშობელს, თავის აღმზრდელს და მოძღვარს — ბუნებას დაპირისპირებოდა და შებრძოლებოდა, სრულიად კერძო ოჯახურ საჭიროების ნიადაგზე. ეს კერძო, ოჯახური საჭიროების ამბავი უმნიშვნელოა. პატარა, შედარებით სხვა დიდ მნიშვნელოვან საკითხებთან, მაგრამ ისეთი დიდი ღირებულების მქონე, როგორც უაღრესად რთულ მექანიზმისათვის პაწია მარჭვალი, რომლის ამოძრობა ვერ ბერთელა მანქანის მოძრაობას შეაჩერებდა. ვაჟა არ სწყვეტს საკითხს. იგი მხოლოდ აყენებს ძნელი ჯასაგებია ვის მხარეზეა მისი თანაგრძნობა. იგი მიუდგომლად ხატავს მდგომარეობის სირთულეს და მისი შემოქმედების სიძლიერე სწორედ აქაა. ვაჟა მოსამართლე არაა, არამედ მხატვარი და შემოქმედი.

საიდან აიღო ვაჟამ „გველის მჭამელის“ შინაარსი. ამის შესახებ თითონ ავტორი იძლევა შემდეგ განმარტებას პასუხში ვართაგავასადმი. „გველის მჭამელის“ არაკი რაც მე გაეიგონე შემდეგია: ხევსური მინდია ჩაუვარდება ტყვედ ქაჯებს. ტყვეობამ თავის მოკვლამდე მიიყვანა, თავის მოსაკვლელად გველის ხორცი ჭამა, რომლითაც ქაჯები იკვებებოდენ. გველის ჭამამ სრულიად სხვა ნაყოფი გამოიღო: მინდია ბრძენ კაცად გადაიქცა. მას ესმის მცენარეების ენა. ისინი თითონ ამბობენ რომელი რის წამალია.. ხალხური თქმულება ამას იქით არ გადის“. ამ უბრალო არაკიდან ვაჟამ შექმნა ისეთი დიდი ნაწარმოები, რომელიც ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ვეფხის ტყაოსანს გვერდს უმშვენებს.

არ ვეხები დანარჩენ პოემებს, რომელთა რიცხვი 41-მდე აღწევს. მათზე შეჩერება დიდ დროს მოითხოვდა. დღეს კი მხოლოდ იმაზე შევჩერდი, რაც არსებითი და ძირითადი იყო.

8

საკაცობრიო საკითხებთან ერთად, ვაჟა ფშაველამ ქართული პატრიოტიზმი უმაღლეს მწვერვალამდე აღამაღლა. როცა ვაჟა საკმაოდ გამოჩნდა ქართული მწერლობის ასპარეზზე ილიამ სთქვა, ამიერიდან მე ლექსების წერას თავს ვანებებო. თუ მართალია ეს თქმა, რასაც ილიას აწერენ, ჭეშმარიტად სწორად უგრძნია ამ დიდ ქართველ პოეტს და მოაზროვნეს ვაჟა ფშაველა. ეს ნიშნავდა ვაჟას წინაშე თავის დახრას პოეზიაში, როგორც ამბობენ, ვაჟამ ეს არ გაიკვირვა, არამედ მიიღო როგორც კუთვნილი და ბუნებრივი რამ.

განსაკუთრებით აკაკიმ და ნაწილობრივ ილიამ პუბლიცისტიკით დადაღეს ქართული პოეზია. შეიძლება ჩვენი ეროვნული ცხოვრების ვითარება საჭიროებდა ამ პუბლიცისტიკას, მაგრამ ხელოვნების საზრისით ეს ნაკლია და არა ღირსება. ვაჟამ არ მიიღო ეს პუბლიცისტური ჟანრი. იგი სხვა ენით ალაპარაკდა. იგი თითოულ ნივთს, თუ მოვლენას სახელს არ არქმევს. იგი სიმბოლოებით ლაპარაკობს და ეს სიმბოლოები ისეთი საკვირველი შინაგანი ცეცხლითაა გავარვალებული, რომ დაუეჭვებლადა გრძნობთ პოეტის გულის თქმასა და სულის მღელვარებას. ვაჟა ბუნების მესაიდუმლეა, როგორც მინდია. მას აქვს ხილვის საოცარი სიმახვილე. შემეცნების უნაზესი მგრძნობელობა და აზრის განსაკვირებელი ლოგიკა. მთების ნისლი ჩვენი ქვეყნის ფიქრები ჰგონია, შვილის ნუკრის ჩივილი, რომელსაც მონადირემ დედა მოუკლა ჩვენი ქვეყნის ჩივილია, ხოლო „ხმელი წიფელი“ დაპყრობილი და მანდილ ახდილი საქართველოს უდიდესი სიმბოლო. მას აქვს ზოგადი, მაგრამ გარკვეული ფორმულა. ერთი ადამიანი მეორეს არ უნდა ჩაგრავდეს, ერთი ერი, მეორეს არ უნდა იპყრობდეს... „კაცმა, შეუბრალებელმა ადამიანმა მოგვიკლა გული. მოგვიკლა შვილი და დაგვტოვა თვალ ცრემლიანი. გუშინ და დღეს ჩვენ ბევრი ვიტირეთ, გვენანება იმ ადგილის განშორება, სადაც დავიბადენით, აღვიზარდენით, სადაც სიცოცხლე ვიგრძენით“, ასე ალაპარაკებს ვაჟა შველის ნუკრს, რომელსაც მონადირემ დედა მოუკლა. აქ ეს პაწია ცხოველი აყვანილია მაღალ ქმნილებამდე — რომელსაც საბიხელი ტრაგედია დაატყდა თავსა. იგი ვერ შორდება იმ ადგილს, სადაც დაიბადა, სადაც პირველად სიცოცხლე იგრძნო, თავის სამშობლოს; იგი ცრემლებად დნება, მისი მწუხარება უსაზღვროა და უნაპირო. თქვენ გესმით რანაირი სიმწვავით, როგორი გულის ტკივილით უნდა ეგრძნო ვაჟა ფშაველას საქართველოს ეროვნული ცხოვრების ტრაგედია, როცა იგი ცხოველის, მცენარის, მწერის და მღილის დაჩაგვრაზედაც უზომოდ შეწუხებულია. ვაჟას აქვს ერთი პატარა მოთხრობა „მთის წყარო“ სადაც დიდი ოსტატობით ეროვნული თუ პიროვნული დამოუკიდებლობის საკითხი არის დაყენებული. „არაფერი ცოდვა არ მიქნია ჩემს დღეში. ვერც ერთი სულიერი, თუნდ უსულო, ჩემს ცოდვას, ჩემს სიავეს ვერ იტყვის. ღმერთს ესე დაუწესებივარ: უნდა ვიდინო, ვიდინო, ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი. გახურებულს ზაფხულის დღეში რამდენი ნადირი მოდის, სვამს ჩემს წყალსა, რამდენი დაღალულ-დაქანცული მუშა მოვა, მოიტანს ცელს, ნამგალს გასალესად... კაცნი მსმენ და ათასში ერთი თუ იტყვის „დაილოცე, ციო მთის წყაროვ, რომელი ღვინო შეგედრებაო?! „უმრავლესობა ზედ მაფურთხებს.. ვერსის სიგრძეზე ვარ მხოლოდ ბედნიერი და უცოდველი. რა ვქნა, მე ვერავის მივაფურთხებ“... „ორისა თუ სამის მერე დამლევს, ჩამნთქავს უზარმაზარი მდინარე, დაიკარგება ჩემი სახელი, ჩემი ვინაობა. როგორც უნდა, ისე მატრიალებს. თითონ ხომ ღრიალებს, ბორგავს, აწყდება აქეთ-იქით, ანგრევს დედა მიწას, გლეჯავს ხეებს და მიათრევს, მეც იმასვე ჩამადენინებს. მაგრამ მაშინ მე ის აღარა ვარ, რაც ეხლა, ამ წამში, როდესაც პირველად კლდიდამ ვიბადები. ოჰ, ამ მდინარისაგან გული მაქვს გახეთქილი! რამდენჯერ აქ მესმის ხოლმე ხალხის ჟივილ-ხივილი: „დაახჩო წყალმა კაცი, უშველეთ ღმერთი არავის გწამთ!“. ცოტა არ არის, მეც ბრალი მიდება. ვაჰ, ჩემო თავო! ნეტავი დამბადებელს ესე არ დავეწესებინე“. ვაჟა ხედავს უდიდეს სრულ ქმნასა და ბედნიერებას, პიროვნულსა და ეროვნულს დამოუკიდებლობაში, მას სული ეხუთება იქ, სადაც ირღვევა ამ დამოუკიდებლობის სათავეები. ვაჟა პროზაში უმთავრესად ბუნების ცხოვრების აღწერას იძლევა. იგი ეძებს და პოულობს ამ ბუნებაში მაღალი ცხოვრების მიზანსა და მისწრაფებას. „ია“, „მთის წყარო“, „მთანი მაღალნი“, „ხმელი წიფელი“, ეს უძვირფასესი პოემებია დიდი შემომქმედის და ოსტატის ხელით დაწერილი. არა მგონია მსოფლიო ლიტერატურაში რომელიმე ერს ჰქონდეს ასეთი დიდ მნიშვნელოვანი ხელოვნური ქმნილებანი, როგორიც ვაჟა ფშაველას შემოქმედებაა. მოისმინეთ პატარა ნაწყვეტი „მთანი მაღალნი“-დან, რომ დარწმუნდეთ რამდენად გამახვილებული აქვს ვაჟას მგრძნობელობა ბუნების სულში ჩასაწვდომად. „იდგნენ და ელოდნენ, უსაზღვროა მთების მოლოდინი, უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში, წითლად, სისხლის ფრად შედედებული უთიმთიმებს გულ-მკერდში. გარეთ, სახეზე კი არაფერი ეტყობათ, გარდა მტერობისა. ეს არის კიდეც ნიშანი მოლოდინისა. ვინ რა იცის, რა ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი სდუღს და გადმოდის. მთებო, მთებო! რას ელით, ვის ელით! ნუთუ გყავთ სატრფო დიდი ხნის უნახავი? იქნება შვილი დაჰკარგეთ?. იქნება ძმა, ან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგსვლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათ? პასუხი არ ისმის. სდგანან წარბშეუხრელად. ელოდნენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში ამ მოლოდინის ზღვას? არა აქვს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ღვთაებას".

9

ვაჟა ფშაველას ფანტაზია, მისი აღქმის, მისი შეხების ნერვები ისეთი საკვირველი მგრძნობელობის და სიმახვილისაა, რომ მას თავისუფლად ეხერხება ჟრუანტელის მომგვრელი სურათის შექმნა. აიღეთ მისი ლექსის ერთი მაგალითი „მდევების ლხინიდან"

„ცეცხლი დაენთო ძლიერი,
გარს უსხდენ ყოტებივითა,
თავ ცხვირი წამოეშვირათ,
სალის კლდის ლოდებივითა.
დაღრენილი აქვთ ლაშები,
სალუდეს ქობებივითა,
წითელს იქნევენ ენებსა,
გრძელებსა შოთებივითა".

ან და ეთერიდან კუდიანი ბებერის სურათი.

„თვალები ცეცხლისა უსხდა,
კბილები ჰქონდა მინისა,
ცარიელ ძვლებზე ზედ ეკრა,
ტყავად ფურცელი რკინისა,
ფეხები ჰქონდა კაცისა,
ხელად ბღალები ციცისა,
და თმის მაგივრად სულ ძაღლსა,
მოკლე ფაფარი კვიცისა".

ვაჟას ჩამორჩენა, ანდა მეორე ბრალდება, რომელიც ამ უკანასკნელად გ. ქიქოძემ დააყენა, თითქო მას აზრის სიღრმე აკლდა, უმეცრებასა და გაუგებრობაზეა აგებული. შეიძლება ნიღილიზმის და უტილიტარიზმის საზრისით ვაჟა მართლა ჩამორჩენილი იყოს, მაგრამ ამას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, რადგან არც ერთი ამ მიდგომით არ შეიძლება. ნამდვილი ხელოვნური შემოქმედების დაფასება. ვაჟას შემოქმედებამ ქართული კრიტიკა სწორედ იმიტომ დააბნია, რომ მას არც ერთი ერის მწერლობაში წინამორბედი არ ჰყავდა, მაშასადამე წინას წარ არ იყო გარკვეული და დაფასებული ამ მგვარი შემოქმედების ღირებულება და მნიშვნელობა. გარდა ამისა ვაჟა არც ერთ ლიტერატურულ სკოლას არ ეკუთვნის. იგი ყოველ გვარ სკოლის გარეშე სდგას. ქართული კრიტიკა, ნაჩვევი იყო უცხოეთის წაბაძვით ესა თუ ის მწერალი ჩაეკვეხებია ამა თუ იმ ლიტერატურულ მიმართულებაში რომანტიზმი იყო ეს თუ ნატურალიზმი, რეალიზმი თუ სიმბოლიზმი, მიუხედავად იმისა უდგებოდა თუ არა სავსებით ამ მწერალს ეს ლიტერატურული სკოლის პრინციპები. ვაჟას ვერაფერი მოუხერხეს, რადგან მან ყველა სკოლის პრინციპებს გადაებიჯა. ვაჟას გაგება ჩვენი წარსულს ღრმა შესწავლას ითხოვს. მის შემოქმედებასთან არც თავ ცარიელი და არცნიღილისტების თუ უტილიტარისტების ციტატებით მისვლა არ შეიძლება. ვაჟა ქართული სიტყვის მოგვია. მისი შემოქმედება, საუკუნეებით შეკრული, ქართული კულტურული ღირებულებების მთიდან მომსქდარი ზვავია, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ხევში მგრგვინავი ხმაურით ჩამოვარდნილი.

ვაჟა ქართულ მითოლოგიაში ბრუნავს და ბორგავს. მისი ფანტაზია ისეთი მცხოველმყოფელია, რომ მთელი ეს არა-კი, მთელი ეს ფანტასტიური ამბავთა ქსელი, რომელშიც რეალობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია დატანებული, ხოლო ეპოპეა წარმოდგენებით და დანართებით არის გაცოცხლებული და ხორცშესხმული, მისთვის ნამდვილად მომხდარი ამბებია. იგი არ არსებულ გმირს პირის პირ ესაუბრება, როგორც ნამდვილ, ცოცხალ და მომქმედ არსებას.

მთელი ეს მხედრული, გმირული თუ ყოფაცხოვრებითი ამბები თითქოს მის თვალწინ ხდება. იგი მოყურადეა თუ მონაწილე მისი. ვაჟა თითქოს საკუთარი ნერვებით განიცდის, საკუთარი ხელებით ეხება ათასწლოვან მითს და ლეგენდას. ხოლო ის ყოველ დღიურობა, რომელშიაც იგი ნამდვილად იყო, ამაზე ხელს აქნევს ფშაური ჯიუტობით, ფეხს აბიჯებს მთელ იმ კულტურულ სიბჭყვიალეს, ჩვენში რომ მოგორავდა პოლიციური სითეთრით და გულ შაობით. ვაჟა მთა-ღრეებში იხიზნება, სადაც ქართული კულტურის ცხოველმყოფელობას, მთელი ტანითა სუნთქვამდა.

იგი არ იყო ევროპიული კულტურისა და ცივილიზაციის წინააღმდეგი, მაგრამ მისი ღრმა რწმენით, ეს ცივილიზაცია, ევროპიულის სახელს რომ ატარებს, ჩვენი ყოფა ცხოვრება, კულტურული ღირებულებისა და წარსული მემკვიდრეობის ძირებიდან უნდა გამოდიოდეს ან და ეს ახალი, ამ ძირებზე უნდა ემყნობოდეს, ჩვენი, საკუთარი, ქართული ხელით.

ცივილიზაცია და კულტურა ეროვნული და პიროვნული ცხოვრების ამაღლებას და დამოუკიდებლობას, სრულთქმას, თავისუფლებას და ბედნიერებას უნდა ემსახურებოდეს. ცივილიზაციის და კულტურის სახელს არ შეიძლება ატარებდეს ის, რაც ეროვნულ და პიროვნულ ცხოვრების მთლიანობას აღლვევს, აჩანაგებს, რყვნის, აგვარებს და ანაგდურებს.

ვაჟას, შეუძლებელია, მხოლოდ პოეტური აღლოთი და ქვეცნობიერებით მიეგნო ამ ნიადაგისათვის, რომ მას ღრმა აზროვნების უნარი არა ჰქონოდა.

ვაჟა, მისი შემოქმედება და ცხოვრება ერთი განუკვეთელი მთლიანობაა, ერთი უბზარო რვალი, ქართული გრძელი წელთაღრიცხვით და კულტურული მემკვიდრეობით დატვირთული. ამიტომაც იყო, რომ მას ყველაზე მეტად მის თანამედროვეებში სწამდა ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენა. სწამდა ბრმად, სარწმუნოებრივი გატაცებით და ფშაური ჯიუტობით.

ი. მანწკავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ერთობის საფუძვლები

ახალი ცხოვრების ასპარეზზე.

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართული ცხოვრების ასპარეზზე ბრძოლა იყო გამართული ქართული სკოლისათვის, თეატრისათვის, ეკლესიისათვის, წიგნისათვის და სხვა ყოველი ეროვნული საქმისათვის, რაც რუსული საშინაოროებისაგან დაცვას მოითხოვდა. თითქმის მთელი ქართული განათლებული თაობა ჩაბმული იყო ამ ბრძოლაში. რომელი ამ მოღვაწეთაგან დავასახელოთ, სახელი მათი ლეგიონია, ხოლო მებაირახტრე ილია ჭავჭავაძე.

1860 წლიდან 1900-მდე, ორმოცი წლის მანძილზე ადუღდა ქართული ცხოვრება და ფრთა გაისწორა ეროვნულმა შემოქმედებამ თვითმოქმედების ნიადაგზე. ახლა როგორც უკვე დავახასიათეთ ეს ძვლენა: „ყველაფერი ეს — თითოეული წამოწყება ეროვნული ცხოვრების ასპარეზზე, — ძირეულად ისახავდა ქართველი ხალხის გამოფხიზლებას, ფეხზე დაყენებას და ეროვნულად მომზადებას, — და ამ მუშაობას ანათებდა შორიდან იდეა საქართველოს თავისუფლებისა, — საკუთარი ეროვნული ცხოვრების მოწყობის იდეა! ეს იყო ის დიდი დადებითი და დამტკიცებითი მუშაობა, მუშაობა მძიმე და რთული, მომთხოვი და დამხარჯავი აუარებელი ენერგიისა, განუზომელი სიყვარულისა და ნებისა! მაგრამ ამ „წვრილმა“ მუშაობამ, ამ ყოველდღიურმა, დაუღალავმა ფუსფუსმა, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობის ვარსკვლავს მისდევდა, ვერ ჩანთქა, ვერ გადაყლაპა ყველა ენერგია, ყველა სურვილი და პარალელურად კვლავ გრძელდებოდა ქადაგება და ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის: — სიტყვითა და კალმით, ლექსითა და პროზით“... (იხ. „კავკასიონი“, პარიზი, 1934 წ.). მწერალთა მთელი თაობანი უმღეროდნენ და შესტრფოდნენ საქართველოს, მხატვრული სიტყვით უგალობდნენ მის წარსულს და ამეღავნებდნენ იმედს მის მომავალზე. ქართული მწერლობა წარსული საუკუნის სამოციანი წლებიდან იყო ეროვნული ბრძოლის ჰანგებით აჟღერებული, რომლის უმაღლესი სიტყვა იყო: საქართველოს დიდება, მისი ბრწყინვალე წარსული და იმედიანი მომავალი. ეს ხანა მოითხოვდა დიდ ღვაწლს და იგი არავის დაუშურებია, ვინც კი საზოგადო საქმიანობის უნარით იყო დაჯილდოებული. მაგრამ ეს მოღვაწეობა არ იყო ცალმხრივ, მარტო მწერლობითი, მხოლოდ ლიტერატურული. ცხოვრება არაა მარტოოდენ სულიერი მოვლენა, და მისი ნივთიერი მხარეც მხედველობაში მონაწილეობა მიეღო. ილია ჭავჭავაძე პირდაპირ მიუთითებდა ქართველობას, თუ რა ხაბიჯით და საით უნდა წასულიყო იგი. „ბძლით ბოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა. ბროძით და გარჯით, ცოდნით, ხერხით მოსეული კი თან გაგვიტახს, ფეხქვეშიდან ძიწას გაძოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს ბაბვეიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან, თუ ბრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს, ბროძა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წიხ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ“, ამიტომ ილია ჭავჭავაძე ძიძართავს ქართველობას: — ჩაებით ვაჭრობა-ძეწველობაშიო! გუთანს ხელი არ გაუშვათ, რადგან მთავარი ძასაზრდოებელი მაიხც მიწაა, ხოლო ვაჭრობაც საჭიროაო. „მომწიფდა ჩვენში ის აზრი, — სწერდა იგი, — რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებას მხარდამხარ უნდა მოსდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაცაა, რომ ერი და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი აკლია ან მეორე, ცალ-ფეხა კაცსა ჰგავს“... როგორც ვხედავთ ილია ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ საკითხი სწორად დასვა და სწორადვე გადასწყვიტა: თანაბარი განვითარება სულიერი და ნივთიერი ცხოვრებისა, სოფლისა და ქალაქისა, ეკონომიური განვითარება ერის წიხსვლაა, — და ამ მიძართულებით გაწეულმა მუშაობამაც ჩვენს ცხოვრებას ღრმა დალი დაამჩნია. 1875 წელს დიმიტრი ყიფიანის ხელმძღვანელობით დაარსდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი, რომლის თანხა შესდგა იმ ფულიდან, რაც თავადაზნაურობას ერგო გლეხთა განთავისუფლების საქმეში. ასეთივე ბანკი დაარსდა ქუთაისშიც. ეს ბანკები შეიქმნენ ქართველი ხალხის ფინანსიურ დაწესებულებად და მისი წლიური კრებები კიდევ პარლამენტად. ყველა საზოგადო საქმეს ეს ბანკები ეხმარებოდნენ: სასწავლებლები, თეატრები, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თუ სხვა რამ ეროვნული დაწესებულება მაშველ ხელს ბანკში პოულობდნენ. მარტო თბილისის ბანკი ყოველწლიურად ასეთ საქმეებზე ათიათას თუმანს ხარჯავდა. სათავადაზნაურო ბანკები გადაიქცნენ ქართველი ხალხის ფინანსთა სამინისტროდ. ამიტომ იყო რომ თბილისის ბანკის თავჯდომარე, იგივე ილია ჭავჭავაძე, როდესაც იგი ამ ძვირფას დაწესებულებას — ბანკს — მტრებს უგერიებდა, ამ დაწესებულების მნიშვნელობაზე მიუთითებდა: „აბა ერთი სხვა ბანკი გვიჩვენეთ იმისთანა, რომ მისი მოგება არავის ცალკე ჯიბეში არ მიდიოდეს და მარტო, საზოგადო, საქვეყნო საჭიროებას ჰხმარდებოდეს. აბა ერთი იმისთანა ბანკი მიჩვენეთ, რომ ფულს მე ჩამოვსულიყავ და მოგება — კი საზოგადო საჭიროებისათვის შემეწიროს. ქვეყანაზე ამისთანა ჰუმანიურს, თანასაგრძნობელს დედა-აზრზე აგებული ბანკი სხვა არსად გამიგონია“-ო. და ეს სრული ჭეშმარიტებაა!

მესამოცე წლების მოღვაწეთა ყველა ნაბიჯი, ყველა ზომა, ყველა მოქმედება, საერთოდ მთელი მოღვაწეობა მხოლოდ ერთ აზრს ექვემდებარებოდა. ეს აზრი და მიმართულება იყო ქართველი ხალხის ეროვნულ საფუძველთა დაცვა, ქართველი ერის დაცემული ვინაობის აღდგენა; ამიტომ მათი სახელმძღვანელო დებულება ერთადერთი და მართალი იყო: „ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი დღესაც მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება, რადგან დიდი ხნისაა, და რადგანაც ძველია, ამიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებისათვის. დეე ოთხ ფრა-

ზიანმა ლიბერალებმა ეგრე იფიქრონ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ეგ ბოიკოტულება იქნება ახალი იმ დროიდან, ბიხან ჩვენი ვიბიობა შესაფერს და კუთვნილს ადგილს ბო დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. (ე. ი. სახალ ქართველობა არ იქნება თავისი თავის სრულუფლებოვანი ბატრონი, სანამ საქართველო თავისუფალი ბო იქნება, ვ. ნ.) სხვა საგანი ამაზედ უძვიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველაფ, ვისაც რაფ შეუძლიან, ამ ბიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი, და ერთად, ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენი ცხოვრების ბიმავლობაში თავისით თუ სხვისით ალმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ, სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ ბაგისაკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ სადმე სხვად, — მაგ მიმართულების სასწორზე უნდა ავწონოთ. ბი ჭეშმარიტი ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში" — სწერდა ილია ჭავჭავაძე 1881 წელს.

ამგვარად, ერი და მისი ინტერესები გამოცხადებულ იქმნა უზენაეს დებულებად, რომელსაც ყველაფერი უნდა დამორჩილებოდა. ამიტომ იყო, რომ ნიკო ნიკოლაძე შემდეგ იგონებდა, ყველა საქმეში ქართულ ხაზს ვატარებდით და ვიცავდითო. და ეს მუშაობა, ეს ბრძოლა უაღრესად საჭირო და გარდაუვალად აუცილებელი იყო, ვინაიდან შესაქმნელი იყო ცხოვრების ახალ პირობებთან შეგუებით მრავალი ქართული დაწესებულება; დასაცავი იყო თითოული პატარა ეროვნული კერა, როგორც ნივთიერი, ისე სულიერი ღირებულებანი; დასაცავი იყო ყველაზე უფრო კიდევ ის ეროვნული ერთობა, რომელმაც ქართველობა უგრძესი ისტორიის მანძილზე ატარა და გადაარჩინა. ყოველი საკითხი, ყოველი საქმე განიზომებოდა და აიწონებოდა ეროვნული ვინაობის, ეროვნული მეობის დაცვისა და განვითარების განჭვრეტით. და ვინაიდან ილია ჭავჭავაძის მთავარი შეხედულება იყო, რომ „უბრალო გლეხობა — ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენი ეროვნული იმედებისა" არისო, ამიტომ იგი უნდა აღიზარდოს, განათლდეს, გამდიდრდესო. თავისთავად ცხადია, სამეურნეო სკოლებს ამ მხრივ დიდი მნიშვნელობას აძლევდნენ და როდესაც ილიას მეგობარმა წინამძღრიშვილმა თავისი კერძო პირადი თანხებით სამეურნეო სკოლა გახსნა, ამას ქართული საზოგადოება დიდი სიხარულით შეეგება. ქართული თაოსნობითვე იქმნა დაარსებული სამეურნეო საზოგადოება, საჩვენებელი მეურნეობა, სხვადასხვა სამეურნეო კავშირები. მოკლედ, სამეურნეო დარგშიც, ისე ვით კულტურულშიც, თავისი კერძო თაოსნობითა და თვითმოქმედებით ქართველობა გზას იკვლევდა და ეკონომიურ პირობათა წაწევით ცხოვრების კეთილმოწყობას ესწრაფოდა. სოფლის მეურნეობის ამაღლება, ვაჭრობის ასპარეზის გაფართოება და სამრეწველო წამოწყება ქართულ ეკონომიურ ცხოვრებას ახალ გზაზე აყენებდა და კეთილ მომავალს უქმნიდა. ამ მიმართულებით უნდა წარმოებულიყო საზოგადო მოღვაწეობაც ყველასი, მაგრამ ქართველობის ნაწილს ეს საქმე ასეთი სინამდვილის შეგრნობით არ გაეგებოდა. ჯერ კიდევ ჟენევაში თავმოყრილმა ქართულმა ინტელიგენციამ, როდესაც მან კავკასიის ფედერაციის აზრი წარმოადგინა, მას საფუძვლად დაუდო სოციალისტური დებულება. ხელნაწერ ჟურნალ „დროშა"-ში, 1873 წ., მოთხოვნილი იყო: „თავისუფალი ფედერაცია ყველა კავკასიელ ხალხებისა, განწყობილთა ყველა მოქალაქეების ეკონომიურ თანასწორობისამებრ". მაშინ ამისი ქადაგება იყო უეჭველად, სულ ლბილად რომ დავახასიათოთ, მხოლოდ ოცნება.

ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერიის" პროგრამის დედააზრი იყო: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონიერი, შესაძლებელია ბხოლოდ ძაძის, ოდესაც ერთხოდეთათა დაუყოფლად დიდ-პატარაობის გახურჩევლად და გამოუკლებლად, ეთნიკის ეცადიხეობითა და გარჯით ცხოვრეის გზა გაიკვალოს და აუთი ბედისა გაიტანოს"-ო (1882 წ. № 231), ამის საპასუხოდ კი გ. მაიაძვილი (ზდახოვიჩი) იმავე წელს სწერდა: იბრძოლეთ პირველად ყოვლისა ეკონომიური ჩაგვოის ძოსასპობად, დაამყარეთ ეკონომიური თანასწოროობა და ეროვნული ჩაგვრა თავისთავად მოისპობაო; ახუ როგორც ნ. ურბნელი (ხიზანაშვილი) ამბობდა: „ჯერ ძმობა განახორციელეთ და მხოლოდ მაშინ გვიქადაგეთ, სხვადასხვა მიმართულებას თავი დაანებეთ და ერთ უღელში შეებით.... მაგრამ ძაძულიშვილობას წინ და უკან უნდა ძისდევდეს აწინდელი ევროპის პროგრესიული პროგრამის შესრულება"-ო, ესე იგი, სოციალისტური პროგრამის განხორციელებაო. 1880 წლებში ქართულ ასპარეზე სოციალიზმის განხორციელების ქადაგება — სინამდვილის სრული შეუგნებლობაა და ცხოვრებას მოწყეტილი ცარიელი ოცნება; გაზეთი „ივერია" — კი მთელი თავისი სიმძიმით სინამდვილეს ებჯინებოდა და მოითხოვდა: ერთობა საქართველოსი, ერთობა ქართველი ერისა, ერთობა ყველა წრისა ეროვნული სახეობის დასაცავად და გასაფურჩქნად. ბი პროგრამა „ივერიისა": „ყოველი ჩვენგანის მოქმედების საწყაო, საზოგადო საქმეებში, თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს, თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მიუცილებელს საგანსა და გზას (ეროვნული აღდგენისას და დაცვისას, ვ. ნ.). სხვა საწყაო ტყუილია და ამაო: სხვისა ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საჭიროებაზედ გაძოჭრილი". მაგრამ ილია ჭავჭავაძის ეს გარკვეული ბრძნული მოთხოვნილება შესრულებულ არ იქმნა ყველას მიერ, „სხვისი ბაძი" დაიწყო ნაროდნიკების მიერ, გაგრძელდა სოციალისტური მიმართულებით და დასრულდა ბოლშევიკებით.

ეგრედწოდებული ნაროდნიკულ-სოციალისტური მოძრაობა საქართველოში რუსეთიდან შემოიხიზნა და თუმცა იგი მკვიდრად ვერ დასახლდა, მან მაინც ერთგვარად ნიადაგი მოუმზადა მარქსისტული სოციალიზმის წამოწყებას, რომელიც ქართულ ნიადაგზე მახინჯად გადმოინერგა. ჩვენ აქ ამ ამბავის ისტორიას არა ვწერთ, მას უკვე შევეხეთ ერთჯერ (იხ. „ორნატი", თებერვალი, 1934 წ.) და ამიტომ აქ მოკლედ მოვჭრით. მარქსიზმმა მეოცე საუკუნის დამდეგს თავისი ბუნების თანახმად დასაბამიდანვე კლასთა ბრძოლის თეორია სავალდებულოდ გამოაცხადა, საქართველოს კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება აღუთქვა და ღაღადჰყო სოციალიზმის დამყარების აუცილებლობა. თვით ამ დებულებამ ქართულ პრესაში მწარე კამათი გამოიწვია; ზოგი სრულიად უარჰყოფდა კაპიტალიზმის დაფუძნების საჭიროებას და არა სთლიდა მას აუცილებლად. მაგრამ ფულადი მეურნეობა უკვე დაწყებული იყო და სამრეწველო განვითარება ტაატით ფეხს იდგამდა. ამას ხელი შეუწყო გერმანული სიმენსის ფირმის მიერ ტელეგრაფის გაყვანამ 1868 წლის შემდეგ და რკინისგზის დაგებამ 1871 წელს, პირველად ფოთსა და ზესტაფონს შორის, შემდეგ ბიათურის რკინისგზის აგებამ და ბოლოს ბათუმ-თბილისი-ბაქოს რკინისგზის გაერთიანებამ 1888 წელს. აღებმიცემობის ხანა, სამრეწველო მუშაობა ნელნელა ფეხს იკიდებდა საქართველოში, მაგრამ არა ისეთი სწრაფი ნაბიჯებით, როგორც ეს მარქსისტებმა თავშივე ყალბად წარმოიდგინეს. კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება, როგორც ამას მარქსისტები ჰქადაგებდნენ, საქართველოში არ მოხდა და ეს შემდეგ თვით მარქსისტების ხელმძღვანელმა ნოე ჟორდანიამ 1910 წელს დაადასტურა: „ამ 12—15 წლის წინად გვეგონა, რომ ქართული კაპიტალი და ქართველი ბურჟუაზია უფრო სწრაფად გამძლავრდებოდა, ვინემ ეს ნამდვილად მოხდა. ცხადია, მაშინ ინტერნაციონალური კაპიტალის როლი კავკასიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოთ, — და საქართველოში კერძოდ, — ნათლად არ გვქონდა წარმოდგენილი"-ო. (ნ. ჟ. ნაწერები. ტ. 1, შესავალი, 1910 წ.). პროლეტარიატის შექმნასა და განვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც მარქსისტების თვალში აგრეთვე გაზვიადებულად იყო წარმოდგენილი, ვინაიდან ისინი სინამდვილის დაფასების უნარს მოკლებული იყვნენ, ეროვნული საკითხიც დოგმატიურად გადასჭრეს. რადგან სოციალიზმის დამყარების აზრი მარქსისტებისათვის პირველადი იყო და გამოსავალი წერტილი ყველა სხვა საკითხის გასარკვევად თუ გადასაწყვეტად, ამიტომ ქართველი ერის მდგომარეობის შეუსწავლელად და გამოუძიებლად, რადგან თავიდანვე მათ თეორიულად აღიარეს თავისი თავი პროლეტარულ პარტიად, ეროვნული საკითხიც მას დაუმორჩილეს და განაცხადეს: „ჩვენ ვემხრობით ისეთ მოთხოვნილებებს, არის ეს ეროვნული თუ სოციალური, — სულ ერთია, — რომელნიც ხელს უწყობენ პროლეტარიატის მსვლელობას და აახლოვებენ საბოლოო მიზანს"-ო ესე — იგი სოციალიზმის დამყარებასო (ნ. ჟ. ტ. 1. გვ. 205). მაშასადამე, ყველა საკითხი უნდა გადაჭრილიყო იმის მიხედვით, თუ სოციალიზმის დამყარებისათვის რა იქნებოდა ხელსაყრელი, როგორც ამას ნაროდნიკებიც ფიქრობდნენ. ამგვარად, სოციალიზმი იყო პირველადი და უზენაესი. ერის საკითხი კი ქვემდებარე და მასზე დამორჩილებული. ეს დებულება სავსებით ეწინააღმდეგებოდა და აყირავებდა გაზეთ „ივერიისა" და საერთოდ ილია ჭავჭავაძის თაობის მიერ შექმნილ ეროვნულ თეორიასა და პრაქტიკას, საფრთხეში აყენებდა ნახევარი საუკუნის მანძილზე წარმოებულ უანგარო მოღვაწეობასა და უმძიმეს პირობებში გაწეულ ღვაწლს. ჭავჭავაძის თაობის დებულება იყო: პირველად ყოვლისა — ეროვნული, და ამისათვის ერთობა. მარქსისტული მიმართულების დებულება იყო: პირველად ყოვლისა — სოციალიზმი, და ამისათვის კლასთა ბრძოლა. ეს ორი სრულიად მოწინააღმდეგე დებულება, ცეცხლი და წყალი, ერთმანეთს ვერ შეეგუებოდა და ამიტომ ამ ორი მოვლენის შორის მკაცრი მეტოქეობა და დაუზოგველი ბრძოლა გაიმართა. ამ საკითხის სწორ გადაჭრას მიუახლოვდა გიორგი წერეთელი, როდესაც მან გამოსთქვა აზრი, რომ ეროვნულიც და სოციალურიც შეერთებული უნდა იყოს, ჩვენ ეროვნული სოციალისტები, ნაციონალ-სოციალისტები უნდა ვიყოთო, მაგრამ მაშინ ეს ხმა ყურად არავის უღია და ბრძოლა გაგრძელდა ამ ორი მთავარი მიმართულების შორის. 1901 წელს გაზეთმა „ივერიამ" გამოაცხადა: „ეგრედ წოდებული დასებრივი ანუ როგორც ეხლა ამბობენ — კლასიური მიმართულება, ჩვენი შეხედულებით, ვიწრო ბილიკით დაიარება"-ო და წინა რიგში კვლავ ეროვნული დააყენა. ამის საპასუხოდ, მარქსისტებმა გამოაცხადეს: „არც ერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორც ქართველ ხალხს"-ო, (ნ. ჟ. ტ. 1. გვ. 554). რასაკვირველია, ეს მართალი არ იყო. ქართველი ხალხი გაჰყვა სოციალდემოკრატიულ მოძრაობას არა იმიტომ, რომ მას მარქსის იდეოლოგია ჰქონდა; არა იმიტომ, რომ იგი „პროლეტარული" პარტია იყო; არა იმიტომ, რომ „ერფურტის პროგრამა" მას ძალიან მოსწონდა, თანაც სოციალიზმის დამყარებას ეტრფოდა და მაზე ოცნებობდა; გაჰყვა იმიტომ, რომ სოციალისტური მოძრაობა ებრძოდა რუსეთის წესწყობილებას და მოითხოვდა სოციალური საკითხების გადაწყვეტას, კერძოდ, რაც ყველაზე უფრო ქართველ გლეხს აინტერესებდა, მიწის საკითხის გადაჭრას. ვინაიდან მიწის საკითხი საქართველოში მთავარი და მწვავე საკითხი იყო — ამ მიწის საკითხის გარშემო კიდევ არა ერთი და ორი თეორია არსებობდა: ნაციონალიზაცია, მუნიციპალიაცია, კოლექტივიზაცია და კიდევ სხვა ამნაირიზაცია. ხოლო როდესაც 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში, ეს საკითხი პრაქტიკულად წამოიჭრა, იგი გადაწყდა არა რომელიმე ...ზაციის მიხედვით, არამედ კერძო საკუთრების აღიარებით, გლეხთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად, როდესაც მ'ბრძოლელთ ძვიდ-'ვიდი დესიატინა ძიწა საკუთრებად მიეცა. უწინ კი ამაზე მარქსისტები და სოციალისტები სრულიადაც აოა ფიქრობდნენ და ძველ მოღვაწეთ სასტიკ ბრძოლას აძლევდნენ. ამ ბრძოლათა ხანაში წარმოიშვა კიდევ ახალი სოციალისტური პარტია, ე. წ. სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტია, რომელმაც ეროვნულ მოთხოვნილებად საქართველოს ავტონომია წარმოადგინა.

ილია ჭავჭავაძის თაობა, მარქსისტული და სოციალისტ-ფედერალისტური მიმართულება, — აი ამ სამი მთავარი ჯგუფის ბრძოლითაა სავსე ქართული უკანასკნელი ათეული წლების თავგადასავალი, და განსაკუთრებული დრამატიზმითაა აღვსილი ორი უკანასკნელი პარტიის — სოციალდემოკრატიისა და სოციალისტ-ფედერალისტურის დაჯახება, რომელიც უმთავრესად ეროვნული საკითხის გარშემო ტრიალებდა. წარსული საუკუნის სამოციან წლებში გამოსული მოღვაწეთა რიგი ბუნების კანონის მიხედვით შესუსტდა, ბევრი გარდაიცვალა, ბევრი ღრმა მოხუცებულობაში შევიდა, და ახალი ძალა მას სუსტად ემატებოდა, რადგან სოციალისტურმა პსიქოზმა მოიცვა თითქმის მთელი ინტელიგენტია, რომელიც უმთავრესად სოციალისტურ პარტიებში განლაგდა, რასაკვირველია, რუსეთში დაწყებულ რევოლუციურ მოძრაობას თავისი დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოშიც და ღრმა კვალს ამჩნევდა ქართულ ცხოვრებასაც. ქართული რევოლუციური მოძრაობა ერთში თან მისდევდა რუსულს; ეს იყო რუსული თვითმპყრობელობის დანგრევის მიზანი. ხოლო ეროვნული საკითხის ასპარეზზე იგი მაინც სხვადასხვაობას გამოხატავდა. მოკლედ რამ დავახასიათოთ, მეოცე საუკუნის პირველ ხანაში ეროვნული საკითხის გარშემო შემდეგი სრულიად გარკვეული მიმდინარეობანი არსებობდნენ: 1) რუსეთთან 1783 წელს დადებული ხელშეკრულების დამცველი მიმდინარეობა, რომელიც ამჟამად რევოლუციონერთა ხელში გადაიქცა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნილებად, ეს მოძრაობა გაფართოვდა, გაიზარდა და მის გარშემო შემოკრებილი ინტელიგენტიის დიდი ნაწილი და ქართული დაწესებულებანი, რომელთაც ოფიციალურადაც კი მოითხოვეს ავტონომია, მაგალითად, 1905 წელში, როცა თავადაზნაურთა კრებებმა და ქალაქთა თვითმართველობებმა ავტონომიის გადაწყვეტილებანი მიიღეს; 2) საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეთა მიმდინარეობა, რომელიც ღიად და აშკარად უცხოეთში არსებობდა; 3) მარქსისტული მიმდინარეობა, რომელიც ამტკიცებდა: „ყოველი ერი მიდის თავისი საკუთარი გზით და საკუთარი ჭკუით; ქართველობის საკუთარი გზაა — გზა ინტერნაციონალური, რის შეცვლა შეუძლია არა ქადაგებას, არამედ მხოლოდ ისტორიულ პირობებს, ეს პირობები რამდენიმეთ გაჩნდება სხვილი ბურჟუაზიის აღორძინებით. მაშინ ჩვენი ინტელიგენციის ნაციონალიზმი ამ ბურჟუაზიის ნაციონალიზმი იქნება. მარა ამ დროისთვის პროლეტარიატში ისე ძლიერი იქნება კლასიური შეგნება და ინტერნაციონალური სული, რომ ნაციონალიზმი მას და მის მიმყოლ გლეხობას ოდნავათ ვერ ჩაითრევს"-ო. ნ. ჟ. ტ. 1. გვ. 578.). ანდა კიდევ: „და ასე, ქართული გლეხობა, ბურჟუაზია და მუშა არ ვითარდება ნაციონალური გზით. ამიტომ მათი ნაციონალური თვითგამორკვევა არ შეიძლება იყოს მიმართული წინააღმდეგ უცხო პოლიტიკური და ეკონომიური ძალისა. პირიქით, ეს თვითგამორკვევა აუცილებლად უნდა იყოს და კიდევაც არის ინტერნაციონალური" (იქვე, გვ. 577). ეს ყველაფერი, რასაკვირველია, იყო ზეპირი ლაპარაკი, გამომდინარე ერთჯერ აღიარებული მარქსისტული დოგმიდან, თორემ სინამდვილე სწორედ სულ სხვა იყო.

ქართველი ერიც იმავე გზით მიდიოდა, როგორც სხვა სიცოცხლის — უნარიანი ერი; მას თავისი ეროვნული სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკივარიც ჰქონდა და სოციალურიც რომლის მორჩენას იგი მთელი თავისი ძალებით ცდილობდა. ეს აჩემებული „ინტელიგენციის ნაციონალიზმი“, რომელიც ვითომ ბურჟუაზიის ნაციონალიმი უნდა ყოფილიყო, და პროლეტარიატი, რომელიც მაინცდამაინც ინტერნაციონალური უნდა გამხდარიყო, და ეს გლეხობაც ამ ინტერნაციონალურ პროლეტარიატს უნდა გაჰყოლოდა, ცხოვრების სინამდვილეში სულ სხვა იყო, ვინემ ეს მარქსისტულ მიმდინარეობას წარმოედგინა. გლეხობას მიწის საკითხი აწუხებდა და აინტერესებდა; აწუხებდა, რომ მას ქართული სკოლა, ქართული სამმართველო და ქართული სასამართლო არა ჰქონდა. და ეს ქართველმა ხალხმა ბევრგან გვაჩვენა 1905 წლის რევოლუციის ხანაში, როცა თვით ხალხმა გადააყენა რუსული ადმინისტრაცია, ბოიკოტი გამოუცხადა რუსულ სასამართლოს და ქართული ადგილობრივი ხელისუფლება დაამკვიდრა. ეს გლეხობა კიდევ ჩვენი ერის დიდზე დიდ უმრავლესობას წარმოადგენდა, გარნა პროლეტარიატი იყო მეტად მცირედი. მსოფლიო ომის წინ, 1914 წ. საქართველოში ირიცხებოდა 15.500 მუშა! (და ამ რიცხვში რამდენია ალბად უცხო ხალხი: სომეხი, თათარი, ბერძენი, აისორი, ოსი, რუსი და სხ.!) და 3286 ფაბრიკა-ქარხანა. თითო ფაბრიკაზე მოდის 44 მუშა! და მარქსისტების აზრით ამ რაღაც 15 ათასს მუშას უნდა წაეყვანა მთელი ერი! ცხოვრება და სინამდვილე სხვა იყო. თვით სოციალდემოკრატიულ პარტიაში გაჩნდა ავტონომისტური მიმართულება ლადო დარჩიაშვილის მეთაურობით, რომელიც ბეჭდავდა ჟურნალ „ახალ კვალს“ და შემდეგში კიდევ ე. წ. ალიონისტების მიმართულება ანუ გაზეთი „ალიონის“ მიმდევრები, რომელნიც აგრეთვე საქართველოს ავტონომიის მომხრენი იყვნენ. და დაბოლოს, თვით ნ. ჟორდანია, რომელიც ბევრსა სწერდა ქართველი ხალხის არა-ნაციონალისტობის შესახებ და ებრძოდა სხვა პარტიათა თუ ჯგუფთა ნაციონალიზმს, მსოფლიო ომის წინა ხანაში თვით გახდა იძულებული ნაციონალურ ნიადაგზე გადასულიყო და აღიარა მან. ე. წ. „კულტურული ავტონომია“. ამ კულტურულ ავტონომიასა და პოლიტიკურ ავტონომიას შორის დიდი ზღვარი აღარ იყო; მოსალოდნელი იყო უკანასკნელის აღიარებაც, მაგრამ მსოფლიო ომთან დაკავშირებით ისტორია სხვა გზით წარემართა. ამ ცხარე ბრძოლის ხანაში დაიბადა კიდევ ახალი მიმდინარეობა რომელიც თავისი მსოფლმხედველობათა და ეროვნული მისწრაფებებით ახალი არ იყო, მაგრამ რომელმაც იმჟამად დაიწყო გარკვეული პარტიული სახის მიღება და საბოლოოდ პარტიად ჩამოყალიბდა 1916 წელს. ეს იყო ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ვით სახელი გვიჩვენებს, არ იყო სოციალისტური და ამგვარად ყველა სხვა პარტიათა შორის გამონაკლისს წარმოადგენდა, ხოლო ეროვნულ საკითხში ღიად საქართველოს ავტონომიას მოითხოვდა. არა ერთი და ორი იყო ისეთი გამოცემაც, რომელიც ეროვნულ საკითხს უტრიალებდა და მათ შორის აღსანიშნავია ყოველ კვირეული დიდი გაზეთი გრ. დიასამიძისა: „თემი“.

ქართველი ერის წარსულზე ერთი თვალისგადავლებით და სწრაფი ნაბიჯებით ამ უგრძეს გზაზე ჩვენ მივადექით ახალ ხანას, 1914 წლის მსოფლიო ომის მძვინვარებაში რომ წარმოიშვა, რომელმაც ქართველი ერის უკანასკნელი დროის ცხოვრება სრულებით შეატრიალა და ახალ გზაზე შეაყენა. ეს იყო 1918 წ. ვარდის თვის — მაისის — 26-ს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ბრძოლა ეროვნულ უფლებათა მოპოვებისათვის

რუსეთის ბატონობის პირობებში ქართველ ხალხს ანუ უფრო ზუსტად, მის ხელმძღვანელებს არ შეეძლოთ ღიად და აშკარად საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის ქადაგება და ამ ნიადაგზე მოღვაწეობა თუ ბრძოლა. ამიტომ ბუნებრივად ეს საკითხი გადატანილია თავისუფალ ასპარეზზე, რომელსაც უცხოეთი წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1870 წლებში უცხოეთში მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელმაც აქ უფრო მწვავედ იგრძნო ქართველობის უუფლებობა, 1873 წ. ჟენევაში სწერს პირველ ქართულ გაზეთს, სახელით „დროშა“, რომლის მეორე ნომერში შემდეგია წარმოდგენილი: „აი ჩვენი საზოგადოებრივი იდეალი: თავისუფალი ფედერაცია ყველა კავკასიელი ხალხებისა, განწყობილთა ყველა მოქალაქეების ეკონომიურ თანასწორობისამებრ“. ჟენევის გაზეთი „დროშა“ კავკასიის დამოუკიდებლობის მომხრეა და კავკასიის ხალხთა ფედერაციას ქადაგებს. ამ მცირე მომზადების მერმე, შემდეგ წელს, 1874 წ., ჟენევაში შესდგა კავკასიელთა ყრილობა, რომელზეც აღიარებულ იქმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა და ფედერაციის პროგრამა. პირველად ჟენევურ ქართულ გაზეთ „დროშა“-ში ეროვნულ-პოლიტიკური საკითხი დაკავშირებულია ეკონომიურ პროგრამასთან. ადვილი შესამჩნევია, რომ ზემოდ, „დროშა“-დან ამოწერილ წინადადებაში, „ფედერაცია ყველა კავკასიელ ხალხებისა“ მკვიდრდება მოქალაქეთა ეკონომიურ თანასწორობაზე ესე იგი „დროშა“ მოითხოვს 1873 წ. დამოუკიდებელსა და ფედერატიულ ამიერკავკასიას სოციალისტური წესწყობილებით. მაგრამ ყველა ამ აზრისა არ იყო და მესამე ნომერში მეველე (დავით მიქელაძე) ამაზე უპასუხებს: „მე მგონია, მშვიდობიანი პროგრესი, ეროვნის დაარსების მოწოდება, სამოქალაქობრივი წყობილება მომავალში, ნაფიცი კაცები სამსჯავროში, ვერც ერთი ესენი ვერ გვიხსნის, და ჩვენ მოგველის ადრე თუ გვიან გაჭრობა, როგორც ნაციონალობას. „მაშ რა ვქნათ? იკითხავს ვინმე. ვუპასუხებთ: ყოველი ჩვენი ღონე, ცოდნა, გამოცდილება, ენერგია უნდა მოვახმაროთ იმას, რომ ჩვენი ხალხები, როდესაც რუსეთი გარეშე მტერს შეებმება, — და ეს ჟამი არ არის შორის, — მაშინ ისინი იარაღით ხელში ბრძოლის ველზე გამოვიდეს, დიდი და პატარა. ამ სანატრელ და დიდებულ დროს... ერთგულად, ძმურის თანხმობით უნდა შევძახოთ: „თავისუფლება ან სიკვდილი!““.

ეს უკიდურესი შეხედულება იარაღის საშუალებით დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესახებ 1873 წ. მხოლოდ ოცნება იყო, და თუმცა დავით მიქელაძე სიკვდილამდე სეპარატისტი, რუსეთისაგან განცალკევების მომხრე დარჩა, მაინც ცხოვრების პირობებთან შეგუებით ეწეოდა იმავე ეროვნულ მუშაობას, რაც ისტორიამ მესამოცე წელთა მოღვაწეებს დააკისრა.

გარდასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართველების ერთმა ჯგუფმა უცხოეთში ინგლისის მაშინდელ მთავრობის თავჯდომარეს, პრემიერ მინისტრს გლადსტოუნს მემორანდუმი მიართვა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების განაღდებასა თუ დამოუკიდებლობას ეხებოდა. ჩვენ ეს ამბავი გაგვიგია, მაგრამ მის საბუთს ჯერ ვერ მივაგენით.

1903 წელს პარიზში გიორგი დეკანოზიშვილმა დაარსა ქართული ჟურნალი „საქართველო“. მის თანამშრომელთა უმრავლესობა იცავდა ავტონომიას ესე იგი საქართველოს პოლიტიკურ თვითმართველობას რუსეთის ფარგლებში დარჩენით: „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშკარად ვამბობთ: ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრე არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება — განსაკუთრებულ, საქართველოს პირობებთან შესაფერი კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ავტონომია მოვიპოვოთ“... ამავე ჟურნალ „საქართველოში“ თვით ავტონომიის შინაარსის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა; აღსანიშნავია მხოლოდ ის უცნაური აზრი, რომელიც იმეორებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრომოჭმულ ნაროდნიკულ შეხედულებას: „ავტონომია უნდა იყოს პოლიტიკური ფორმა ეკონომიურად გათანასწორებული ხალხისა“-ო. ეს უსათუოდ იყო ხარკი იმ ხანისათვის, რომელიც სოციალიზმის ფსიქოზით ხასიათდება. „საქართველოს“ ზოგი თანამშრომელი დამოუკიდებლობის ნიადაგზე იდგა, და როდესაც რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო, დავით მიქელაძის აზრი გაცოცხლდა: იარაღით რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა!

რუსეთ-იაპონიის ომმა ქართველ მოღვაწეთა შორის იმედი დაბადა საქართველოს განთავისუფლების შესახებ და პრაქტიკული ამოცანებიც დასახა. ამ მოვლენით აღტაცებული ქართული წრე უცხოეთში ჩაება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში. 1904 წელს გიორგი დეკანოზიშვილი იაპონიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, იაპონელებმა მას იარაღი მისცეს საქართველოში აჯანყების მოსაწყობად. ნაწილი ამ იარაღისა ფოთს მალულად მოვიდა და რევოლუციაში გამოყენებულ იქმნა (ამ საკითხის შესახებ ჩვენ ვაქვეყნებთ ერთ საინტერესო საბუთს.).

1907 წელს დაარსებულ იქმნა ლონდონში „საქართველოს დამხმარე ინგლისური კომიტეტი“.

1907 წ., როდესაც ჰააგაში შესდგა საერთაშორისო საზავო კონფერენცია, — აქ სახელმწიფოთა დელეგატებს დაურიგდა მემორანდუმი საქართველოს საკითხის შესახებ, მიმართვას ერქვა „ქართველი ხალხის თხოვნა“, რომელშიც ავტორები, სთხოვდნენ სახელმწიფოებს ჩარეულიყვნენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში და აეძულებინათ რუსეთი, მის მიერ დარღვეული 1783 წლის ხელშეკრულება (ეს საბუთი ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ. „ქართლოსი“, 1938). აღედგინა:

სიტყვა-სიტყვით ამ თხოვნაში ნათქვამი იყო:

„სამართალისა და საერთაშორისო კანონის სახელით, ჩვენ, უძველესი დამოუკიდებელი ქრისტიანული სამეფოის, საქართველოს მოქალაქენი, მივმართავთ განათლებული ევროპის ერებს, მათი დელეგატების სახით საერთაშორისო საზავო კონფერენციაზე, ჰააგაში.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ხმა გამოიწვევს თქვენს ყურადღებასა და თანაგრძნობას, თუ ჩვენ გადმოგცემთ ჩვენს სამართლიან და ლეგალურ მოთხოვნილებებს რუსეთის საიმპერიო მთავრობის მიმართ იმ საერთაშორისო ხელშეკრულების ლოიალური დაცვის შესახებ, რომელიც დაიდო დამოუკიდებელ საქართველოსა და რუსეთის საიმპერიო მთავრობის შორის და დამტკიცებულ იქმნა ორივე მხრივ, ხოლო სისტემატიურად დარღვეული უკანასკნელის მიერ“.

ვ. ჩერქეზიშვილი და მისი თანამშრომელნი არ იყვნენ, რასაკვირველია, ისეთი გულუბრყვილონი, რომ იმედი ჰქონოდათ აქედან რამე გამოსულიყო, მაგრამ ეს იყო ბრძოლის ერთი მოვლენა და ქართულ საკითხზე ქადაგების საშუალება. ამავე მიზნით დაარსებულ იქმნა „საქართველოს ხელშეკრულების უფლებათა დამცველი კავშირი“, რომელმაც 1914 წლის ივლისის 12-ს „ინგლისის მშვიდობიანობის საზოგადოების კონგრესს“, ლივერპულში, წინადადება მიაღებინა. ამ წინადადებაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ რუსეთის განზრახვა ტირიფონის ველზე სამხედრო სავარჯიშო ბანაკის მოწყობის შესახებ არღვევს საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წ. დადებულ ხელშეკრულებასა (ჩვენ ამ საბუთს ვაქვეყნებთ, ლეგიონერთა გაზეთ „საქართველოს“ დამატებაში). ამას გარდა, იგივე „საქართველოს ხელშეკრულების უფლებათა დამცველი კომიტეტი“ მოუწოდებდა ქართველი ერის მეზობლებს დახმარებისათვის: „ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მათ შორის (მეზობელთა შორის) ძმური თანაგრძნობასა ვპოებთ და შეიძლება დახმარებასაც ჩვენს ცდაში, რომ ვაიძულოთ რუსის მთავრობა აღასრულოს ხელშეკრულება საქართველოს და რუსეთის შორის დადებული 1801 (!) წელს, სადაც რუსეთის იმპერატორთა პატიოსანის ფიცით იყო აღთქმული ჩვენ უფლებათა დაცვა“. რუსეთის ასი წლის ბატონობის გამო საქართველო, რომელიც ვით ერთეული ამოშლილი იყო პოლიტიკური რუკიდან, ევროპის ცოდნის ფარგლებში აღარ შედიოდა, და ამგვარი ქადაგება მივიწყებულ საკითხზე დიდათ მნიშვნელოვანი იყო.

1908 წელს ჟენევაში პეტრე სურგულაძის ხელმძღვანელობით დაარსებულ იქმნა ქართული ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“. თვით სათაური აშკარად ღაღადებს, რომ ჟურნალი ემსახურებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის მისწრაფებას და მართლაც პირველსავე ნომერში გამოცხადებულ იქმნა: „შემომქმედი საქართველო, ქართველი დემოკრატია ეროვნულ განთავისუფლების გზაზე მომუშავე, ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი — აი ვის მივმართავთ ჩვენ. დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო, საქართველოს დემოკრატული რესპუბლიკა — აი ჩვენი მიზანი“. ეს იყო ე. წ. სეპარატისტთა ჯგუფი, რომელიც მარტო ამ ქართული ქადაგებით არ კმაყოფილდებოდა და უცხოელთა შორისაც საქართველოსათვის გამოსადეგ მუშაობას ეწეოდა ხელსაყრელი შემთხვევის გამოსაყენებლად. ეს შემთხვევა დაიბადა მსოფლიო ომთან დაკავშირებით. დაფუძნებულ იქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. რუსეთის წინააღმდეგ გერმანიის მხარეზე ბრძოლაში ჩაებნენ უცხოეთში მყოფი ქართველები და შედგენილ იქმნა ქართველი ტყვეებისაგან და სხვებისაგანაც პირველი ქართული ლეგიონი უცხოეთში 1915 წელს. ხოლო სტამბოლში დაარსებულ იქმნა კიდევ „კავკასური კომიტეტი“, რომელსაც კავშირი ჰქონდა თურქეთთან, მოითხოვდა კავკასიის სახელმწიფოს შექმნას და ამ მიზნით გერმანიის მთავრობის სახელზეც მიმართვასა სწერდა 15 ოქტომბერს 1915 წელს და სთხოვდა ძლევამოსილ დახმარებას „კავკასიის ეროვნული იდეალის განსახორციელებლად, რომელსაც აქვს მისწრაფება შეჰქმნას ახალი სახელმწიფო, რაც დაკავშირებული იქნება თავის ქველმოქმედებთან საუკუნო მადლობის კავშირით და გულით შესთავაზებს ყოველგვარ ეკონომიურსა და კულტურულ უპირატესობებს, რომელიც მის ღირსებასა და ქვეყნის დამოუკიდებლობის პრინციპს შეეგუება“-ო. ამ მიმართვას ქართველების მხრიდან ხელს აწერდნენ გიორგი მაჩაბელი და ჩურუქსულ თავდგირიძე. (ამ საბუთსაც გამოვაქვეყნებთ.).

როგორც მოთხრობილი ამბებიდან სჩანს, საქართველოს საკითხის გარშემო ევროპაში სამი გარკვეული მიმდინარეობა სუფევდა: 1) ქართველთა ერთი ნაწილი იდგა რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის, სეპარაციის ნიადაგზე; 2) მეორე ნაწილი მოითხოვდა რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულების აღდგენასა და განაღდებას, ესეიგი რუსეთის მფარველობის ქვეშ დარჩენას. მართალია, ფორმალურად არ არსებობდა რუსეთ-**საქართველოს** ხელშეკრულება, არამედ ქართლ-კახეთისა, **იმერეთისა** და სხვ., მაგრამ ვინაიდან რუსეთ-ქართლ-კახეთის ხელშეკრულება მთავარი და ტიპიური იყო, გადამწყვეტიც მთელი ქართველი ერისათვის. ამიტომ როდესაც რუსეთთან ხელშეკრულებაზეა ლაპარაკი, ყოველთვის მხედველობაში აქვთ მთლიანი საქართველოს უფლება აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით; 3) მესამე ნაწილი ქართველთა საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას მოითხოვდა,

უცხოეთში იოლი იყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ხოლო თვით საქართველოში კი, სადაც რუსეთი და მისი ბეჭდვითი ცენზურა არსებობდა, ეს ადვილი საქმე არ იყო და ამიტომ არალეგალური, საიდუმლო მუშაობა უფრო მოსახერხებელი. ამნაირად, 1892 წელს ქუთაისში მოეწყო ქართველ სტუდენტთა მალული ყრილობა და შემდეგ წელს ვარშავაში დაარსდა „ლიგა საქართველოს განთავისუფლებისა“, რომლის წევრები მალე იქნენ დაჭერილი. ხოლო 1901 წელს, როდესაც რუსეთთან „საქართველოს შეერთების“ ასი წლის თავი იდღესასწაულეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ დღეს თბილისს გარს ერტყა ასიათასი რუსის ჯარისკაცი!, გამოცემულ იქმნა 4 სექტემბერს, პროკლამაცია, რომელშიც ავტორები, სხვათა შორის, სწერდნენ:

„...ქართველები დასტირიან თავიანთ მეფეების ბედს, რომელნიც რუსეთის მთავრობის მიერ განდევნილ იქმნენ ოსმალეთში და იქ იღუპებოდენ; ქართველები დასტირიან თავიანთ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, რომელიც მოლალატურად წაართვა მას ამ ხელისუფლებამ; მაშინ, როდესაც ქართველი ხალხი იტანჯება მიწის სიმცირის გამო, რადგან ეს მიწა მითვისეს რუსეთის თავადებმა, იტანჯება პოლიციის თვითნებობით და უმეცრებით, აუტანელ გადასახადებით. — ამ დროს, რუსეთი აწყობს ოლიმპიადას მის მიერ დაღუპულ ცხედრებზე"-ო... და სხვ.

უგულებულ არა ვყოფთ აგრეთვე მალულად გამოცემულ მეორე ფურცელს, რომელსაც ხელს აწერს „ქართველ დემოკრატთა კომიტეტი", 1901 წლის 28 სექტემბერს, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

100 წლის დღესასწაულის გამო რუსეთის იმპერატორის მიერ გამოცემულმა მანიფესტმა „სასაცილოდ აიგდო თავადაზნაურობა და დაამცირა და შელახა ხალხი. ვისაც შერჩა თავადაზნაურობაში პატიოსნება, თავისი ღირსება, დღეიდან რუსეთის მთავრობის მტერი უნდა შეიქმნეს. იგი გამოფხიზლდება და დაინახავს, რომ მთავრობასთან კავშირი არამც თუ სამარცხვინოა, დამღუპველი და დამამხობელია. ქართველი ხალხი, მუშა და გლეხი, სამუდამოდ დარწმუნდა, რომ ბრძოლის ველზე უნდა გამოვიდეს და მტერს გაუმკლავდეს... ხალხის ინტერესი მოითხოვს საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლების აღდგენას, რადგან უმთავრესი მიზეზი ჩვენი დაქვეითებისა არის რუსეთის მთავრობის გაბატონება საქართველოში, იმ მთავრობისა, რომელიც ქართველ ხალხის მოსპობას ლამობს. ქართველობამ მტკიცედ უნდა დაიმახსოვროს ეს და ებრძოლოს ხალხურ-ეროვნულ ინტერესების დასაცავად"...

ხოლო 1905 წელს საქართველოს თავადაზნაურობამ, მოითხოვა საქართველოს ავტონომია. უნდა ვიცოდეთ, რომ 1846 წელს, საქართველოს თავადაზნაურებამ მიიღო წოდებრივი უფლება, ჰქონოდა თავისი საკრებულო და ხელმძღვანელი, მარშალი. თავადაზნაურთა ამ საკრებულოებს ჰქონდათ უფლება დამოუკიდებლივ საჭირბოროტო საკითხებზე იმპერატორისათვის მიემართათ, და ამიტომ იყო ილია ჭავჭავაძე იმ საკითხს, თუ ვინ უნდა მოითხოვოს ქართველი ერის უფლებანი, უპასუხებდა: „ჩვენს ვინაობას ჩვენს ცხოვრებაში ოსათოოდ გზა უნდა მიეცეს და ამაზე თავადაზნაურთა კრებამ თვისი ხმა უნდა ამოიღოს, ხმა კანონიერი, დინჯი, დარბაისლური და მშვიდობიანი. უამისოდ წარმატების გზა შეიობილია. ასეთი ყოფა წარმატების გზისა ერთნაირად საჭირბოლია ყველასათვის. ამ ერთს ტაფაში თავადიც იწვის, აზნაურიც, მლვდელიც და ერიც". (1882 წ.). და ვინაიდან თავადაზნაურობას ხმისამოღების უფლება ჰქონდა, ამიტომ მან ისარგებლა მით და 1905 წლის აპრილში ჯერ თბილისის გუბერნიის, მერმე ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყრილობებმა გამოიტანეს დადგენილებანი საქართველოს ავტონომიის შესახებ; თავის გადაწყვეტილებაში ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა ამბობდა:

„...ქართველი ერის დაწყნარებისა და მის მშვიდობიან, კულტურულ განვითარებისათვის ერთად ერთი საშუალება ის არის, რომ საქართველოს, — რომელიც შესდგება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებისაგან, ბათუმის მხარისა, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებისაგან, — მიენიჭოს უფლება თავისი შინაური საქმეები განაგოს ისეთი კანონებით, რომელსაც დაადგენს ხალხის წარმომადგენელთა კრება, არჩეული საქართველოს ყველა მცხოვრებთაგან, საზოგადო, ფარულ, პირდაპირ და თანასწორ კენჭის ყრით"... ამ მოთხოვნილებაში ორი ნათელი დებულებაა: გარკვეულია საქართველოს მიწაწყალი და მისი საზღვრები, და მოთხოვნილია ავტონომია ანუ თვითმართველობა რუსეთის ფარგლებში დარჩენით.

ის საკითხი, რომელიც ერეკლე პატარა კახმა 1783 წელს გადასჭრა, 130 წლის შემდეგაც კლავ სადავო იყო. ერეკლე მეფემ ქართლ-კახეთზე რუსეთის მფარველობა აღიარა; რუსეთმა ეს პირობა დაარღვია და საქართველო „შეიერთა". რუსეთის ბატონობამ საქართველოში ოცზე მეტი აჯანყება გამოიწვია და მრავალი სისხლი დაიღვარა, მაგრამ რუსეთი მაინც დარჩა საქართველოში და ქართველი ხალხის გარუსებაც მოიწადინა. ქართველობამ ამ ცდას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და ბრძოლის ყიჟინად დასძახა: ეროვნული ვინაობის დაცვა. ამ ბრძოლაში გაიზარდა და დავაჟკაცდა, მომწიფდა და გამოიბრძმედა ქართველი ხალხი. საკითხი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრივი არსებობისა ქართულ აზროვნებაში ტრიალებდა და თუ რუსეთი საგარეო ვითარებათა შედეგად დასუსტდებოდა, საქართველო თავის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას უეჭველად აღადგენდა. თავისი საკუთარი ძალებით ქართველ ერს არ შეეძლო რუსეთის საქართველოდან გაძევება და სწორედ ამით აიხსენება ქართულ პოლიტიკურ პარტიათა შეჩერება ავტონომიის ნიადაგზე. მაგრამ ისტორიის ღმერთმა სხვაგვარად ინება. ისტორიულ მსვლელობათა შედეგად რუსეთის იმპერია დაილეწა 1914—18 წლის გერმანიასთან ომში და 1918 წლის მაისის ოცდაექვსს იმავე გერმანიის დახმარებით გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მრავალ საუკუნეთა შემდეგ კვლავ აღსდგა მთლიანი, ერთობილი საქართველოს სახელმწიფო. როგორ და რანაირად მოხდა ეს? ამაზე შემდეგ.

ვ. ნოზაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებანი და განცდანი

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანიდან

(მასალა საქართველოს ამ ხანის შესასწავლად)

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობამ გასტანა ფორძალურად სულ 2 ხელიდადი და 10 თვე, ე. ი. 1918 ხლის 26 ძაისიდან 1921 წლის 16 ბარტამდე, როცა საბოლოოდ დამარცხდა ჩვენი სამხედრო ძალები და ბათუმში ბთავრობის წევრები გემში ჩასხდნენ ევროპაში გასაძგზავრად. ფაქტიურად კი საქართველო უკვე 28 თებერვლიდან 1917 წ. იძულებული გახდა თავის საქმეებს თითოხვე გასძღოლოდა, ვიხაიდან უზარმაზარი რუსეთის იმპერია დაინგრა, ფრონტი მოიშალა და საქართველო თავის ანაბარა დარჩა.

თებერვლის რევოლუციამ მე მომისწრო ქალაქ ცარიცინში — ახლა სტალინგრადი, სადაც ვიყავი ცარიზმის რეჟიმის მიერ გადასახლებული და საიდანაც 1917 წ. მარტის თვეს ვიქმენი გაწვეული პეტროგრადში მუშათა და გლეხთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრად. ამ რევოლიუციის დედა ქალაქში, საიდანაც დაიწყო ძველი რუსეთის ნგრევა, მომიხდა მუშაობა და მოღვაწეობა თითქმის ერთი წელიწადი. ჩემს თვალსწინ გაიარა მრავალმა აბობოქრებულმა დღეებმა, ბოლშევიკების ივლისის გამოსვლამ, ოქტომბრის რევოლიუციამ, დამფუძნებელ კრების გარეკამ ბოლშევიკ მატროსების მიერ ებრაელ ურიცკის მეთაურობით და დავრწმუნდი რა რომ ჩემი იქ ყოფნა სრულიად ზედმეტი იყო, 1918 წ. მარტში დაუბრუნდი ჩემს სამშობლოს, ქალაქ თბილისს, სადაც ჩემი ძალების და მიხედვით შეუდექი მონაწილეობის მიღებას იმ აღმშენებლობითი მუშაობაში, რომელიც იქ იყო უკვე დაწყებული.

ამ რიგად მეც გავხდი მონაწილე იმ ამბებისა რომელიც ჩვენს ქვეყანაში შემდეგში დატრიალდა, აქტიური მონაწილე ბევრ ჩვენთვის საბედისწერო ნაბიჯების მიღებაში და მათი ცხოვრებაში გატარებაში.

ჩემი განზრახვაა აქ, მკითხველს მოუთხრო ამ წლების დრამატიზიმით აღსავსე მომენტებზე და ეპიზოდებზე, რომელშიც გამომჟღავდა ჩვენი ხალხის ეროვნული შენძრევა, მიუხედავად მმართველობის სისუსტისა ან ცალმხრიობისა, გამომჟღავნება ქართველ ერის ეროვნულ სულის სიძლიერის, რაც ასე ახასიათებს ქართველ კაცს და რომელსაც ვხედავთ ჩვენდა საბედნიერად ახლაც, 25 წლის განმავლობაში უცხო ძალის გაბატონების შემდეგ.

ვფიქრობ ეს ჩემი მოთხრობა დღესაც ბევრს დაეხმარება მომენტის სწორ შეფასებაში და გარდა ამისა დაე ჩვენს მომავალ თაობის ისტორიის მკვლევარს გადაეცეს ეს მოგონებანი, როგორც ერთი ხელშემწყობი მასალა, მისი უკანასკნელი, პირუთვნელი მსჯავრის გამოსატანად.

ეს პირობები სანუგეშონი არ იყვნენ საქართველოსათვის. ვინც მოსწრებია ამ ხანას და თვალყური უდევნებია ჩვენი მაშინდელი ცხოვრებისათვის, ყველა დადასტურებს, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალებისათვის, თუ მმართველობისათვის — კარგი იყო თუ ცუდი, ეს სხვა საკითხია— ერთი დღეც არ ყოფილა, რომ იგი მოსვენებული ყოფილიყო და დადებითი ორგანიზაციული მუშაობის საშუალება მისცემოდა. ჩვენი პოლიტიკური მეთაურობა, თუ სარდლობა, თავის უკანასკნელ ძარღვებს სჭიმავდა, რათა ყოველ მხრიდან მოზღვავებულ მტერთაგან ჩვენი ქვეყანა გადაერჩინათ.

ჯერ იყო და რუსეთის მხედრობის დამარცხების შემდეგ კავკასიის ფრონტიდან უკუზო-უკლოდ აყრილი რუსის გაბალშევიკებური ლაშქარი, ანუ უკეთ ბრბოები. ზღვის ტალღებსავით წალეკას უქადდა ჩვენს, ჯერ კიდევ გაუმაგრებელ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. რა პოლიტიკური და ტაკტიკური მოქნილობა არ დასჭირდა ჩვენს ხალხს, რომ ეს საფრთხე ქვეყნისათვის ძოვ ძორებია. ეს ისტორიული ფაქტია, ამ ჭეძარიტების უარყოფა არ შეუძლიან არც ერთ კეთილ-სინდისიერ მკვლევარს, რომელიც კი იმ დროს მომქმედ პირთა, სხვა და სხვა ძალთა ტრიალთა და ერთი ერთძახეთში გადანასკვნილ გარემოებათა განხილვას შეუდგება. ეს ხანა დასრულდა ჩვენი ქვეყნის საბედნიეროთ 12 ნოემბრის 1917 წ. გაბედული, თავგანწირული აქტით. ამ დღეს თბილისის ქართველ მუშების თაოსნობით და განსაცვიფრებელი მოხერხებული ნაბიჯით თბილისის იარაღის საწყობი — არსენალი აღებულ იქნა. თავისთავად არსენალზე გაბატონება თბილისში გაბატონებასაც ნიშნავდა, და ესეც ყოფილა ისტორიულად. ტყუილ-უბრალოდ კი არ აქვს სუმბათაშვილს თავის გენიოსურ დრამა „ღალატში". მეტეხის ციხე, მაშინდელი თოფ-წამალის საწყობი, თბილისის ბურჯათ გამოყვანილი. მეტეხის ციხის აღებით თავდება ბრძოლა თბილისზე გასაბატონებლად და ამით, რასაკვირველია, საქართველოზედაც. გადაჭრით შეიძლება ითქვას: თუ არა 12 ნოემბრის აქტი, ჩვენ ვერ ვეღირსებოდით ვერც საქართველოს დამოუკიდებლობის ხილვას და ვერც მის სიტკბოებას. იგივე ყოველის გამანადგურებელი სტიქია დაისადგურებდა ჩვენს ქვეყანაში, რაც უკვე მთელი რუსეთის სივრცეზე მძინვარებდა. მართალია — ხან მოკლე იყო ეს ხანა ჩვენი დამოუკიდებელ ცხოვრების, სულ 2 წელი და 10 თვე. მაგრამ სამაგიეროთ, ქართველ ერის ისტორია სულ ძირ ბუდიანათ შემოაბრუნა და დააშორა რა სამუდამოთ იგი რუსეთის ორბიტას, მისი ღერძის ტრიალი დასავლეთისაკენ გადახარა.

რუსეთის გაბალშევიკებულ ბრბოების მოშორებით არ დამთავრდა საქართველოზე მოწოლილი მტრულ ძალთა საშიშროება. ამას მოჰყვა 1918 წ. ოსმალთა შემოსევა. მან დაიჭირა ბათუმი, ოზურგეთი ბრძოლით აიღო, ახალციხე — ბორჯომის მიმართულებით კი თვით თბილისს დაემუქრა. ამნაირ მდგომარეობიდან საქართველო მხოლოდ შეეძლო სასწაულს გადაერჩინა, ვინაიდან ჩვენი ძალები იმ დროს ოსმალთა შეიარაღებულ ძალებთან შედარებით, არარაობას წარმოადგენდა. და ეს სასწაული მოხდა გერმანიის საშუალებით. მის ინტერესებში არ შედიოდა ოსმალთა კავკასიაში სრული გაბატონება. ამიტომ საკმარისი იყო გერმანიას მხოლოდ სამხედრო პოსტები დაეყენებია საზღვრებზე, რომ იმ წამსვე შეწყვეტილიყო ოსმალთა მიერ სამხედრო მოქმედება და ქვეყანამაც თავისუფლად ამოისუნთქა. მეტიც ოსმალეთი იძულებული გახდა ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრილი ძალები თავის საზღვრებისკენ დაებრუნებია. ამ მხრივ დაუფასებელია გერმანიის მხედრობის დახმარება საქართველოსადმი. ეს შეგვიძლიან ჩვენ თამამად და ხმა მაღლა განვაცხადოთ. ყველგან, სადაც კი საშიში ადგილები იყო, მათი სამხედრო ნაწილები ჩადგა. თვით დარიალის საზღვარიც კი მათი შემწეობით იქნა გამაგრებული. ბორჩალოში ბრბოებთან ბრძოლაში მათი სისხლიც კი დაიღვარა ქართველებთან ერთად და სიმბოლიურად უნდა ჩაითვალოს, რომ ქართველი მებრძოლი (სახალხო გვარდიელი) და გერმანელი ჯარის კაცი ერთად არიან დამარხული ბორჩალოში, ალბათ ნიშნად მტკიცე მეგობრობისა. ეჭვს გარეშეა — ხანა გერმანიის მხედრობის საქართველოში ყოფნისა უმშვიდესი ხანაა საქართველოს დამოუკიდებლობის დროისა. სამწუხაროთ ეს სულ ხუთი თვე მშვიდობიანი მდგომარეობა დდიხანს არ გაგრძელდა. გერმანიის მხედრობის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხების შემდეგ 18 წელში, საქართველოს საზღვრებს ანტანტისაგან დაიმედებული დეხიკინის თეთრი ჯარი დაემუქრა. აქაც დასჭირდა ქართველ ხალხს მთელი მისი სასიცოცხლო ძალების დაჭიმვა, რომ ეს საშიშროება თავიდან აეცილებინა. ამ მძიმე მდგომარეობას ზედ დაერთო საუბედურო სომეხ-ქართველთა ომი. საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ამ ორ მოძმე ერის სისხლიანი შეტაკება. ახალმა ხანამ ეს სიმწარეც დაგვალევინა.

ამ საბედისწერო ომს შეეწირა ქართველ ხალხის ღირსების ერთი საუკეთესო და ძედგარი დაძცველი, უბრალო თბილისელი მუშა, ჩვენი მეგობარი სანდრო მაისურაძე, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის პრეზიდიუმის წევრი. გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით: მისი დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო ქართველ ხალხისათვის. ის იმ პიროვნებათა რიგს ეკუთვნოდა, რომელიც სწორედ გასაჭირში იჩენს მთელს, თავის ბუნებაში ჩამარხულ პოტენციალ ძალას, ენერგიას, მოხერხებას, გამძლეობას, სულის სიმტკიცეს, რასაც სახიფათო მდგომარეობიდან გამოჰყავს ადამიანი. სომხებთან ომი ჯერ კიდევ არ გათავებულიყო. შეიარაღებულმა ძალებმა ქ. ეკატერინოფელდს შემოარტყეს ალყა, სადაც დაბანაკებულიყო ჩვენი საკმაო სამხედრო ძალა — ღენერალ სტ. ახმეტელის მეთაურობით. ქალაქი გარშემორტყმულია მტრის ძალებით. თბილისისაკენ მიმავალი გზა დაჭერილი და იქ მდგომი არტილერია ხელში ჩაგდებული. გვარდიის მთავარ შტაბის წევრები ვალიკო ჯუღელი, ალექსანდრე დგებუაძე, სანდრო მაისურაძე და სხვები ხელში უვარდებიან, მაშასადამე მტერს. აქ რა გამოსავალი შეიძლება? და აი აქ, სანდრო მაისურაძე მამაცურად, გადაჭრით და თითქმის ბრძანების კილოთი იძლევა წინადადებას: ან სიკვდილი, ან გამარჯვება. გადავიდეთ ყოველ მხრით შეტევაზე, იერიშზე, ეს სიტყვა — შეტევა, იერიში თითქოს აფხიზლებს ყველას, გამოჰყავს ბურუსიდან. საჩქაროთ ეწყობა რაზმები შესატევად ყოველ მხრივ და ისეთის სისწრაფით და თავგამოტებით ეძგერებიან მტერს, რომელიც სჩანს არ მოელოდებოდა ასეთ თავხედობას, რომ ის იძულებულია არევ დარევით უკან დაიხიოს. მტერი დამარცხდა, მაგრამ სანდრო მაისურაძე შეეწირა ამ ქართულ ხმლის გამარჯვებას. ვინ იცის, იქნებ შემდეგ თბილისთან ბრძოლებში რუსების ბოლშევიკებთან კიდევ მსხვილად მოვლინებოდა თბილისს და ამით მთელს საქართველოს, მაგრამ ამის შესახებ ქვემოდ იქნება სიტყვა, როცა თბილისთან 1921 წლის. თებერვლის ბრძოლების აღწერას შეუდგები.

— ასე გათავდა მე-18-ტე წელი და გადავედით მე-19-ტეში. ეს წელიც საქართველოსთვის კვლავ გამუდმებული ბრძოლების ხანა იყო. რომ სიტყვა არ გაგვიგრძელდეს, მხოლოდ ჩამოვთვლით ამ ბრძოლებს: ოსების ორი აჯანყება, ბოლშევიკების მრავალი აჯანყებები და შემოტევები აბხაზეთით და დარიალით. ახალციხის მამადიან ქართველთა აჯანყება, რომელიც თითქმის ბორჯომამდე მოვიდა. ყველა დამეთანხმება, რომ ყველა ამ გამუდმებულ ბრძოლებმა აურიცხველი მსხვერპლი მოითხოვა და სახელმწიფოს ჯერ კიდევ გაუმაგრებელ ორგანიზმს მრავალი ჭრილობა მიაყენა.

არც 20 წელი იყო მშვიდობიანი. მოვიხსენიებ ბოლშევიკების ამ წელში, მაიხის შემოტევას ახლა უკვე გასაბჭოებულ აზერბეიჯანიდან. ცნობილია რუსეთის იმპერიალიზმის ვერაგობა კერძოთ საქართველოსადმი, მაგრამ წითელ რუსეთის ვერაგობამ და გაუტანლობამ ყოველ საზღვარს გადააჭარბა. იმ დროს, როდესაც ის საქართველოსთან მოსკოვში ხელშეკრულობას ამუშავებდა და 7 მაისს უკვე თვით მთავრობის თავმჯდომარის ლენინის მონდობილობით კარახანმა ამ ხელშეკრულებას ხელი მოგვიწერა, მოსკოვის აგენტები ახლად დაპურობილ აზერბაიჯანიდან იმავე საქართველოზე იერიშით მოდიოდნენ.

საბედნიეროდ ეს სამარცხვინო ცდა პირის გამტეხ სეთისა ამჟამად სამარცხვინოდვე დამარცხდა და ისინი იძულებულნი გახდნენ 30 მაისს ახალ ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერათ, ახლა უკვე აზერბაიჯანის სახელით. ცხადი იყო თუ საქართველოს რაგვარ კონტრაგენტთან ჰქონდა საქმე. მისთვის ყოველ გვარ ხელის მოწერას ფარატინა ქაღალდის მნიშვნელობა ჰქონდა.

ამავე წელს ოქტომბერში სომხეთის გასაბჭოება მოხდა, რასაც ქემალ ფაშის შემოტევამ და გასზრახვებმა დიდათ შეუწყო ხელი. ამნაირად, ამ ორი კავკასიის ხალხის დაპყრობით, მთა უკვე ადრე იყო დამორჩილებული, საქართველო პირისპირ დადგა რუსეთის ბოლშევიზმის საშიშროების წინაშე. ამას დაემატა სხვა გარემოებაც. ქემალ ფაშის თურქეთმა კვლავ დიდი მავნებელი როლი ითამაშა საქართველოს მიმართ. ჯერ კიდევ ბოლშევიკურ ძალების თავმოყრა არ დაწყებულიყო ჩვენს საზღვრებთან, რომ ქემალ ფაშის რაზმები დაემუქრნენ საქართველოს ლორბამბაკის მიმართულებით. საქართველო იძულებული იყო 3-4 თვის განმავლობაში საკმაო შეიარაღებული ძალები ჰყოლოდა ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად. ყოველ სამხედრო პირს კარგად მოეხსენება, რას ნიშნავს სამი, ოთხი თვის განმავლობაში უმოქმედოთ შეიარაღებულ ძალების დაბანდება, ისიც ცივ შემდგომის და ზამთრის ყინვებში. ამ მდგომარეობამ საშინელი ზიანი მიაყენა ჩვენს სამხედრო ძალებს. მრავალი ჯარის კაცი დაავადმყოფდა, დასნეულდა. სამხედრო ერთეულები თითქმის განახევრდნენ. რამოდენიმეთ ამით აიხსნება უზუნლიარ-შაგალის საშინელი კატასტროფაც, სადაც სამი სამხედრო ათასეული თავისი ოფიცრებით, მთელი შტაბით, თოფის გაუსროლელად, მტერს ჩაუარდა ხელში. ამ მდგომარეობით, როგორც სჩანს, შესანიშნავად ისარგებლეს ბოლშევიკებმა.

ასეთია შინაური მდგომარეობა, ასეთია ობიექტიური მდგომარეობა. საქართველო, გარშემოტყმული ყოველ მხრიდან მტრებით, არავითარ დახმარებას ვეო ღებულობს გარედან, მაშინ როდესაც ყველა პატარა სახელმწიფოები, როგორც ლატვია, ესტონეთი, ლიტვა, ფილანდია და თვით პოლონეთიც კი აქტიურ დახმარებას ღებულობენ მეზობელ ქვეყნებიდან. კერძოთ ფილანდიის განმათავისუფლებელ ბრძოლაში გერმანია აქტიურ მონაწილეობას ღებულობს, როგორც იარაღით, ისე ცოცხალი ძალებით. აქ საჭიროა ერთი დოკუმენტის მოყვანა, რომელიც ნათლად ჰყოფს თუ რამდენათ მნიშვნელოვანია ამ ქვეყნისათვის გარეშე დახმარება. გერმანია ფილანდიის საზოგადოების მიერ გამოცემულ ჟურნალში „ნახრიხტენ ბლატ“ № 2-3 1934 გამოქვეყნებულია წერილი, სათაურით: „ფილანდია პატივით იგონებს გერმანიის 27 გმირთ სს. 57-სა, რომელთაც თავი შესწირეს ფილანდიის თავისუფლებას; ძეგლს, რომელიც 17 მაის იქნა გახსნილი, შემდეგი წარწერა აქვს: „1917 წელს. ნოემბერის 1-ს, ღამის წყვდიადში ჰანსკიერში შემოვიდა გერმანიის წყალქვეშა ნავი უ. ს. 57. სამხედრო მასალით დატვირთული. წყალ ქვეშა ნავს მოჰყვნენ გერმანიის შემდეგი მხედრები — ჩამოთვლილია 27 სახელი და გვარი, — „რომელნიც ვეღარ დაუბრუნდნენ თავის სამშობლოს, აღიმართა ეს მარმარილოს ძეგლი გერმანიის იმ მხედართა მოსაგონებლად და სამახსოვრად, რომელთაც ფილანდიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შესწირეს თავი, მომთხრობლად სამშობლოს ამ უდიდეს დროისა და გამამფრთხილებელი მომავალ თაობის, მოპოვებული თავისუფლება წმინდათ შეინახოს“. ამავე ჟურნალს მოჰყავს ცნობები იმის შესახებ თუ რა სახის და მნიშვნელობისა იყო დახმარება, რომელიც დასახელებულმა წყალ ქვეშა ნავმა ფილანდიას მოუტანა. „გარდა გერმანელ მხედრებისა ამ წყალ ქვეშა ნავში იმყოფებოდნენ ერთი ნაწილი ი. წ. ფინელ მონადირეთა, ფინეთში ივვერ, რომელნიც პრუსიულ-ფინურ მონადირეთა ბატალიონში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ გაწვრთნილნი და აგრეთვე მრავალი სამხედრო მასალა ღენერალ მანნერჰაიმის ჯარისთვის, რომელიც ფილანდიის ჩრდილოეთით წითლებს აუჯანყდა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ეს ფინელ მონადირეთა გუნდი აფეთქების და რადიო ტელეგრაფის საქმეში გერმანიაში იყო გაწვრთნილი — ეს გუნდი იყო, რომელმაც შემდეგში რუს ბოლშევიკებს ზურგში ქარელიის ვიწროებში მრავალი ხიდები აუფეთქა და ამით მათ შემაერთებელი ხაზი პეტერბურგთან მოუჭრა"...

ეს კიდევ ცოტაა. აი რას ვკითხულობთ რაიხს არხივში, სათაურით: დერ ველტკრიგ 1918. დოიტშე ტრუპენ ინ ფინლანდ სათაურით:

ფილიანდიის მოხალისეებს ძალიან უძნელდებოდათ ბოლშევიკების შეკავება. ფინეთის სახალხო მთავრილს 1918 წ. გენ ფონ დერ ჰოლცის მეთაურობით ერთი რილს 1918 წ. გოფ ფონ დერ ჰოლცის მეთაურობით ერთი დივიზია ქალაქ ჰანგოსთან ჩვენი შეიარაღებულ ძალებისა. და ამის შემდეგ ჩქარა მოხერხდა ბოლშევიკების განდევნა ფინლიანდიის რესპუბლიკის საზღვრებიდან. ამას გარდა უნდა ისიც აღინიშნოს, რომ მრავალი ფინური ნაწილები გერმანიაში იყვნენ გარწვთნილნი. შეიძლება გადაჭრით ითქვას: "გერმანიის ამ დახმარების მიუღებლად ფილანდია ვერ შესძლებდა თავის საკუთარ ძალებით მტრის გამკლავჭბას".

მე შემეძლო ცნობების მოყვანა თუ რა კონკრეტული დახმარება მიიღეს ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა და თვით პოლონეთმა კერძოთ ვარშავასთან ბრძოლებში საფრანგეთისგან, მაგრამ რომ წერილი არ გაგვიგრძელდეს მოყვანილი მასალითაც დავკმაყობილდეთ. გარდა ამ გარეშე დახმარებისა აქ აღსანიშნავია ერთი ფრიად დიდ ღირებულების გარემოება. ეს სახელმწიფოები ერთმანეთს კი არ ამტრევდნენ თავ-პირს, როგორც ჩვენ, კავკასიაში არამედ საგრძნობლად ეხმარებოდნენ ერთმანეთს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან, ვფიქრობ, ნათელი უნდა იყოს ის ობიექტური პირობები, რომელშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფებოდა დამოუკიდებლობის დაკარგვის წინ. აგრეთვე უეჭველი უნდა იყოს ისიც, რომ ვერც ერთი პირუთვნელი ისტორიკოსი, რომელიც კი ჩვენი ქვეყნის ამ დროის შესწავლას შეუდგება და ჩვენი დამარცხების მიზეზების გარკვევას შეუდგება, გვერდს ვერ აუვლის ამ მხარეთ.

რაც დრო გადის საქართველოს ცაზე შავი ღრუბლები იკუმშებიან. გვარდიის მთავარ შტაბს — მისი განსაკუთრებული კავშირის მეოხებით ბაქოსთან, ცნობილ გეკერის (ბოლშევიკების ოფიცერი) მემორანდუმი უვარდება ხელში. ეს მემორანდუმი გადაეცა აგრეთვე გენერალურ შტაბს გვარდიის შტაბისაგან და არა უშუალოდ ჩაუვარდა გენერალურ შტაბს, როგორც ღ. ოდოშელიძე შეცდომით სწერს თავის მოხსენებაში. ამ გეკერის მოხსენებიდან ნათლად სჩანს, რომ მტერი შემოსატევად ემზადება. მას დახასიათებული ჰყავს ქართული სამხედრო ძალების ცალკეული შემადგენლობა, მისი გენერლები და ამ ძალების გამძლეობა. ის მოითხოვს წითელ ჯარებისათვის მეტს ტეხნიკურ ნაწილებს. ამ საბედისწერო მომენტისათვის ქართული სამხედრო ძალები დაბანაკებული იყვნენ ერთი მხრით შაგალ-უზუნლიარის მიმართულებით; ჯარის ნაწილები — ეს მარცხენა ფრთა. მარჯვენა ფრთა კი ეკავა სახალხო გვარდიის ნაწილებს. ეს ლორის ხეობა ვარანცოვკიდან, ჯალალ-ოღლი ბეზობდალის უღელტეხილამდე. 11 თებერვალს მტერი, გაკომუნისტებულ სომხის ნაწილებით და რუსის ბოლშევიკებისაგან შემდვარი გადმოვიდა შესატევად მოულოდნელად — ვერაგულად.

ჩვენს ხაზზე ყველა პოზიციები 11—14 თებერვლამდე მტკიცეთ იყო დაცული. მტრის ცდას ბეზობდალის თოვლიან უღელტეხილის გადმოსალახავად სასტიკი წინააღმდეგობა გაეწია. 14 თებერვალს კი მიიღეს ცნობა ტელეფონოგრამა გენერალურ შტაბიდან, რის მიხედვით ჩვენი ძალებით უნდა დაგვეხია ქალაქ ეკატერინოფელდამდე. ჯერ კიდევ მთლად არ ვიყავით ამ ქალაქში შესული, რომ მეორე ბრძანება მივიღეთ საჩქაროთ თბილისისაკენ დასახევად. რასაკვირველია — ჩვენ ვიხევდით და მტერიც ფეხ და ფეხ მოგვდევდა და ხშირიც იყო მასთან შეტაკებები. 16 თებერვალს დილით ჩვენ უკვე ვიყავით სოფელ არახლუსთან. ჩვენი ძალების ერთმა ნაწილმა მდინარე ხრამიც გადმოლახა. აქ კი შესწყდა ყოველივე კავშირი თბილისთან. ყოველ მხრივ სიჩუმე გვარწმუნებდა, რომ ჩვენ შეიარაღებულ ძალებს რკინის გზის ხაზი თბილისამდე მიტოვებული ჰქონდა. ამის გამო ორიენტაციის მისაღებად თუ რა გზით უნდა წასულიყო ჩვენი ძალები, მე სადგურ სანდარისკენ მოტოციკლეტით გავეშურე. მაგრამ ჩქარა გზაშივე გამოირკვა ჩემთვის, ერთი ადგილობრივი თათრის წყალობით, რომ სანდარი უკვე დაკავებული იყო მტრის მიერ. მე დაუყონებლივ უკანვე დავბრუნდი. როგორც სჩანდა — მტერმა შენიშნა ჩვენი მოძრაობა და ის ყოველ ღონით ცდილობდა ყოველ მხრიდან გზების მოჭრას. ვიდრე მე მივახწიე სოფელ არახლუს სადაც ჩვენი ძალები დავტოვე, მათ უკვე მიეტოვებინათ პირდაპირი ხაზი თბილისისაკენ და, როგორც შემდეგ გამოირკვა ჩემთვის, კოჯრის მთებით არეულ-დარეული თბილისში ჩასულიყო. მე მეშურებოდა თბილისისაკენ, ყოველ ცნობებს მოკლებული — მოწყვეტილი, ჩემს გულს რაღაცა კაეშანი გადაეფარა. შავმა ფიქრებმა შემიპყრო.. შიში, თბილისის დაკარგვის და ამით მთელი ქვეყნის დაკარგვის შიში დაეპატრონა ჩემს გულს. ამან მთელი ჩემი არსება მოიცვა. ამიტომ თავდავიწყებით გამოვექანე ცხენით კუმისის ტბის გასწვრივ პირდაპირ თბილისისაკენ, თუმცა ამ მიმართულებთ ძალიან ადვილად შეიძლებოდა მტრის ხელში ჩავარდნა. 16 თებერვალს, საღამოს მივეწიე სოღანლუღში მაზნიაშვილს რაზმს. აქ გავიგე ბევრი ახალი, შემაძრწუნებელი ამბავი. გავიგე შაგალის მიმართულებით ჩვენი კატასტროფა. ღენერალ ოდეშელიძეს მაგივრად ღენერალ კვინიტაძეს მთავარ სარდლად დანიშვნა. მთავრობამ მას მიანდო თბილისის დაცვა და ისიც ენერგიულად შეუდგა და ახალ-ახალ რაზმებს უყრის თავსაო. ჩემს დაძძარებულ გულს იმედის სხივები მოეფინა. კარგათ ვიცნობდი ღენერალ კვინიტაძეს ახალციხის და სომხეთთან — შულავერთან ბრძოლების დროს. ვაფასებდი მის გამჭრიახ გონებას და მამაცურ გადაწყვეტილებებს. განსაკუთრებით კი მის გაბედულ, უკომპრომისო სიტყვებს მთავრობის სხდომებზე. გვარდიის მთავარ შტაბში ბევრი დიდ ღირებულებად სთვლიდა მის სწორეთ ამ თვისებებს. საღამოს უკვე ვიყავი თბილისში და ახალის ენერგიით შეუდექი გაცხოველებულ მუშაობას. 17—18 თებერვალმა განვლო ამ ციებ-ცხელების სამზადისში. 19 თებერვლის დილით 5 საათზე მტერი პირველად ეძგერა თბილისს, მაგრამ აქ გამოჩნდა ქართველ ხმალის სიმაგრე. ის სასტიკად დამარცხდა. აქ უნდა გაესვას ხაზი ერთს გარემოებას: იერიშზე წამოსული მტერი ღენერალ მაზნიაშვილის ბრძანებით რაც შეიძლება ახლო იქნა მოშვებული და მხოლოდ ამის შემდეგ იქნა ჩვენის მხრით ცეცხლი დანთებული. ამ ტაკტიკურმა ხერხმა, როგორც მოსალოდნელი იყო, საუკეთესო შედეგი მოიტანა. მტერი არ მოელოდა ასეთ დახვედრას და იძულებული გახდა უგზო-უკლოდ არეული უკან დაეხია. ზიანი მოუვიდა საგრძნობი მოკლულებით და დაჭრილებით. ამ ბრძოლაში წესის განსაკუთრებული სიმტკიცე, გამძლეობა გამოიჩინა ქართლის ორმა გვარდიის ათასეულმა. მან მტერი ზოგ ალაგას 30—50 ნაბიჯზე მოუშვა ახლოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაუშინა ტყვია სანგრებიდან, რის შემდეგ თავის მხრით გადავიდა კონტრ შეტევაზე. სამხედრო საქმეში ჯარის ასეთი გამძლეობა იშვიათ ღირებულებას წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დღეს თბილისმა პირველად იხილა რუსის ბოლშევიკები ტყვეების სახით დაგლეჯილ ფარაჯებში. მის იმედს საბოლოო გამარჯვებაში ახლა, ამ სურათის მნახველს, ვერაფერი ღა შეარყევდა. 19—24 თებერვალამდე, ე. ი. 6 დღის განმავლობაში მტერი სასტიკი იერიშებით მოდიოდა თბილისზე ყოველ მხრიდან და ქართული იარაღი ბრწყინვალე გამარჯვებებით გამოდიოდა ყოველთვის. 24 საღამოს კი მოხდა რაღაც მოულოდნელი, დაუჯერებელი, როგორც თბილისისათვის ისე მის დამცველ ქართველ ლაშქრისათვის. — მაშ აღვადგინოთ მეხსიერებაში რა მოხდა ამ დღეს:

თბილისთან ფრონტი წარმოადგენდა შემდეგ სურათს: ვაზიანის მიმართულება — მარცხენა ფრთა ღენერალ ჯიჯიხიას მეთაურობით, შუა ხაზი — სოღანლუღის მიმართულება ღენერალ მაზნიაშვილი და მარჯვენა ფრთა — კოჯრის მიმართულება ღენერალ ანდრონიკაშვილის მეთაურობით. ჯერ კიდევ 23 თებერვალს ვაზიანის მიმართულებით მტერმა დიდი აკტიობა გამოიჩინა უმთავრესად ტეხნიკურ და ცხენოსან ჯარით. (მოვიგონოთ გეკერის მოხსენება) ალაგ-ალაგ ტაქტიკურ გამარჯვებასაც მიახწია, თუმცა საღამოს ჟამს ყველა დაკარგული პოზიციები უკანვე დაბრუნებული იქნა. ეტყობოდა მტერი განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მარცხენა ფრთას აქცევდა და ეს გასაგებიცაა. მტერს, როგორც ცხენოსან ჯარის, ისე ტეხნიკურ ნაწილების მოქმედების მეტი საშუალება სწორეთ ამ რაიონში ჰქონდა. ღენერალი ჯიჯიხია ამას თავის პირველ ტელეფონოგრამაში აღნიშნავდა და მოითხოვდა მაშველ ძალებს. ის ელოდა მტრის მთავარ ძალების შემოტევას სწორეთ ამ მიმართულებით. მართლაც 24 თებერვალს მტერმა დილით, 5 საათზე, განაახლა ამ ხაზით შემოტევა. ამის გამო იყო, რომ გვარდიის მთავარ შტაბის წევრები ვალიკო ჯუღელი, ალექსანდრე დგებუაძე და ვალოდია ჯიბლაძე საჩქაროთ გაეშურენ ამ ფრონტზე. 12 საათზე ღენერალურ შტაბში მოხდა მდგომარეობის დასაფასებლად და მნიშვნელოვან გადაწყვეტილების მისაღებად სხდომა. აქ პირველად იქნა მოსმენილი ღენერალურ შტაბის უფროსის ღენერალ ზაქარიაძის მოხსენება ანუ უკეთ ღენერალურ შტაბის გადაწყვეტილება თბილისის დატოვების საჭიროების შესახებ. მე რამდენადაც ვიცი, იდეა თბილისის დატოვების შესახებ ღენერალ ზაქარიაძეს ეკუთვნის. მოტივი — დასაბუთება ამ გადაწყვეტილებისა იყო შემდეგი: ჩვენი ფრონტი გაჭიმულია დიდს სივრცეზე და ცხრა ათას ხიშტით მისი დაცვა შეუძლებელია. მტერი ფრთებიდან გვივლის. ქვემო ავჭალა, წყნეთი საფრთხეშია. ამ არავითარი ძალები ჩვენ არ მოგვეპოება. ამ პირობებში ჩვენ დავკარგავთ მთავარ ცოცხალ ძალას; მის შესანახად, რაც მთავარია ომის დროს, საჭიროა დახევა და ფრონტის სივცის შემცირება. ამ ადგილად დასახელებული იქნა მცხეთა.

ამ რიგათ ქართული ძალები იძულებული გახდნენ თბილისი მიეტოვებინათ. ღამის 12 საათზე დაიწყო ფრონტიდან ჯარების მოხსნა და მცხეთისკენ დახევა. თბილისში მტერი შემოვიდა 25 თებერვალს. ამით მან მიაწია თავის მიზანს დაარღვია რა უსირცხვილოდ 1920 წლის, მაისის ხელშეკრულება.

— აქ რამოდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ დაიდო ხელშეკრულება რუსეთთან, ვინაიდან ბ. ამირეჯიბის თქმისა არ იყოს, მისი წარმოშობის და დაბოლოვების ისტორია საიდუმლოებით არის მოცული. დღესაც არ იცის საზოგადოებამ თუ როგორ მოხდა ეს ამბავი. მე ამ ხელშეკრულების დაწერის დროს პირადათ მოწმე ვიყავი მოსკოვში. ასე ვსთქვათ მონაწილეც. ამიტომ ჩემს მოვალეობათ და დროულადაც მიმაჩნია საზოგადოებას გადავცე ცნობად ის, რაც ვიცი ამის შეასხებ:

1920 წ. იანვარს მე გაგრის ფრონტზე უნდა გამგზავრებულიყავი. ჩვეულებად იყო მიღებული, გვრდიის შტაბის ყოველ წევრს, რომელიც კი რომელიმე ფრონტზე წავიდოდა, ენახა მთავრობის თავჯდომარე. იმავე დროს კონსტიტუციის ძალით გვარდიის პირდაპირი ბრძანებელიც. მეც ვინახულე თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, უკანასკნელ, ასე ვსთქვათ, ინსტრუქციის მისაღებად. ეს ის დრო იყო, როცა გამოირკვა, რომ თეთრი რუსეთის მოძრაობა ყოველივე მისი ფრთებით, დამარცხდა საბოლოოდ და ბოლშევიკები, გამარჯვებულნი უკვე კავკასიის, კერძოდ საქართველოს საზღვრებს უახლოვდებოდნენ. ამიტომ მე მთავრობის თავმჯდომარეს შევეკითხე, თუ ის სასარგებლოდ და საჭიროდ ჩასთვლიდა ჩემ მიერ საბჭოთა საზღვრის გადალახვას, მოსკოვში მისვლას და იქ, როგორც კერძო კაცი, პირადი ნაცნობების საშუალებით ნიადაგის მოძებნას, გაგებას იმისას, თუ რა განძრახვები აქვს საბჭოთა რუსეთს საქართველოს მიმართ. მე დავუმატე, რომ თუმცა სახიფათოა, მაგრამ ვფიქრობ, ამას მე მოვახერხებ. იმედი მაქვს მოსკოვში ვინახულებ პირად ნაცნობებს კამენევს, ტროცკის, თვით ლენინს, სტალინს და სხვათ. ნოე ჟორდანიამ სრული თანხმობა განმიცხადა ამაზე. მე საჩქაროდ გავემგზავრე ფრონტზე. მე ამ საქმეს ვაგვარებდი გაგრაში, რომ, ასე მარტის დამლევს, 1920 წ. ჩამოვიდა ჩემთან მოულოდნელად გრიშა ურატაძე. მას მოჰყვა ვიღაც ქართველი, ჩემთვის უცნობი. გრიშა ურატაძემ ძალიან საიდუმლად გადმომცა, რომ მე, ნოე ჟორდანიას ბრძანებით, უნდა წავყოლოდი მათ მოსკოვში. მან მიამბო, რომ მათ უკვე სცადეს კავკავის მიმართულებით გადასვლა საზღვარზე, მაგრამ ეს ვერ მოხერხდაო. უკან დავბრუნდით თბილისს და ახლა ნოე ჟორდანიას რჩევით აქეთკენ წამოვედითო. იმედია შენ შესძლებ ამას, ვინაიდან შენც გქონებია ასეთივე განძრახვაო. მე განვუცხადე ჩემი თანხმობა. ამის შემდეგ მან გამაცნო ის უცნობი ქართველი. აღმოჩნდა ბოლშევიკი, ვინმე კ. კობახიძე — რუსული გვარით, მირსკი.

გამოირკვა შემდეგი: ის ჩამოსულა მოსკოვიდან სპეციალური დავალებით საქართველოში აჯანყების მოწყობისათვის მუშაობა ეწარმოებინა. მას თან ჩამოუტანია დიდძალი თანხა ამ მიზნისათვის და შესდგომია მუშაობას, დაუარსებია მრავალი ორგანიზაციები, მაგრამ ერთ დღეს ის უცბად დაუჭერიათ, და ციხეში გაუგია და დარწმუნებულა აქ ამნაირ განძრახვების უსაფუძვლობაში. მისივე სიტყვით. მის მიერ შექმნილ-დაარსებულ ორგანიზაციაში ხუთი წევრიდან სამი ნოე რამიშვილის ან გვარდიის აგენტი ყოფილა. ამიტომ გადაუწყვეტია მას ამნაირი ცდის უნაყოფობაში საბჭოთა რუსეთიც დაეჯერებინა. მისი ერთადერთი სურვილი ახლა ის ღა ყოფილა, რაც შეიძლება ჩქარა მოსკოვში მოსულიყო და იქ ამ მხრივ მუშაობა ეწარმოებინა, რათა ამ ორი ქვეყნის შორის მშვიდობიანობა დამყარებულიყო, სიმართლე უნდა ითქვას, მართლაც მან დიდათ ხელი შეგვიწყო მოკოვში ამ მხრივ. სპეციალური მოხსენებაც კი მოამზადა და გადასცა საქართველოს მდგომარეობის შესახებ, როგორც ლენინს ისე სტალინს. ეს თავისი სურვილი ციხიდან საქართველოს მთავრობისთვისაც შეუტყობინებია. მთავრობამაც ისარგებლა ამ პირით, ციხიდან გამოუშვა და გამოპყოლა მას გრიშა ურუტაძე, ეს ამბავი და ჩემთვის მოულოდნელი შემთხვევა, ჩემი გეგმის შესრულებას საგრძნობლად მიადვილებდა. ამიტომ დაუყოვნებლივ შევუდექი ენერგიულ მუშაობას. იმ დროს ჩვენს საზღვრებს გაგრის მხრით მოადგა ბოლშევიკების მიერ დამარცხებული კუბანის ყაზახობის ლაშქარი. მე ვაწარმოებდი მათ განიარაღების საქმეს, ვისარგებლე ამით და მათი ხელმძღვანელობიდან მივიღე სათანადო საბუთები ჩვენ საზღვარზე გადასასვლელად. შემდეგ ჩავიყვანე გრ. ურატაძე და კ. კობახიძე სოჭაში და იქ ერთ მეგობრის ოჯახში დავმალე, შემდეგ დავიქირავე პატარა გემი 310 000 მანეთად ქართველ კაპიტნის მეთაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობით და ღამით გამოვიყვანე დამალული პირები ოჯა-ხიდან, ჩავსხედით გემში და საჩქაროდ პირდაპირ მიმართულებით ნოვოროსიისკენ გავემართეთ ჩვენი ეროვნული დროშით.

ნოვოროსიიხკი უკვე ბოლშევიკების ხელში იყო გადასული. ორი დღე და ღამის მოგზაურობის შემდეგ მივადექით ნოვოროსიისკის ნავთსადგურს და დაუყოვნებლივ მივაცურეთ ჩვენი გემი ნაპირას. იქ, რასაკვირველია, ჩეკისტები დაგვხდნენ და სწრაფად შემოგვარტყეს ალყა. მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა ჩვენი ეროვნული დროშის ხილვით. აქ კი უკვე ბოლშევიკ კობახიძემ ითავა ჩვენი დაცვა და თავზე იდვა „საქართველოს დელეგაციის“ მოსკოვში მიყვანა. მხოლოდ როსტოვში, სერგო ორჯონიკიძე შეეცადა ხელი შეეშალა ჩვენი წინსვლისათვის, მაგრამ კობახიძემ პირდაპირ მავთულის საშუალებით მოსკოვთან, პირადათ ლენინთან ლაპარაკით ეს განზრახვა ბოროტი ორჯონიკიძესი ჩაშალა. მოვიდა ლენინის ბრძანება, რათა „საქართველოს დელეგაცია“ საჩქაროდ მოსკოვისაკენ გამოეშვათ. სერგო ორჯონიკიძე იძულებული გახდა ჩვენი ცალკე ვაგონი მიება სოკოლნიკოვის სპეციალურ მატარებლისათვის, რომელიც სურსათით დატვირთული მოსკოვისკენ მიემართებოდა. როგორც იყო ჩავედით მოსკოვში. იქ დაგვაბინავეს თვით კობახიძეს ბინაზე, რომელსაც ძმათა კრესტოვნიკოვების თერთმეტ ოთახიანი ბინა ეჭირა ცოლ-შვილით. პირველ ყოვლისა ვინახულეთ სტალინი. მის კაბინეტში კამენევიც დაგვხდა. ისინი კარგათ შეგვხდნენ და, როგორც სჩანდა, საქართველოსთან მორიგება მათთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა.

მაგონდება და წინ ნათლად მიდგას სტალინ — სოსო ჯუღაშვილის ღიმილი. ჩვენ შეკითხვაზე: „შეუძლიან თუ არა საბჭოთა რუსეთს მშვიდობიანად დასტოვოს შორეული, პატარა საქართველო“, იგი მიუბრუნდა იქვე მჯდომ კამენევს, მის ძველ მეგობარს, რომელიც ის ასევე „მეგობრულად“ შემდეგში დაახვრეტინა იაგოდას, და წარმოსთქვა: „მართლაც, რა საჭიროა ბევრი თავის მტრევა, იცხოვრონ ისე, როგორც მათ სურთო“., რაზედაც კამენევმა ნიშნად თანხმობისა თავი დაუქნია.

ამას შემდეგ საჭირო იყო ჩიჩერინის ნახვა.

ლენინს განეცხადებინა, ქართველებს ვინახულებ, როცა საქმე მოთავდებაო.

გამოირკვა, რომ საბჭოთა რუსეთი თანახმა იყო საქართველოს სუვერენობა ეცნო, მხოლოდ ამ უკანასკნელ უნდა განეცხადებინა თავის მხრივ, რომ იგი თავის ტერიტორიაზე არ დაუშვებს ისეთ ძალებს, რომელნიც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მუშაობენო. გრიშა ურატაძე ყველაფერზე თანახმა იყო. მხოლოდ ჩიჩერინი სთხოვდა მას წარედგინა საბუთი, რომ მას საქართველოს მთავრობიდან დავალებული აქვს ხელშეკრულებაზე ხელი მოაწეროს.

გრიშა ურატაძეს დავალებული ჰქონდა მხოლოდ მოლაპარაკება ეწარმოებინა, ანუ უკეთ, ნიადაგი მოეძებნა ამ ოფიციალური მოლაპარაკების საწარმოებლად. ასეთივე დავალება — სიტყვიერი, როგორც ზემოთ უკვე მოვიხსენიე, მეც მქონდა. გრიშა ურატაძემ მოითხოვა პირდაპირი მავთული თბილისთან და საქართველოს საგარეო სამინისტროს ულტიმატუმი დაუსვა: ან გადმომეცით უფლება ხელის მოწერის, თუ არა და დაუყოვნებლივ ვბრუნდები უკანვეო.

მე რამდენადაც ვიცი, საგარეო სამინისტროს განზრახვა ჰქონდა, ეს ოფიციალური მოლაპარაკება ქალაქ კავკავში ეწარმოებინა, სადაც ჩამოვიდოდა, რასაკვირველია, მთელი შტაბი გამოცდილ პირთა, როგორც დიპლომატიურ ისე სამხედრო საქმეში, მაგრამ ურატაძის მუქარამ გასჭრა. მან მიიღო უფლება ეს საქმე მოსკოვშივე გაეთავებინა. ჩიჩერინმა ამ საქმის დეტალურად მოგვარება თავის თანაშემწეს — კარახანს გადასცა. მას და ურატაძეს დავა ჰქონდათ ზაქათალა საქართველოს საზღვრებში შედის თუ არაო. ამის გამო საჩქაროდ ვინახულე კარახანი, საც ჩემი პეტერბურგში ყოფნის დროს კარგათ ვიცნობდი. მას მე მოვაგონე, რომ ამ საქმის მოსაგვარებლად საჭიროა მხოლოდ თუ გინდ რუსული ძველი რუკის გაშინჯვა და ის დარწმუნდება, რომ ზაქათალა საქართველოს საზღვრებში შედის. კარახანს ბევრი აღარ უყოყმანია ამის შემდეგ, ის უდავოდ დამეთანხმა და ქართულადაც დაუმატა „კაცო, ამაზე ჩხუბი არ გვინდაო“. ამის შემდეგ მალე ურატაძემ და კარახანმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 7 მაისს. 1920 წ.

ამ ამბის გაგებაზე მოსკოვში მცხოვრებ ქართველობის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ამის გამო პროფესორ ღამბარაშვილის თაოსნობით, ბანკეთიც გაგვიმართეს, სადაც ალექსანდრე სუმბათაშვილიც დაესწრო. განსაკუთრებულად ის იყო აღელვებული ამ საერთო სიხარულის გამო. ის მოხარული იყო, რომ რუსეთთან ასი წლის დავა ასე მშვიდობიანად გათავდა. საქართველო ამ დღეს ხელმეორედ დაიბადაო.

ასე დასრულდა ესე ამბავი. ჩვენ ჩქარა დავბრუნდით საქართველოში კავკავის გზით და 30 მაისს უკვე თბილისში ვიყავით. აქ გავიგე, რომ ჩვენ ჯარებს ბოლშევიკები დაემარცხებინათ და რამოდენიმე დღეში ახალი ხელშეკრულება დაიდო, ერთი მხრით ახლად გაკომუნისტებულ აზერბაიჯანს და საქართველოს შორის მეორე მხრით.

გარეგნულად სჩანდა, თითქოს მოუსვენარი რუსეთი დაწყნარდა, თავი სკალაპოტში ჩადგა. მოსკოვში და თბილისში საკუთარი ელჩებიც დაინიშნენ. მოსკოვმა გამოგზავნა თბილისში თავის წარმომადგენელად ვინმე ებრაელი შეიმანი. ეს ფაქტი კარგის მომასწავებელი არ იყო, ვინაიდან შეიმანი სრულიად უმნიშვნელო პიროვნება იყო, ახლად მიტმასნებული კომუნისტურ პარტიას, გაიძვერა, უიდეო, და ამავე დროს „შიბერი“, ამ პიროვნებისაგან საქართველო კარგს ვერაფერს მიიღებდა. იგი ჩამოვიდა საკმაოდ დიდი შტაბით და პირველ დღესვე შეეტყო თბილისის ქუჩებს აფორიაქება, რუსული სომხურ და მრავალ ჭრელ ელემენტების მტრული ამოძრავება. თვით შეიმანი კი ისე იჭერდა თავს, თითქოს ის დიდი ხნის მეგობარი ყოფილიყო საქართველოსი და მას სხვა საზრუნავი აღარაფერი ჰქონდა გარდა კეთილ მეზობლურ დამოკიდებულების ჩამოგდებისა ბოლშევიკურ რუსეთსა და საქართველოს შორის. ის აწყობდა ხშირად ბანკეტებს, სადაც თავის მეგობრობას ეფიცებოდა ყველას, ვისაც ასე თუ ისე გავლენა ჰქონდა იმ დროის საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაში. საიდუმლოდ კომუნისტურ ელემენტებს აქეზებდა, ალბათ მოსკოვიდან მიღებულ ინსტრუქციების მიხედვით, საჯაროდ კი ყოველ კომუნისტურ გამოსვლას ჰგმობდა.

რაც დრო გადიოდა, საქართველოს ცაზე ღრუბლები იკუმშებოდა და ამ დროს ხდება ერთი უჩვეულო ამბავი. შეიმანი აწყობს ბანკეტს და იწვევს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მთელ შემადგენლობას. მოწვევის ბარათი მე მივიღე. შეიმანი, ელჩი ჰპატიჟობს არა მთავრობას, არამედ სამხედრო ორგანიზაციას, სადაც ეგულება ბევრი ისეთი პირი, რომელთაც მისი ნდობა არა აქვთ. ამ მოწვევის გამო გვარდიის შტაბში თათბირის დროს გადაწყდა, მიუხედავად ასეთ უცნაურობისა, ამ მოწვევის მიღება. ბანკეტი გამართული თვით საელჩოში, საუცხოო გამოდგა. მრავალ სასმელ-საჭმელი. შეიმანი თვით გახლდა თამადა და გვარდიის ყოველ წევრზე საკუთარი სადღეგრძელო წარმოსთქვა. ამ სიტყვებში გვეფიცებოდა ის თავის მეგობრობას და მშვიდობიან ცხოვრების სარგებლობას ორ ქვეყნის შორის, რომელთაც ის და ჩვენ წარმოვადგენდით. და ბოლოს მომიბრუნდა მე და ვანაცხადა: რასაკვირველია მხოლოდ ერთიო, იმ ადამიანში, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა, რათა ჩვენ ქვეყნებს შორის კეთილი განწყობილება დამყარებულიყო, ყველაზე მეტ უნდობლობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხედავო. ვაი, რომ ის იყო მართალი. დიახ, მე არავითარი ნდობა აღარ მქონდა არც მოსკოვის ბატონების და არც მით უმეტეს მათი ელჩისა თბილისში. ყველაფრიდან სჩანდა, რომ მას უნდოდა ჩვენი მიძინება ან ჩვენი გულის წადილის გაგება. მას მშვენივრად ჰქონდა შესწავლილი ყოველივე ჩვენთაგანის პიროვნება, რაც რასაკვირველია, მეტს იქვებს იწვევდა. ჩვენი ბანკეტი დამთავრდა გარეგნული მხიარულებით, მაგრამ ჩვენთვის ცხადი იყო, რომ რალაცა საშინელი მზადდებოდა ახლო მომავალში, რისთვის მზად უნდა ვყოფილიყავით, ამიტომ იმ საღამოსვე მოხდა შტაბის სხდომა, სადაც მთავრობის თავმჯდომარეც იქნა მოწვეული. გადაწყდა სასწრაფო სამზადისი ყოველ მოსალოდნელ ამბებისათვის. ამ ამბებმაც აღარც დაიგვიანა.

ორი კვირის შემდეგ, 11 თებერვალს რუსეთი ხელმეორედ შემოესია პატარა საქართველოს. გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ზარბაზნების ხმა თბილისში ისმოდა, მაგრამ ქალაქის მცხოვრებლებში არავითარ შიშს არ იწვევდა. თბილისი დარწმუნებული იყო თავის შვილების სიმტკიცეში, მის დამცველთა სიმამაცეში, მხოლოდ ჩქარა აღმოჩნდა რომ თბილისი იყო განწირული და ამით რასაკვირველია საქართველოც. შემდეგი ბრძოლები უკანასკნელი გაბრძოლება—ღა იყო. ჩვენმა ჯარებმა დაიხიეს მცხეთაში, შემდეგ გორში და სურამის უღელტეხილამდე. ღენერალი კვინიტაძე აქ ერთხელ კიდევ შეეცადა ომის ბედის მობრუნებას, მაგრამ ამისათვის ძალები აღარ იყო საკმარისი, ვინაიდან რუსეთის ცარიზმის ვერაგულ პოლიტიკის გამო საქართველოს საკუთარი იარაღის ქარხნები არ მოეპოვებოდა, ამიტომ იყო, რომ ამ საბედისწერო ჟამს მისი სამხედრო ძალა უიარაღო დარჩა. მიუხედავად ამისა, ბრძოლები და ძალიან ცხარეც, გაგრძელდა სურამის იქითაც. უმთავრესად წიფაში და ბათუმის შესავალთან. ბათუმშიკე მოიყარა თავი როგორც ეროვნულმა მთავრობამ, დამფუძნებელ კრების წევრებმაც, აგრეთვე ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა თანამშრომლებმა. აქ ხდება უკანასკნელი თადარიგი ევროპისკენ გასამგზავრებლად. ყველასათვის ცხადი იყო, რომ მიუხედავად თავგანწირვისა, ამ ქალაქში თავდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს ბედი.

მთავრობის გემი, ანუ უკეთ, გემი რომელზედაც საქართველოს ეროვნული მთავრობა იყო მოთავსებული და მასთან ერთად კიდევ მრავალი მებრძოლი, უკვე ღია ზღვაზე იდგა. მე, ვლადიმირ ჯიბლაძე და განსვენებული ნიკოლოზ ჭუმბურიძე ზღვის ნაპირას დადუმებული, პირშეკრული ვიდექით და გავყურებდით ზღვის მიმართულებით, სადაც ჩვენი ხალხი გვეგულებოდა. ვმორდებოდით სამუდამოთ ან დიდი ხნით ბევრს ჩვენთან თანამებრძოლთ, ბევრს მეგობარს. ჩვენ შეგნებულად ავირჩიეთ ეს გზა. დავრჩით ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გვირჩევდა უცხოეთში დროებით თავის შეფარებას. ბევრს ხანს ვიდექით ასე გარინდებული და საკუთარ ფიქრებში წასული, ვიდრე იმ ხაზით, სადაც ჩვენები გვეგულებოდა. აი შეინძრა დიდი წერტილი და ბოლოს სამუდამოდ მიეფარა ჩვენს თვალებს. მხოლოდ ამის შემდეგ შესძლეს ჩვენმა გაჩუმებულმა პირებმა ამეტყველება, ნიკომ დაიწყო; — ისინი წავიდნენ, აბა ახლა ჩვენ რა ვქნათ? ჯიბლაძემ გასცა პასუხი: წავიდეთ ქალაქში, ვნახავთ! მე დაუმატე: იქაც ჩვენებია, იქაც ხალხია. ბევრი ჩვენ გვიცდის, მათ მოვლა უნდა, დაბინავება — ზოგი თბილისელია, ზოგი კახეთ-ქართლიდან და მრავალ სხვა და სხვა ადგილებიდან საკუთარ სახლ-კარს მოგლეჯილი. ამ ხალხის გამგზავრებაა საჭირო, ზრუნვა მათზე. აი დღევანდელი ჩვენი საქმე. ამ ლაპარაკით მიველით უკვე შუა ქალაქში. აქ გავიგეთ, რომ ქალაქში უკვე რევკომია შემდგარი სერიოჟა ქავთარაძის მეთაურობით და რომ ის ჩვენ გვეძებს. ჩვენც გავსწიეთ მის საბრძანებლისკენ. მან მეგობრულად მიგვიღო და გადმოგვცა ცნობა, რომ თურქები ცდილობდნენ ბათუმის ხელში ჩაგდებას და ეს არას შემთხვევაში არ უნდა მოხდესო; გვთხოვდა თანამშრომლობას ამ საქმეში და შეგვეკითხა, ვის გვირჩევთ სარდლის ადგილზე ბათუმის დასაცავადო. ჩვენ უყოყმანოთ მივიღეთ წინადადება და ღენერალი მაზნიაშვილი დავუსახელეთ ამ საქმისათვის. ის დაგვეთანახმა და აი დაიწყო ჩვენი ახალი მუშაობა, ახალ-ახალ რაზმების მოყრა და ფრონტზე გაგზავნა. გუშინ წარმოუდგენელი დღეს სინამდვილეთ გადაიქცა. ჩვენ ჩვენის თავისუფალი გადაწყვეტილებით ვეხმარებოდით გუშინდელ მტერს ქალაქის დაცვაში. ჩვენი არსება ერთი წუთითაც ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ ქალაქი ბათუმი, ან რომელიმე ნაწილი ჩვენი ქვეყნისა ჩამოეგლეჯებოდა მთლიან საქართველოს. ამისათვის ღირდა მუშაობა და თავის გაწირვაც. და აი აქ მოხდა ერთი საკვირველება. გუშინდელ უგზო-უკლოდ დაყრილი ჯარი ლომ-გმირად გადაიქცა თურქებთან წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს იყო სრულიად სტიქიური მოვლენა. უნდა გენახათ აქ ქართველი ჯარის კაცი, რომ მისი პატივსცემით განმსჭვალულიყავით. ათი ოცს სჯობდა, ოცი ორმოცს და ორმოცი კიდევ ასს. თითქოს ქართველი მებრძოლი აქ, მრავალ ხნობით დაგუბებულ ბოღმას და ჯავრს თურქებზე ანთხევდა, მრავალიც შეეწირა სამშობლოს ღირსების დაცვას. და როდესაც მსხვერპლთ აზიზიეს მოედანზე ვასაფლავებდით, აქ გავიგე საბჭოთა მხედრობის ერთი წარმომადგენლისაგან სიტყვა, რომელიც ჩემს გულს შხამივით დაეწვეთა და სამუდამოდ დალი დაეჩნია.

ამ მოედანზე შემხვდა ჩვენი მტრის ცხენოსანი რაზმის უფროსი ჟლობა. ის გამომეცნაურა და ლაპარაკის დროს გაკვირვებით შემეკითხა, თუ ასეთი გულადი, მამაცი ჯარი გყავდა, რომელსაც ჩვენი ჯარისკაცი ვერ შეედრება, გაუგებარია რატომ დასტოვეთ თბილისიო. გარწმუნებთ, ასეთ თავგანწირულ ბრძოლას, როგორც მე აქ ვნახე, ჩვენი მოშლილი ჯარი ვერ გაუძლებდაო. მას ეგონა ეს სიტყვები ჩემთვის მანუგეშებელი რამ იყო, სინამდვილეში კი ეს საწამლავი იყო ჩემთვის. მან არ იცოდა ჩვენი სუსტი მხარე, უიარაღობა.

ბათუმის დასაცავათ ბრძოლები გათავდა ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებით, თურქები საზღვრის იქით იყვნენ გადაყრილნი. ახლა კი საჭირო იყო დაღლილ-დაქანცულ ჯარის და გვარდიის ნაწილების თავთავიან სახლებში გასტუმრება. ეს მოვალეობა ჩამაბარეს მე. საჭირო თანხა და საშუალებაც გამოვითხოვე რევკომისაგან ამ საქმისთვის და შეუდექი მუშაობას. რიგ რიგობით გავამგზავრე სხვა და სხვა მიმართულებით თავიანთ მიწა-წყალს მოწყვეტილი ქართველი ჯარის კაცები და გვარდიელები, და ბოლოს მეც რამოდენიმე გვარდიის შტაბის მოსამსახურე ქალებით, რამოდენიმე აფიცრებით და ჯარის კაცებით, რომელთაც ყველას თბილისისაკენ ჰქონდათ გზა — გამოვსწიე თბილისში. დავტოვე მშვენიერი, ლამაზი, შეუდარებელი ბათუმი ჩვენი ქვეყნის მტერთ, რომლის შესახებ ერთი მათგანი, იმ დროს იქ მყოფი და ერთ დროს კი კრეტაში „მოაზროვნე“ — ვინმე ნიკოლაი კაცანი, ასე სწერს:

„ერთი მკაცრი ხმა ჩემს არსებაში მიბრძანებს აქედან საჩქაროდ გაქრობას, მოშორებას ამ წყნარ მზეს, ამ დიდებულ მიდამოებს და საკუთარ ბედნიერებას, მაგრამ ტანი და სული ვერ ემორჩილებიან ამ განშორებას. მიუხედავად ამისა საჭიროა გავიდე და რაც შეიძლება საჩქაროდ, **ვინაიდან ჩემი კომუნისტური რწმენა დნება ამ მზეზე, როგორც სანთელი,** და იმას, რასაც ჩვენ ჩრდილოეთში კლასთა ბრძოლას ვუწოდებთ, აქ, ამ ქვეყანაში ნაზს და შერბილებულ ფორმას ღებულობს. მე დარწმუნებული ვარ, რომ კარლ მარქსი აქ დაბადებულიყო და ყოველ დილით თავისი მძიმე ტანი და გაშლილი წვერები ამ ლურჯ ზღვის ტალღებში განებანა და შემდეგ მოქანცულს აყვავებულ მაგნოლიების ქვეშ დაესვენა, ეჭვს გარეშეა, მისი მსოფლმხედველობა მიიღებდა სხვა სახეს და ხალხთა ბედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო შელმილებულ, მხიარულ, ჰუმანურ ფორმას ატარებდა. ახლა კი ეს უკვე გვიანაა“.

ამაზე სასტიკი განაჩენი მარქსის მოძღვრებისათვის ჯერ არავის გამოუტანია. კაცანის, იდეურ კომუნისტურ სიტყვით — იგი ჰუმანიური რამ არა ყოფილა, არამედ გამოდის, ბარბაროსული.

ბათუმიდან თბილისისკენ ჯერ კიდევ სწორი მიმოსვლა არ იყო აღდგენილი. გზაში მრავალ ალაგას ხიდები ჩამტვრეულია ჩვენი ჯარის მიერ დახევისას. ყველგან კვალი გაპარტახების და საშინელი განცდების მომგვარელი. ასეთ სულიერ განწყობილებაში ერთი კვირის მგზავრობის შემდეგ როგორც იყო მივახწიეთ თ'ილისს.

კვლავ ვეხილე ჩვენი დედა ქალაქი, მაგრამ რა ვნახე! იგი მიბუზულიყო, თითქოს მას სხვა სახე მისცემოდა, ყველგან — მხოლოდ უცხო ელემენტი, ქუჩაზე, იშვიათად ქართული სახე. ეს სანახაობა იყო დიახ, დარდებ ამშლელი, მაგრამ არა, რას ვწუხარ, დარდს და ბოლმას რა ადგილი აქვს ჩემს გულში! თბილისს მრავალ საუკუნეების განმავლობაში რა გვარი სახეები არ უნახავს. ყველა ეს სახეები, მისთვის უცხონი, მას მოუჭამია, გადაუტანია და მტერიც თან გადაუტანია. იმედია ამ ახალ, მისთვის შეუფერებელ სახეებს იგი ერთხელ კიდევ მოიშორებს. ამ რწმენით მივადექი ჩემს სახლს, ჩქარა ავირბინე ზემოთ, სიხარულით მივესალმე და ჩავკოცნე მთელი ჩვენი ოჯახობა.

მეორე დღეს გამოვცხადდი სამხედრო უწყებაში. მე ვალდებული ვიყავი ფინანსიური ანგარიშები ჩამებარებია. იქ მიმითითეს ერთ ოთახისკენ. შეველი შიგ და ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ოთახის უფროსმა ქართულად მომცა სალამი. აღმოჩნდა ვინმე ათასეულის უფროსი ლორთქიფანიძე. ის მოუძღვოდა სხვებთან ერთად მტრის ლაშქარს თბილისისაკენ. აი მეც ამ პირს ვაბარებდი ანგარიშს. მას, როგორც სჩანდა, ეს ჩემი ანგარიში სრულიადაც არ აინტერესებდა. უცბად, შუა გზაში შესწყვიტა ანგარიშის ჩაბარება, მოავლო ყველა საბუთებს ხელი და სწრაფათ პორთფელში ჩააწყო. ანგარიშის ჩაბარების მაგიერ მომიბრუნდა და დიდის საიდუმლოებით შემეკითხა: მითხარით ბატონო! რამ გაიძულათ, რატომ დასტოვეთ თბილისი? და აქ მის სახეს, თითქოს მწუხრის იერი გადაეფარა, — ჩვენი ლაშქარი ხომ ისეთ სავალალო ყოფაში იყო, რომ თქვენი ერთი მაგარი შემოტევა და მას ჩვენ როსტოვამდე ვეღარ შევაჩერებდითო. ამის გაგება ჩემთვის იყო მეორე ჯერ ლახვარი. მე პასუხიც კი ვერ მოვახერხე. ჩვენ სიჩუმით დავშორდით ერთმანეთს. ის თავის საკუთარ ფიქრებში გართული. მე კიდევ დაძმარებული.

სჩანდა, არც ბათუმში ყლობას და არც აქ, თბილისში ქართველ კაცს, წარმოდგენა არა ჰქონდათ იმაზე, თუ რას ნიშნავდა რუსეთის იმპერიის ბატონობა საქართველოში 117 წლის მანძილზე. ამ უცნაურ კონგლომერატისა „იმპერიის“ პოლიტიკა ხომ ყოველთვის იქითკენ იყო მიმართული, რომ განაპირა ქვეყნები ყოველ მხრივ ყოფილიყვნენ სუსტნი და საქართველოც ხომ გამონაკლისი არ იყო ამ მხრივ.

დ. სალირაშვილი

მხატვარი **ფელიქს ვარლამიშვილი** პარიზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ არა ერთხელ მიმართა გენერალ კუკოლის ამის შესახებ, მაგრამ მან არავითარი ზომები არ მიიღო. პროტესტით და თხოვნით მიმართა კუკოლის აგრეთვე მუსულმანი ქართველების მეთაურმა მამედ-ბეგ-აბაშიძემ, რომელიც აუწერდა გენ. გუბერნატორს იმ საშინელ მდგომარეობას, რაც გამეფდა ქალაქში და ოლქში. კუკოლისმა არც ამას მიაქცია ყურადღება. არამც თუ დენიკინელები, ზოგი ინგლისელი ოფიცრებიც ისე გრძნობდნენ თავს, თითქოს მათთვის ყველაფერი ნებადართული იყო. ამის საბუთად საკმარისია თუ გინდ ის, რომ 5 ოქტომბერს ბათუმის სადგურზე ნივთების გამსინჯავმა კონტროლიორმა, წინააღმდეგ ყოველივე კანონისა, დაიწყო დიპლომატიური ვალიზების შინჯვა. ამის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა საქართველოს საგარეო სამინისტროს მოხელე მასხარაშვილმა; იგი ამ უბრალო პროტესტისათვის იქვე რევოლვერის ტყვიით დასჭრა კაპიტანმა რეევმა.

თებერვალში 1919 წ. გენ. გუბერნატორმა მართლაც დანიშნა ქალაქის არჩევნები. საარჩევნო კანონი შეადგინა სპეციალურმა თათბრიმა, რომლის ყველა წევრი, დანიშნული იყო თვით გენერალ-გუბერნატორის მიერ. ასარჩევი იყო 36 ხმოსანი, რომელთაგან ქართველებმა გაიყვანეს 20 ხმოსანი, რუსებმა — 2. ბერძნებმა 8. სომხებმა 4. ებრაელებმა 2, ბინის მქირავებლებმა 1. ამ არჩევნებში ბათუმის მცხოვრებლებმა გარკვეით და საჯაროთ აღიარეს, რომ ბათუმი ქართული ქალაქია და, რომ ის საქართველოს ნაწილია. რუსებს სწორედ ეს არ მოეწონათ და ამიტომ იყო, მათი გავლენით ინგლისის სარდლობამ არჩია ქალაქის უსაბჭოდ დატოვება, ვინემ მისი დამტკიცება, და იგი ისე წავიდა ბათუმიდან, რომ მას საბჭო არ დაუმტკიცებია.

მართლაც, ფორმალურად ეს იყო მუნიციპალური არჩევნები, მაგრამ არსებითად იგი იყო პოლიტიკური პლებისციტი. ასე გაიგო ეს საქართველოს დამფ. კრებამაც, რომელმაც ერთხმად დაადგინა: „მოისმინა რა განცხადება ბათუმის მუნიციპალურ არჩევნებში საქართ. დემ. რესპ. მომხრეთა ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ, დამფ. კრება აღიარებს, რომ ბათუმის მოქალაქეთა ეს ვოტუმი ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ამტკიცებს ბათუმის და მისი ოლქის საქართველოსაგან სრულ განუყოფლობას და სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა დროზე მიიღებს ყველანაირ ზომებს ამ ჩვენი ქვეყნის განუყოფელ ნაწილის დედა-სამშობლოსთან დასაბრუნებლად“.

ქალაქის არჩევნების ასეთმა შედეგმა კიდევ უფრო გააძლიერა დენიკინელების მუშაობა საქართველოს წინააღმდეგ, როგორც ქალაქში, ისე ოლქში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბათუმის მცხოვრებთა წარმომადგენლების ყრილობამ საქართველოსთან შეერთების დადგენილება გამოიტანა, მათ მოინდომეს, ყრილობის ამ დადგენილების გაყალბება და ამ მიზნით კუკოლისის ნებართვით და სახელით აწარმოებდნენ მთელს ოლქში ამ დადგენილების წინააღმდეგ დიდ ენერგიულ მუშაობას. ისინი იწვევდნენ ადგილობრივი მთავრობის სახელით ოფიციალურ კრებებს და ხალხს იძულებით აწერინებდნენ ხელს წინ და წინ შედგენილ საპროტესტო ოქმებზე. ეს ოქმები შემდეგ, როგორც ოლქის მცხოვრებთა ვითომდა თავისუფალი ნებისყოფის გამოხატულება, ეგზავნებოდა პარიზში სამშვიდობო კონფერენციას. იმ ადგილებში სადაც ხალხი უარს ამბობდა ასეთ ოქმზე ხელი მოეწერათ, — იქ აძლევდნენ ხელის მოსაწერად მეორე რეზოლუციას, რომელიც მოითხოვდა ოსმალეთთან შეერთებას. ამ გვარ რეზოლუციებს კი უგზავნიდნენ პარიზში საზონოვს, რათა ამით დაემტკიცებინათ თუ რამდენად სამუსულმანო საქართველო ოსმალეთის ორიენტაციის მომხრეა და ამ მხრივ რუსებისათვის საშიშროებას წარმოადგენსო.

საქართველოს პრესტიჟის და გავლენის დასამცირებლად კუკულისმა აკრძალა ბათუმში და მის ოლქში ქართული ფული (ბონები) და ამავე დროს კი ოფიციალურად ნება დართო დონის რესპუბლიკის ბონების შემოღებაზე.

აღარავისთვის აღარ იყო საიდუმლო, რომ საქართველოს წინააღმდეგ მომქმედი ერთი უდიდესი ბანდის მეთაური თურქი ოფიცერი ქესკინ-ზადე კვირაში რამდენჯერმე ნახულობდა გენ. გუბ. კუკოლისს.

დენიკინის დამარცხების შემდეგ ფოთში შემოვიდა მოხალისეთა ოთხი გემი და გემზე მყოფ მოხალისეთა ჯარის დელეგაციამ ითხოვა გემების დროებით ფოთში დატოვება. ამ გემზე იყო სხვათაშორის 700 მეტი სომეხი, მოხალისეთა ჯარის ნაწილი, რომლებიც იარაღით სომხეთში უნდა გამგზავრებულიყვნენ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გემებს დარჩენის უფლება მისცა. ცოტა ხნის შემდეგ ფოთის ნავთსადგურს მოადგა ინგლისის კრეისერი, რომლის კაპიტანმა ულტიმატუმით მოითხოვა 12 საათის განმავლობაში გემების გაშვება. მთავრობამ ენერგიული პროტესტი განაცხადა, კერძოდ კრეისერის უფროსის მიერ ადგილობრივ მთავრობისადმი ულტიმატუმის წარდგენის წინააღმდეგ და ფოთის გარნიზონის უფროს უბრძანა არ შეასრულოს კრეისერის უფროსის მოთხოვნილება და ძალადობას ძალადობითვე უპასუხოს. 12 საათზე კრეისერი, რომელზედაც კუკოლისი აღმოჩნდა ნავთსადგურში შემოვიდა და თავისი მოთხოვნილება განმეორა და ნახევარი საათის ვადა მისცა, წინააღმდეგ შემთხვევაში გემების ძალით წაყვანას იმუქრებოდა. კრეისერის მოთხოვნილება მეორედ იქნა უარყოფილი, რის შემდეგ კაპიტანმა განაცხადა, რომ ამ ამბავს ბრიტანეთის საზღვაო მართველობას აცნობებდა და უკან გაბრუნდა... ამის შესახებ შემდეგ ბათუმში გაიმართა მოლაპარაკება და დამთავრდა შეთანხმებით.

ბათუმის საოკუპაციო მმართველობის სამტრო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ იქამდე მივიდა, რომ საქართველოს მთავრობა იძულებული იყო ენერგიული პროტესტით მიემართა უცხო სახელმწიფოთა ყველა მისიებისათვის, ხოლო როცა ინგლისელებმა წასვლა განიზრახეს და ბათუმში და მის ოლქში საქართველოს მტრების მუშაობა მეტის ინტენსივობით ვითარდებოდა, მოსალოდნელი საფრთხის ასაცდენად საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა ოლქში თავისი ჯარების შეყვანა. 6 მარტს 20 წელს ეს აცნობა როგორც ინგლისის მისიას, ისე სხვა ყველა მისიებსა და თან უმატებდა იმ მოსაზრებას, რომელიც აიძულებდა საქართველოს მთავრობას ოლქში თავისი ჯარი შეეყვანა. საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსმა დე-ნონანკენმა წერილობით აცნობა საქართველოს მთავრობას; საფრანგეთის მთავრობამ უკვე იცის რამდენად სამართლიანია საქართველოს მოთხოვნილება ამ ოლქის შესახებ, მეორეს მხრივ მე ვაუწყე ჩემს მთავრობას, რომ მეტად რთულ შედეგი ექნება ინგლისის ჯარის გაყვანას, თუ თავის დროზე გამგებლობა არ გადაეცა შესაფერ ძალას. ამის შესახებ მე ჩემი აზრი გამოვთქვი, რომ რადგან მოკავშირეთა ძალები არ არის, ადგილობრივ ძალებში ყოველი დღის გამოურკვეველობისა და საერთოდ დაუწყნარებლობის გამო, მე შემიძლიან მხოლოდ მოვიწონო საქართველოს მთავრობის სამზადისი თავისი საზღვრებზე-ო (22 თებრ. 1920 წ).

ჩვენი მთავრობის ასეთ განზრახვას კუკოლისმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია. მიუხედავად ამისა ჩვენი ჯარები მაინც შევიდა ოლქში და დაიჭირა არტანუჯი, შავშეთი, და ხულო. 25 მარტს ამის გამო თბილისში ჩამოვიდა თვითონ კუკოლისი და ინახულა მთავრობის თავმჯდომარე, რომელსაც განუცხადა, რომ მიეღო გენ. მილნისაგან ბრძანება — მისცეს საქართველოს მთავრობას წინადადება გაიყვანოს ბათუმის ოლქიდან თავისი ჯარები არა უგვიანეს ორი აპრილისა. მთავრობის თავმჯდომარე ნ. ყორდანიამ სთხოვა მას, ეთქვა თუ ვისგან არის მოსული ეს ბრძანება, — ლონდონის მთავრობიდან თუ მთავარსარდლისაგან. ჩვენთვის ძლიერ საჭიროა, ვიცოდეთ, ვისთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაქვს კონფლიქტი, ვინაიდგან ამის მიხედვით სხვა და სხვა დასკვნებს გავაკეთებთო". ამაზე კუკოლისმა პირდაპირი პასუხი არ მისცა, მაგრამ ბოლოსა და ბოლოს გამოირკვა, რომ განკარგულება იყო. გენ. მილნისაგან, რადგან მთავრობისგან, რომ ყოფილიყო ინგლისის ოფიციალურ წარმომადგენელს უორდროპს უთუოდ ეცოდინებოდაო. ნ. ჟორდანია დაპირდა, რომ მთავრობა განიხილავდა მის წინადადებებს და თავის დადგენილებას აცნობებდა. მთავრობამ გახიხილა ეს საკითხი და დაადგინა: ჯარი ოლქიდან არ გამოიყვანოს. და ბოლოს კუკოლასი შეუერიგდა ჩვენი ჯარის ოლქში დარჩენას. მოხდა დროებითი შეთანხმება, — ჩვენი ჯარი დარჩება ოლქში და როგორც ინგლისის მოაკვშირე დაექვემდებარება ინგლისის სარდლობას. ასეთ პირობებში ჩვენი ჯარების ოლქში შესვლამ ხელი ვერ შეუშალა ჩვენს საწინაღმდეგო მოქმედებას, პირიქით, ბანდები და მათი მეთაურები კიდევ უფრო გათამამდნენ და ხულოში ჩვენს პატარა რაზმს, ზევით ნახსენებ თურქ ოფიცერ ქესკინ-ზადეს მეთაურობით ალყა შემოარტყეს. ჩვენმა მთავრობამ სთხოვა ინგლისის მისიას, ჩვენი რაზმის ხულოდან იარაღით გამოშვება და თუ ეს არ მოხდებოდა, ინგლისელებს ხელი არ შეეშალათ ჩვენი რაზმისათვის იარაღით მოქმედებაში.

ინგლისის მაღალ — კომისრის მოადგილე ლუკმა განაცხადა, რომ ის მოელაპარაკებოდა ამის შესახებ კუკოლისის და დასძინა, ვფიქრობ, არ იქნება ძნელი თქვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაო. მეორე დღეს კი მთავრობამ მიიღო ბათუმიდან პასუხი, რომ იარაღით რაზმის გამოშვება შეუძლებელია, ხოლო რაც შეეხება ბანდების წინააღმდეგ ოპერაციებს, ამის თანხმობას ინგლისის მთავრობა ვერ მოგცემთ, მაგრამ არც ამის წინააღმდეგ იქნებაო, მაგრამ ამ ოპერაციებში არავითარ დახმარებას არ გაგიწევთ იარაღით და არც სურსათის თავისუფლად გატარების ნებას მოგცემთო. ხოლო თუ ჩვენი ჯარი გადაცილდებოდა ბორჩხა-ქედა-ქობულეთის ხაზს ბათუმისკენ — ინგლისის ჯარი ბრძოლით წინააღმდეგობას გაუწევდა, და მართლაც, იმავე დღეს ინგლისელებმა უარი უთხრეს გენ. მდივანს ხულოს რაზმისათვის სურსათის მიწოდებისათვის ნებართვაზე. ხულოს რაზმი ალყა შემორტყმული, მშიერი, ექვსი დღის განმავლობაში იგერიებდა მტრის იერიშებს, ხოლო როცა ვაზნები შემოელიათ იძულებული გახდა იარაღი დაეყარა და ტყვე ქართველები თურქ ოფიცერმა კესკინზადემ გენ. კუკოლისის ჩაბარა ბათუმში...

ამავე ხანებში მეტად გაძლიერდა ჩვენს წინააღმდეგ მუშაობა ქობულეთის რაიონში. აქ თავს იყრიდნენ ოსმალოს ოფიცრები, ადერბეიჯანის და ბოლშევიკების აგენტები: აქ იღებდნენ ისინი იარაღს, აქედან გადადიოდენ ქვანელებთან ჩვენი საწინააღმდეგო აგიტაციისათვის. ამ დროს საქართველოს შემოესია აზერბეიჯანით მოსკოვის ჯარი. ამან კიდევ უფრო გაამხნევა ჩვენი მოწინააღმდეგენი და გაოფართოვა მათი მუშაობა და როცა იქამდე მივიდნენ, რომ კინტრიშის ხიდიც კი ააფეთქეს, — მთავრობა იძულებული იყო აქაც შეეყვანა ჯარი. კუკოლისმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და დაემუქრა, რომ თუ მისი მოთხოვნილება არ იქნება შესრულებული ის თავის ჯარებით დაიჭერდა საზღვრებს ჩვენი ჯარების უკან. ამავე დროს ბათუმში დენიკინელების გაზეთში იბეჭდებოდა ყალბი ცნობა, რომ საქართველოს მთავრობას გადაუწყვეტია გაატაროს თავის ტერიტორიაზე წითელი ჯარები ინგლისელების წინააღმდეგ, გვთლიდენ ბოლშევიკების მოკავშირეთ და სხ. ბოლოს და ბოლოს კუკოლისი ეხლაც შეურიგდა ჩვენი ჯარების იქ ყოფნას.

ასეთივე პოლიტიკას დაადგა ინგლისის სარდლობა დენიკინის საზღვარზედაც. ინგლისის სარდლობამ აღგვითქვა, რომ დენიკინი ჩვენს საზღვრებს არ გადმოლახავდა და ჩვენს ტერიტორიას არ შეეხებოდა; მიუხედავად ამისა დენიკინის ჯარი მოულოდნელად თავს დაესხა სოჭის ოლქში ჩვენს მცირე რაზმს, აჰყარა იარაღი, დაიკავა მთელი ოლქი და გადმოვიდა გაგრის რაიონში. მდინარე ბზიბზე ჩვენმა ჯარებმა შესძლო მათი შემოტევის შეჩერება. თფილისში მყოფმა ინგლისის წარმომადგენელმა აცნობა მთავრობას, რომ დენიკინს ებრძანა გაეყვანა თავის ჯარები სოჩის ოლქიდან. მაგრამ გავიდა ორ თვეზე მეტი და დენიკინმა არამც თუ არ გაიყვანა თავისი ჯარი — კიდევ უფრო გააძლიერა. აშკარა იყო, რომ დენიკინი ძალას იკრეფდა და ხელსაყრელ დროს უცდიდა, რომ კიდევ უფრო წინ წამოეწია. ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა გაეცა ბრძანება ჩვენი ჯარები შეტევაზე გადასულიყვნენ და სტრატეგიული ხაზი მეხადირი დაეჭირათ. ამავე დროს ეს ამბავი საქ. მთავრობამ აცნობა გენ. ტომსონს, აუხსნა ქარმეობა და ამ ნაბიჯის აუცილებლობა. ტომსონს საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს, მხოლოდ ურჩია მთავრობას, ეს ამბავი დეპეშით სტამბოლში გენ. მილნისათვის ეცნობებია. მთავრობა ასეც მოიქცა. ორი დღის შემდეგ ტომსონი ატყობინებდა საქ. მთავრობას, რომ მილნი წინააღმდეგია შეტევის, ის შეჩერებული უნდა ყოფილიყო და ჩვენი ჯარი მეხადირს არ უნდა გადასცილებოდა. ჩვენი სარდლობა ასეც მოიქცა, მივიდა მეხადირამდე, შეჩერდა და შეუდგა პოზიციების გამაგრებას. სწორედ ამ დროს, აპრილის დამლევს, თბილისში ჩამოვიდა გენ. მილნი — და ამ მომენტიდან იწყება ურთიერთობის გამწვავება. მან შესწყვიტა ფაქტიურად ყოველგვარი მოლაპარაკება მთავრობასთან, მოიარა კავკასია და წავიდა სტამბოლში. მთავრობამ მიმართა მდგომარეობის გამოსარკვევად ინგლისის მისიას. გენ. ბიჩმა იკისრა დენიკინთან მოლაპარაკების გამართვა. და მართლა, 20 აპრილს თბილისში ჩამოვიდა დენიკინის წარმომადგენელი, არა რუსი, არამედ გენ. ბრიგსი, — ინგლისის სარდლობის წარმომადგენელი დენიკინთან. ის ელაპარაკებოდა მთავრობას, სადაც გამოვიდა დენიკინის ვექილად, სავსებით მხარს უჭერდა მის მისწრაფებებს და გეგმებს. გენ. ბრიგსთან მოლაპარაკება უშედეგოდ გათავდა, მაგრამ მთავრობამ აცნობა გენ. ბიჩს, რომ მას შესაძლებლად მიაჩნია წამოიყვანოს თავისი ჯარები ბზიბამდე, იმ აუცილებელი პირობით, თუ ნეიტრალურ ზონას — მეხადირიდან — ბზიბამდე დაიკავებდა ინგლისი ან იტალია. გენ. ბიჩმა წინადადება მისცა მაშინვე დაეხიათ უკან და როცა მთავრობამ განუცხადა, რომ ის დაიხევდა თანდათანობით მიუხედავად იმისა, თუ ვინ დაიჭერდა დაცლილ ადგილს, — ბიჩმა უკმაყოფილება გამოთქვა და დენიკინის შემოსევით დაიმუქრა.

11 ივნისს ამიერ-კავკასიის ჯარების სარდალმა გენ. მაორმა კორიმ წერილობით აცნობა საქ. მთავრობას, რომ ინგლისის მთავრობის მიერ გავლებულია სადემარკაციო ხაზი, დენიკინის ტერიტორიისა და ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა შორის, და ეს ხაზი არ უნდა გადაილახოსო. ამავე დროს უმატებდა, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა თავი უნდა დაიჭირონ ყოველგვარი აგრესიულ მოქმედებისაგან მოხალისეთა ჯარების წინააღმდეგ და შეუთანხმდნენ მას იმაში მაინც, რომ მიაწოდონ ნავთი და სხვა მასალებიო. ამ წინადადებათა აუსრულებლობა საბოლოოდ შესწყვეტს ინგლისის განწყობილებას თქვენდამი და წაართმევს ინგლისის მთავრობის საშუალებას წინ აღუდგეს დენიკინს, გადმოლახოს ხაზი და სთხოვდა საქ. მთავრობას ეცნობებია მისთვის, გენ მილნისათვის გადასაცემად — „სურს თუ არა საქარ. მთავრობას თავის ჯარების გადმოყვანა ნაჩვენებ ხაზზე"-ო, საქართვ. მთავრობამ თანხმობა განაცხადა ნაჩვენებ ხაზზე თავის ჯარების გადმოყვანის შესახებ, მაგრამ მოითხოვდა გარანტიას, რომ დენიკინი ამ ხაზს არ გადმოლახავდა.

საზოგადოთ დენიკინს ინგლისელები დიდ მფარველობას უწევდნენ. მაგ., გენ. ჰოლმანი დაჟინებით ითხოვდა ჩვენი მთავრობისგან, რომ მას აეკრძალა გაზეთებისათვის დენიკინის საწინააღმდეგო წერილების ბეჭდვა და გაეძე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებია საქართველოდან ჩრდილო-კავკასიის ხალხთა წარმომადგენელნი. საკმარისი იყო, რომელიმე კუთხეში რუსი ოფიცრის დატყვევება, რომ მაშინვე თხოულობდენ ცნობებს, თუ რატომ და რისთვის იქნა დატყვევებული, ხოლო როცა ბათუმში და დენიკინის სამოქმედო რაიონში ათეულებით ატყვევებდნენ საქართველოს მოქალაქეებს, ხმასაც არ იღებდნენ, ერეოდენ არა მარტო ადმინისტატიულ საქმეში, სასამართლოს საქმეებშიაც კი. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია შმაგაილოვის საქმე. შმაგაილოვი იყო დატყვევებული და აბრალებდნენ ძეგვის ხიდის აფეთქებაში მონაწილობას. პროცესის დროს სასამართლოს მოუვიდა სასტუმრო „ორიანტის“ ბლანკზე. დაწერილი წერილი, რომელსაც ხელს აწერდა ინგლისელი პოლკოვნიკი. იგი სწერდა სასამართლოს, რომ შმაგაილოვი და კუჩარიანცი ჩვენი აგენტებია და ნუ გაასამართლებთო.

ამის შემდეგ ინგლისის ოფიციალური წარმომადგენელი სწერდა სასამართლოს იმავეს, და ითხოვდა აგენტების განთავისუფლებას. სასამართლომ არც ეს შეიწყნარა.

ინგლისელების ჰოსვლის შემდეგ მათ საოკუპაციო ზონაში დაარსდა სამი საბჭო, ყარსის, ართვინის, და ბათუმის და მისი ოლქის („სედაი—მილეთი“). ყარსის საბჭო შეიქნა ოსმალეთის „ათიხათ“-ს და ადერბეიჯანის მუსავატელების გავლენით და დახმარებით. ამ საბჭოს მიზანი იყო, ბათუმ-ყარსის, არდაგანის ოლქებიდან ერთი „სამხრეთ-აღმოსავლეთ რესპუბლიკის“ შექმნა. ამ საბჭოს უმრავლესობას შეადგენდენ ბეგები და აღები. მან თავის გავლენაში დააყენა ყარსის და არდაგანის ოლქი. ახალციხის ტრაღედიის ავტორები სწორედ ამ საბჭოს მეთაურები იყვნენ. დაარსებისთანავე ეს საბჭო მტრულ მუშაობას აწარმოებდა საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობამ არა ერთხელ მიაქცია ინგლისის მისიის ყურადღება, ამ მოვლენაზე. მაგრამ მიუხედავათ ამისა, მივიდა აღნიშნულ საბჭოში ინგლისელი გენერალი და განუცხადა: ბათუმის და ყარსის ოლქი იმიტომ ჩამოვართვით ოსმალეთს, რომ დავამყაროთ წესიერება და კანონიერება და ვიდრე ამ ოლქების ბედს გადასწყვეტდეს საზავო კონფერენცია, — შინაური საქმეების მართვა-გამგეობა ჩაგბარდებათ თქვენ, ხოლო უმაღლესი გამგეობა და კონტროლი ჩვენს ხელში იქნებაო, და მისცა წინადადება აერჩიათ მთავრობა. როდესაც მათ მიერ დანიშნული პარლამენტი შესდგა, ინგლისის წარმომადგენელმა მიმართა მათ შემდეგი სიტყვებით: „ბ-ო მოგესალმებით თქვენ, ხალხის არჩეულნო, მე ჩამოვედი თქვენთან მოკავშირე სახელმწიფოს ინგლისისა და საფრანგეთის სახელით, წესიერების დასამყარებლად. მოკავშირეთა გამარჯვება არის პატარა ერის გამარჯვება; მე არ ჩავერევი თქვენს შინაურ საქმეებში, მაგრამ ყოველგვარად დაგეხმარებით და გამოგესარჩლებით“-ო.

ეს იყო თებერვალში, ხოლო აპრილის დამლევს იგივე გენერალი იმავე ყარსის პარლამენტს ასე მიმართავს „ბ-ინგლისის მთავრობის ნება-სურვილით თქვენ ჩაგაბარეთ ძალა-უფლება და თქვენ გევალებოდათ ამ ოლქის მართვა-გამგეობა იმ ერთი მიზნით, რომ გემოქმედნათ ინგლისის სასარგებლოდ; თქვენ იმის მაგიერ, რომ გაგეტარებიათ ცხოვრებაში ინგლისის იდეები, სხვა ორიენტაციისაკენ იწევდით. ეს ყოველად მიუღებელია. თქვენი პარლამენტი გამოცხადებულია დაშლილად და ამიერიდან მთელი ძალა-უფლება გადადის ინგლისის სარდლობის ხელში რომელიც ამ ძალაუფლებას გადასცემს იმას, ვინც დაიცავს ინგლისის ინტერესებს“-ო. ამ სიტყვის გათავების შემდეგ პარლამენტი გაიგზავნა ჯარით. დააპატიმრეს ადგილობრივი მთავრობა და ის გაგზავნეს მალტაზე. ხოლო მართველობა გადასცეს სომხებს.

მეორე იყო ართვინის საბჭო. ეს საბჭო დარსდა ინგლისელების პროტექტორატით, მისი გავლენის ქვეშ დადგა ართვინი, არდანუჯი, შავშეთი და მურღული. საბჭოს თავმჯდომარე იყო ინგლისელი კაპიტანი ბრუსი. როცა ამ საბჭოს წევრებმა დაინახეს, რომ ერთის მხრით ბათუმში ბატონობდნენ დენიკინელები, ხოლო მეორე მხრივ ბათუმ-ართვინის-ყარსის გზა აქციეს სამხედრო გზად, რაზედაც სამხედრო მასალა გადაჰქონდათ სომხებისათვის — ეჭვი დაებადათ ინგლისელების პოლიტიკისადმი და მისი დიდი ნაწილი საქართველოს მომხრე მემედ ბეგ აბაშიძის კომიტეტს დაუკავშირდა, — რის გამო 1919 წ. აგვისტოში კუკოლისმა ის დაშლილად გამოაცხადა.

შემდეგ „სედაი მილეთის საბჭო“. იგი თითქმის ყარსის საბჭოს და მუსავატის განყოფილებად დაარსდა. შემდეგ ფაქტიურად ის შეიქნა დენიკინელების ორგანიზაციად. როცა ყარსის საბჭო დაიშალა, „სედაი მილეთის“ საბჭოც შესუსტდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა არსებობას, აწყობდა ყოველგვარ ინტრიგებს საქართველოს წინააღმდეგ, რასაკვირველია. მიუხედავად ყოველივე ამისა კუკოლისი იღებდა მის დელეგატებს სამუსულმანო საქართველოს საქმეების შესახებ და მის წარმომადგენლად სთვლიდა. როდესაც ყარსის საბჭოს მეოხებით მოხდა აჯანყება ბორჩალოს და ახალციხის მაზრაში, ქართველობა აქაც ჩაერია. ინგლისელებმა ჩვენს მთავრობას აღნიშნული მაზრების დაცლა მოსთხოვეს, მას შემდეგ როცა ჩვენმა ჯარებმა ეს მაზრები ბანდებისაგან გაათავისუფლეს. ყოველთვის, სადაც საქართველოს ინტერესები წამოიჭრებოდა, ინგლისური სარდლობა უთუოდ მის წინააღმდეგ უნდა წასულიყო. და საქართველოს მოწინააღმდეგეთა პოზიციები გაემაგრებია.

საქართველოს მთავრობამ მიიღო ცნობა პარიზიდან — კ. ჩხეიძესგან, რომ ბათუმის საქართველოზე გადაცემა გადაწყდა. ამის მიმყოლ დღეებში ინგლისელებმა დაიწყეს ბათუმში საციხოვნო ზარბაზნების და ფორტების აფეთქება. ეს ბრძანება გაცემული იყო გენ. მილნისაგან, ამავე დროს დაიწყეს აჭარლების შეიარაღება. ალბად იმ განზრახვით რომ, როცა ინგლისელები წავლენ, აჭარლები გაუწევენ წინააღმდეგობას საქართველოსო. ამავე დროს ჩვენი ჯარების წინააღმდეგ ბრბოების მეთაურმა, ავანტიურისტმა ქესკინ-ზადემ გაზეთებში გამოაქვეყნა, რომ ის დამტკიცებულია ინგლისის სარდლობის მიერ აჭარისტანის შეიარაღებულ ძალთა მთავარ-სარდლად. საქართველოს მთავრობამ აცნობა ჩვენს მისიებს, ევროპაში, რომ ინგლისელები ახდენენ ბათუმის ევაკუაციას, აფეთქებენ და ანგრევენ სიმაგრეებს და მიიღეთ ზომები შეჩერებულ იქმნას ასეთი ვანადგურება, რომლის მსგავსი ოსმალებსაც კი არ ჩაუდენიად მათი ევაკუაციის დროსო. ალბად ამის შედეგი იყო, რომ ფორტების აფეთქება შეჩერდა და კუკულისიც უფრო ლბომიერი გახდა, და ბოლოს 7 ივლისს ბათუმი და მისი ოლქი, დიდის ზეიმით ოფიციალურად საქართველოს გადაეცა.

პ. სარველაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო

მომავალ თავისუფალ საქართველოში ჩვენი საზოგადოება, ეროვნულ ამშენებლობის მხრივ, მეტად რთული პრობლემების წინაშე დადგება. მათ შორის უძნელესთაგანი იქნება სახელმწიფოს მოწყობა. ამ მხრივ ქართული საზოგადოება ნაკლებათაა მომზადებული. ჯერ იმ მიზეზით, რომ საქართველოს სამეფოს დამხობით, ფაქტიურათ 1802 წელს, ჩვენ დავკარგეთ სახელმწიფოებრივი ტრადიცია და იურიდიული შემეცნება სახელმწიფოზედ. ხოლო, ამ შემეცნებას, რასაკვირველია, ვერ შევირჩენდით რუსეთის ვითარების წიაღში, რომლის გონებრივ და სულიერ გავლენას ძლიერად განიცდიდა და დღესაც განიცდის ქართველი ერი აგერ თითქმის ერთ ნახევარ საუკუნის განმავლობაში. პირიქით, ჩვენმა საზოგადოებამ შეითვისა ანტი-სახელმწიფოებრივი აზროვნება და სულისკვეთება. რათგან თვით რუსის ხალხმა, ბუნებით მოკლებულმა სახელმწიფოებრივ შემოქმედების უნარს, მთელი თავისი ისტორია გაატარა სახელმწიფოს ნგრევაში, რომელს მუდამ ულხოელები, ვარიაგები და მეტადრე გერმანელები უშენებდენ ხოლმე.

ამით აიხსნება ის საკვალაო ფაქტი, რომ როდესაც ბედმა 1918 წელს დამოუკიდებლობა გვარგუნა, მაშინდელმა საქართველოს მესვეურებმა არ მოისურვეს ქართულ ტიპის სახელმწიფოს შექმნა და კიდევაც რომ მოესურვებინათ ვერ შესძლებდენ მის შექმნას. ეს იმიტომ რომ მათი კონცეპცია ანტი-სახელმწიფოებრივი იყო. იგინი შეეცადნენ შეექმნათ ის, რაც შეთვისებული ჰქონდათ თავისი გონებრივი აღმზრდელებითგან: რუსეთის ნიჰილისტური, მარქსისტული ინტელიგენციისაგან. ამ ყოველ რეალურ ფუძეთ და კანონიერებას მოკლებულ სახელმწიფოზედ დაამყარეს საქართველოს ბედი. ხოლო რა უბედური შედეგი მოჰყვა ამ არა ნორმალურ მოვლენას ეს ყველამ კარგათ უწყის. ამ გვარი შეცდომა აღარ უნდა განმეორდეს. აუცილებელია ჩვენმა მოწინავე ახალგაზრდობამ შეისწავლოს ერთი მხრივ სახელმწიფოს ბუნება და აგებულება საერთოთ, და მეორე მხრივ ტიპი იმ ახალი ეროვნული სახელმწიფოსი, რომელიც წარმოშვა ამ ბოლო დროს ევროპის ცივილიზაციამ.

სახელმწიფოს შესწავლა შეადგენს სამართლის მეცნიერების ორი დარგის საგანს:

1) სახელმწიფოებრივი სამართალი; და

2) ზოგადი სახელმწიფოებრივი სამართალი.

პირველი უფრო კონკრეტიულია; მეორე კი — უფრო აბსტრაკტიული, განყენებული.

პირველი, ე. ი. სახელმწიფოებრივი სამართალი იხილავს ამა თუ იმ სახელმწიფოს აგებულობას. მაგალითად თუ ჩვენ გვსურს შევისწავლოთ მეფე ლუარსაბ 1-ის დროისქართლის სახელმწიფოს ან დღევანდელი შვეიცარიის, ან უძველესი ეგვიპტის, რამზეს 2-ის, პოლიტიკური წყობილება, ან სხვა რომელიმე, წარსულში თუ აწმყოში არსებული სახელმწიფო, ჩვენ მივმართავთ სახელმწიფოებრ სამართლის მეცნიერებას. ე. ი. ეს უკანასკნელი იხილავს და სწავლობს ამ თუ იმ სახელმწიფოს, როგორც ინდივიდუალურად აღებულ პოლიტიკურ სხეულს.

სხვაა მიზანი და დანიშნულება ზოგადი სახელმწიფოებრივი სამართლისა. იგი სწავლობს და ანალიზს უკეთებს ყველა სახელმწიფოების საერთო ხასიათს. ყველა სახელმწიფოები უძველესნი არიან იგინი, ანტიური თუ თანამედროვე, პრიმიტიული თუ უმაღლესი ცივილიზაციისა დახასიათდებიან საერთო ბუნებით, საერთო შემადგენელ ელემენტებით, საერთო თვისებებით. სწორეთ იმ მხარეებს, რაცა აქვთ საერთო ყველა სახელმწიფოებს იკვლევს და ანალიზს უკეთებს ზოგადი სახელმწიფოებრივი სამართლის მეცნიერება.

ამ წერილის საგანს შეადგენს სახელმწიფოთა საერთო ბუნების შესწავლა. შესწავლა სახელმწიფოსი როგორც აბსტრაქტიული მოვლენისა გარეშე სივრცისა და დროისა. ამიტომ მე მივმართავ ზოგადი სახელმწიფოებრივი სამართლის მეთოდს.

უპირველესყოვლისა ყოველ სახელმწიფოს ახასიათებს ის მოვლენა, რომ მასა აქვს თავისი წარმოშობის და სიკვდილის მომენტები.

ავიღოთ შაგალითი საქართველოს ისტორიითგან. „ოქროს ხანა"-მდე საქართველოში არსებობდა რამდენიმე სამეფო და სამთავრო. საქართველოს მთლიანობის შემქმნელმა მეფეებმა, ბაგრატ მე-4-ემ, გიორგ მე-2-ემ და დავით აღმაშენებელმა ერთი მეორეზედ გააუქმეს ეს პატარა სახელმწიფოები. რა მოხდა ამით? მოხდა ის, რომ დაიხოცნენ ეს სამეფოები და წარმოიშვა ახალი მთლიანი საქართველოს დიდი სახელმწიფო. აი მაგალითი ევროპის ისტორიითგანაც. 1914—18 წლის ომის შედეგად დაირღვა ავსტრო-ჰუნგრეთის სახელმწიფო, ე. ი. ეს სახელმწიფო მოკვდა და მისი წიაღითგან წარმოიშენენ ახალი სახელმწიფოები: ავსტრია, ჰუნგრეთი, ჩეხოსლოვაკია.

ამნაირათ, ვიმეორებ: ყველა სახელმწიფოების მთავარი დამახასიათებელი მხარე არის ის, რომ მათ, როგორც ყოველ სოციალურ თუ ფიზიკურ ორგანიზმს ახასიათებთ წარმოშობის და სიკვდილის მომენტები.

გარდა ამისა, ყოველი სახელმწიფო პრიმიტიულია იგი თუ კულტუროსანი, დიდი თუ პატარა, ხასიათდება მით რომ შესდგება სამი შემდეგი ელემენტისაგან, რომელთა გარეშე მისი არსებობა მეტაფიზიკურათაც კი წარმოუდგენელია: — 1) ტერიტორია; — 2) მოსახლეობა; — 3) პოლიტიკური ორგანიზაცია. არა მხოლოდ სამთავეს გამოკლებით, არამედ ერთი ამ ელემენტთაგანის გამოკლებთიაც კი ისპობა სახელმწიფოს არსებობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ სახელმწიფოს, რა ხანას და ცივილიზაციის დონესაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, ახასიათებს **სუვერენიტეტი**, ე. ი. ქართული ტერმინი რომ ვიხმაროთ, **ხელმწიფობა.**

ხელმწიფობა ნიშნავს სახელმწიფოს უფლებას თავისი ცხოვრება განაგოს საკუთარი სურვილის მიხედვით. ხელმწიფობას ორი სახე გააჩნია, ორგვარი გამომჟღავნება. ზოგადი სახელმწიფოებრივი მეცნიერება პირველს უწოდებს შინაგან ხელმწიფობას და მეორეს გარეშე ხელმწიფობას.

შინაგანი ხელმწიფობა ნიშნავს სახელმწიფოს შინაგანი ცხოვრების მოწყობას და მმართვა-გამგეობას, კანონმდებლობას და მოსამართლეობას. გარეშე ხელმწიფობა კი ნიშნავს გარეშე პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმოებას.

მაგრამ ეს არის მხოლოდ პრინციპი. სინამდვილეში კი ხშირად ამა თუ იმ სახელმწიფოს „ხელმწიფობა" შეზღუდულია ხოლმე ძლიერი სახელმწიფოების მიერ. ამას ადგილი აქვს ხოლმე მეტადრე გარეშე ხელმწიფობის სფეროში. მაგალითად: მეფე ირაკლის მე-2-ის და რუსეთის შორის დადებული ხელშეკრულებით იზღუდებოდა საქართველოს გარეშე ხელმწიფობა. ხშირია მოვლენა, როცა სახელმწიფო თავისივე ნებით ხელს იღებს გარეშე სუვერენიტეტზედ მეორე სახელმწიფოს სასარგებლოდ. ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ორი მხრის თანხმობით, მყარდება მფარველობა ერთი სახელმწიფოსი მეორეზედ.

აბსოლუტური ხელმწიფობა, არც შინაგანი არც გარეშე, სინამდვილეში თითქმის არ არსებობს. იგი ამა თუ იმ პროპორციით შეზღუდულია სხვა სახელმწიფოების ზეგავლენით. მაგალითად: რომის პაპის მიერ მთელ საუკუნეთა განამვლობაში შეზღუდულნი იყვნენ კათოლიკეთა სახელმწიფოების ხელმწიფობანი.

გარეშე ხელმწიფობას მოკლებული ქვეყანა სრულიადაც არ ჰკარგავს სახელმწიფოს სახეს. პირიქით: ისპობა რა სავსებით შინაგანი ხელმწიფობა, მყისვე ბოლო ეღება სახელმწიფოს არსებობასაც.

რა ცივილიზაციის დონესაც არ უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფო, წყობილების რა სისტემაც არ უნდა ახასიათებდეს მას, იქნება იგი კომუნისტური, მონარქიული, დემოკრატიული თუ ფაშისტური, მის შინაგან მმართველობას ყოველთვის სამი შემდეგი გამომჟღავნება აქვს:

1) საკანონმდებლო ხელისუფლება;

2) სასამართლო ხელისუფლება;

3) აღმასრულებელი ხელისუფლება.

საერთოდ, ყველგან, თვითეულ ამ ხელისუფლებას აწარმოებს განსაკუთრებული ორგანო. საკანონმდებლო ხელისუფლებას წარმომადგენობლივ, ე. ი. არაპირდაპირ დემოკრატიაში — პარლამენტი; პირდაპირ დემოკრატიაში, როგორც იყო ანტიურ ათინაში და არსებობს დღეს შვეიცარიის სამ კანტონში — შვიცში, ურიში და უნტერვალდში აწარმოებს თვით ხალხის კრებული. სასამართლოს ხელისუფლებას აწარმოებს თვით სასამართლო და აღმასრულებელს ადმინისტრაცია. შესაძლებელია სამივე ეს ხელისუფლება თავს იყრიდეს ერთსა და იმავე პიროვნებაში. ესეთ მოვლენას ადგილი აქვს ხოლმე, მაგალითად, აბსოლუტურ მონარქიაში ან დიკტატორულ სახელმწიფოში. სადაც ფაქტიური მპყრობელი სამთავე ხელისუფლებისა დიქტატორია.

მაგრამ ყოველივე შემთხვევაში ბუნება სამთავე ხელისუფლებისა ერთმანეთისაგან განსხვავდება და სფეროც მათი მოქმედებისა საკმარისად გადამიჯნულია.

ჩვენ გადავმიჯნეთ ზოგადი სახელმწიფოებრივი სამართალი სახელმ. სამართლისგან ანუ უფრო მკაფიო ტერმინი რომ ვიხმაროთ „კერძო სახელმწიფოებრივ სამართლისგან". ეხლა საჭიროა საერთოდ სახელმწიფოებრივი სამართალის, ზოგადია იგი თუ კერძო, და პოლიტიკის განსხვავებაზედაც მიუთითო მკითხველსა. ეს იმიტომ, რომ ბევრი, მეტადრე არა-იურისტები, ამ ორ სხვა და სხვა შემეცნებას ერთმანეთში ურევენ.

მთელ საუკუნეთა განმავლობაში სახელმწიფოებრივ სამართალს „პოლიტიკას" უწოდებდნენ. ანტიური ბერძნები, მაგალითად, სახელმწიფოებრივ მეცნიერებას პოლიტიკითგან არა ჰყოფდენ. ასეთი შეცდომა აიხსნება იმით, რომ სახელმწიფოებრივი სამართალი და პოლიტიკა მკვიდრათ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ორთავეს მთავარ საგანს სახელმწიფო შეადგენს.

თანამედროვე იურიდიული მეცნიერება მათ ურთიერთითგან არჩევს. ამ ორი ფაქტორის ანალიზი გვიჩვენებს, რომ, თუმცა ორივეს სახელმწიფო აქვსთ მხედველობაში, მაგრამ მას იგინი სხვა და სხვა მხრივ უდგებიან.

სახელმწიფ. სამართალი სწავლობს სახელმწიფოს არსებულ ვითარებას და მის ბუნებას; იგი ანალიზს უკეთებს მის ორგანიზმს, მის აგებულებას და მისი არსებობის ძირითად პრინციპებს; იგი სწავლობს და არკვევს სახელმწიფოს ისტორიულად; კერძოდ, ინდივიდუალურად აღებულ სახელმწიფოს და ზოგადად საერთო ტიპს სახელმწიფოებისა, მათ საერთო ხასიათს, საერთო შემადგენელ ელემენტებს.

პოლიტიკა ირკვევს სახელმწიფოს ცხოვრებას; იგი ირკვევს და გვიჩვენებს საზოგადოების პოლიტიკურ ტენდენციას. მის მისწრაფებას; ირკვევს გზებს, რომელთაც უფრო ადვილად მიჰყავთ სახელმწიფო განსაზღრული პოლიტიკური მიზნებისაკენ; იგი ეძებს ხელსაყრელ საშუალებებს დასმული მიზნის მისაღწევად პოლიტიკა ირკვევს თუ რაგვარი მოქმედებაა საჭირო ამა თუ იმ გარეშე ან შინაგან განხორციელებათათვის. ამგვარად პოლიტიკა არის ხელოვნება გამგეობისა.

ამა თუ იმ მთავრობაზედ იტყვიან ხოლმე: კარგი, ოსტატური პოლიტიკა აქვსო, მარჯვეთ აღწევს მიზანსაო; კარგად მართავს სახელმწიფოს შინაგანად და გარეშე ურთიერთობაში მოხერხებულ პოლიტიკას აწარმოებსო.

ამნაირად, ნიჭი მართველობისა, სიმარჯვე საერთაშორისო მოქმედებაში, ესე იგი პოლიტიკა, ვიმეორებ, არის მართვა-გამგეობის ხელოვნება.

„სახელმწიფოებრივი სამართალი, — ამბობს გერმანელი იურისტი ბლუნჩლი — ირკვევს, ეგუება თუ არა სამართალს ის რაც არსებობს, პოლიტიკა კი ეკითხება თავის თავს: აღწევს თუ არა მიზანს მოძრაობაში მოყვანილი საქმე".

სახელმწიფოებრივი სამართლის ისტორია არკვევს სახელმწიფოს წარმოშობის პროცესებს და მის ევოლუციას; წყაროს და მიზეზებს სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა გაჩენისა და მათი განვითარების ისტორიას; იგი სწავლობს და ანალიზს უკეთებს ისტორიულ განვითარებას და ცვლილებათ იმ პრინციპთა, რომელზედ დამყარებულია სახელმწიფო და მისი პოლიტიკური დაწესებულებანი.

პოლიტიკის ისტორია კი წარმოადგენს ერის ისტორიულ ბედს, მის პოლიტიკურ ცხოვრებას და განცდებს; ერის სახელმწიფო მოღვაწეთა მოქმედების ისტორიას, მათ ამომძრავებელ მოტივებს, მათ გენიას თუ პოლიტიკურ უუნარობას.

მაგალითად, როცა ჩვენ ვიხილავთ დავით აღმაშენებლის ხანას, ვსწავლობთ მას თუ როგორ განდევნა მან არაბები და სელჯუკნი საქართველოთგან; როგორ გააერთიანა საქართველო; როგორ აღაგმა ფეოდალები და ააგო ეროვნული სახელმწიფო; როგორ დაიპყრო მთელი კავკასია და შეიტანა შიგ ქართული კულტურა; როგორ ააყვავა ჩვენი ქვეყნის მწერლობა და მეცნიერება; — ამით ჩვენ ვსწავლობთ საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას.

აგრეთვე ჩვენ ვსწავლობთ საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას, როცა ჩვენ ვიხილავთ და ანალიზს უკეთებთ გიორგი სააკაძის ან სოლომონ ლეონიძის პოლიტიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწეობის ისტორიას; ჩვენ ვსწავლობთ სხვა და სხვა ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიას, როდესაც ვიხილავთ ბისმარკის, გიზოს, ნეკერის, ნაპოლეონის, იულიუს კეისარის და სხვა სახელმწიფო კაცთა მოქმედებას და მოტივებს, რომელნიც მათ ამოქმედებდათ; საშუალებათ, რომელთაც იგინი მიმართავენ ხოლმე დასახული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. ხოლო, როდესაც ჩვენ ვიხილავთ და ანალიზს უკეთებთ დავითის მიერ შექმნილ ქართულ ეროვნულ სახელმწიფოს, ჩვენ მით მივმართავთ კერძო სახელმწიფოებრივი სამართალს.

აქეთგან, ვგონებ, აშკარადა სჩანს განსხვავება სახელმ. სამართლისა და პოლიტიკის შორის. უკვე საკმარისად გამიჯნული სახელმწიფოებრივი მეცნიერების სფერო და დანიშნულება.

მაგრამ სანამ შევუდგებოდე თვით სახელმწიფოს ანალიზს, სასარგებლოა მკითხველს ავუხსნა თუ რა მეთოდით ვუდგები ამ რთულ საკითხს.

არსებობს რამდენიმე მეთოდი საზოგადოებრივ სხეულთა და ფაქტორთა შესასწავლად. ყველას აქ მოყვანა შორს წაგვიყვანდა. ამიტომ მკითხველს სამს მთავართა-განზედ მივუთითებ:

1) ფილოსოფიური; 2) ისტორიული და 3) იურიდიული მეთოდი.

ფილოსოფიური მეთოდი სახელმწიფოს იხილავს წინასწარ განსაზღვრული იდეალის მიხედვით. ფილოსოფიური კონცეპცია სახელმწიფოს მიმართ წარმოადგენს განსაზღვრულ იდეოლოგიას. ფილოსოფიას ყოველთვის მისწრაფება აქვს სახელმწიფოს მიანიჭოს ისეთი დამუშავებული სახე, რომელიც მას მიაჩნია იდეალურად და დაამყაროს იგი მის მიერ აღიარებულ პრინციპებზედ.

ამგვარი იდეოლოგიები მრავალმა ფილოსოფოსმა დაიმუშავა პლატონის წინათაც. მაგრამ ყველაზედ ძლიერი და ტიპიური წარმომადგენელი სახელმწიფოს ვითარების ფილოსოფიური კონცეპციისა არის პლატონი. იგი თავის ცნობილ თხუზულებაში: „იდეალური რესპუბლიკა“, გენიალურად განმარტავს, სახელმწიფოს ორგანიზაციას ფილოსოფიური მეთოდის და ანალიზის მიდგომით.

ფილოსოფია სახელმწიფოს ევოლუციას გვისახავს, როგორც მის მსვლელობას განსაზღვრული იდეალისაკენ, იდეალური ფორმებისაკენ, ან უჩვენებს იგი სახელმწიფოს იმ გზას, რომლითაც ის შესძლებს ამ უმაღლესი მიზნის მიხწევას. როგორც ვხედავთ ფილოსოფიურ მეთოდს აქვს წმინდა იდეალური ხასიათი და, ამის გამო, იგი ჩამორჩენილია სახელმწიფოს ბუნებისა, ვითარების და მისი ისტორიული განვითარების რეალურ ფაქტებს. იურისტისათვის, იურიდიული მეთოდისათვის ფილოსოფიური მეთოდი სრულიად მიუღებელია. სახელოვანი იურისტი ბლუნჩლი შემდეგ აზრს გამოსთქვავს ფილოსოფიურ მეთოდზედ: „ფილოსოფიური მეთოდი მისდევს თავისი აზრების თავისუფალ ფრენას, გზას უხვევს ცხოვრების ბუნებრივ განვითარებას და ხდება მსხვერპლად უნაყოფო ოცნებასა“. დაახლოებით ამასვე ამბობს ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორი ჟანტე. ვერც ისტორიული მეთოდი მიუდგა სწორეთ სახელმწიფოს ანალიზის საკითხს. იგი ყოველთვის ურევს ერთმანეთში ორ სხვა და სხვა შემეცნებას: საზოგადოებას და სახელმწიფოს. ესე იგი ერთმხრივ მოვლენას სავსებით განყენებულს, მეტაფიზიკურს, როგორიცაა საზოგადოება და, მეორე მხრივ, სავსებით რეალურ ფაქტორს — სახელმწიფოს. აქ სახეში მაქვს საზოგადოება, როგორც ესმოდა იგი დღემდე ყოველ საზოგადოებრივ მეცნიერებას. დღეს ფაშისტურმა კონცეპციამ დაგვიმტკიცა, რომ არ არსებობს რაიმე სხვა საზოგადოება გარეშე ერისა და რომ არსებობენ მხოლოდ ეთნიური საზოგადოებები. მაგრამ ამაზედ ლაპარაკი მექნება როცა შევუდგები ეროვნული სახელმწიფოს განხილვას.

ისტორიული მეთოდიც ფილოსოფიის მსგავსად ასცდა სწორე და რეალურ ე. ი. ნამდვილ მეცნიერულ გზას. ეს გასაგებია, რათგან ისტორიკოსი იურისტი არაა... ხოლო სახელმწიფო კი, არის ერის იურიდიული ორგანიზაცია. ამიტომ მისი სისწორით შესწავლა, მისი ბუნების სწორი ანალიზი შეუძლიან მხოლოდ იურისტს და ისიც მხოლოდ იურიდიული მეთოდის წყალობით.

იურიდიული მეთოდი იხილავს რეალურ მოვლენებს, არსებულ ფაქტებს და მათზედ ამყარებს თავის ანალიზს. ამიტომაც იურიდიული მეთოდი არ უშვებს იმგვარ შეცდომებს, როგორც ფილოსოფიური და ისტორიული მეთოდები.

ეხლა შევუდგები სახელმწიფოს ანალიზს ზოგადი სახელმწ. სამართლის თვალსაზრისით. ესე იგი გავარჩევ სახელმწიფოების ზოგადს, საერთო ბუნებას, მათ საერთო შემადგენელ ელემენტებს და თვისებებს. ამ განხილვაში მე მივმართავ განსაკუთრებით იურიდიულ მეთოდს.

† ლ. კერესელიძე

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო

გატონ პროფესორ მიხეილ წერეთლის სიტყვა

ჩემდა საუბედუროდ და სამწუხაროდ გარემოება ნებას არ მაძლევს დავესწრო თანამებრძოლისა და მეგობრის დაკარგვის გამო გლოვას ბერლინის ქართველთა საზოგადოებისა. მაგრამ ვინც იცოდა განწყობილება ჩვენი, ხანგრძლივი საერთო ღვაწლი, რომელიც ჩვენ დაგვიდვია სამშობლოს საქმისათვის ჩვენ გვარად, და ჩვენი საერთო რწმენა, მისთვის ადვილად გასაგები იქმნება და განსაზომელი სიმძიმე ჩემთვის ამ ძველი მეგობრის, თანამებრძოლის და თანამოაზრის დაკარგვისა.

ლეო პირველად 1904 წელს გავიცანი ჟენევაში. ახალგაზრდა, იდეალიზმით აღსავსე, სამშობლოს სიყვარულით აღტკინებული და მისი განთავისუფლების რწმენით, იგი იმედის აღმძვრელი იყო ყოველი ეროვნულად განწყობილი ქართველისათვის, რომ საქართველოს კარგი ახალი თაობა, მებრძოლი ახალი თაობა ჰყავდა. ლეო პატრიოტიზმით განთქმული დედ-მამის შვილი იყო და აგრეთვე ნათლული არა მარტო მირქმით, არამედ სულიერადაც დიდი ქართველი პატრიოტის, ანტონ ფურცელაძისა, და ამ სულიერ ატმოსფეროში აღზრდილი, მას მაშინვე ეტყობოდა, რომ იგი ბრძოლისათვის იყო დაბადებული და ბრძოლა იქმნებოდა შინაარსი მთელი მისი ცხოვრებისა.

და მართლაც, იგი დაუკავშირდა 1904 წელშივე მაშინ პარიზში მომქმედ ქართველ მებრძოლ ნაციონალისტთა ჯგუფს, რომლის მეთაურიც იყო გიორგი დეკანოზიშვილი. როდესაც 1905 წელს რევოლუციის დასაწყისში გიორგი დეკანოზიშვილმა საქართველოს ნაპირებს იარაღით დატვირთული გემი მიაყენა, ლეო იყო ამ გემზედ სხვა ახალგაზრდა ქართველებთან ერთად და მათი ხელმძღვანელობით და ენერგიით ერთი ნაწილი მაინც იმ იარაღისა შემოვიდა საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წელს ლეო თბილისში ვნახე, იარაღით ხელში მებრძოლი არა მარტო მოქალაქის თავისუფლებისა, არამედ სამშობლოს თავისუფლების მოპოვებისათვის. იგი დაკავშირებული იყო მაშინდელ მებრძოლ ნაციონალისტთა, ფედერალისტთა პარტიასთან და მათი დავალებით ბევრ ბრძოლაში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა, ხოლო როდესაც ერთი ძლიერი ძნელად გასაბედავი რევოლუციონური საქმე ვერავინ ვერ გაბედა, ან გაბედა და ვერ აღასრულა, ბოლოს ლეომ აიღო და საზღაპრო გმირობით შეასრულა იგი. ეს იყო ცნობილი დუშეთის საქმე. მაგრამ ბოროტ ადამიანთა ენამ მას საზიზღარი ცილი დასწამა, თითქოს იგი იმ საქმითგან წმიდად არ გამოსულიყოს. ხოლო ვაცხადებ აქ საჯაროდ, ვითარცა თანადამხდური მოწამე იმ საქმისა, რომ ლეო კერესელიძეს მაშინ გარდა გმირობისა არა ჩაუდენია რა. რასაც მას სწამებდნენ, იგი სხვებმა ჩაიდინეს, — ხოლო ლეო, დევნილი რუსის მთავრობისაგან და ცილ-წამებული მათ მიერ, ვისი მოვალეობაც მისი დაცვა იყო, იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. იგი კვლავ ჟენევაში დაესახლა, სადაც მას შეუერთდენ მალე ძმა გიორგი და მისი ნათესავი ნესტორ მაღალაშვილი.

ჟენევაში ლეოს ბევრი სხვა ემიგრანტივით დრო ცუდათ არ დაუკარგავს. მძიმე ემიგრანტულ პირობებში მან შესძლო ბრწყინვალედ დაემთავრებია იურიდიული ფაკულტეტი. მან დასწერა ფრიად მნიშვნელოვანი სამეცნიერო თხზულებანი თვისი დარგისა და ამის შემდეგ უნივერსიტეტმა იგი პრივატ-დოცენტად მიიწვია. მაგრამ ამავე დროს იგი ქართულ საქმესთან ყოველთვის ახლოს იდგა. როდესაც განსვენებული პეტრე სურგულაძე ჟენევაში გადაესახლა საქართველოთგან, იქ დაარსეს მან, ლეომ, მისმა ძმამ გიორგიმ და მათმა მეგობრებმა „სეპარატისტულთა ჯგუფი" ქართველთა, რომლის ორგანო იყო „თავისუფალი საქართველო", და 1914 წლამდე, დიდი ომის დაწყებამდე, ამ ჯგუფმა და მისმა ორგანომ მოამზადეს ქართული აზრი მომავალ დიდ საქმეთა გასაგებად და დიდ ომში სამოქმედოდ... „სეპარატული ჯგუფის" სახელით დაიჭირა ლეომ გერმანელებთან საქმე 1914 წელში ომის გამოცხადებისათანავე; ჯერ ბერლინში გერმანელებთან და მერმე სტამბოლში თურქებთან მან დასდვა პირობანი, რომელთა ძალითაც ქართველებს ჯარი უნდა შეედგინათ ოსმალეთის ტერრიტორიაზედ და ებრძოლათ თურქებთან და გერმანელებთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო, თუ გამარჯვება რუსეთის მტერთ დარჩებოდათ, საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა ყოფილიყო ცნობილი გამარჯვებულთაგან იმ საზღვრებში, რომლებშიაც სამაჰმადიანო საქართველოც შედიოდა. — მალე განსვენებული გიორგი მაჩაბელიც და მეც, რომელთაც აგრეთვე საქმე გვქონდა დაწყებული აქ გერმანელებთან, შევუერთდით სტამბოლში პ. სურგულაძეს, ლეოს, მის ძმას გიორგის, ნ. მაღალაშვილს და სხვებს, და იქ დაარსდა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი", რომელმაც საქართველოს განთავისუფლების საქმეში მაშინ თავისი როლი აღასრულა. — ლეო 1915 წლის განმავლობაში ქართული ლეგიონის შექმნის საქმეში მთავარ მონაწილეობას იღებდა და აგრეთვე ფრონტზედაც იყო და იბრძოდა ყველგან, ქართული საქმისათვის ბრძოლა საჭირო იყო. ხოლო 1916 წელს, როდესაც ქართული ლეგიონის შექმნა დასრულდა, ლეო იყო პირველი კომანდირი მისი, და შემდეგაც, როდესაც მისი ადგილი გერმანელმა დაიჭირა, რასაც თავისი აზრი ჰქონდა, ლეოს თვისი ადგილითგან მებრძოლისა ფეხი არ მოუცვლია ომის დასრულებამდე.

ლეო კვლავ ვნახე განთავისუფლებულ საქართველოში, რომელსაც მან ქართული ლეგიონის ნაშთით ჩემზედ ადრე მიაშურა. მაგრამ მას ერთი წუთითაც არ ღირსებია მოსვენებული ცხოვრება და გახარება საყვარელ სამშობლოში, რომლის თავისუფლება მისი ოცნება იყო და ეს მისი ოცნებაც ახლა განხორციელებული. იგი 1921 წლამდე, უკანასკნელ წუთამდე მისი ქვეყნის თავისუფალი არსებობისა, იარაღით ებრძოდა, თვის მხედართა თავში მდგომი, ხან საქართველოს, და ხან კავკასიის სხვა ერთა მტრებს, და ვერც საქართველო და ვერც მთა კავკასიისა მის ღვაწლს ვერ დაივიწყებს არა მარტო როგორც მებრძოლისა, არამედ აგრეთვე როგორც მხედართა წინამძღოლისა, ღენერლისა, რომელი ღირსებაც მან თვისი ბრძოლით დაიმსახურა და მას მიენიჭა.

უკულმართმა ბედმა საქართველოსი კვლავ უცხოეთში შეგვყარა ლეო და მე, როგორც სხვა ბევრი ქართველი, 1921 წლის შემდეგ. — და აქაც საგანი მის ზრახვათა და გრძნობათა საქართველო იყო. და როდესაც პარიზში დაარსდა ახალგაზრდათა ორგანიზაცია „თეთრი-გიორგი" და ეს იყო დასაწყისი დიდი ახალი ქართული ეროვნულ-სოციალისტური მოძრაობისა, ერთდროული ევროპის ფაფაშიზმისა და ნაციონალ-სოციალიზმის და მსგავსი მისი, ლეო პირველი მივიდა ახალგაზრდობასთან, ჩაუდგა სათავეში მოძრაობას, გაზარდა, გააფართოვა და გააღრმავა იგი, შეუქმნა იდეოლოგია. ამ მოძრაობამ თვისი ტალღა საქართველოშიაც გადაისროლა. — მის ღირსეულ მეთაურად დარჩა ლეო 1925 წლითგან უკანასკნელ ჟამამდე მისი ცხოვრებისა.

და როდესაც ამ დიდმა ომმა ქართველობასაც მოუწოდა სამოქმედოდ, ლეომ მთელი თვისი სახლობით შორეულ აფრიკიდან მოაშურა ბერლინს და მზად იყო, როგორც უბრალო ჯარის კაცი საბრძოლველად გასულიყო და თვისი სისხლი შეწირა სამშობლოს წმიდა საქმისათვის. მაგრამ გარემოებამ, ბედმა არ არგუნა მას ხანში შესულსაც აღესრულებია თვისი მხედრული მოვალეობა. იგი გახდა მსხვერპლი ბოლშევიზმის მოკავშირე კრიმინალეების ყუმბარისა. ხოლო ესეც ბრძოლაში სიკვდილია, და ამით აღსრულდა ბედი მისი, ბრძოლის ვარსკვლავზედ დაბადებულისა და ბრძოლისათვის განკუთვნილისა.

აქ ადგილი არ არის, ძმაო ლეო, შენ და ჩემ პირად განწყობილებაზედ ვთქვა რამე, ჩემი გრძნობა ვამეტყველო. დასასრულ ძმაო გეტყვი მხოლოდ, რომ სანამ მომავალ თაობათა მეხსიერებაში წარსულნი საქმენი არ წარიხოცებიან, შენზედაც იტყვის ისტორია სიმართლეს, ხოლო ზეპირი გარდაცემა შვენიერ თქმულებათ, და ერთიცა და მეორეც შენი საქმის გასაგრძობად აღაგზნებს ახალ-გაზრდათა გულს. დაე ეს იყოს შენი ჯილდო სიკვდილის შემდეგ, რომელსაც სიცოცხლეში დამსახურებული სხვა ჯილდო აღარ გეღირსა. და დიდია იგი ჯილდო, რომლის ღირსად გახდომა ყველას არ ძალ-უძს!.. — განისვენე მშვიდობით, საყვარელო ძმაო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეურნეობის სვე-ბედი

ომის ამბებთან დაკავშირებით

(ეტიუდი)

ამ საერთაშორისო აღრევის დროს, როდესაც საომარი მოქმედებანი ჯერ არ შეჩერებულან, თითქოს ნაადრევია ჩვენი სამშობლოს ეკონომიკის პერსპექტივებზე სერიოზული ლაპარაკი. დღევანდელი ეს მეორე დიდი ომი იმითაც განსხვავდება წინანდელებზე, რომ მეომართა ბანაკებმა ზოგმა ადრევე და გულგრწფელად (გერმანია-იტალიამ), ზოგმა — კი უფრო დაგვიანებით და ცალ ყბით (ინგლისი) ხმა მაღლა აღუთქვეს ქვეყნიერებას, თუ რა დიდი ცვლილებები მოელის მას სოციალ-ეკონომიურ, თუ პოლიტიკურ სფეროებში, რასაც, ვერ გაექცევა ვერც ერთი ერი და სახელმწიფო.

ერთნი დასახულ სფეროებში ფიქრობენ სრულს გარდაქმნას, ვერც მეორენი ჰყოფენ უარს ცვლილებათა აუცილებლობაზე, მაგრამ ისე — კი, რომ მთავარი საფუძვლები, რომელზედაც აღშენებულია მათი გუშინდელი პირველობა და სიძლიერე (ინგლისი), არ იყოს დამსხვრეული.

არის მესამე მხარეც მებრძოლთა შორის ჩარეული, დღევანდელი დედინაცვალი ჩვენი ქვეყნისა, საბჭოთა რუსეთი, რომელიც თავის უახლოეს ამოცანად, მაინც, მსოფლიო რევოლუციას ისახავს და ცინიკურათ კვლავ ნგრევა-მტვრევაზე ფიქრობს და არა აღმშენებლობაზე, ქვეყნიერების მომავალზედ, რომლის სტრუქტურა მისთვის ბუნდოვან ფორმებში ისახება . . .

საომარ მოქმედებებთან ერთად გაფაციცებით ხდება სათანადო გეგმების აღსახვა და შედგენა, რომელთა განხორციელების დროს, ალბად მართლაც, ყველანი იქმნებიან ჩაბმულნი, — დიდნი, თუ პატარანი, აქტიური მონაწილენი ბრძოლებისა, თუ განზედ მდგომნი . . .

აი სწორედ ეს გარემოება გვაბედვინებს დავსვათ აქ საკითხი საქართველოს ეკონომიურ პერსპექტივებზედაც.

თუ საბჭოთა რუსეთს განზე დავაყენებთ, ერთ რამეში მაინც თანხმდება ორი უმთავრესი მოწინააღმდეგე ბანაკი.

მომავალი მსოფლიო ეკონომიკა, თუნდაც კვლავ კერძო საკუთრების პრინციპზე დაყრდნობილი, ვერ იქმნება იმ ზომამდე ლიბერალური, როგორც ეს ომის წინ იყო. სახელმწიფოს ძალა-უფლების ჩარევა, როგორც წარმოების პროცესში, ისე ნაწარმოებ-სიმდიდრეთა დანაწილებაში, აუცილებლად არის მიჩნეული ორთავ ბანაკში.

განსხვავება, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ის არის, რომ ზოგან ეს რადიკალურად ხდება (გერმანია-იტალია), არსებული ძირითადი საფუძვლების ღრმად შეცვლით, ზოგან-კი სიფრთხილით და არსებულის ნაკლებად შებღალვით. ამათ (ინგლისი და მისი მოკავშირენი) მხარს უჭერს მთელი მსოფლიოს არსებული **კაპიტალისტური** ძალები და ორგანოები.

მთავარი ამ ჯგუფისათვის ის არის, რომ კაპიტალის მნიშვნელობა წარმოება-დანაწილების პროცესში, მისი ხელმძღვანელი როლი, რამდენაც შეიძლება, შეუცვლელად დარჩეს. ფულის დასაყრდნობ ბაზად კვლავ ყვითელი ლითონი, **ოქრო** რჩება. წარმოება და გაცვლა-გამოცვლა, ვაჭრობა, გულ ახდილად აღიარებულია კერძო მესაკუთრეთა მოგების მოედნად და სამეფოდ . . .

სულ სხვანაირად გამოიყურება გერმანია-იტალიის და მათ თანამგრძნობთა მსოფლ-მხედველობა.

ესენი, თითქმის, მთლად არიან შეთანხმებულნი. შეიძლება ცალკე რამ დეტალები ანსხვავებდეს მათ, რაიც, უმთავრესად, გამოწვეულია ადგილობრივი პირობების სხვადასხვაობით.

ქვემოდ ჩვენ უფრო გერმანიის ახალ კონცეპციებზე გვექმნება საუბარი და, ვფიქრობთ, ეს საკმაოა იმის შესაგნებლად, თუ რა აშორებს დღევანდელ მებრძოლ მხარეებს ეკონომიურს და სოციალურ სფეროებში. გერმანიამაო, გვეუბნებიან ნაციონალ-სოციალიზმის ცხოვრებაში გამტარებელნი, გამოიარა გოლგოთის გზა და ახალს მხოლოდ მაშინ დაადგა, როდესაც უკიდურესმა გაჭირვებამ ნათლად დაანახვა, რომ გერმანიის ერისათვის ხსნა არ არის, თუ არ ეცადა და სულ ახალი ფუძენი არა გამონახა რაო.

რა გზას დაადგნენ დღევანდელ გერმანიაში?

ჩვენ გვექნება ლაპარაკი მხოლოდ იმ ახალს კონცეპციებზე, რომელიც საყურადღებოა საქართველოს სინამდვილის და მისი მომავლის პერსპექტივების გასაშუქებლად და გასათვალისწინებლად.

გერმანიის ერს სულის მოსაბრუნებელი არეც კი არ აბადიაო, გვამცნევენ გერმანიის სახელმწიფო მოღვაწენი და ეკონომისტები. ვისაც ასეთი არე ხელთ უგდიათ, ფიქრადაც არ მოსდით ცოტა რამ სხვებსაც დაუთმონ იმ სიუხვიდან, რაც მათ ყელამდე ამოსდისო. ასეთი ეგოიზმი იწვევს ერთა შორი უსიამოვნებასა და ქიშპობას, რაც პერიოდულად ომებით და ხალხთა ერთმანერთის ჟლეტით თავდება. რომ ასეთ ყოფას ბოლო მოეღოს, ან დადგეს ისეთი ხანა, როდესაც ამნაირი კითხვების იარაღით ხელში გადაწყვეტა, რამდენადაც კი შეესაძლებელია. აცილებული იყოს, საჭიროა სულ ახალი წყობა და მცნებანი დამყარდეს საქვეყნო ეკონომიკაში, მის წარმოებაში და სიმდიდრეთა განაწილებაში.

ამ დროინდელი ნორმალური ურთიერთობა გამოწვეულია დღევანდელი კაპიტალიზმის ბატონობით, როდესაც ადამიანთა მთელი ძალა და ხერხი იმას ემსახურება, რომ კერძო მესაკუთრემ, ყოველი ფეხის გადადგმით, მოგება ნახოს და მით ხარბად დაიკმაყოფილოს თვისი მადა-გახსნილობა. ეს მოგება მიითვისოს, **ოქროდ აქციოს,** ნაწილობრივად თვისი წარმოების გასადიდებლად და სხვა კონკურენტ-კაპიტალისტების მიმართ ულმობელი ბრძოლის გასაწევადაც. აქ არის სათავე გაუთავებელი პერიოდული კრიზისებისა, რომელიც იწვევს მასების და, საზოგადოთ, მშრომელი კლასების უმუშევრობას, გაჭირვებას. ხშირად, დამუშავებულ, უამრავ ნაწარმოების ოხრად დარჩენას, ვინაიდან გაღარიბებული ხალხი ცუდი მუშტარია ბაზარზე გამოსატანად დამზადებულ სიმდიდრეთაო. ყველა ამას სხვა ათასი უბედურობაც მოსდევს, არა მხოლოდ მატერიალური ხასიათისა. არამედ ცხოვრების სხვა მხარეებშიაც: კულტურის, მორალის და სხვ . . . ასეთ მდგომარეობას რომ ბოლო მოეღოს, მოსპობილ უნდა იყოს აწინდელი კაპიტალისტური ურთიერთობა!

ამისათვის, უპირველესად ყოვლისა, საჭიროა და აუცილებელი კაპიტალისტებს ხელიდან გამოეცალოს მათი უმკვიდრესი ძალა, ე. ი. ოქრო.

ეს უნდა მოხდეს არა ამ ოქროს მოტაცებით, არამედ მისი არარაობის აღიარებით. ამისათვის — კი საჭიროა სულ ახალი წეს-წყობილება, რომელიც, მართლაც, ყველას დაანახვებს, რომ ოქრო არა ყოფილა აუცილებელი აგენტი ეროვნული სიმდიდრის შექმნისათვის და განაწილებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ უბრალო, მაგალითზე გვიჩვენებენ ამ მიმავალ წესწყობილებას ეკონომიურ სფეროში მისი დღევანდელი მომხრენი.

ქართული სინამდვილის გაგებისათვის, ჩვენ უკეთესად მივიჩნიეთ ეს უცხო მაგალითები საქართველოს ჩარჩოებში წარმოგვედგინა და ისე გადმოგვეთარგმნა ის, რაც უცხოელ ლიტერატურაში შეგვხვდა.

წარმოვიდგინოთ, რომ ერთ რომელიმე ქართულ მიწის მესაკუთრეს და, მაშასადამე, მის დამამუშავებელს (ჩვენ, კერძოთ, სხვაფრივ არც წარმოგვიდგენია ჩვენში მიწის მესაკუთრობა) სიმინდი აქვს გასაყიდი, ან ხორბალი, ხილი, ღვინო თუ სხვა რამე. ამავე დროს, ვსთქვათ, უცხოელ მექარხნეს გასაყიდათ გაუკეთებია სოფლის მეურნეობისათვის საჭირო რამ მანქანა, მაგალითად სიმინდის საფუჭქნი, რომელიც ერთ საათში ფუჭქნის იმდენს, რასაც ხელით მომუშავე რამდენიმე დღეს უნდება.

არსებულ კაპიტალისტურ წყობაში ქართველმა მეურნემ უნდა დაიწყოს ძებნა იმ ადამიანისა, რომელსაც, სწორედ სიმინდი დასჭირებია.

აი აქ ჩნდება ის მაშუალი კაცი, რომელიც თავისი რისკით ყიდულობს, რასაკვირველია, რაც შეიძლება დაბალ ფასებში, სოფლის ნაწარმოებს. ასეთივე მაშუალა მივა, ვსთქვათ, გერმანელ მექარხნეთან და შესთავაზებს მას თავის მოწყობილ ორგანიზაციას, რომ, სადაც იყოს, გაუყიდოს მანქანები. ამნაირ მაშუალა ხალხის წრეებიდან გამოდიან ის სპეკულიანტები, რომელთაც არც უხნავთ, არც ქარხნებში ჩაუღვრიათ ოფლი და სისხლი, და დიდ მოგებას კი ჯიბეში უხვად იდებენ. ძალიან ხშირად ეს მათი მოგება 40 პროცენტამდენაც ადის, რა გარემოებაც საგრძნობლად უმცირებს მწარმოებელს იმის გამორჩენას და მომხმარებელს — კი უძვირებს საქონელსა.

ამგვარ უკეთმართობას ადვილად ეშველებაო, გვიხსნიან ახალი ეკონომიური წესების შემომღებელნი დღევანდელ გერმანიაში.

ვსთქვათ საქართველომ გადასწყვიტა საალებ-მიმცემო ურთიერთობა დაიკავოს გერმანიასთან, როგორც ამ ჟამად მთელი რიგი სახელმწიფოებისა მოიქცა. არა სჯობიან ორთავ მხარემ ისეთ წესს მიმართოს, სადაც სპეკულიანტიც მოშორებული იქმნება, საქონლის პატრონთ არ დასჭირდებათ ოქროს ფულის ძებნა, რომ უცხოეთში მათთვის საჭირო ნაწარმოებნი შეიძინონ და ბაზარზე გამოტანილ საქონლის გაცვლა-გამოცვლა ისეთ პირობებში და ფასებში მოახდინონ, რომელიც, გარეშე საბირჟო სპეკულაციისა, გამოანგარიშებული იქმნება, სრულიად ობიექტიურად, საგანგებოთ დაწესებულ ორგანიზაციების დახმარებით, სადაც წარმოების ყველა წარმომადგენელნი იქმნებიან ერთად თავმოყრილი.

ასე მოწყობილ სახელმწიფოში ყველაფერი მარტივად სრულდება. მხარეების სრულის დაკმაყოფილებით. ამისათვის საქართველოს ხელის უფლება, სულ პირველად, აფუძნებს თავის დედა-ქალაქში საკუთარ ცენტრალურ სახელმწიფო ბანკს. სწორედ ასეთივე ბანკი გერმანიაშიც არსებობს. მხოლოდ ამ ბანკებსა აქვთ მინიჭებული უფლება „ფულის მოჭრისა", ე. ი. გამოშვებისა. ამ ფულის მიღება სავალდებულოა ყოველი მოქალაქისათვის და დაწესებულებებისათვის, **თავ-თავიანთ ქვეყნებში.**

სრულიად არ არის საჭირო, რომ ამ ცენტრალურმა ბანკებმა გამოშვებული ფულის საწინდრათ ბაჯაღლო ოქრო ეძიონ და მის ძებნა-შეძენაში ყურ მოჭრილ ყმად გახდნენ იმ კაპიტალისტების, რომელთაც ოქრო, მთელს დედა მიწას ზურგზე რომ ნაკლებად მოიპოვება, ამა თუ იმ ხერხით და მანქანებით ხელში უხვად დაუგროვებიათ და იმ ფასებში და იქა ჰყიდიან, როგორც მათ უზომო მადას მოეპრიანება... ბუნებრივად იბადება კითხვა: სასწაულით ხდება, რომ საქართველოს ცენტრალური ბანკის მიერ გამოშვებული ფული, გარეშე **ოქროს** საწინდარისა, რაიმე ღირებულებას წარმოადგენს?!

დღევანდელი ორთოდოკსული პოლიტიკური ეკონომია ხომ ყირამალა იქნა გადაკოტრიალებული, ვინაიდან მისი რეცეპტებით ჩვენს დროში ვამოშვებული ფულები მხოლოდ იმითი ფულობენ, რომ როდესაც გნებავთ მათ მხოლოდ ოქროზედ დაახურდავებთ.

აი ამიტომ, როგორც ცალკე სახელმწიფოთა ფარგლებში, ასე მათი საზღვრების გარეშეც არსებული ცენტრალური ბანკების ბანკნოტებს ყველგან ნდობით ღებულობენ და მათ შეუფერხებლად ხდის საერთაშორისო აღებ-მიცემობის იარაღით.

მომავალი საქართველოს ცენტრალური ბანკის (როგორც დღეს გერმანიისა), ფულის გამოშვების საფუძვლები რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რასაც დღეს კაპიტალისტური ბანკები ადგიან.

ჩვენი საქართველოს ახალი ფულის ტრიალი მხოლოდ საქართველოში იქმნება დაშვებული და მისი საზღვარგარეთ გატანა აკრძალული, სადაც იგი, მართლაც — და, ნაკლებ ღირებულობას წარმოადგენს. სამაგიეროდ მისი ღირებულობა თვით საქართველოსათვის სრულ ფასიანი იქმნება და თუ მას გარანტიად ძველებურად ოქრო არ დაედება, იგი, **ახალი საწინდარი** ოქროზე უფრო ძვირფას და იმედიან ღირებულებათ ჩაითვლება.

ეს გარანტია — საწინდარი არის საქართველოს ერის მარჯვენა ხელი, მისი შრომა ყოველგვარ დარგში და სხვა გვარი სიმდიდრენი. გამოშვებული ფულის რაოდენობა სწორედ იმდენი იქმნება, რამდენადაც ეს ნაწარმოები შეფასდება იმ კომპეტეტური ორგანიზმების მიერ, რომელნიც შესდგებიან წარმოებაში ჩაბმულ ყველა ელემენტებისაგან.

ეს ორგანიზმები, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, ადგენენ წარმოებისათვის სახელმძღვანელო გეგმებს და პლანებს, უკავშირებენ მათ საზღვარგარეთულ იდენტიურ ორგანიზაციების კვლევა-ძიებებს და გეგმებს, და ამნაირად ახორციელებენ, დაპლანურ ნაციონალურ წარმოებასთან ერთ საერთაშორისო საალებ-მიმცემო ურთიერთობასაც.

კერძო ინიციატივას ეძლევა თავისუფლება იმდენად, რამდენად იგი არ ეწინააღმდეგება მთელი ერის საერთო ინტერესებს.

თვით წარმოების დანიშნულობა აღიარებულია, სულ პირველად, სოციალურ ფუნქციად და მხოლოდ შემდეგ ამისა, კერძო ინტერესების დამაკმაყოფილებელ ფაქტორად.

ჩვენ არა გვაქვს მიზნად აქ დაწვრილებით ავღნუსხოთ მთელი ამ ორგანიზაციების წყობა და მუშაობა. ეს მეტად შორს წაგვიყვანდა და იგი არ არის ამ დღევანდელი ჩვენი წერილის საგანი. ვიტყვით მხოლოდ, რომ ყველა ამ ახლად შემოღებულ ზომების საშუალებით ხდება ის, რომ რაიხის საზღვრებში მათი ცენტრალური ბანკის ფულს ნდობით და ხალისით ღებულობენ.

ამ ახალ პირობებში, გერმანიის მიერ გაძღოლა უდიდესი ომის მოთხოვნილებების და ამავე დროს გაჩაღება უმაღლეს წერტილამდე ქალაქის და სოფლის მრეწველობის სწორედ ამ ახალი გამოცემული ფულის საშუალებით, საკმაოდ დამაჯერებლად გვიმტკიცებენ, რომ ასეთივე მოწყობა ცენტრალური ბანკებისა სხვაგანაც იმავე შედეგებს მოიტანს, რასაც დღეს გერმანიაში ვხედავთ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასევე იქმნება საქართველოშიც, რომლის ცენტრალური ბანკი გახდება იმ ბერკეტათ, უოქროდაც რომ აამოძრავებს ჩვენი ქვეყნის დღეს მოშლილ ეკონომიკას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენებურ სიმინდის მთესელს. რა გზას უნდა დაადგეს იგი, როდესაც დასჭირდება, ვსთქვათ, გერმანიაში იყიდოს მისი მეურნეობისათვის საჭირო მანქანა და სხვა სასოფლო სამეურნეო იარაღი?

როგორც ავღნიშნეთ საქართველოს ცენტრალური ბანკის ფული გერმანიისათვის არაფერ ფასს არ წარმოადგენს. ამ პირობებში როგორ დააკმაყოფილოს მან გერმანელი მექარხნე-ინდუსტრიელი? ან თვითონ როგორ დაიკმაყოფილოს გული, როდესაც თავის ნაწარმოებს მიყიდის გერმანელს, რომლის ცენტრალური ბანკის ბანკნოტები მისთვისაც არ წარმოადგენენ ღირებულობას? სულ უბრალოდ, გვეუბნევიან დღეს გერმანელი ეკონომისტები! რა საჭიროა საზღვარ გარეთ საქონლის გასატანად ან ქართველმა, ან გერმანელმა დაიწყონ ერთმანერთის ძებნა, ან შუამავალ სპეკულიანტისადმი მიმართვა?

საქართველოს ცენტრალური ბანკი სწორედ ამისათვის არის მოწყობილი, რომ გაუადვილოს ჩვენ მოქალაქეთ, როგორც მუშტრების ძებნა, ისე შესყიდვაც იმ ნივთების, რაც მათ დასჭირებიათ.

ამისათვის ქართველი სოფლის მეურნე მიმართავს თავის მშობლიურ ბანკს და აცნობებს რამდენი ტონი სიმინდი აქვს გასაყიდათ დამზადებული, და, თანაც, ატყობინებს, რომ საჭიროებს სიმინდის საფუჩქნ მანქანის შეძენას. ქართველი ბანკი ღებულობს ამ განცხადებას და დაუყოვნებლივ შეეკითხება თავის გერმანელ ქონებაბანკსა, რომელთანაც წინასწარი კონვენციით არის შეკრული, ერთზედ და სამუდამოდ: თუ გყავს სიმინდის მუშტარი და ვინმე მსურველი მანქანა მიყიდოს ქართველ სოფლის მეურნესა?

სულ უბრალო საქმეა ამ ბანკებისათვის ერთმანერთში მორიგება. საქართველოს ბანკი შედეგად ამისა თვითონ ყიდულობს სიმინდსა და მისგანვე „მოჭრილი“ ფულით აკმაყოფილებს ქართველ მწარმოებელს. სწორედ ასევე იქცევა თავის მექარხნე-მრეწველის მიმართ გერმანელი ბანკი, და ბოლოს, როგორც შედეგი მხარეთა მორიგებისა, მანქანა გერმანიიდან მოდის საქართველოში და სიმინდი გერმანიაში. ამნაირი ოპერაციები მრავლად დაუგროვდებათ ორთავე ცენტრალურ ბანკებს, ესენი გარკვეულ პერიოდებში გაუსწორებენ ერთმანერთს ანგარიშებს, ე. წ. კლირინგ-ის წესით. ხაბუალტერო წიგნების საშუალებებით გამოიანგარიშებენ ვის რამდენი ვალი დაედება. ამ ვალს ბანკები თვითონ უხდიან ერთმანერთს, დევიზები იქმნება, ოქრო, თუ სხვა რამეთი... აქ ოქრო აღარ თამაშობს **იმ პირველობას,** რასაც მას ძველი წესი ანიჭებდა. თვით ფულსაც უბრუნდება ის მისი ძირითადი, **საზომი იარაღის ფუქცია,** რისთვისაც იგი გამოგონილი იყო. ამ ახლად შემოღებულ წესში ჩვენი ქვეყნისათვის მოსაწონი და ხელშემწყობი ის არის, რომ ჩვენი სოფლის თუ ქალაქის მრეწველობის აღდგენა, თავშივე, შესაძლებელი ხდება ოქროს თანხის გარეშეც. უკანასკნელს თავისი მნიშვნელობა შერჩება მხოლოდ იმ სტადიისათვის, როდესაც ცენტრალური ბანკები ერთმანერთს საბოლოო ანგარიშს მოუხდენენ და უკვე ეს დიდ შეღავათს მისცემს ჩვენს წარმოებაში ჩაბმულ ძალებს, მეტადრე შედარებით იმ მდგომარეობასთან რასაც ძველ კაპიტალისტურ ურთიერთობაში ვიხილავთ...

როგორც შედეგი ამ ახალი წყობისა ისპობა ჰეგემონია იმ კლასის, დღევანდელ წარმოება-აღებმიცემობაში პირველს რიგში რომ იდგა, ე. ი. „ფულის მკეთებელის“, მისი კერძო, პერსონალურ, საკუთრებაში დამგროვებელი კლასის, მსოფლიო ბირჟაზე ამაყ წამოჭიმული, **მოკლედ,** წმინდა წყლის ფინანსისტ-კაპიტალისტის კლასისა... საქართველოს ეროვნული ეკონომიკა ამ **კლასის** საჯიჯგ მოედნად იყო გადაქცეული, თავზედ რომ გვყავდა მოხვეული იმ ეკონომიური პოლიტიკის წყალობით, რუსეთი რომ ახორციელებდა ჩვენში...

რაკი ცენტრალური ბანკები გახდენ იმ **ფასაყრელად ბაზებად,** რაზედაც შენდება ახალად გერმანიაში წარმოებასთან ერთად ცხოვრების ყოველი დარგი, რეფორმატორებისათვის საჭირო გახდა ეფიქრათ სულ ახალი პირობები შეექმნათ ცხოვრებაში ჩაბმულ ძალების მოსაწყობათაც. **კორპორატიული წესით** თავმოყრილი ერი, ე. ი. ყოველგვარ პროფესიების და პატრონების წარმომადგენელნი, თანასწორის უფლებებით, აწესებენ იმ პირობებს, უფლება-მოვალეობებს, რა ფარგლებშიც უნდა ხდებოდეს წარმოებაში ჩაბმული ძალების შრომა-საქმიანობა და ყველაფერი ეს სახელმწიფოს უზენაესი კონტროლის ქვეშ, მიხედვით სახელმწიფოსავე დირექტივებისა.

თვითონ სახელმწიფოს აპარატი აღშენებულია კლასობრივი პრინციპის და პარტიების ჩხირ-კედელეობის უარყოფით და მათი დაქსასვით.

ვიტყვით კიდევ მას, რომ ამ ახალი გეგმის შემომღებნი გვარწმუნებენ, რომ ისინი ნამდვილ სოციალისტურ საზოგადოებას ჰქმნიან, სოციალიზმს ახორციელებენ...

რა თქმა უნდა ასეთი სოციალიზმი სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ორთოდოქს სოციალისტურ პარტიებისათვის, მაგრამ თვით გერმანელები დაჟინებით აღიარებენ იქ განხორციელებული ახალი რეფორმების სოციალისტობას. ვისაც ეს არ სჯერა მობრძანდნენ გერმანიაშიო, იწვევენ ისინი ყველას, შეისწავლონ მუშა ხალხის უფლებები, მათი დღევანდელი მდგომარეობა, დამოკიდებულებანი პატრონ-მუშების და მოსამსახურების. შორის, სოციალურ კანონმდებლობას, და სხვა და სხვ., რათა ურწმუნონიც დარწმუნდნენ, რომ სოციალიზმი თუ ჯერ კიდევ სავსებით არა, მისკენ მიმავალი უმთავრესი ეტაპები უკვე განვლილი არისო. მართალია ეს სოციალიზმი ხორციელდება ოტორიტარული სახელმწიფოს სასტიკი დირექტივებით და ზედამხედველობით, მაგრამ რადგან ძალის დაუტანებლად, პირველს ეტაპებში, ვერც „მართლმაღიარებელ“ სოციალიზმს წარმოუდგენია სოციალიზმის განხორციელება, გაცილებით უმჯობესი და მართებულია სწორედ ზე-პარტიულმა სახელმწიფომ აწარმოვოს ასეთი ძალდატანება, ვიდრე, ვსთქვათ, გაბატონებულ პროლეტარიატის, მაშასადამე, **ერთად-ერთი** პარტიის მიერ დაყენებულმა ხელისუფლებამაო...

რაც შეხება სოციალიზმის „საბოლოო“ მიზანს, თვით სახელმწიფო აპარატის მოსპობას, ეს **იდეალი ხომ დღევანდელი** სოციალისტებისათვისაც ძალიან შორეული ამბავია და როცა საჭირო გახდება, **თუ-კი ეს ოდესმე საჭირო იქმნა,** ავტორიტეტული და კორპორატიულ პრინციპზე აღშენებული სახელმწიფოც მოახდენს მასო...

ვფიქრობთ ჩვენი ქვეყნისათვის სრულიად ზედმეტია დღეს ამნაირ დავაში ჩარევა!

საკმაოა ადამიანი გაეცნოს იმ მდიდარ ლიტერატურულ მასალას, რომელიც გვიმარტავს რა დიდი ცვლილება მოხდა გერმანიის ცხოვრების ყველა დარგში, **კაპიტალისტების** ჰეგემონიის მოსპობით როგორ **მყარდება** იქ **ახალი** ეკონომიური ვითარება, მუშა ხელის წონის ამაღლება წარმოების პროცესში, მისი ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესობა, წარმოებაში სტაბილიზაციის მოხდენა. მიუხედავად სასტიკი ომის ხარჯებისა, პერიოდული კრიზისების დაბრუნების შეუძლებლობით, მოზარდი თაობის სკოლებში და სხვა სათანადო ორგანიზაციებში გაწრთნით, მოხუცთ და დავრდომილთა პატრონობით, საავადმყოფოების ფართეთ გახსნით და სხვა და სხვა, რომ ვინატროთ ქართველებმა: ნეტა ჩვენშიც შესაძლებელი გახდეს მაგისი მსგზავს რამის განხორციელება!...

იმ ახალი ორგანიზაციების შესაფასებლად ჯერ ის რათა ღირს, რა გაქანებასაც ვხედავთ გერმანიის ინდუსტრიაში, როდესაც მძლავრად გაშლილ სამხედრო ინდუსტრიასთან ერთად ვიხილავთ ფართეთ გაშლილ სამშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობო დროს წარმოების ზრდასაც, სასოფლო მეურნეობას ახალის გაქანებით აყვავებას და სხვა . . .

ყველა ამ მიღწევათ შეუძლიან განცვიფრებაში მოიყვანოს ადამიანი, მეტადრე როდესაც წარმოვიდგენთ რაიაირ პირობებში იყო ჩავარდნილი ქვეყანა და როდის მოხდა ეს პროგრესი და ცვლილებანი, ესოდენ მოკლე ხანში . . .

მართლაც წარმოვიდგინოთ ისეთი ქვეყანა, რომელსაც უცხოეთში „არავითარი თანხები არ მოეპოვება, შინ თუ გარეთ ოქრო სახსენებლადაც არ ებადოს, არც ჰქონდეს იმედი, რომ სადმე მოპოებული კრედიტით მაინც შესძლოს უცხოეთში შეიძინოს რამე ნედლი მასალა, და მაშასადამე, იძულებული იყოს შინაურ წარმოებისათვის იმითი დაკმაყოფილდეს, რაც მხოლოდ იმის საზღვრებში მოიპოვება და სხვ., აბა, რა უნდა ჰქმნას ასეთმა ქვეყანამ და რითი უშველოს თავსა-ო . . .

ამნაირი ქვეყნის ეს აღწერილობა, შეიძლება ქართველს აფიქრებინოს, რომ აქ სწორედ საქართველოზედაა ლაპარაკი! არა, აქ ლაპარაკი ჩვენს ქვეყანაზედ არ არის.

ჩვენ ზემოთ განგებ ამოვწერეთ ეს დასურათება გერმანიისა, სანამ იქ ნაციონალ-სოციალიზმის მოძრაობა გაჩნდებოდა. იმ დროში, ასე დაქვეთებულ ქვეყანას ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ, ექვს წელიწადში, ის სასწაული მოუხდინა, რომ წარმოების საერთო ზრდასთან ერთად, ახალ ეკონომიკაში ოქროს ჰეგემონია ისპობა. მის მაგიერობას ე. ი. პირველობას ამიერიდან შრომა იჩემებს, შრომა საზოგადოთ: კუნთებით იქმნება იგი თუ გონებით . . .

ჩვენთვის, ქართველებისათვის, ღირსია ყურადღებისა, რომ ოქროს ეს უკუღმართი როლი, რომელზედაც დღეს ასე მჭერმეტყველურად ლაპარაკობენ, არა ყოფილა შეუმჩნეველად დატოვებული ქართულს ცხოვრებაშიც, რასაც ჩვენი ქართული ლიტერატურული წყაროები ნათლად აღნიშნავენ.

მშვენივრად ჰქონია წარმოდგენილი ოქროს უკუღმართობა ჩვენს სიამაყე დიდებულ შოთა რუსთაველს. იგი სწერს:

„ნახეთ თუ ოქრო რასა იქს, კუერთხი ეშმაკთა ძირისა“ . . . და კიდევ:

„. . . რა ოქრო მისთა მოყვართა აროდეს მისცემს ლხენასა.
დღედ სიკვდილამდე სიხარბე შეაქნევს კბილთა ღრეჭნასა,
შესდის და გასდის აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა,
და კულა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმოფრენასა“!

შეუძლებელია ადამიანმა ამაზედ უკეთესად მოახდინოს დღევანდელი „ფულის მკეთებელის“ კაპიტალისტის დახასიათება! . . . ეს მეთორმეტე — მეცამეტე საუკუნოების მობრძნე, მეცხრამეტეში მკაფიოდ ათქმევინებს ჩვენ დიდს ილია ჭავჭავაძეს „შრომისა“ პირველს პლანზე წამოყენებას და ოქროს ჰეგემონიის უკან დაყენებას. ილია ერთ თავის ნაწერში გუთანზე ლაპარაკობს; მას გუთანი წარმოდგენილი აქვს შრომის სიმბოლოთაც და ამბობს:

ოქროსა და ხმალს დავიწყებიათ, რომ ქვეყანაზედ მაგათ „გარდა არის კიდევ ერთი რაღაც, რომელმაც თუ პირველი, უკანასკნელი ალაგი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში“.

და „აი ტეტია გუთანს შეუძლია „ოქროსა და ხმალს შუა ჩადგეს და თავისებურათ დინჯათ უთხრას: შენ, ოქროვ, უჩემოთ უქმი ხარ, არაფერში არ გამოსაყენებელი“ . . . საზოგადოთ კი „შრომას“ წინ წამოყენება ფულზედ და სიმდიდრეზედ, თანამედროვე ქართულს ლიტერატურაში უკვე 1869 წელს გვხვდება გრ. თარხნიშვილის ნაწერებში (იხ. გიორგაძის წიგნი: „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში). რომ ოქროს ხაზის შეცვლის შესახებ საკითხი აქ ამოვწუროთ, აღნიშნავთ კიდევ, რომ ეგ ამოცანა არა ერთხელ ყოფილა დასმული ეკონომიურ ლიტერატურაში, მაგრამ კლასიკური პოლიტიკური ეკონომია დაუშვებელად მიიჩნევდა სხვა რამე ღირებულების ან წესის შემოღებას ყვითელი ლითონის შესაცვლელად.

ამიტომ იყო რომ ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ გაბედა პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგა ოქროსათვის მისი გაზვიადებული პატივის ასახდელად.

ეს გაბედა დიდის მაშტაბით პირველმა გერმანიამ და მან მთელი რიცხვი სხვა სახელმწიფოებისაც მოიმხრო.

(ცნობილია, რომ ქრონოლოგიით პირველმა იტალიამ დაიწყო ახალი გზების გამოშინჯვა).

აქ, თქვენდა საცნობად, ერთ მცირე რამ ეპიზოდს მოვიყვან საქართველოს დამოუკიდებლობის დროიდან.

საქართველოს მთავრობა და პირველს რიგში ფინანსთა სამინისტრო; ვეჩქარებოდით ქართული ეროვნული ფულის გამოშვებას. ეს ემისია, ჩვენის ფიქრით, ისე უნდა მომხდარიყო, რომ ქართულს ფულს ფასი დასდებოდა არამც თუ მხოლოდ შინ, არამედ საზღვარ გარეთაც.

ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ემისიის გარანტიისათვის ოქრო უნდა გვეშოვა.

ეს ოქრო კი ჩვენ არ გვებადა. მახსოვს ერთად ერთი ოქროს ფირფიტა დამხვდა ყოფილ თბილისის სახაზინოში!

სწორედ იმ ხანობას საქართველოს ფინანსთა უწყება მე მებარა და, თანაც, ჭიათურის შავი ქვის საექსპორტო ორგანიზაციის თავმჯდომარეთაც ვიყავი.

სრულობით ბუნებრივად აზრი დამებადა, რაკი ოქრო არ მოგვეპოვებოდა, მესარგებლნა ჩვენი მარგანეცის მადნებით, რომ იქ დაგროვილი სავალიუტო სიმდიდრით შეგვეცვალა, დროებით, მაინც, ოქროს ფონდი.

გამოვტყდები, აზრი კი დაიბადა, მაგრამ შიშმა შემიპყრო, სახიფათო ამბავი არა დაგვმართნოდა-რა! შავი ქვის მრეწველთა ზოგიერთ შეგნებულ მრეწველთანაც მქონდა ამის თაობაზედ წინასწარი მოლაპარაკება. აქ უნდა მოვიხსენიო განსვენებული ჩვენი მრეწველი ინჟენერი ბარნაბ პაპავა, რომელიც თავისი საკუთარის ინიციატივით მოვიდა ჩემთან და სრული იმედი აღმითქვა, რომ თუ დაგვჭირდებოდა ჩვენი მიზნისათვის მარგანეცი, იგი სავსებით დაიყოლიებდა ყველა უცხოელ მრეწველთა ფირმებს.

ქართველი მრეწველების თანხმობა ჩემში, რასაკვირველია, არასოდეს ეჭვს არ იწვევდა და უცხოელთა მომხრობა ამითი იყო ძვირფასი, რომ მათი სახელმწიფონი და ბანკებიც ნდობით მოეკიდებოდნენ ჩვენ ფულსა, რადგან ეცოდინებოდათ, რომ ეს შეთანხმებით ხდებოდა და არა რამენაირის ძალდატანებით. დამრჩა გამომეკვლია როგორ შეხედავდნენ ამ ამბავს გერმანიის და ავსტრიის ის დელეგატ-ეკონომისტები, რომელნიც გერმანიის ჯარს ახლდნენ საქართველოში.

მაცნობებს, რომ იმათ განკარგულებაში იმყოფება ერთი ავსტრიელი მცოდნე ეკონომისტი და ჩემთან მოსალაპარაკებლად აღმითქვეს მისი გამოგზავნა.

იმ პატივსაცემ ავსტრიელმა ჩემს დასმულს კითხვაზედ, თუ როგორ შეხედავდა იგი ფულის გამოშვებას მარგანეცის ბაზაზედ, კატეგორიულად გამმიცხადა: — ეგ შეუძლებელი არისო. მეორე ჩემს შეკითხვაზედ თუ არსებობს ამ ჟამად ევროპაში ცდების მოხდენა საემისიო უწყებებში, რომ ოქროს ნაცვლად სხვა საშუალებისთვის მიემართათ. ამაზედაც ცივი წყალი გადამასხა ჩემმა ავსტრიელმა.

ამაში იგი, თქმა არ უნდა, არა სტყუოდა. იმ დროს არც ევროპის სხვა კუთხეებში და არც გერმანიაში ამაზედ ფიქრიც არ შეიძლებოდა! . . . და აი, მხოლოდ დღეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკიდურესმა იძულებამ და ღრმად მოფიქრებულმა გეგმებმა მიიყვანა გერმანიის უმაღლესი ხელის უფლება და მისი მეცნიერნი და მცოდნე ეკონომისტები იმ გაბედულ დასკვნამდე, რომ ოქროს მნიშვნელობის **დეგრადაცია** სრულიად მისაღებია მსოფლიო ეკონომიკის საკეთილდღეოდ.

მხოლოდ 1933 წლიდან დაწყებული შეუდგნენ იქ ამ აზრის განხორციელებას და ეს ისეთ ფარგლებში მოახდინეს, რომ ეჭვს გარეშეა იგი ამიერიდან სახელმძღვანელოდ გახდება ბევრს სხვა სახელმწიფოებისათვისაც. და, მაშასადამე, ჩვენთვისაც, საქართველოსათვისაც.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ როგორც-კი არ უნდა გათავდეს ეს ომი, გერმანია თავისი ახალი ეკონომიური გეგმით უკვე გამარჯვებულია!...

როდესაც ჩვენი ქვეყნის უახლოვეს პერსპექტივებს ვითვალისწინებთ სულ პირველად ჩვენს წინაშე ეს საკითხი დგება: სად უნდა ვიშოვნოთ ის საჭირო თანხა, რომლითაც შეეძლებთ ჩვენი სახელმწიფოებრივი ძალების ასამოქმედებლად ხარჯების გაძღოლას და ჩვენი ეროვნული მეურნეობის ფეხზე დაყენებას?

როგორც ვნახეთ გერმანიამ იპოვა მისთვის საჭირო ეს საშუალებანი, როდესაც უმძიმესმა გარემოებებმა დაუყენეს მას ამგვარი საკითხი.

ცენტრალურმა სახელმწიფო ბანკმა, სხვა ბანკებთან თანამშრომლობით, და უცხოელ ერებთან ეკონომიურმა ხელშეკრულებებმა მისცა გერმანიას საჭირო სახსრები.

არაფერი გვიშლის ჩვენც ამ გზას დავადგეთ.

კერძოთ საქართველოსათვის ცენტრალური ბანკის დაარსება იმითაც არის სანატრელი და ხელსაყრელი, რომ იმის საშუალებით, ოქროს განდევნებასთან ერთად, იდევნება ის უშნო და უინიციატივო კაპიტალისტიც, რომელიც ჩვენში ზედ-მეტ ბარგათ აწვა ჩვეს ეკოხოძიკას. ხუ დავივიწყებთ, რომ განსაკუთრებით „ფულებით მოვაჭრე“ ჩვენი ე. წ. კაპიტალისტები, სულ ბოლო დრომდე, იმ დაბალ საფეხურზედ იდგნენ, რომელიც შორს არ იყო გაცილებული **მევახშე** „ფინანსისტის“ დამახასიათებელ თვისებებს. ასეთი მათი ზნე, ერთნაირად ახასიათებდა ამ „საქმის ხალხს“, ვინც უნდა ყოფილიყო იგი.

ყოველ შემთხვევაში ამ კაპიტალისტებმა თუ რამ უნარი გამოიჩინეს, ეს უფრო წვრილმან ვაჭრობაში.

აი რა ძალას წარმოადგენდა ეს კლასი, მანამ რუსეთი საქართველოს დაიჭერდა 1801 — 1803 წლებში.

რუსეთი ოფიციალური ცნობებით იმ დროს საქართველოს დედა-ქალაქ ტფილისში მათ დახვდათ: „ფართლეულობას დუქანი 85, საწვრილმანოები — 63, სანოვაგის დუქნები — 76, სამიკიტნო 40. სახელოსნოები 310.“ **მეტი წილი ხელოსნების ქართველები ყოფილან,** სავაჭროების რიცხვშიც, ზოგი რამ, ეტყობა ძალიან ნაკლებათ, ქართველ და თათარ ვაჭრებსაც ეკუთვნოდა. უდიდესი ნაწილი ვაჭრებისა სომხები ყოფილან. **აი ამითი და** მხოლოდ ამითი იწონვიდა ამ ვაჭარ-კლასის მნიშვნელობა ჩვენს მეურნეობაში და სახელმწიფოში...

თუ დავუმატებთ, რომ რუსული დოკუმენტებისავე ჩვენებით, იმ ხანშივე ტფილისის საუკეთესო სახლები ქართველებს ეკუთვნოდა, ნათლად დავინახავთ, რომ ჩვენი კაპიტალისტების დღევანდელი, ეითომდა, გაძლიერება არა ყოფილა ძველი ამბავი!..

გერმანიამ დღეს ადვილად მოინელა გაქრობა მისი ძველი ყაიდის კაპიტალისტებისა, რომელნიც, მართლაც-და, ეროვნული სიდიდრის შექმნაში თვალსაჩინო ფაკტორები იყვნენ.

ეს მონელება ჩვენთვის, ქართველებისათვის, გაცილებით უფრო ადვილი იქნება... მოდით ამაზედ სიტყვას ნუღარ გავაგრძელებთ. უნდა გვახსოვდეს — კი ერთი რამ პირობა, რომლის აუცილებლად განხორციელება საფუძვლად და ქვაკუთხედათ უნდა დაედოს ჩვენში იმ წამოწყებათა შემოღებას, გერმანია დღეს რომ ახორციელებს ეკონომიკის სფეროში.

ეს არის, სულ პირველად, ეკონომიური შეთანხმება გერმანიასთან და მერე იმ მძლავრ ბლოკთან, რომელიც გერმანიის გარს იყრის თავსა, იმავე ეკონომიური პრობლემების განსახორციელებლად.

მოკლეთ, საჭიროა ევროპიული ოჯახში შესვლა!

ამისათვის ჩვენმა მოღვაწეებმა უნდა უჩვენონ ევროპას, თუ როგორია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ფიზიონომია, მისი შესაძლებლობანი და სხვა დამახასიათებელი მხარეები.

ნუ დავივიწყებთ, რომ ევროპიული ოჯახში შესვლისათვის ჩვენთვის აუცილებელი გახდება მძიმე გამოცდის ჩაბარება... მოუწოდებთ ჩვენი ქვეყნის მესვეურთ მოახდინონ ამისათვის ძველი გეზების გადაშინჯვა, ნულარ აგვიანებენ ერთსულოვნობით და გულწრფელი გაერთიანებით მოქმედებას, რადგან შეიძლება სულ მოკლე ხანში იყოს ჩვენი სამშობლო დაბარებული ხსენებულ გამოცდის ჩასაბარებლად. ერთობ საჭიროა შესმენა და შესწავლა იმისი, თუ რა მოახდინა გერმანიამ, იტალიამ და სხვებმაც ამ ახლო წლებში, როდესაც იქ განახლების გზას დაადგნენ.

საჭიროა, აგრეთვე, დამზადება მთელი რიცხვი კადრებისა და ინსტრუქტორების, რომელთა ხელით და უნარით უნდა მოხდეს ჩვენში ახალი ეპოქის განხორციელება, რასაკვირველია, დახმარებით და, როდესაც ეს საჭირო იქმნება, ხელმძღვანელობითაც იმ ძალებისა, საქართველოში რომ დაგეხვდება დაგროვილი... გვახსოვდეს ყველას! ევროპიულს ოჯახში მხოლოდ ის იქმნება მიღებული, ვინც რაიმე საფასურს წარმოადგენს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲣᲣᲠᲣᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ: **ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲨᲢᲐᲑᲘ**
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: **Გ. ᲤᲠᲝᲜᲔᲚᲘ**
„Das Georgische Volk“, Berlin W 35, Ludendorffstr. 60.
Kharthweli Eri — Das Georgische Volk
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲐᲠᲩᲘᲚ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘᲡᲐ

ქ-942